მიორგი ჯორჯობიანი

ორგანული ქიმია

„მეცნიერება“

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

გიორგი ბოჭორიძე

მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები, საძიებლები და შესავალი დაურთეს:
დ. ბერძენიშვილმა, ლ. მელიქიშვილმა, ლ. ხუციშვილმა

თბილისი
„მეცნიერება"
1992

63.3 (2 გ)
ბ 898

გიორგი ბოჭორიძის დამსახურება საქართველოს წარსულის შესწავლაში ჯერ კიდევ არაა სრულად დაფასებული. მას მოღვაწეობის დაწყება მოუხდა იმ დროში, როდესაც საქართველო დამოუკიდებლობისაკენ აქტიურად მიიწევდა, შემდეგ კი ბოლშევიკური რეჟიმის პერიოდში.

1932—33 წლებში გიორგი ბოჭორიძემ შეისწავლა სამცხე-ჯავახეთის ისტორიული ძეგლები. ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ ეს იყო პირველი მოგზაურობა ამ მხარეში, რომელსაც მაღალი კვალიფიკაციის ისტორიკოსი ატარებდა.

გ. ბოჭორიძის მოგზაურობის ჩანაწერები სამცხე-ჯავახეთის წარსულის ბევრ უცნობ ფურცელს აღადგენს, ვისაც ამ მხარეში უვლია, უშალ იგრძნობს რამდენი რამ დაკარგულა ან შეცვლილა 60 წლის მანძილზე, ხოლო ავტორის ჯიუტი რედუნება იქაურ ძეგლებზე ყოველ მკითხველში ზარიცით ახმიანდება. ნაშრომს ერთვის ავტორის მიერ შესრულებულ ეკლესიათა თუ სხვა ძეგლთა ნახაზები და წარწერების მონაზაზები.

წიგნში მოცემული ყოველგვარი ცნობა და ცოდნა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ახლა, როდესაც ქართველი ხალხი ასე მასიურად მიუბრუნდა საკუთარ ისტორიას, ამიტომ იგი დააინტერესებს მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორი ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი
გ. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი

ბ 0505000000 / ბ 607 (06)—92 151—92

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1992

ISBN 5—520—01065—X



წინასიტყვაობა

გიორგი ბოჭორიძე იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ბედი ჩვენში დატრიალებულმა ისტორიულმა უსამართლობამ განსაზღვრა.

იგი დაიბადა 1884 წელს თიანეთის მაზრის სოფელ ნაციხვარში. დაწყებითი განათლება (დაბალი სწაელა, როგორც თვით აღნიშნავს) თელავის სასწავლებელში მიიღო, ხოლო საშუალო — თბილისის სემინარიაში. 1905 წელს, თებერვალში, მე-5 კლასის მოსწავლე, როგორც სემინარიის აჯანყების ერთი მთავარი ორგანიზატორთაგანი, გარიცხეს სასწავლებლიდან, რის შემდეგაც როგორც „არაკეთილსაიმედო პირი“ მუდმივ სამსახურს ვერ შოულობდა.

გიორგი ბოჭორიძე 1905—1906 წლებში, როგორც სოციალ-ფედერალისტი ეწეოდა აქტიურ მუშაობას: გზავნიდა პარტიის არალეგალურ ლიტერატურას თბილისიდან კახეთში, ეწეოდა აგიტაციას კახეთის სოფლებში.

1906—1907 წლებში სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა რუსეთში.

გიორგი ბოჭორიძე მოგვითხრობს თავის ბიოგრაფიულ ცნობებში: „1908 წელს წაველ მასწავლებლად სოფ. მატანს თავდების დაყენებით, რომ „კეთილსაიმედობის“ მოწმობას წარვადგენდი. რაკი ასეთი მოწმობა ვერ წარვადგინე, შემდეგ, თვითეულ წელს სხვა და სხვა ადგილას მიხდებოდა გადასვლა (საგარეჯო, ყანდაური). ამ თანამდებობაზე დავყავი 1912 წლამდე. ბოლოს, ჯერ ერთი, ასეთი გაწვალებული მდგომარეობისა და, მეორეც, სამხედრო გამეორებაზე ორჯერ (ორ ზაფხულს) გამოუცხადებლობისა გამო ექვსი თვით პატიმრობის სასჯელის მოლოდინში იძულებული ვიყავ სასულიერო უწყებაში შემეფარებინა თავი“ (გ. ბოჭორიძის 1934 წ. განცხადება „მეცნიერების მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიუროსადმი“).

1912 წლიდან 1917 წლამდე მოღვაწეობდა მღვდლად სოფელ კაჭრეთში, სადაც საშუალება მიეცა ფართოდ გაეშალა საზოგადოებრივი

საქმიანობა. მან დააარსა ორი სკოლა (ქაჭრეთსა და ნანიანში), კოოპერატივი, წვრილი კრედიტის ამხანაგობა ნანიანში, სარაიონო ბაზარი სოფ. ნანიანის თავს, რკინიგზის ბაქანი სოფ. ქაჭრეთის ბოლოს. ააშენა სასოფლო სახლი. ზრუნავდა სოფლად წერა-კითხვის გავრცელებაზე.

1917 წელს გ. ბოჭორიძე ქაჭრეთის მხარის კომისარია. იგი აქტიურად არის ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი ინიციატივით 12 მარტს ქაჭრეთის კუთხის შუაგულ ადგილას გაიმართა კრება ნანიანის, აგრამ-დარჩეთის, ქოდალოს, არაშენდის, ზიარის, ფხოველის, შიბლიანის მცხოვრებლებისა, რომელსაც დაესწრო 5000-ზე მეტი კაცი. „თვითოეულად სოფლის მცხოვრებნი მოვიდნენ აღნიშნულ ადგილას წითელი ბაირაღებით და ერთმანეთს უღოცავდნენ თავისუფლებას. კრებაზე ილაპარაკა 10 ორატორმა. ყველა გახარებული იყო თავისუფლებით. კრებამ დაადგინა შემდეგი, დეპეშა გაეგზავნოს მშრომელი ხალხის წარმომადგენლებს კერენსკის და ჩხეიძეს: სალამს ვუძღვნით ახალ დროებით მთავრობას. ვიმედოვნებთ, რომ ახალი მთავრობა გაჰკურნავს ხალხის წყლულს და კერძოდ საქართველოს მიანიჭებს ავტონომიას დემოკრატიულ საფუძვლებზე“ („სახალხო ფურცელი“, 1917, № 820 16 მარტი).

1918 წლის იენისიდან 1921 წლის ზაფხულამდე გ. ბოჭორიძე მსახურობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს, დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თანამშრომლად საქმის მწარმოებლის თანამდებობაზე.

1918 წელს გ. ბოჭორიძე შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიურ ფაკულტეტზე საისტორიო განხრით, რომელიც 1922 წელს დაამთავრა (პირველი გამოშვება).

გ. ბოჭორიძე 1921 წლიდან მუშაობს საქართველოს ცენტრალურ არქივში, ხოლო 1932 წლიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ცენტრარქივის ადმინისტრაციის დავალებით, დასაღუპად განწირული 23 არქივი მან გადმოიტანა მთავარ შენობაში. აი რას აღნიშნავს იგი: „ყველა ამათი წესიერი გადმოტანა დიდ შრომას და მუყაითობას მოითხოვდა. იმ დროს ტფილისში გაბნეულ არქივებს სახვედ ქაღალდად იპარავდნენ და ღუპავდნენ. საქმე საშური იყო. ხშირად მთელი დღე გათენებიდან დაღამებამდე გვიხდებოდა მუშაობა. ძალიან ხშირად, ყოველივე მძიმე სამუშაო ჩვენი ხელით კეთდებოდა, რადგანაც ფული იმდენი არ იყო, რომ ყოველთვის ეშუა გვექირავებინა“ (გ. ბოჭორიძის 1934 წ. განცხადება „მეცნიერების მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიუროსადმი“).

3 წლის მანძილზე (1923—1926 წწ.) განათლების სახკომისარიატის დავალებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმოგზაურა ისტორიული ნივთებისა და საარქივო მასალის მოსაპოვებლად. „მთელი სამი წელიწადი მოგზაურობაში გავატარე. მეტის მეტად მძიმე პირობებში მიხდებოდა მუშაობა. სამი წელიწადი გარეთ ტრიალი, ორი-სამი თვეობით გარემხრობა, ზამთრის სიცივე და ზაფხულის სიცხე. დღეში 17—18 საათს მუშაობა, 9—10-ჯერ სიცოცხლის საფრთხის თავიდან აცილება (ცდე, წყალი, ხალხი და სხვა) და მრავალი სხვა, ყველა ეს ძალღონისა და ნებისყოფის უდიდეს და უაღრეს დაჭიმვას მოითხოვდა და მიუხედავად ამისა ყველა სიმძიმე და დაბრკოლება დაძლეულ იქნა და საქმე მთლიანად იქნა შესრულებული. 1926 წლის შემდეგაც მე ყოველ ზაფხულს ორ-ორი თვეობით ხან იმავე კომისარიატის დავალებით, ხან მუზეუმის და ხან ჩემი სურვილით ემოგზაურობ იმავე მიზნით“ (გ. ბოჭორიძის 1934 წ. განცხადება „მეცნიერების მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიუროსადმი“).

გიორგი ბოჭორიძის შრომას 1934 წელს პავლე ინგოროყვა შემდეგნაირად აფასებდა: „საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების უფროსი მეცნიერი მუშაკის გიორგი ბოჭორიძის შესახებ, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის განსაკუთრებული ღვაწლი, რომელიც მას მიუძღვის ქართულ საისტორიო ძეგლთა და კერძოდ ქართული მწერლობის ძეგლთა შეგროვების საქმეში. 1923 წლიდან ვიდრე დღემდე მის მიერ მოგროვებულ იქნა: 3550 სიგელ-გუჯარი, 540 ხელნაწერი წიგნი, 200-ზე მეტი ძველი სტამბის წიგნი, 28 წარწერიან-ქანდაკებიანი ძეგლი, 2260-მდე ისტორიული ნივთი, 10 ტილოზე ნახატი საერო სურათი, 3 კოლექცია ფულებისა, 2 კოლექცია არქეოლოგიური ნივთებისა და სხვა. ... აღრიცხული აქვს 900-ზე მეტი ისტორიულ-მონუმენტალური ძეგლი.

ამრიგად, შრომა გაწეული გ. ბოჭორიძის მიერ ქართულ ისტორიულ ძეგლთა შეგროვებისა და აღრიცხვის საქმეში პირდაპირ კოლოსალურია და შესაძლოა ითქვას, რომ ეს არსებითად ახალი მუზეუმის დაარსებას უდრის. ... მას ეკუთვნის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ახალი წარწერების აღმოჩენა (მათ შორის: ჯვარისას ძეგლის წარწერა მე-5 საუკუნისა, ჰაეშეტი წარწერა მე-7 საუკუნისა, ფიქალ-წერილი მე-10 საუკუნისა და სხვ.) (აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქივისა).

აქტიურად მუშაობდა გ. ბოჭორიძე როგორც მკვლევარი. ზოგიერთი მისი ნაშრომი აღრევე გამოიცა, ხოლო დიდი ნაწილი კი საარქივო მასალად დარჩა.

ბედის უკუღმართობის გამო უმძიმეს წლებში მოღვაწეობისას მეცნიერს არ მიეცა თავისი ნაშრომების დასრულებისა და გამოცემის საშუალება. სამართლიანად აღნიშნავს ვ. გურგენიძე: „როცა გ. ბოჭორიძის მუშაობას ეცნობი, დაუჯერებლადაც გეჩვენება როგორ შეძლო ერთმა კაცმა მოკლე დროში ამდენის გაკეთება. მისი ხელით გადმოღებული ბევრი წარწერა დღეს ერთადერთი წყაროა, ბევრიც დაიკარგა და უფრო მეტი განადგურდა. წინასწარ ერთის თქმაც შეიძლება: გ. ბოჭორიძის შემდეგ (კახეთზე იქნება, ქართლზე, რაჭა-ლეჩხუმზე, შესხეთ-ჯავახეთზე თუ საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეზე) ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საკითხზე დაწერილი ნაშრომები სრული არ იქნება, თუ არ გამოვიყენებთ ამ დიდებული მკვლევარის მოძიებულ და შეგროვილ მასალებს“ (ვ. გურგენიძე, ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე, მაცნე — ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1986, № 4, გვ. 165—167).

1932—1933 წლებში გიორგი ბოჭორიძემ შეისწავლა სამცხე-ჯავახეთის ისტორიული ძეგლები. ექვთ. თაყაიშვილის შემდეგ ეს იყო პირველი მოგზაურობა ამ მხარეში, რომელსაც მაღალი კვალიფიკაციის ისტორიკოსი ატარებდა. ამიტომაა, რომ ეს ჩანაწერები ინტერესს იწვევს არა მხოლოდ ძეგლების აღწერით, არამედ ავტორის მუშაობის მეთოდითაც. მან გულდასმით შეისწავლა მეურნეობის სხვადასხვა დარგები (მეხილეობა, მევენახეობა), მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური მდგომარეობა, ხალხური გამოთქმები, ეპიტაფიები და გამოსახულებანი საფლაოს ქვებზე. ყოველივე ამას, ძეგლების აღწერასთან ერთად, იგი დიდი გულმოდგინებითა და პუნქტუალურობით ზომავდა, იხატავდა, იღებდა ფოტოფირზე (სამწუხაროდ, ფოტოანაბეჭდები ჯერ მიკვლეული არაა). ამ საქმიან, მშრალ ჩანაწერებში ზოგჯერ გამოსჭვივის ის ყოფითი სიძნელეებიც, ყოველ ნაბიჯზე რომ ხვდებოდა ავტორს; აქა-იქ გაისმის არსებული ვითარებით გულნატკენი მამულიშვილის უპასუხო შეძახილი („სად ხართ, ქართველებო!“..).

სამხრეთ საქართველოს შესახებ ყოველგვარი ცნობა და ცოდნა ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია იქ შექმნილი ისტორიული პირობების გამო. იგი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ახლა, როდესაც ქართველი ხალხი ასე მასიურად მიუბრუნდა საკუთარ ისტორიას. ამ პირობებში გ. ბოჭორიძის მოგზაურობის ჩანაწერები, სამცხე-ჯავახეთის წარსულის ბევრ უცნობ ფურცელს აღადგენს. ვისაც ამ მხარეში უვლია, უმალ იგრძნობს — რამდენი რამ დაკარგულა ან შეცვლილა 60 წლის მანძილზე, ხოლო ავტორის ჯიუტი რუდუნება იქაურ ძეგლებზე, ყოველ მკითხველში ზარივით ახმიანდება. კაცს ეგონება, მოშავალ არქიტექტორ-რესტავრატორებზეც ფიქრობდა ავტორი — ისეთი სიზუსტით აღწერს ნაეკლესიართა კედლებს...

იგი, როგორც გამოცდილი თვითმხილველი, ღირებულ რეკომენდაციებს აძლევდა სიძველეთა დაცვის კომიტეტს ძეგლების დაცვა-აღდგენის საკითხებზე. არჩევდა ძეგლების მცველთა შესაფერის კანდიდატებს ადგილობრივ მოსახლეობაში, ზრუნაედა მათ მატერიალურ უზრუნველყოფაზე.

გ. ბოჭორიძის შემდეგ სამცხე-ჯავახეთის ისტორიის ბევრი საკითხი შესწავლილ იქნა, ბევრიც გაღრმავდა და დაზუსტდა. ეს ცვლილებები ნაშრომის ბოლოს, შენიშვნებშია ასახული.

დასასრულ, დიდი მადლიერებით უნდა აღინიშნოს შრომა, რომელიც ამ ხელნაწერთა წარმოსაჩენად გასწიეს საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის თანამშრომლებმა: ნ. თარხნიშვილმა, მ. ჭუმბურიძემ, ქ. ცხვედაძემ და ავტორის შვილიშვილმა თ. ბოჭორიძემ.

სია

ახალციხის და ახალქალაქის ძეგლებისა[1]

ახალციხის მაზრა

I. ქალაქი ახალციხე

1. ციხე
2. ორი ციხის შუა კედელზე ნაეკლესიარი
3. უულებზე ნაკოშკარი (კლდეზე)
4. ახლო კლდეზე ნაკოშკარი
5. აბანო რაბათისა
6. ნიკოლოზის დროის სასურსათო საწყობი
7. წმ. ჯვრის ეკლესია
8. სავარდის ეკლესია
9. გრიგოლის ეკლესია (ნაჯამევი)
10. სოლაღას აბანოები
11. ენთელის ძველი წყალსადენი
12. ციხის ძირის აბანო
13. ახალციხის ხიდი „შეკეთებული"
14. მარდის ეკლესიაში ნაეკლესიევი (ნათლისმცემელი)
15. მარდის ნააბანოევი
16. მლაშე ხევის ნაეკლესიევი
17. მარდის ეკლესიები ორი
18. ივლიტის ეკლესია
19. ივლიტის ქვემოთ კლდეზე ნაეკლესიევი (მდინარეზე)

II. ლეპიხის თემი

20. ვარძიის მონასტერი ქვაბებითურთ
21. თმოგვის ციხე. ნაქალაქევი და ეკლესია

22. თმოგვის დარნები
23. ფიის ეკლესიები (2—3)
24. ჭოლდის ქვაბები და ნავენახევის ნაშთი ვაზები
25. მგელსუნდის ქვაბები
26. ტოლოშის ეკლესია
27. გავეთის ეკლესიების ნანგრევები
28. შალოშეთის ეკლესიების ნანგრევები
29. ალანძის ეკლესიის ნანგრევები
30. კოინდარას ეკლესია
31. აძგვიტის ქვაბები
32. ვერანა დადეშის ეკლესია
33. დადეშის დარნები
34. დადეშის ქვაბები (უცხო წარწერით. ნაბეჭდ სიაში ეწერა: „ამონაწერი ინახება „ვინმე მესხის" უბის წიგნაკში, გადმოწერილი 1880 წელს". ეს სარგისს წაუშლია. იქვე სიტყვა „უცხოს" მაგიერ ყოფილა „ლურსმული").
35. ბნელის ნაეკლესიარი
36. ბნელის მაღარო
37. საკვირიკო ეკლესია (მთაზე)
38. თოელეთის ნაეკლესიარი
39. აძგვიტის ეკლესია
40. ბუზმარეთის ნაეკლესიარი
41. ვანის ნაეკლესიარი
42. ზედა ვარძიის ქვაბები
43. ჭარზამეთის ნაეკლესიარი
44. ლეპისის ნაეკლესიარი
45. ფანაჭეთის ნაეკლესიარი
46. ტაშლი-ყიშლას ნაეკლესიარი
47. თაზა ქევის ნაეკლესიარი

III. ასპინძის თემი

48. ჩიხორიშის ეკლესიები (ორი)
49. ჩიხორიშის ქვაბი
50. ხვალიშის ეკლესია
51. ასპინძის ციხე
52. ასპინძის ნახიდარი, ბურჯი
53. ტამალის კოშკი

54. ოთას მარიამ წმ. ეკლესია
55. მამა წმ. ნაეკლესიარი
56. ოთის ციხე
57. ღართის ეკლესია (ოთის ტყეში)
58. შოლოთის (შაიტის) ეკლესია
59. ზედა ოშორის ეკლესია
60. ქვემო ოშორის ნაეკლესიები
61. ზედა ოშორის ციხე-კოშკი
62. იდუმლის ნაკოშკარი
63. რუსთავის კოშკი
64. ყამზის ნაკოშკარი

IV. ურავლის თემი

65. ერკოტის ქვაბები
66. ახაშენის ეკლესია
67. ღობიეთის ნაეკლესიარი
68. ვარნეთის ციხე-კოშკი
69. ღობიეთის ეკლესია
70. ზველის ეკლესია
71. ზველის დარნები
72. ზველის ქვაბები
73. სათიკნეს ეკლესია (ზველის მთაზე)
74. ვერანა ჯობარეთის ეკლესია
75. მუსხის ამაღლების ნაეკლესიევი
76. მუსხის საგულე ნაეკლესიევი
77. მუსხის დარნები
78. მაჭიხეთის ეკლესია
79. ხეოთის ეკლესია
80. ურაველის ნაეკლესიევი
81. ვერანა მუსხის ნაეკლესიევი
82. გიორგიწმიდის ეკლესია
83. აგარის მონასტერი
84. აგარის ნასოფლარი
85. აგარის ქვაბები
86. ენთელის ეკლესია
87. ფუღის ნაეკლესიევი და ნასოფლარი

88. ახდილას ანუ ნავენახევის ნაეკლესიევი (1923 წ. აქ ჰურები ამოუთხრიათ)
89. ანდრიაწმიდის ეკლესია
90. ღორომის თევდორეს ეკლესია
91. გიორგის სახელობის ნაეკლესიევი
92. ილიას სახელობის ნაეკლესიევი
93. თხომას ნაეკლესიევი
94. წყორძის ნაეკლესიევი
95. წყორძის ეკლესია
96. წყორძის მიდამოში ეკლესია
97. წყორძის ნაკოშკარი
98. ბორჯომის ნაეკლესიევი
99. ბათოღლის ქვაბები
100. ულვის ნაეკლესიევი
101. ულვის დარანი
102. ურაველის მაღაროები
103. სატალახეოს ქვაბები (ურაველის ხეობაში)
104. ბათოლხლის ეკლესია
105. ელიაწმიდის ნაეკლესიევი
106. ნასაფარევის ნაეკლესიევი
107. ეშპელოს კოშკი (მთაზე)
108. ორცეპის კოშკი
109. ორცეპის ნაეკლესიევი
110. ზეფენის ნაეკლესიევი
111. საფარის მონასტერი
112. ღრელის ეკლესია

V. ვალის თემი

113. აბის ეკლესია
114. ყულალისის კოშკი
115. ზედა სხვილისის ეკლესია (შეკეთება)
116. სხვილისის ჯამი-მინარო
117. ვალის ეკლესია
118. ვალის ნაეკლესიევი ნათლისმცემლისა
119. ჭარალის ციხე-კოშკი
120. ღაღიხმანის ეკლესია
121. ირჭის ეკლესია

122. პამაჯის ნაეკლესიევი
123. პატარა პამაჯის ნაეკლესიევი
124. ნაოხრების ნაეკლესიევი
125. ორალის ნაეკლესიევი
126. ორალის ციხე-კოშკი
127. წყალთბილის ტყეში „უსკას“ ნაეკლესიევი

VI. უდის თემი

128. ზაზალის ნაეკლესიევი
129. წყისეს ნაეკლესიევი
130. წყისეს კოშკი
131. უდის ეკლესია
132. უდის ნაეკლესიევი
133. უდის ციხე
134. ბუზმარეთის ეკლესია
135. ამხერის ნაეკლესიევი
136. არალის ნაეკლესიევი
137. იჯარეთის ეკლესია
138. ლელოვანის ნაეკლესიევი
139. კასარეთის ნაეკლესიევი
140. ორჭოსანის ეკლესია
141. ხვანის ნაეკლესიევი
142. ხზურის ნაეკლესიევი
143. წარბათუმნის ნაეკლესიევი

VII. ადიგენის თემი

144. ზარზმის მონასტერი
145. ზარზმის წყარო
146. ზანავის ციხე
147. ზანავის ნაეკლესიევი
148. ჭულების ტაძარი
149. ზედა ღ[illegible] ც ხე (ტყეში)
150. სმადის ეკლესია
151. სმადის საჯვრე ფეშხუმი (ნაფუზვრები)
152. ბოლაჯურის ეკლესია

153. ბოლაჯურის ნაეკლესიევი
154. ალთუნ ბაგეთის ციხე (ალთუნ-ყალა)
155. გორგულის ეკლესია
156. ჩორჩანის ეკლესია
157. ღაღვის ნაეკლესიევი
158. დერცელ-კიკიბოს შუა ეკლესია
159. იქვე ქვაბები
160. აფიეთში თხრაში აღმოჩენილი კედელი
161. უტყისუბნის ეკლესია
162. კეხოვანის ეკლესია
163. იქვე ახლოს ნაეკლესიევი

VIII. ვარხანის თემი

164. ოძრხის ციხე-კოშკი
165. კურცხანის ნაეკლესიევი
166. ოცხის ეკლესია
167. ოცხის ახალი ზარზმის ეკლესია
168. მარიამ წმ. ნაეკლესიევი (ხანდოზე)
169. ყვირილას ეკლესია (ბენარა-შულავერს შუა)
170. ხეროს ნაეკლესიევი
171. ვარხნის ნაეკლესიევი
172. შოყას ნაეკლესიევი
173. წყურთაჯვრის ნაეკლესიევი
174. ჰიხელის ნაეკლესიევი
175. ჩურჩუტოს ნაეკლესიევი

IX. კლდის თემი

176. ზეუბნის ნაეკლესიევი
177. ანის ეკლესია
178. ანის ციხე-კოშკი (ტყეში)
179. ყურათუბნის ნაეკლესიევი
180. ელიაწმინდის მონასტერი (ქვინტის ტყეში)
181. ელიაწმინდის ქვაბი
182. წყურთის ეკლესია
183. წნისის ნაეკლესიევი

184. ქომის მონასტერი (სვირის ტყეში)
185. ფერსას ნაეკლესიევი

X. აწყურის თემი

186. აწყურის დიდი ტაძარი
187. აწყურის პატარა ნაეკლესიევი
188. აწყურის ციხე
189. გუჯრისხევის ეკლესია
190. გუჯრის დარნები
191. თისელის ეკლესია
192. თისელის ციხე (ტყეში)
193. ზვოტის [?] ხევის ეკლესია
194. ხვლევის კოშკი
195. ხვლევის ეკლესია
196. საყუნეთის ეკლესია
197. წრიოხის ეკლესია
198. წრიოხის ციხე-კოშკი (ტყეში)
199. წინუბნის ეკლესია
200. ბიეთის ეკლესია
201. მოქცევის ნაეკლესიევი
202. უგარეთის ციხე-კოშკი
203. საკირიკოს ეკლესია
204. ზიკილიას ნაეკლესიევი
205. ზიკილიას ქვაბები

16. 1. 1928 წ.

სოფ. ჭ ე ჭ ე რ ე ქ ი ს სალოცავში არის:

1. ავეტარანი (სახარება) ქაღალდზე ნაწერი 32×23,5×7 სმ. თავსა და ბოლოში ფურცლები აკლია. ბოლო ფურცლები ახალი აქვს ჩამატებული და აღდგენილი. სახარებას წინ აქვს სამი მინიატურიანი ფურცელი. ერთზე დახატულია მახარობელი კალმით და იმის გასწვრივ ჭურჭელი მცირე. მეორეზე ორი რაღაც სურათი: ზევითა ნახევარში გამოსახულია ოთხი პირი მტრედით თავზე, ძირა ნახევარზე რვა პირი, შუაში, მეცხრე, ხელაპყრობილი პირი; დახატული არიან წელამდე ან მხრამდე. მესამე სურათი არის იოანე მახარებლისა(?) და პროხორესი ვგონებ. პროხორე მჯდომარეა, იოვანე კი მდგომარე; პირველ სურათზედაც მახარებელი რომ არის ისიც მჯდომარეა. ნახატები ტლანქია საშინლად.

მათეს სახარების გარდა სხვა სახარებებს დასაწყისში აქვთ მინიატურები ისეთივე ტლანქი. სახარებას აქვს ყდა, რომლის ორივე მხარეს შემოკრული აქვს ვერცხლი. წინა ყდაზე ჭედილი ხატია ჯვარცმისა, რომელსაც ზევით უზის ერთი მოზრდილი აყოყის (ძვირფასი წითელი ქვა) თვალი, ჯვარცმის ქვეშ არის სომხური წარწერა.

მეორე ყდაზე ჭედილი ხატია ჩვილედი ღვთისმშობლისა, გვირგვინს ადგამენ ანგელოზები.

2. ჯვარი ვერცხლისა (იხ. ნახ. 1) ჯვარცმის ხატით (ნაჭედი). 25,5×12 სმ.

3. ამაილ (ავგაროზი) ქაღალდზე ნაწერი. მე-18—19 სს. 7,36 სმ × 8,5 სმ. განახლებული 1906 წელს. შემკული 16 სურათით.

4. ამაილ ქაღალდზე ნაწერი მე-19 ს. 8,75 სმ × 9,5 სმ დაზიანებული.

5. ამაილ ქაღალდზე ნაწერი მე-18(?) ს. 12 × 5,5 სმ შემკული ორი ცალკე სურათით და მესამე ადგილას 13 პირის სურათით.

6. ვაჯასი ვერცხლზე ნაჭედი. 13 ხატი მოციქულებისა და მაცხოვრისა (შუაში). 12 × 55 სმ.

7. ჯვრის ზევითა ნაწილი ჯვარცმით (ვერცხლზე ნაჭედი). 9,5 × 11 სმ.

სოფელში სახლობენ არზრუმიდან გადმოსახლებული სომხები.

ჰ ე ჰ ე რ ე ჭ ი ს აღმოსავლეთით, შარაგზის ძირს, ღელეში, მარცხენა მხარეს არის ეკლესიის ნანგრევი. იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა. შიგნითა და გარეთა პირი სულ შემოცლილი აქვს. დგას მარტო დუღაბი კირის და რიყის ქვის ორი მეტრი სიმაღლისა. ჩრდილოეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილები სულ აღარ არსებობს. შიგნით გდია თაღის დუღაბის ორი დიდი ნატეხი. კარი აღარ შენახულა. 6×3,5 მ.

ო ხ ე რ ა ს ეკლესია დგას სოფლის სამხრეთ ფერდობზე. ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან. ზომა არის 3,6×2,8 მ. კარი აქვს დასავლეთით. სარკმელი აღმოსავლეთით — ერთი, დასავლეთით — ერთი, სამხრეთით — ერთი, ჩრდილოეთით — ერთი. კარისა და ჩრდილოეთის სარკმლის ადგილი დაზიანებულია — გამონგრეულია. ეკლესია დგას კლდიან ადგილას. დასავლეთით არის გალავნის ნაშთი. აქ ჩამოდის სატალაოს, ანუ ურავლის, ანუ კალმახის წყალი. აქ ერთვის არტანულა, ანუ არტანის წყალი. თაღი მთელია, ოღონდ მაღლა აღარაფერი ახურავს. შიგ ბზე ყრია. ტრაპეზი აღარა ჩანს. საკურთხევლის სამხრეთ კედელში არის პატარა თახჩა. ეკლესია დგას კლდის კიდეზე და ნაშენია წითელი და მოთეთრო ქვისაგან.

აქ სახლობენ ქართველი მაჰმადიანები, 30 კომლი, ენა დავიწყებული აქვთ.

მ ი ნ ა ძ ი ს აღმოსავლეთ კლდეზე არის ციხის ნანგრევი. ამ სოფელში ცხოვრობს 60 ქართველი მაჰმადიანი.

ტ ო ბ ა ს არის სოფლის დასავლეთით წმიდა გიორგის ეკლესიის ნანგრევი, 9,6×6,2 მ; იგი დგას პატარა კლდოვან გორაკზე, ნაშენი ყოფილა უზარმაზარი ლოდებისგან. ახლა სულ დანგრეულია, შენახულია მხოლოდ თითო ლოდი ადგილ-ადგილ. აღმოსავლეთ ნაწილად კლდე ყოფილა, იგი ახლაც 2 მ სიმაღლისა არის. ქვებს კირი აღარ უჭირავს. ამის ძირს აღმოსავლეთ-სამხრეთით არის ახალი ეკლესია წმ. ნინოსი ქვითკირისა, აშენებული 1881 წ. აქ ცხოვრობენ რიცხვით 15 კომლი ქართველები (ასპანიძენი და სუდაძენი), პირველნი მოსულნი არიან ვალედან, სუდაძეები — ღრელიდან. ქართველი მაჰმადიანები 22 კომლი.

სოფლის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ სერზე ყოფილა წმ. მარინეს ეკლესია, ახლა აღარაფერი არ ეტყობა.

ფაგი = ნაშენობარი

რ უ ს თ ა ვ ი. სოფლის დასავლეთ-სამხრეთით (?) 2 კმ მანძილზე, გზის ნაპირას, ამართულ კლდეზე ყოფილა ეკლესიის ნანგრევი, შენახულა მხოლოდ კედლების ნაშთი.

რუსთავის სამხრეთით 1,5 კმ შარაგზის მახლობლად, ვაკე ადგილის ნაპირას, არის ეკლესიის ნანგრევი 9×5 მ (?). შენახულა მარტო ნაშთი, ორ ადგილას (აღმ. და დას.) არის დუღაბი დარჩენილი. ეკლესიის სამხრეთით არის დუღაბივე შენახული. იგი სამწირველოს ნაშთი თუ არის.

რუსთავის აღმოსავლეთით 2,5 კმ შარაგზის ნაპირას მდებარე პატარა კლდოვან გორაკზე დგას კოშკი ქვითკირისგან ნაშენი, ოთხკუთხა ფორმისა, რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე დაქცეული აქვს. კედლების სისქე 1,5 მ-ია.

რუსთავში სახლობენ ქურთები 25 კომლი და 4 კომლი ქართველი.

წ ყ ა ლ თ ბ ი ლ ა ს სახლობენ ქურთები. 20 კომლი.

ი ნ დ უ ს ა ს სახლობენ ქართველი მაჰმადიანები 100 კომლი.

ი ნ დ უ ს ა ს სოფლის თავზე არის ეკლესიის ნანგრევი, იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა 9×4,5 მ. შენახულია მარტო დუღაბი 1 მ სიმაღლისა, ხოლო აღმოსავლეთ-ჩრდილოეთი ნაწილი კი 3 მ. პირის ქვა სულ მოცლილი აქვს; მეორე ნაშთი, ანუ მეორე ეკლესია, ყოფილა სოფლის დასავლეთით 0,25 კმ-ზე პატარა კაკლის ახლოს. აქ შენახულა დუღაბი დასავლეთ-ჩრდილოეთ კუთხის კედლისა, ამავე ნაშთთან აღმოსავლეთის გაყოლებით აგროვილია ცალკე ქვები. სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან მოჩანს დუღაბიც მიწაში, ზომა არ აიღება. ძეგლი მიწასთან არის გასწორებული.

ეკლესიების ქვები ნაწილობრივ ადგილობრივ სოფელში მიზგითს აქვს შეხმარებული, ნაწილობრივ სხვის სახლებს. მიზგითის ახლოს, ანუ მიზგითის და წყაროს შუა, გზაზე, დევს ემბაზის ქვა (?). ზევიდან ამოღრმაებული, წინ ჯვარის გამოსახულებით 82×98×58 სმ (ნახ. 2).

სოფელში ქართულს ყველა მშვენივრად ლაპარაკობს, თათრულს უფრო კაცები. ყველანი ნახევრად ქართულს, ნახევრად თათრულს ლაპარაკობენ. უღელი ხარი, წისქვილში გიალ (მიდის). ბოლოდან ყალდურ (ასწიეო), ექვსი ბულილი, კოხტა წანტა, ტუმრების მოგაგული და სხვა.

ინდუსაში მცხოვრებთა გვარები:

რასულაშვილი 10 კომლი
სათოშვილი 50 „
ხალოშვილი 10 „
გელაშვილი 20 „

რაშოშვილი 3—4 კომლი
შარავახდიძე 6 „
ქოსაშვილი 4 „
ქორობოშვილი 1 „
ყოჩოშვილი 2 „

ქალების სახელები

გულჩინ, ხათუთ, გულასარ, მალაქ, ალმაზ, გულისტან, გულჩიჩაქ, შორათ, სალვი, ფაქიზ, ასმა, იოსმა, აიათი, ჰადია, ჰურიათ, გუნაშ, გულსუნ, ჩახალ, სონა, ბაღდაგიულ, გულიჯან, ბალაჯან.

ოქროპირიძე (პურის მომტანი) — 4 კომლი.

ინდუსელ შარავანდიძე ქემალ მასწავლებლობს ზველში.

ყამზაში არიან ქართველი მაჰმადიანები. ისევე მშვენივრად ლაპარაკობენ ქართულს. ერთი გზაში შემხვდა — გოჩიაძე, მეორე ხევში — მახარაძე. აქ ყოფილან გვარები: მახარაძე — 20 კომლი, ცულუკიძე — 10 კომლი, გოჩიაძე, ონიაძე, ჭეჭელაძე, ჩაჩოძე.

აქ, სოფლის ბოლოზე, ხევის მარცხენა მხარეს ოთხკუთხი კოშკია. ზევითა ნაწილი მონგრეულია. მის გარშემო ადგილს ჰქვიან ი ნ წ ყ ო რ ა. ციხე, ანუ კოშკი სოფლიდან 5 კმ-ზე არის გზის ზევით. ადგილებს ჰქვიან შ ა რ ი-ყ ა ნ ა, პ ე რ ა ნ გ ე უ ლ ე ბ ი, ვ ე ნ ა ხ ე ბ ი (შენახულია ძირები ეაზისა).

ი დ უ მ ა ლ ა ს ყოფილა კოშკი, სულ საძირკვლამდე დაუქცევიათ. აქ არიან ქართველი მაჰმადიანები 40 კომლი. ენა დავიწყებული აქვთ.

ლ ა შ ხ ე ვ ს[2] ქართველი მაჰმადიანები — 40 კომლი. ენა დავიწყებული აქვთ.

ა ს პ ი ნ ძ ა 130 კომლი. ენა დავიწყებული აქვთ. ერთმა ბერმა კაცმა მითხრა: ზუბალა არის ჩემი გვარიო.

შუა სოფელში დგას ციხე. შენახულა მარტო დასავლეთ-სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლები ნაწყვეტებად და ჩრდილო-დასავლეთის ნაწილობრივ კოშკი. კედლებს თავები დანგრეული აქვს. შიგნით ბოსტნებია გამართული. ამ ციხის ჩრდილოეთიდან წყლის გამოყვანის დროს გამოჩნდა 3 მილი; ჩავაბარებინე ეფენდიევს. ასპინძიდან 2 ვერსზე ახალქალაქის შარაგზის თავზე ჩრდილოეთით დგას ეკლესია, რომელიც ნაშენია ნაწილობრივ ნატეხი ქვისაგან და ნაწილობრივ თლილი ქვისა და კირქვისაგან. თლილი ქვა აქვს კარ-სარკმელს, კამარა-სვეტს, პილიასტრებს, დგას მარტო კედლები. კარებს ადგილი დანგრეულია,

ქვები წაღებულია; შენობა ერთნავიანია, რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აქვს ცალკე ოთახი. მისი ტრაპეზის ქვა გადმოგორებულია (პატარა ოთახისა) და ზედ გამოუსახიათ ჯვარი და სომხური ასოები (ეტყობა ახალ ხანში). ამ ადგილს ჰქვია ხ ვ ი ლ ი შ ი[3]. იგი ასპინძისავე ნაწილია.

ჩ ი ხ ო რ ი შ ი ც ასპინძისავე ნაწილია. ამ ეკლესიას ტრაპეზი აღარ უჩანს, კარი აქვს დასავლეთ და სამხრეთით; ჩრდილოეთით პატარა ოთახში გადის, სარკმელი აღმოსავლეთით — 1, სამხრეთით — 3, დასავლეთით — 1. წარწერა აქვს სამხრეთით შუა სარკმლის მარცხნივ და არა მარჯვნივ, როგორც ამას წერს თაყაიშვილი. ზომა ეკლესიისა 13×5 მეტრზე. ოთახის აღმოსავლეთით თაღი კარგად არის შენახული. ნაწილობრივ შენახულია, ნაწილობრივ ჩამონგრეულია. საკურთხეველიდან ამ ოთახში გადის სარკმელი. ამ ოთახს აღმოსავლეთით აქვს 1 სარკმელი (ასე რომ, ეკლესიას და ამას აღმოსავლეთით 2 სარკმელი აქვს სულ). ზომით პატარა ოთახი 5,5×2,4 მეტრია. კარი აქვს მარტო ეკლესიიდან. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშიაც გარედან ჰქონია რაღაც შენობა. გარედან ნაშთი მოჩანს კედელზე.

ჩ ი ხ ო რ ი შ ი ნაშთები არის პატარა ხევის მარჯვენა მხარეს ფერდობზე მთისა.

1. ზევითა ეკლესიის ნანგრევი: ერთნავიანი შენობა 6×3 მ. შენახულა მარტო აფსიდის კედელი სიმაღლით 5 მ, სიგანით 3 მ. იგი ნახევრად მრგვალია გარედან. ნაშენი ყოფილა კლდის ნატეხი ქვითა და კირით. შუა ეკლესიის ადგილას ყრია დიდი ნაწილი ქვა-კირისა შედუღებული თაღიდან და კედლებიდან დავარდნილი. მათ უჩანს კარნიზის ქვები ცალხაზიანები.

2. მეორე ძეგლი დგას პირველის ქვემოთ, სამხრეთით ხევის ნაპირას ერთნავიანი შენობაა 13,5×6 მ. ნაშენია კლდის ნატეხი დიდი ქვისაგან და ნაწილი თლილი ქვისა და კირისაგან. თლილი ქვა აქვს კამარებს, სვეტებს, კუთხეებს. დგას მარტო კედლები, ისიც ძლიერ დაზიანებულია. დასავლეთის მთელი კედელი და სამხრეთი კედლის დასავლეთი ნაწილი სულ აღარ არსებობს, ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი ნაწილი ნაწილობრივ დანგრეულია. ეკლესიის დასავლეთ ნაწილში ყრია თაღსა და კედლების დიდი ნაგლეჯები (დუღაბი ქვით). ეკლესია გარედან ოთხკუთხია. საკურთხევლის ნაწილი შიგნით ნახევარმრგვალია ჩვეულებრივ. კარები აღარ არსებობს. სარკმლები შენახულია აღმოსავლეთით და სამხრეთით. მათი ადგილები დიდად განგრეულია. აღმოსავლეთ ფანჯრიდან ახლა კარის მაგივრად არის გასავალი. ეკლესიის აღ-

მოსავლეთ მხრიდან ჩრდილოეთ ნაწილში შეუნგრევიათ ადგილი, იქ პატარა ოთახია მოგრძო, მასში შესავალი შიგნიდან უნდა ყოფილიყო, ახლა არა ჩანს.

საკურთხევლის ჩრდილოეთ კედელში (დას. ნაწილისაკენ) არის თაღჩა. ეკლესია შიგნით ნანგრევით არის სავსე. შუა ეკლესიაში ჩრდილოეთ კედელს უჩანს კარის თავის ქვა. ეკლესია უზარმაზარი შენობა ყოფილა. დღეს კედლები შენახულია 7 მ სიმაღლისა. ჩრდილოეთ კედელს, შიგნით კუთხის თავში აქვს გრეხილი თოკის მაგვარი ქვები 3 ცალი. შენახულია აგრეთვე 1 პილიასტრის თავი, იმავე სამხრეთ კედელზე.

3. ეკლესიის დასავლეთით ყოფილა სხვა ეკლესია 7,5×3,5 მ. შენახულია მხოლოდ ჩრდილო კედლის აღმოსავლეთი ნაწილი 4 მ სიმაღლით და 3 მ სიგანით. იგი დუღაბია (ქვა და კირი). პირის ქვა აღარა აქვს. დანარჩენი დანგრეულია. დასავლეთ კედლის ადგილას შენახულა პატარა დუღაბი. სამხრეთით ეკლესიის გარეთ გდია ნაჭერი დუღაბი.

მეორე (დიდ) ეკლესიას სამხრეთ მხარეს აქვს კარნიზები შემკული საჭეებით (იხ. ნახ. 3) და სხვანაირი. ამ დიდი ეკლესიის ჩრდილო კედლის დასავლეთი ნაწილის ჩრდილოეთით არის კედელი — ნაშთი, ალბათ, ეკლესიის რაღაც მინაშენისა.

4. მესამე ძეგლის ჩრდილო-დასავლეთით არის ნანგრევი ბერების (?) საცხოვრებელი შენობისა.

5. ამ შენობათა დასავლეთით პატარა ღელის იქით, მცირე ბორცვზე, არის დუღაბის (ქვა-კირის) ნაშთი რაღაც შენობისა. აქ მონასტერი უნდა ყოფილიყო.

ტ ა მ ა ლ ა ს ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთით, პატარა ხევის მარჯვენა მხარეს, მთის ფერდობზე იგი ერთნავიანი შენობაა, რომელიც (იხ. ნახ. 4) ზომით არის 12×9 მ. კედლების სისქე არის 75 სმ. ნაშენია მეტი ნაწილი თლილი ქვისაგან. კედლების შუაში კლდის ქვაც არის შეტანებული. სამხრეთით აქვს სვეტი, რომელიც ორ კარს აკეთებს აქეთ და იქით. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, ხოლო ჩრდილოეთით კიდევ გვერდის ოთახში გასასვლელი. ეკლესია ერთნავიანია და სამხრეთით და დასავლეთით აქვს გალერეების მსგავსი შენობები. ჩრდილოეთით, აღმოსავლეთ ნაწილში მცირე ოთახია. სარკმელი აქვს ეკლესიის აღმოსავლეთით — 3 (ერთი, თვით ეკლესიას, ორი გვერდით შენობებს; ჩრდილოეთი ოთახის ფანჯარა ახლა დაზიანებულია მიწის გავსებისაგან გარედან კედლის), დასავლეთით —1,

სამხრეთით — 1. თვით ეკლესიას თაღი სულ ჩაჭცეული აქვს საკურთხევლის ნაწილის გარდა, რომელსაც ნაწილობრივ შენახული აქვს (ნაწილი თაღისა ჩამოჭცეულია). ჩრდილოეთი ოთახის თაღი მთელია, სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილები დაჭცეულია და შუა ნაწილი, სადაც ჯვრები დგას, მთელია. ტრაპეზი კედლის ახლოს დგას, იგი ერთიანი ქვისაგან არის გამოჭრილი (იხ. ნახ. 5). აქვე მის მარცხნივ სამხრეთით დგას პატარა სხვა ჯვრის გამოსახულება. ტრაპეზის ზომა (მაქსიმალური) 104×100×77 სმ. მაღლა ფორმა ასეთი აქვს (იხ. ნახ. 6), გვერდით მდგომი ქვის ზომა 91×40×22 სმ; საკურთხეველი შუა ეკლესიიდან ამაღლებულია 80 სანტიმეტრით. საკურთხევლის ძირს არის ორი ამოღრმავებული სვეტი ჯვრის გამოსახულებით 80×40×40 სმ. მარცხენა, 80×53×50 სმ მარჯვენა. ჯვარი მთელი ფორმისაა. კიბური ფორმის ქვა, ზევიდან ჩაღრმავებული და ჯვრების გამოსახულებით, დგას ეზოზე ეკლესიის სამხრეთით, ხეებთან. ეკლესიის აღმოსავლეთი კუთხის გასწვრივ არის ცხვრის გამოსახულება. ეკლესიის შემავალ გზაზედაც არის ასეთივე ცხვრის გამოსახულება. ეკლესიას ჰხურებია ლორფინი, რომელიც ნაწილობრივ ძირს ყრია, ნაწილი (გადარჩენილ თაღებს) ახურავს, კარნიზი ეკლესიისა ღარის მსგავსია, სამხრეთით გალერეის (?) სვეტი მრგვალია თავში და ძირში კი ოთხკუთხი.

ეკლესია დანგრეულია ყოველ მხარეს, შიგ შუა ეკლესიაში ამოსულა იფნის (?) დიდი ხე. ეკლესია მოხატული ყოფილა, კვალი შენახულა საკურთხეველში: სარკმლის ზევით ნაშრებად, სარკმლის მარცხნივ მკრთალად და კამარაზე მაღლა (ყვავილის სახე?). სარკმლის ზედა ნაწილი შედარებით უკეთ არის შენახული კამარასავით, მაგრამ ძლიერ პატარა ნაწყვეტებია და არა ჩანს რა ეხატა.

აღმოსავლეთი სარკმელი შემკულია ჯვრების (ნახ. 7) გამოსახულებით და სხვა. სამხრეთი სვეტის მარჯვენა მხარე ახლა ამოღებულია, მარცხენა მხარეს კი ფიცრის კარი აქვს შებმული. ეკლესია შესანიშნავი შენობაა.

ეკლესიის სამხრეთით დგას ხეები და არის რამდენიმე შენობის ნანგრევი. ყველა სულ დანგრეულია. პილიასტრებს ძირს აქვს ქვა (ორივე პილიასტრის) სიმაღლით 2,5 მ.

სამხრეთი სვეტი შემკულია თოკისებრი ორნამენტით და სხვა. სამხრეთით შენობები მოჩანს — 7—8 ოთახად თუ მეტი. გალერეის დასავლეთ ნაწილში სამხრეთ მხარეს აქვს პატარა სარკმელი. ეკლესიას სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გარედან უდევს ქვა 2,5×1×0,4 მ.

ტ ა მ ა ლ ა ს აღმოსავლეთით 2—3 ვერსზე მთის ძირას არის კ ო ხ ტ ა ს ც ი ხ ე[4] და ეკლესია; აქ ყოფილა „დ ი დ ი კ ო ხ ტ ა“. „პ ა-

ტარა კოხტა“ ყოფილა ამის ჩრდილო-დასავლეთით პატარა მანძილზე. ციხე დგას მაღლობზე, აღმოსავლეთით, ეკლესია მის ძირს. ეკლესია ერთნავიანი შენობა ყოფილა, რომელსაც დასავლეთით აქვს საქალებო თუ სტოა. ზომით ეკლესია 9×4,4 მ; სტოათიც 12×4,4 მ; შენახულია მარტო კედლები, ისიც ნაწილობრივ დანგრეული. კარ-სარკმლის ადგილი განგრეულია ყველგან, თაღი შერჩენია მარტო დასავლეთ ნაწილს, დანარჩენი დანგრეულია. ეკლესიის სამხრეთი კედლის დასავლეთი ნახევარი სულ ადარ არსებობს. ნაშენი ყოფილა თლილი ქვისა და კირისაგან. დღეს გარეთა პირი სულ შემოცლილი აქვს და შიგნით კი ნაწილობრივ არის შენახული. დგას უმეტეს ნაწილად დუღაბი (ქვა და კირი). კარები უჩანს სამხრეთით — 1 (სტოას) და ერთიც ეკლესიას უნდა ჰქონოდა. დასავლეთით სტოაში გასასვლელი კარია. ჩრდილოეთით — 2(?) (ერთი სტოას და 1 ეკლესიაში). სარკმელი, აღმოსავლეთით — 1, დასავლეთით — 1, ჩრდილოეთით — 1, სამხრეთით არ შენახულა (ნახ. 8).

შიგნით, როგორც ჩანს, მოხატული ყოფილა 1918 წლამდე, საკურთხეველში აღმოსავლეთ კედელზე რაღაც წარწერა იყო, რომელსაც ვერავინ კითხულობდაო, ალბათ, ფრესკებზე იყო დაწერილი, შემდეგ 1918 წ. ადგილობრივ მაჰმადიანებს დაუნგრევიათ და ის წარწერაც დაღუპულა. აღმოსავლეთი სარკმლის ნაწილი დიდად არის დანგრეული.

ეკლესია გალესილი ყოფილა, ჩრდილოეთ კედელზე შენახულა შელესილობა (დას. ნახევარში). აქვე, პილიასტრის მარჯვენა კედელს უდევს ქვა, რომელზედაც ორნამენტია (იხ. ნახ. 9).

ციხე შიგნით არის 19×14,5 მ. ნაგებია ნაწილობრივ (უმეტესი ნაწილი) ნატეხი ქვისაგან და ნაწილი თლილი ქვისაგან, კირით. აღმოსავლეთით აქვს მაღალი კოშკი ოთხკუთხიანი. კოშკზე სამხრეთით არის მეორე კოშკი (?), რომლის მაღლით სართულში (მე-2 სართულზე) ყოფილა ეკლესია. შენახულა აფსიდა, თლილი მოხრილი თაღით და ქვევრებით და ფანჯრით აღმოსავლეთით. ციხის შიგნით საჭონლის სადგომია. ციხეს გარშემო საძირკველი გამოცლილი აქვს, მაგრამ ისევ მაგრად დგას. კოშკს შიგნითა მხარეს (დასავლეთით) კედლის პირი ძირა ნაწილში 1 სართულის სიმაღლეზე ჩამოქცეული აქვს. შესასვლელი ჰქონია დასავლეთით, დღეს მიწით არის ამოვსებული. დღეს შესავალია ჩრდილოეთ კედლის გაგლეჯილ ადგილას. ამ ციხის ეკლესიას გარედან განსხვავებული თლილი ქვა აქვს გარეთა პირად აღმოსავლეთ მხარეს.

ასპინძის ხევით, 4 ვერსზე ასპინძის ხევის მარცხენა მხარეს, პატარა ხევის მარჯვენა მხარეს ფერდობზე დგას ეკლესია, რომელსაც ჰქვია ქილისა დერესი. ის არის ამგარის ციხის ნანგრევის აღმო-

სავლეთით, 1 კმ-ზე ღელეში, მარჯვენა ჩრდილოეთ მხარეს, კლდოვანი მთის ქვემოთ, ფერდობზე.

ეკლესია ერთნავიანი შენობაა 8×3,2 მ, რომელსაც სამხრეთით ჰქონია ეგვტერები ორი (აღმ. და დას.), ამშენებული ეკლესიასთანავე ერთად და დასავლეთით მიშენებული აქვს რაღაც შენობა, რომელიც მთლად ნანგრევებშია ჩაფლული. ეკლესიის ზომა ეგვტერებითვე 8×6,4 მ. ძეგლი დღეს ნანგრევად არის. დგას მარტო კედლები, თაღი კი სულ დაქცეულია (შერჩენია მხოლოდ საკურთხეველს, ისიც ნაწილობრივ). ნაგებია ნაწილობრივ თლილი ქვით (კარ-სარკმელ-კამარა კუთხეები), ნაწილი კი უბრალო ქვით, ჩაკირვით.

ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით — 2, დასავლეთით — 2, სარკმელი: აღმოსავლეთით — 1, დასავლეთით — 1, ჩრდილოეთით — 1 და ერთიც სანათური, სამხრეთით 2 (?).

ეკლესიას დასავლეთი კარის თავზე მთლად ღია კამარა აქვს.

ეკლესია მოხატული ყოფილა. ნაშთი შენახულია საკურთხევლის კონქში. აქ დახატული ყოფილა ქრისტე. შენახულია მისი მხრებს ქვევითი ნაწილი, უფრო მარცხენა მხარე გაშლილი წიგნით მარცხენა მუხლზე, მუხლებს ქვეით აღარ მოჩანს, ესეც ოდნავლა ეტყობა, ფერები შენახულია წითელი და მწვანე. ქრისტეს მარცხნივ, სამხრეთით შენახულია ნათლისმცემლის თავი მხრებამდე, ისიც დაზიანებული.

ორივე ეგვტერი აღმოსავლეთ მხარეს ნახევარწრეს იკეთებს. დასავლეთის ეგვტერს სამხრეთი კედელი სულ დაქცეული აქვს, აღმოსავლეთის ეგვტერს კი სამხრეთი კედლის ძირა ნაწილი (გარედან) და აღმოსავლეთი კედლის ძირი დიდად აქვს განგრეული, ხოლო აღმოსავლეთი კედლის მაღლითა ნაწილი სარკმლის ხაზზე კი მცირედ აქვს დაზიანებული.

სარკმლები ეგვტერებს აქვს: აღმოსავლეთით — 1, სამხრეთით აღმოსავლეთ ეგვტერს — 1, დასავლეთ ეგვტერს არ შერჩენია.

აღმოსავლეთ ეგვტერის სამხრეთ სარკმლის თავის ქვა შემკულია უბრალო ჩუქურთმით (იხ. ნახ. 10) შიგნით ეს (აღმ.) ეგვტერი მოხატული ყოფილა: ნაშთი შენახულია კარის თავზე (რომელიც შუა ეკლესიაში შედის საკურთხევლის ხაზის ახლოს), პირით სამხრეთით.

სამხრეთით დანგრეულ კედელთან გდია ორი ჩუქურთმიანი ქვა (იხ. ნახ. 11). სხვა ამისთანავე ქვა გდია ეკლესიის ქვემოთ, ყანის თავზე; აქვეა (ყანის თავზე) სხვა ქვებიც. იქნებ ეს ქვები ეგვტერის კარნიზები იყოს(?) (თაყაიშვილის სურათზე უნდა ინახოს და ამ ჩანახატს შეუდარდეს. შეიძლება გამორკვეულ იქნეს ეს ჩუქურთმიანი ქვები).

ეკლესია შიგნით და გარეთ ნანგრევით არის სავსე.

ქილისა დერესის წყლის მარცხენა მხარეს ასპინძის წყლის შესართავთან ახლოს, პატარა გორაკზე არის აგარის ციხის ნანგრევი. ამის დასავლეთით არის ფაგები.

ასპინძის ბოლოს მტკვრის მარჯვენა მხარეს შენახულია ხიდის ბურჯი ქვიტკირისა.

ბ ე თ ლ ე მ ი[5]. ეკლესია დგას ოთას ჩრდილოეთით 4—5 ვერსზე ჯაბიეთის წყლის მარჯვენა მხარეს პატარა ხევზე, ბექობზე. ნაშენია კლდის ნატეხი ქვითა და ნაწილ-ნაწილ თლილი ქვისა და კირისაგან. იგი ერთნავიანი შენობაა 7,2×4,2 მ, რომელსაც ჩრდილოეთით აქვს ცალკე შენობები ოთახებად და დასავლეთით სტოა, ჩრდილო-აღმოსავლეთით ოთახში კარი გადის საკურთხევლის ახლოს. დასავლეთით კი ჩრდილო-დასავლეთი ოთახი არის სიგანით 2,2 მ, სიგრძით 3,8 მ. მას აღმოსავლეთ კედლად კლდე აქვს. ამავე ოთახს მეორე კარი შეუდის საკურთხევლიდან. ეკლესიას ნაწილობრივ თაღებში აგური აქვს ოთხკუთხი. კარი ეკლესიას აქვს დასავლეთით. დგას მარტო კედლები, ეკლესიის თაღის სამხრეთი ნაწილი ჩამოქცეულია. ჩრდილო ოთახისა დაზიანებულია და ჩამოქცევას ლამობს. სტოა ნახევარზე მეტად დაქცეულია. ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ორსართულიანია. ძირა სართული დაფარულია ნაწილობრივ კირქვით. დასავლეთ მხრიდან შევდივართ მეორე სართულში (აღმოსავლეთი ოთახი კი ამავე მხარისა, პირველის გაგრძელებაა, ერთსართულიანია). სტოაც დანგრეულია სულ და კარიბჭეც დასავლეთით ჰქონია ეს უკანასკნელი. მისგან მოჩანს გარეთა დასავლეთ-ჩრდილო კედლის ნაშთი. თლილი ქვა შეხმარებული აქვს კუთხებს, კამარებს, კარებს, სარკმელებს და სხვა. ეკლესია მოხატული ყოფილა. საკურთხევლის ახლოს, ჩრდილოეთით თავზე, შენახულა ფრესკების კვალი, ძლიერ დაზიანებული. ჩრდილოეთ კედელზედაც დასავლეთ კუთხესთან ვიღაც ორი წმიდანის თაყვა შარავანდედებით. ესენი შედარებით კარგად მოჩანან. ყველაზე კარგად შენახულა დასავლეთი კედელი. აქ შენახულია საშინელი განკითხვის (?) ნაშთი. ფანჯრის მარჯვნივ ქრისტე (?) მჯდომარე სკამზე და სხვა ნაშთები ქრისტესი (?). ძირს მოჩანს წარწერის ნაშთი:

. . . . (Ⴑ)

. . . (ⴍⴗⴅ) ე. ი. (თყმ)

კარის მარჯვნივ რომელიღაც წმიდანი გრაგნილით (?) ბერძნული წარწერა

Α Γ Ι Α Φ . .

Ε Ι Ο . . . .

Γ . . . .

Τ . . . . .

. . . . . .

ჰხურავს ლორფინი, კარის მაღლა მარცხნივ შენახულია რომელიღაც სურათის კუთხის წარწერა (ᲒᲗ), ე. ი. (წი), დასავლეთით სარკმელში შენახულა ნაშთი მოხატულობისა, აგრეთვე შენახულა დასავლეთ კარებთანაც ნაშთად მხატვრობა ორი ხანის. დასავლეთ კედელზე ცხადად ჩანს ეს. ქრისტეს (?) ხატთან და სხვაგანაც ხედაპირიც დახატულია. ჰხურავს ლორფინი ყველა შენობას. თაღი ჩრდილო-დასავლეთ ოთახსაც შემონახული აქვს. შენობაზე ამოსულია ფიჭვის ხეები 3 და პატარა — ბევრი. საკურთხევლის აღმოსავლეთი კედელი ჩაქცეულა და კლდე მოჩანს. ეკლესიას ფანჯარა აქვს სამხრეთით ერთი (გარღვეულია) და დასავლეთით ერთი. ეკლესია გარედან სულ თლილი ქვისაგან ყოფილა ნაშენი. ახლა უმეტეს ნაწილად მოცილებული აქვს და მთელი შენობა დაქცევას ლამობს. ეკლესია დგას ბეთლემის ხევის მარცხენა მხარეს. ადგილი ტყით არის დაფარული (ნახ. 12).

ღ ა რ თ ი ს[6] ეკლესია ორგანყოფილებიანია 8×7 მ (ორივე ნაწილი). გარედან ნაშენია სულ თლილი ქვისაგან. შიგნიდან კი თლილი ქვა აქვს მარტო კუთხეებს, კარ-სარკმლებს, პილიასტრებს. კარი აქვს მარტო სამხრეთით, სარკმელი აღმოსავლეთით — 1, აღმოსავლეთითვე — 1 სანათური, დასავლეთით — 1 სარკმელი. თაღი დიდ განყოფილებას, ანუ თვით ეკლესიას, ჩაქცეული აქვს, გარდა საკურთხევლის ნაწილისა, რომელიც კარგად არის შენახული. სამხრეთ განყოფილებას კი თაღი მთელი აქვს (ნახ. 13). ტრაპეზი კედელთან გდია. იგი წაქცეული უნდა იყოს. დასავლეთით გამართულია გომი. აქ დასავლეთ კედელზე სამხრეთ კუთხესთან, ქვაზე გამოსახულია ძველი ფორმის ჯვარი. ეკლესიის აღმოსავლეთ-სამხრეთ კუთხესთან გდია ქვა — სწორკუთხოვანი ჯვრის გამოსახულებით გულში და გვერდებზე ორნამენტით. 87×56×48 სმ. გარედან შესანიშნავი შენობაა, უზარმაზარი თლილი მოყავისფრო და მოპირისფრო ლოდებისაგან არის ნაშენი.

შორ ოთი ს[7] ეკლესია დგას შოლოთის წყლის მარჯვნივ ღელეში. იგი ჯვრისახე ბაზილიკაა 14,4×8 მ, რომელსაც სამხრეთით აქვს კარიბჭე და სხვა შენობები. ნაშენია სულ თლილი ქვისა და კირისაგან. შიგნით ზოგიერთ ადგილას ნატეხი ქვაც აქვს. იგი მოხატული ყოფილა. კვალი შენახულა აღმოსავლეთ კედელზე კონქში, ამავე საკურთხეველში ჩრდილოეთ კედელზე, აგრეთვე, ჩრდილოეთ კედელზედაც, საკურთხეველთანვე, სამხრეთ კედელზე საკურთხეველთან შენახულა წითელი ფერები. კონქში იქნებ ღვთისმშობელი (?) იყო დახატული. ძლიერ დაზიანებულია. აქეთ-იქით ორნი დგანან, ჩრდილო კედელზე მოჩანს მღვდელმთავრის ტანისამოსი ჯვრიანი. სოფიის კენჭი შენახულა შუა ეკლესიაში. ჩრდილო კედლის ყალბ კამარაში კენჭები თითქმის სულ აცვივნილა.

კარი ეკლესიას აქვს სამხრეთით — 2. სარკმელი თვით ეკლესიას აღმოსავლეთით — 2 (შუა ნაწილს), დასავლეთით —2, სამხრეთი შესასვლელი (დასავლეთით მდებარე) კარის მარჯვნივ (1 მეტრის დაცილებით) დგას ქვა წარწერით ხვეულად:

1. †ᲥᲐᲠᲘᲡᲮᲠᲘᲡ : ᲙᲮᲔᲡ : Ⴒ
2. ᲜᲔᲥᲢᲝ : ᲥᲔᲠᲘᲡ
3. ᲧᲙ : ᲘᲙ : ᲢᲙ :

ქ-ს შემდეგ წერტილები არა აქვს. თაყაიშვილს შეცდომა აქვს. წარწერა ხვეულია.

ე. ი. „ქრისტე, ორბასძეს ნიკოლოზს გალატოზთ უხუცესს შეუნდვენ ღმერთმან, ამენ“.

ეკლესიის ქვეშ აკლდამა ჩანგრეულია ალაგ-ალაგ. სამხრეთი ეგვტერების (??) იატაკები გათხრილია. დიდი ეკლესიის ტრაპეზის ადგილიც ჩანგრეულია. სამხრეთით ყრია მრავალი სახიანი ქვა. სამხრეთით აქვს 3 ეგვტერი. სამხრეთით აქვს კარიბჭე. ატეხილია ფიქალი. აღმოსავლეთ კედელს სარკმლის მარცხნივ, ჩრდილოეთით აქვს გამოსახულება (ნახ. 14). ეკლესია გარედან ოთხკუთხია. კუთხეებში აქვს ოთახები, კარიბჭეზე მაღლა ყოფილა სამრეკლო, რომლისგან შენახულია მხოლოდ სამხრეთი ნაწილი. ორი კამარა, ანუ კარი სამი სვეტით. სამხრეთით ეკლესიას აქვს კარიბჭე ორკამარიანი შესასვლელით. თაღი საკურთხეველთან სამხრეთ მხარეს ნაწილობრივ ჩანგრეულია. ჩრდილოეთის მკლავის ჩრდილო კედლის ზევითა ნაწილიც დანგრეულია. ყველა შენობა ძლიერ დაზიანებულია. საკურთხევლის მარჯვნივ და მარცხნივ არის ოთახები. მარჯვნივ (ჩრდ.) ოთახის კარი შედის საკურთხეველში ორი და დასავლეთ მხარეს — 1, მარცხენასი კი დასავლეთ მხარეს — 1;

ქვ. ო მორაში[8] მშვენიერ ადგილას დგას ეკლესია. ზევით, მარჯვენა მხარეს, ვაკის ოდნავ დაქანებულ ადგილას, მთის პირას, ეკლესიის დასავლეთ-ჩრდილოეთით მაღალ კლდეზე, დგას ციხე, ნაწილობრივ დანგრეული. ეკლესიის სამხრეთით ყრია მრავალი ქვა; მათში ძალიან ბევრი ჩუქურთმიანი. ეკლესია საჭონლის გომურად არის ქცეული.

წარწერა სამხრეთი კარის მარცხნივ ორ ქვაზე:

1. † ⴆ ⴆ Ⴓ Ⴡ Ⴑ Ⴝ Ⴓ : Ⴝ Ⴋ Ⴟ Ⴔ Ⴓ : Ⴆ Ⴗ Ⴆ Ⴓ Ⴆ Ⴐ Ⴗ Ⴋ Ⴗ Ⴗ Ⴗ —
ⴆ Ⴑ Ⴝ Ⴋ Ⴗ Ⴗ Ⴇ Ⴑ Ⴐ Ⴗ Ⴋ
2. Ⴗ Ⴆ Ⴔ Ⴗ Ⴔ Ⴆ Ⴋ Ⴗ Ⴔ Ⴔ Ⴗ Ⴐ Ⴑ Ⴆ Ⴋ Ⴗ Ⴗ —
Ⴒ Ⴆ Ⴝ Ⴑ Ⴗ Ⴝ Ⴆ
3. ⴆ Ⴑ Ⴋ Ⴝ Ⴑ Ⴗ Ⴔ Ⴆ Ⴝ Ⴆ Ⴗ Ⴝ Ⴆ Ⴗ Ⴗ Ⴗ

დებდენ, მანამ დაუწერიათ როგორცა ჩანს. სტრიქონები პირველი ქვისა მეორე ქვის სტრიქონებზე ოდნავ მაღლა არის. ქარაგმები მხოლოდ ადგილ-ადგილ ჩანს; განკვეთის ნიშანი სულ არ უნდა პირველი ასოს (※) გარდა. სიტყვები ერთმანეთთან ზოგან გადაბმულია, ზოგან დაცილებული. იარაღით დაზიანებულია ახალ დროში მე-5 სტრიქონში ⰔⰈ მე-6-ზე Ⰻ, მე-7-ზე Ⰻ.

მე-3 სტრიქონის მე-20 ასოს ადგილას ქვა ძველადვე დაზიანებულია, იგი სტოვებს შთაბეჭდილებას რომ „Ⴙ“ უნდა იყოს (ⴟ).

მეხუთე სტრიქონის მეორე ასო ან „Ⴈ“ ან არის „Ⴓ“ შენახულია „Ⴐ“.

მე-5 სტრიქონის მე-4 იქნებ „Ⴗ“ იყოს, იგი დაზიანებულია.

მე-6 სტრიქონის ეს ადგილი ახალ ხანაში რაღაც იარაღით ქვევითა სტრიქონებზედაც ჩაფხეკილია და ამ ასოს დასწვრივი ასოები დაზიანებულია.

მე-7 სტრიქონში აქ ქვას სამი ღრუ აქვს და დამწერს გვერდი აუხვევია.

მე-6 სტრიქონის პირველი ასო „Ⴑ“ უნდა იყოს, შენახულია „Ⴑ“.


მე-7 სტრიქონის მე-14 ასო „Ⴠ“ უნდა იყოს.

უკანასკნელი ასოს ადგილი ატეხილია ქვაზე.

ეკლესია ერთნავიანი შენობაა 10,5×6 მ. ნაგებია გარეთა პირი სულ თლილი ქვით, გარდა კედლების ზევითა ნაწილისა, რომელსაც უბრალო ნატეხი ქვა აქვს (და იგი შემდეგ ხანაში უნდა იყოს დაშენებული), შიგნითა პირი კი ნაწილობრივ თლილი ქვაა, ნაწილობრივ კი ნატეხი ქვა. ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები აკეთებს ორ-ორ ყალბ კამარას. კარი აქვს სამხრეთით და ჩრდილოეთით, უკანასკნელი ნაშალით არის აშოვსებული. სარკმელი აღმოსავლეთით — 1, დასავლეთით —1, სამხრეთით —1. თაღი ჩამოქცეულია აფსიდის (საკურთხევლის) ნაწილის გარდა, რომელიც მთელია. ეკლესია შიგნით ნანგრევით არის სავსე; იგი საწყობად და საბძლად არის ქცეული. საკურთხეველში არის ორი ღრმა მაღალი თახჩა, ერთი ჩრდილოეთ და ერთი სამხრეთ კედლებში; სარკმლის ძირსაც არის მცირე მაღალი თახჩა. თახჩები ესეთია (ნახ. 15). ჩრდილოეთის დიდი თახჩის ზევით არის რაღაც პატარა შესასვლელი (ნახ. 16), რომელიც სხვენში უნდა შედიოდეს.

ეკლესია მოხატული ყოფილა. ნაშთი შენახულია საკურთხეველში, კონქში და ძირში. კონქში არა ჩანს ვინ იყო დახატული. შუა ფიგურისა მოჩანს მარტო მუხლის ქვევითა ნაწილი. მის მარჯვნივ მდგომარისა წელს ქვევით. ტანისამოსი, მარცხნივ მდგომარისაც მუხლს ქვევით, მაგრამ ყველა ისე გაშავებულია, რომ აღარაფერი ჩანს. ძირსაც ნაშთი სულ გაშავებულია.

ეკლესიას სამხრეთ მხარეს სარკმლის (სანათურის — 0) თავზე უდევს წვრილი გრძელი ქვა კუთხური ასომთავრული წარწერებით. ქვა თავდაყირა დევს. ფეხები ასოებს ზევით აქვს. ფანჯრის ზევითა ნაწილი უბრალო ქვისაგან არის დაშენებული, შესაძლებელია ეს ქვაც მაშინ დადეს, ე. ი. განახლების დროს. წარწერა.



„ქრისტე, შეიწყალე ისაკაჲ, ამენ“.

უკანასკნელი ასო სულ მოცილებულია; ქვას ბოლო აკლია, იმიტომ რომ წარწერას გარშემო ხაზი შემოსდევს და ბოლოში კამარის ადგილას გაწყვეტილია. აღმოსავლეთის სარკმლის თავი შემკულია ორი მზის გამოსახულებით აქეთ-იქით. მის ზევით დევს ქვა ოთხი პირის გამოსახულებით და შუაში ჯვრით. ეკლესიის გარეთ აღმოსავლეთ მხარეს რამდენიმე ქვა გამოცვენილი არის. შიგნითაც კედლები ნაწილობრივ გამოცვენილა. მაგ., ჩრდილოეთის კედელი ნაწილობრივ და სამხრეთის ნაწილობრივ, კარებთან განსაკუთრებით გადმოქცეულია. ჩრდილო კედლის გარეთა პირი ნაწილობრივ თლილი ქვაა, ნაწილობრივ კლდის ნატეხი ქვაა. ცხადად ჩანს რომ განახლებულია.

ეკლესიის სამხრეთით — 2 მ დაშორებით სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხიდან დგას ძეგლი, მისი ძირი ოთხკუთხედი ქვაა, ზევით კი წახნაგოვანი სვეტი, რომელსაც თავი მოტეხილი აქვს (ნახ. 17) — ზევიდან დახედვით. ძეგლი დაცერებულია და წაქცევას ლამობს. სიმაღლე ქვედა ქვას აქვს 70 სმ; ოთხივ კუთხე კი სწორია — 1 მეტრი; მეორე ქვა სიმაღლით (სვეტი) 130 სმ, გარშემო 116 სმ. სვეტის წახნაგებს ხაზები ასდევს. სამხრეთი კარის თავის ქვაზე გამოსახულია ჯვარი ძველი ფორმის.

ზემო ოშორა: ხუციშვილი სეიფ ისმაილის ძე, ბექიროვი, ლუკიშვილი, ღონიაძე, თეთრაძე, ზახდარაშვილი, ტატაძე (ტატიშვილი), კუჭიაძე, ისპირიანი, თამაზიანი, პაწაკიანი. სულ არის 230 კომლი. სკოლა არის 3 მასწავლებლით.

ზემო ოშორის ელიას ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთით ოშორის წყლის („დიდ-ხევი“-ს) მარჯვენა კუთხეს, დიდ ხევის ხაზიდან 4 ვერსზე ჩრდილოეთით, სოფლიდან 8 ვერსზე, მაღალი მთის მაღალსავე (ანუ პირველ?) კალთაზე, რომელსაც ეს მთა იკეთებს სამ-

ხრეთით. იგი ერთნავიანი შენობაა, რომელსაც ჩრდილოეთით აქვს ოთახი. ნაშენია კლდის ქვისა და კირისაგან. კუთხეებს, კარებს, კამარებს და პილიასტრებს შეხმარებული აქვს თლილი ქვა, ე. ი. სულ თლილი ქვისაა ესენი. კარი აქვს სამხრეთით. ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებს აქვს ორ-ორი ყალბი კამარა. დგას მარტო კედლები, ისიც ნაწილობრივ დანგრეულია. თაღი შერჩენილი აქვს მხოლოდ დასავლეთ ნაწილს 1,5 მ სიგანით, ჰხურებია ლორფინი. კედლებიდან აღმოსავლეთ-სამხრეთი ნაწილი დაქცეულია (ზევითა ნაწილი) და აგრეთვე ჩრდილოეთი კედლის ზევითა ნაწილი. სარკმელი აღმოსავლეთით — 1, დასავლეთით და სამხრეთით — 1, შიგნით ნანგრევით არის ეკლესია სავსე. ეკლესიის საკურთხეველში სამხრეთ კედელში ჰქონია ღრმა და მაღალი თაბჩა. ახლა ის ნაწილობრივ დაქცეულია. ეკლესია ზომით არის დაახლოებით 10×4,5 მ. სარკმელი ჩრდილოეთით აღარა ჩანს კედლის დანგრევისაგან. სამხრეთ ოთახს თაღი აქვს, ორივე აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ-ჩრდილოეთ კუთხეში დაზიანებულია. კარის მაღლა იქნებ სამრეკლო ჰქონდა. შენახულა მაღლა აწვდილი კედლის ნაწილი.

აღმოსავლეთის სარკმელი შემკული ყოფილა ჩუქურთმით. შენახულა მარტო სარკმლის ქვედა ჩუქურთმიანი ქვა და მასზე მდებარე სამხრეთით მარჯვენა ჩუქურთმიანი ქვა ხვეული ჩუქურთმით (ნახ. 18). აკლია 4 ქვა. თვით ეკლესია (ნახ. 19) აღმოსავლეთ მხარეს სულ დიდრონი თლილი ქვით არის ნაშენი (ზევით დაწერილი უნდა შესწორდეს). ამის ლორფინები ყანისათვის ზღუდედ დაუსვიათ.

სათრითავი[9] მდებარეობს დიდი ხევის მარჯვენა მხარეს მაღალ ვაკე ადგილას. აქ, ამ ვაკის ბოლოზე არის მრავალ შენობათა ნანგრევი. ეს უნდა იყოს ვახუშტის დიდი მონასტერი. აღმოსავლეთ ნაწილში სამხრეთ მხარეს ამ ველზე არის საყდრის ნაშთი. იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა 10,5×6,5 მ. შენახულა მარტო სამხრეთი კედელი 1 მ სიმაღლისა. დანარჩენი ნანგრევით არის სავსე. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. დასავლეთისაკენ ჰქონია რაღაც შენობა 6×6,5 მ. იგი სულ დანგრეულია. ეკლესიას სამხრეთით ჰქონია კარიბჭე, დგას მარტო დიდი ორი ქვის სვეტი (სამხრეთისა, გარეთა). აქ ორმოცამდე შენობის ნანგრევია. მოჩანს კედლები დანგრეული მიწამდე. აქ ახლა გაჭართულია გომური ზემო ოშორისა. ქვა ყველა დიდრონია, კლდეების ნატეხი. მე მგონია ზემოთ აღწერილიც ეკლესიაა და მის აღმოსავლეთით გადასახედზე არის პატარა ეკლესიის ნანგრევი 5,6×4 მ. კარი სამხრეთით ჰქონია. შენახულა კედლები 1 მ სიმაღლის. მოჩანს

საკურთხევლის აფსიდის ნაშთიც ჩრდილოეთ მხარეს. იგიც სულ კლდის ნატეხი ქვაა. მინდვრის ზევითა ნაწილი ტყით არის დაფარული. ამ მინდვრის სამხრეთით დიდ მაღალ კლდეს ჰქვია კლდისთავი. საზოგადოდ აქ ყველა ადგილს სახელები აქვს შენახული.

ზემო ოშორას ზემოთ, დიდ-ხევის მარცხენა მხარეს კლდის ძირში, არის თბილი გოგირდიანი აბანო. არჩენს ჭარიანებს, მუწუკიანს. აბანოს ზემოთ, იმავე მხარეს კლდის ძირში არის ნაეკლესიარი. შენახულა ჩრდილოეთი კედელი სიგრძით 6 მ, სიმაღლით 1,5 მ. სამხრეთის კედელი კი ნანგრევშია მოყოლილი სულ. პირველი კედელი, ცხადია, ეკლესიის არის, მაგრამ სამხრეთისაა თუ ჩრდილოეთისა არ ეტყობა. მეორე იქნებ ეკლესიის სამხრეთი კედელი იყოს ანუ იქნებ სამხრეთ მინაშენისა. ეგონებ რომ ორივე კედელი ეკლესიისაა, მაშინ მისი ზომა არის სიგრძით 6 მ, სიგანით 2,5 მ (?). ქვები წაღებულ-წამოღებულია. თვით ნაშთი ნანგრევით არის სავსე. შიგ ტყემლებია ორ დიდ ბუჩქად ამოსული.

„ციხისყელი“ არის ციხე ჩრდილოეთით მაღალი კლდოვანი მთის წვერზე. იგი ნახევრად დანგრეულია. მას სოფლის მხარეს აქვს გამოქვაბულები.

სათრი თავს რომ წყალი ჩამოუდის, აქეთა მხარეს, იმის ზევით არის ლომა-წყარო.

შემდეგი სოფლები — ყამზა, საღვინეთი, ტყემლანა.

აწყურის[10] ღვთისმშობლის (იხ. ვახუშტი) ეკლესია გუმბათიანი შენობა ყოფილა. (ვახუშტით და ხალხის ცნობით) მას სჭერია უზარმაზარი ტერიტორია თავის შენობებით და გალავნით, იგი დგას მტკვრის მარჯვენა მხარეს მცირე სერის ძირას ჩრდილოეთით. ციხის სამხრეთი ნაწილი დღეს ნაშთსღა წარმოადგენს. გუმბათის დაქცევა არავის ახსოვს, ხოლო თაღი ჩაქცეულა 42 წლის წინათ (მუსტაფა სამსონიძემ გადმომცა: როდესაც მე დავბადებულვარ თაღი იმ ღამეს ჩამოქცეულა. მე 42 წლისა ვარო).

რევოლუციამდე ეკლესიას ქვები ისედაც შემოცლილი ჰქონია. ჯანაშვილი წერს — სამი კედელი დგასო. ასე რომ, ჯანაშვილის აღწერის დროს ჩრდილოეთი კედელი აღარ ყოფილა. მაგრამ 1921 წელს ხარაბაძეს ბევრი ნაწილი დაუჭეცავია — ქვა მტკვრის ბურჯისათვის შეუხმარებიათ, ნაწილობრივ ხალხისთვის მიუცია და აქა-იქ სახლებს უდევს მისი ქვები. მაგალითად, ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან დგომ სახლს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში უდევს ეკლესიის ქვა სვეტების გამოსახულებით და სხვ. აქედანვე შესყიდვით წაუღია სოფ.

ტყემლანას მცხოვრებ ოსმან ხმალაძეს ჩუქურთმებიანი ქვები 11 ცალი (ერთი გატეხილი ორად, სულ 12). დღეს მარტო დუღაბია, რომელსაც პირის ქვები შერჩენილი აქვს ადგილ-ადგილ. გარეთ უმეტესი ნაწილი მოცლილია, შიგნით უფრო მთლიანად (შედარებით) შენახული აქვს საკურთხეველის ნაწილს და აქა-იქ დასავლეთის და სამხრეთის კედლებს. ზომით არის 35,5×18 მ. კარები, როგორც ადგილობრივ გადმომცეს, ჰქონია ჩრდილოეთ მხარეს. მართლაც, აქ მოჩანს შესასვლელი და შენობათა ნანგრევები. ერთი მისი ნაშთი დგას აქ ეკლესიის ჩრდილოეთ კედლიდან 15 მ-ზე 4 მ სიმაღლისა და 3 მ სიგანისა. სხვა მისი ნაშთები მოჩანს დასავლეთიდანაც. გალავნის ნაშთი მოჩანს დასავლეთითვე. მოსახლეობა ძეგლის ძირამდეა მისახლებული. ზოგს მის გარეთ სახლები აქვთ მიდგმული. მაგ., ჩრდილოეთით და სამხრეთით.

ეკლესიის აღმოსავლეთი ოთახები (საკურთხევლის აქეთ და იქით მდებარე) გამოყენებული აქვთ საბძლად და სხვ. გარდა ამისა შიგნითა ნაწილი ხეების საწყობად არის გახდილი, აგრეთვე ფეხისადგილად. დღეს შენახულა კედლები დუღაბის სახედ აღმოსავლეთით, სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებს შუა ნაწილი გაგლეჯილი აქვთ. ჩრდილოეთ კედელს შუა ნაწილი აქვს გაგლეჯილი. კარ-სარკმლის ადგილები დიდად არის გაგლეჯილი. კარი დასავლეთითაც ჰქონია. აღმოსავლეთ ნაწილის ოთახები ორ-ორ სართულიანი ყოფილა. ზევითა სართულებს თაღი ჩამოქცეული აქვს, ქვეითებს კი შენახული აქვს დაზიანებით. ეკლესია მოხატული ყოფილა მთლიანად. ნაშთი შენახულა საკურთხეველში და დასავლეთ კედელზე. საკურთხეველში ზევითა რიგები მოსპობილია. შენახულია შუა ნაწილის რიგი მოციქულები და ქვედა მღვდელ-მოძღვრებისა. ჩრდილოეთ კედელზე არის სამი მოციქული, ხელაპყრობილი. შუა შედარებით უკეთ არის შენახული. მისი მუხლის ქვევითა მხარე მოსპობილია. პირველს (მარცხენას) თავი და წელი დაზიანებული აქვს. მესამეს (ე. ი. ნარჯვენა გამოსახულებას) — თავი, მხარი და წელს ქვევითი ნაწილი დაზიანებული აქვს. სამხრეთ კედელზე მოხატულობის ნაშთიღა არის შემორჩენილი. ამ მოციქულების აღმოსავლეთით შეწეულ ნაწილშიც მხოლოდ ნაშთიღა არის. ორივე მხარეს ძირა რიგში ჩრდილოეთ მხარეს შენახულია სამი მღვდელთ-მოძღვრის(?) თავის ნაშთი (აღმოსავლეთიდან 1, 2 და 3 მოსპობილია), სამხრეთ მხარესაც სამი (მე-4, მე-5 და მე-6; პირველი სამი მოსპობილია) ამათი ტანი. მას ნაშთად აქვთ შენახული წარწერები. ჩრდილოეთ კედელზე მეორე მღვდელ-მოძღვრის თავის მარცხნივ (აღმოსავლეთით) შენახულა წარწერის ნაშთი:

1. . . .ა. . . ე. ი. ...ო...
მეტყველი

2. ⵃⵖⴹⵄⵊⵣⵖ

სამხრეთ კედელზე მე-4-ს (პირველი სამი ხომ მოსპობილია) თავის მარჯვნივ მაღლა — ⵒ⁻ⵁ ე. ი. „წმიდაჲ“, მეხუთეს, თავის მარცხნივ...

ა. ე. ი. ო...; დანარჩენ ადგილებში აქა-იქ შენახულა ნაშთად. დასავლეთ კედელზეც არის მცირე ნაშთი. ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ ნაწილშიც არის ნაშთი მხატვრობისა. აქვე შიგნით გამართულია სახერხავი ხეებისა. ქვებს ნაწილი პირშებრუნებით ყოფილა კედელში, ჩუქურთმიანი პირი შიგნით ჰქონია. ანასახი ეტყობა დუღაბზე. ასეთივე ქვა არის ოსმანას სახლზე, ორ მხარეს ჩუქურთმიანი. ეტყობა ერთი აღშენების დროს ერთ რიგად იყო გამოყენებული, მეორე აშენებისას მეორე რიგად (ორ ენას ვისწავლი ორი კაცი ვარ, სამ ენას — სამი და ასე, — ამბობენ აწყურელები). ეკლესიის სამრეკლო ყოფილა ეკლესიის სამხრეთით აღმართულ გორაკზე, ანუ „სერზე“. ახლა მარტო ნაშთიღა მოჩანს. მართლაც გორაკზე (და არა სერზე) არის ნაშთი რაღაც შენობისა, ვფიქრობ ეკლესიისა (საკურთხეველის აფსიდა მრგვალია ნახევრად) ზომით 5,6×3,2 მ. შენახულა მხოლოდ აღმოსავლეთ-სამხრეთი კუთხის დუღაბი 2,5×1 მ. დანარჩენისა კი კედლები მიწის პირამდეა დანგრეული. კარი დასავლეთით უნდა ჰქონოდა. იქნებ სამრეკლოც იყო.

აწყურის ციხე დგას მტკვრის მარჯვენა მხარეს ამართულ კლდეზე. შესავალი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. სამხრეთ მხარეს. ძირს ფერდობზე აქვს გალავანი და ეზო, ნაწილობრივ დაზიანებული. ეზოზე ახლა თამბაქოს სთესენ. ეზოზედვე სკოლის შენობაა გაპართული. ციხის კედლები ნაწილობრივ დაქცეულია.

ეკლესია. გორაკზე მდგომი შენობის ქვედა სართული მცირე ეკლესია უნდა ყოფილიყო, ზედა კი სამრეკლოდ. აფსიდის და პილასტრის ნაშთი ამტკიცებს ამას, რომ ქვედა სართული ეკლესია იყო.

აწყურის ჩრდილოეთით, მტკვრის მარცხენა მხარეს, მთის ფერდობზე დგას ერთნავიანი ეკლესია 5,8×4 მ, ნაგები კლდის ქვისაგან და კირისაგან. დგას მარტო კედლები, ისიც ნაწილობრივ დაზიანებული, გარეთა პირი სულ მთლად შემოცლილი აქვს, რომელიც თლილი ქვა უნდა ყოფილიყო. შიგნითა პირი შენახულია, იგი თლილი არ არის, იმიტომ დაუტოვებიათ. ეკლესია შიგნით წვიმის მიერ მოტანილი ქვიშით არის ნახევრად სავსე. ჩრდილოეთი კედელი საკურთხევლის ხა-

ზამდე სულ მოცილებულია. სარკმლებისა და კარის ადგილი დიდად გაგლეჯილია. კარი ჰქონია სამხრეთით. სარკმლები აღმოსავლეთით — 1, სამხრეთით — 1, დასავლეთით —1, ჩრდილოეთით არა ჩანს იყო თუ არა. საკურთხევლის ნაწილს შერჩენია 2 მაღალი თახჩა. ეკლესია მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით 1 ვერსზე.

წ რ ი ო ხ ი ს ეკლესია ერთნავიანი შენობაა 7,8×3,9 მ, რომელსაც სამხრეთით მთელს სიგრძეზე(?) ჰქონია სამწირველო(?) სიგანით 2,5 მ. ნაშენია კლდის ნატეხი ქვისა და კირისაგან. იგი შენახულია დაზიანებით. სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, თაღიც და კედელიც სულ მოცილებულია, დანარჩენი ნაწილის თაღი შენახულია. კედლებიც სამწირველოსი შენახულა მხოლოდ აღმოსავლეთი ნაწილი 2 მ სიმაღლით, ისიც დაზიანებული. კარი ეკლესიას აქვს სამხრეთით, სარკმელი აღმოსავლეთით —1, დასავლეთით —1, სამხრეთით არ შერჩენილა. საკურთხეველს სამხრეთ მხარეს აქვს მოზრდილი თახჩა, ჩრდილოეთით მომცრო, პილიასტრს, კუთხეებს და ფანჯრებს თლილი ქვა აქვს (არა სუფთად თლილი, არამედ ტლანქად). კედლები ადგილ-ადგილ დაზიანებულია, თაღი ჩამოქცევას ლამობს.

სოფლის ჩრდილოეთით, ზევით ხეობაში, არის ბ ე ს ა ლ თ ა ვ ი ს დიდი ციხე. აქ არიან ქართველი მაჰმადიანები 60 კომლი; ქართულს ცოტა-ცოტას პატარებიც ლაპარაკობენ. სკოლა არა აქვთ. ეკლესია ფეხისადგილად არის ქცეული და მცირედ დაფარულია ნანგრევებით.

ბ ე ს ა ლ თ ა ვ ი ს[11] ციხე — ბესალთავი ეწოდება ადგილსა და ტყეს.

ა წ ყ უ რ ი ს ძეგლები:

1. დიდი ეკლესია მის სამხრეთ გორაზე მდებარე სამრეკლოს(?) ნაშთით.

2. ციხე კლდეზე.

3. ხიდის ნაშთი (ბურჯის ნაშთი) მარჯვენა მხარეს. მეორე ბურჯის ნაშთი წყალში, მესამე და მეოთხე აღარ ჩანს (მეოთხე, მოსახლეს ფარგალში მოუთავსებია და დაუფარავს ყორით).

4. აბანო (მტკვრის მარცხენა მხარეს).

5. ეკლესია სოფლის ჩრდილოეთით 1 ვერსზე.

წ რ ი ო ხ ი — სოფელში ეკლესიაა და ზევით ჩრდილოეთით ორ ვერსზე ბ ე ს ა ლ თ ა ვ ი ს ციხეა, რომელიც დგას წრიოხის ხევის მარცხენა მხარეს, მთის სერზე აწვდილ კლდის წვერზე.

გ უ რ კ ე ლ ი სოფლის ჩრდილო-დასავლეთით ხევის მარცხენა მხარეს გორაკზე არის ციხის ნანგრევი. შენახულია ხოლოდ სამხრეთი ნაწილი, ისიც დაზიანებული.

პ ა ტ ა რ ა ბ ი ე თ ი ში სოფ. გურკელიდან 2 ვერსზე არის რაღაც შენობების, ციხის თუ ეკლესიის ნანგრევები. ისინი მიწასთან არის გასწორებული.

ბ ი ე თ ი ს[12] ეკლესია დგას გურკელის დასავლეთ-ჩრდილოეთით ხევის მარცხენა მხარეს, ტყეში მოვაკებულ ადგილას, სოფლიდან 2,5 ვერსზე. იგი გუმბათიანი შენობა ყოფილა. დღეს დგას მარტო კედლები, თაღი შენახული აქვს მხოლოდ საკურთხეველს, მის მარჯვენე და მის მარცხნივ მდებარე ოთახებს (სამკვეთლო-სალაროს) და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მიშენებულ ეგვტერს. დანარჩენი დაქცეულია. სამხრეთის შესავალი, ასევე შიგნით ეკლესია, ნახევარზე მეტად ნანგრევით არის სავსე. კარებების ადგილი ნანგრევებით არის დაფარული. ჩასასვლელი ახლა სამხრეთის კედელში არის. იგი სამნავიანი(?) გუმბათიანი შენობა ყოფილა. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. სარკმელი აღმოსავლეთით — 3, დასავლეთით — 3, სამხრეთით არ შერჩენია. თაღებიდან შენახულია აგრეთვე ჩრდილოეთი ნავის დასავლეთი ნაწილი. სამხრეთის სვეტი წაქცეულია და კედელზე არის მიწოლილი. ტრაპეზი მოშლილია. აქვე გდია ერთიანი ქვა, რომელიც ტრაპეზისა უნდა იყოს. შიგნით და გარეთ მრავალი სახიანი (ხახებიანი და ჩუქურთმიანი) ქვა გდია. კარ-სარკმელი გარედან შემკულია ჩუქურთმით. აღმოსავლეთი კედელი შემკული ყოფილა ჯვრით (ჩუქურთმიანი), რომლის ზედა ნაწილი დაზიანებულია. ეკლესია მოხატული ყოფილა. მხატვრობა დღეს შერჩენილაა მხოლოდ საკურთხეველში. აქ კონქში დახატულია ღვთისმშობელი ყრმით კალთაში, აქეთ-იქით ანგელოზებით. ღვთისმშობელი ზის მუთაქიან ტახტზე. ღვთისმშობელი დაზიანებულია თავსა და მარჯვენა მხართან (ეკლესიის გეგმა იხ. ნახ. 20). ეკლესია ნაშენია სულ თლილი ქვისაგან, ჰხურებია ლორფინი (რომელიც ძირსა ყრია). ეკლესიის სამხრეთით არის შენობა და ნანგრევები. ეკლესიის გარშემო ფიქვის ტყეა. ორი წლის წინათ გუმბათი მეხს დაუქცევია.

ბემაში „ყოელის მპყრობელი“ წელამდეა გამოსახული. ბემის მარჯვენა (ჩრდ.) კალთაზე წარწერაა: ᲔᲨᲮᲗᲧ[Ⴂ] ე. ი. ხარება. მარცხენა კალთა (სამხრეთით) დაზიანებულია.

პირველი რიგის სარკმლის ცაზე გამოსახულია იესო ქრისტე(?) დაზიანებულია წელს ზევით. იგი მდგომარეა; მხისგან აქეთ-იქით იშ-

ლება სხივები. წელს ქვევით ფეხები ტიტვლად აქვს დახატული. ქრისტე დახატულია მრგვალ წრეში. აწერია [ს᷑ც] ᲮᲪ იმატომაც გაფრიალებული აქვს წელთან. წრეს აქეთ-იქით ორი პირი უდგას. მარჯვენა დაზიანებულია სახესთან.

აქის მარჯვნივ (ჩრდ.), ფანჯრის ახლოს დაბატულია ნათლისღება, რომელსაც ახლავს წარწერა ᲰᲒᲪᲣᲮᲜᲘᲣᲧᲒ ე. ი. ნათლისღება. იოანეს ტანის წინა ნაწილი და იესოს თავის მარჯვენა მხარე დაზიანებულია. იესოს მარცხნივ ხუთი პირის შარავანდედი ჩანს. ნათლისღების უკან მარჯვნივ მირქმაა(?). სარკმლის მარცხნივ სამხრეთით, სარკმლის ახლოს გამოსახულია ჯვარცმა. იესოს თავის ზევით, ჯვრის დაფაზე აწერია (OKIA) ჯვრის მარჯვნივ დგას ერთი პირი, მარცხნივ ორი. მარჯვენა მანდილოსანია. ჯვარცმის უკან სურათი დაზიანებულია.

მეორე რიგის სარკმლის მარჯვნივ და მარცხნივ პოციქულებია — ზიარება. საერთოდ პირველი რიგიდან დაწყებული — ქვევით სულ ფრინველის სკინტლებით არის გათხუპნული და აღარ ჩანს კარგად. აქ მოჩანს მარტო მოციქულების თაეების მწკრივი და იესო ორივე მხარეს გამოსახული (მარცხნივაც და მარჯვნივაც სალხინობლის ქვეშ) მათი მაზიარებელი; ზიარების უკან სამხრეთით და ჩრდილოეთით რა არის დახატული გათხუპვნის გამო არ ეტყობა. სამხრეთით იქნებ ლაზარეს აღდგინება იყოს(?).

მესამე რიგი. ძირს ყოფილან გამოსახულნი ბედნიერთ-მოძღვარნი. შენახულა მხოლოდ ნაშთი: ჩრდილოეთ კედელზე არის 5 თავის ნაშთი. პირველს (სარკმლის ახლოს) აწერია: (ᲩᲨ)|ᲧᲨᲡ[ᲘᲐ]|ᲜᲘ ე. ი. წმიდაი ბასილი. თავის მარჯვნივ, მეორეს (პირველის უკან) ᲩᲨ|ᲢᲐ|ᲘᲫᲐ[ᲜᲔ] წმიდაი გრიგოლ... თავის მარჯვნივ; მესამეს — ·|ᲔᲐᲘ|:ᲪᲜᲘ|ᲡᲨᲮ|ᲒᲐ]ᲘᲜᲘ წმიდაი ...ტრე ალექსანდრიელი, თავის მარჯვნივ; მეოთხეს — ᲩᲨ წმიდაი. თავის მარჯვნივ; მე-5 ... |ᲘᲔᲐ|..Ი|... ... ელო ... თავის მარჯვნივ, ტრიუმფალური კამარის ქვეშ ოთხი მდგომარე წმინდანი დაზიანებულია.

ეკლესიას სამხრეთის შესავალი ოთახები სულ დაზიანებულ-დაქცეული აქვს. დასავლეთი კარიბჭე კი ნაწილობრივ შენახულია. ეკლესიის დასავლეთ ნაწილში ჩამოდის წყალი.

წარწერები. ეკლესიას აქვს წარწერები:
სამკვეთლოდან საკურთხეველში შესავალი კარის თავზე:

1. ᲮᲘᲒᲜᲓᲘᲔᲧᲘᲠᲘᲡᲢᲔᲜᲔ (ᲘᲗ) [ყᲐ] ᲔᲘᲠᲔ
3. ᲮᲩᲐᲘᲨᲘᲠᲘᲡᲐᲧᲐᲔᲘᲘᲡᲐ
4. ᲐᲘᲐᲔᲘᲧᲔ ᲮᲔᲧᲡᲔᲧᲮᲘᲘᲖᲘ
5. ᲘᲐᲮᲝᲐᲮᲝᲮᲘᲧᲮᲔᲐᲔᲐᲮᲘᲧᲔᲡᲔ

ე. ი. „ქრისტე ადიდე ხოშაი, როლო მეოხ ეყავ ხოშასა შვილიმელმან ესე საყდარი აღაშენა“. თურთ ორთავე შინა ცხორებასაა“. „ქრისტე, წმიდაო ღმრთისმშობე-

ესეა სწორედ ᲐᲮᲝᲘᲮᲘ-ს ქარაგმაა აქვს. თაყაიშვილს შეცდომები აქვს. იმას ჯერ მეორე ნაწილი მოჰყავს, მერე პირველი ამ წარწერიდან: ᲪᲩ, თაყაიშვილი რომ წერს არ არის ქვაზე.

ჩრდილოეთით მიშენებული ეკვდერი ზომით არის 4×3,2 მ. კარი აქვს დასავლეთით. სარკმელი აღმოსავლეთით —1, დასავლეთით სანათური — 1. თაღი მთელი აქვს. დასავლეთით კარის ზევით ორ ქვაზე არის წარწერა. კარი შემკულია ჩუქურთმით და თავზე ჯვრით. წარწერა: მარცხენა (სამხრეთ) ქვაზე:

1. ᲤᲐᲘ ᲝᲘᲘᲧᲔ
2. ᲡᲐᲩᲘᲐᲩᲩ ᲖᲔ
3. ᲪᲖ ᲪᲘᲘᲮᲔᲧ
4. ᲘᲩᲘ ᲩᲐ ᲘᲡᲘ
5. ᲘᲧᲤᲘᲐᲮᲘᲧᲘᲘᲔ

ე. ი. „ქრისტე, მე თოჯა
ს ძემან ზა
ალ აღვაშ
ენე წმიდა ესე
ეკუტერი შესა

მარჯვენა ქვაზე:

6. ᲮᲘᲜᲐᲩᲔᲖᲜ_ᲐᲧᲘᲘᲔᲖ
7. ᲝᲔ ᲜᲔ (ᲮᲩ) ᲒᲔ ᲐᲘ
8. ᲘᲮᲐᲖᲔᲖᲝᲔᲒᲔ
9. ᲮᲡᲑᲐᲡᲔ (Ო)?

ვედრებლად მშობელთა და ჩუენთა მიცვალებულთათუის ქორონიკონსა რპა(თ)?

ქვები [2] [1] ასეა განლაგებული.

3. აღმოსავლეთ სარკმლის ქვეშ წარწერაა:

ⴱⵔⵗ ⵖⵔⵗⵜⵓⵙ ⵔⵗⵜⵓⵙ

ე. ი. „ქრისტე, შეიწყალე მათე და იოანე“

თაყაიშვილი Ⴆ-ს რომ წერს ის ხაზი ქვისაა, დანარჩენი ასოებიც შეცდომით აქვს დაწერილი, იქნებ იკითხებოდეს ქ ე შ ე მათე და იოანე? ⵐ-ს ქარაგმა არა აქვს. ⵃ-ს რომ წერს, ⵃ არ არის.

ბიეთის ეკლესიის გუმბათი დანგრეულია ორი წლის წინათ მეხის დაცემით.

ბ ი ე თ ი ს ხევის მარცხენა მხარეს, სკიპიდრის ჭარხნის ახლოს, არის საბაჟოს კოშკის ნანგრევი. ამავე ხევის პარჯვნივ მაღალ გორაკზე არის „დედაბერას“ ციხე.

წინუბნის წყლის სათავესთან მთაზე არის:

1. ც ი ხ ი ს ძ ი რ ი ს წ ყ ა ლ ზ ე, მთაზე, არის ციხე.

2. ს ტ ა მ ბ ო ლ ი ს ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ი სატყეო პოსტიდან 20 ვერსზე მთებშია (ეკლესიაც არის დაქცეული იქაო).

3. დიდი რაბათის ციხე.

4. წინუბნის წყლის შემდინარე ლეკნარის ხეზე არის ს ა ბ ა ჟ ო შ ე ნ ო ბ ი ს კედელი. ეს ერთადერთი გზაა იმერეთში გადასასვლელი.

5. აქვე ამავე ხეობაში დათვეთის წყალზე დ ა თ ვ ე თ ი ს ნასოფლარია.

6. წინუბნის წყალზედვე არის ნ ა მ კ ვ დ რ ე ბ ი (ნ ა მ კ ვ დ რ ე ბ ი) ნასოფლარი.

1932 წელს აგვისტოს 27-სა დღესა ჩავიბარე სოფელ წინუბნის მცხოვრებ ბიზ ოსმან-ოღლი თოფალიძესაგან, აქვე სოფელში დანგრეული კოშკის ადგილას აღმოჩენილი ქვა 43×24 სმ ასომთავრული წარწერით.

ა გ ა რ ა შ ი 25 კომლია: გვარამაძე, ტუღუშაძე, ჯოტაძე ქართველი მაჰმადიანები. ქართულს ყველა კარგად ლაპარაკობს;

ხარების გაჯავრებისას ხარებს ეტყვიან: ზედას — ზედა მოიშიი, ქვედას — ქვედა მოიშინე, დაბედავე. ასე ლაპარაკობენ აგარაში.

ქ უ მ ი ს მონასტერი დგას სოფელ ს ვ ი რ ი ს ჩრდილო-დასავლეთით 5 ვერსზე ტყეში, ორი ხევის, მ ო ღ ო ბ ი ლ ი ს წყლის და დ ი დ ზ ღ ვ რ ი ს წყლის შესართავს შუა. მოღობილის წყალი ჩამოუდის მარჯვნივ (სამხრეთ-დასავლეთით), ხოლო დიდზღვრის წყალი მარცხნივ (ჩრდილო-აღმოსავლეთით). იგი დგას კლდოვან გორაკზე. ამის ქვევით

წყალს ეწოდება ქ უ მ ი ს წ ყ ა ლ ი (ილიას იზად-ოღლი ყაყუნაშვილი, კლდნარი).

ეკლესია ერთნავიანი შენობაა 13,7×6,2 მ. მას სამხრეთით და ჩრდილოეთით მთელ სიგრძეზე აქვს შენობები: სამხრეთი შენობა წარმოადგენს სამ ნაწილს (სამწირველოს, კარიბჭეს და სამწირველოს). ჩრდილოეთისაკენ აქვს გრძელი გალერეა. ჩრდილოეთის გალერეის მთელ სიგრძეზევე ჩრდილოეთით აქვს დიდი ოთახი. ეკლესიას და მის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს კარი აქვს — დასავლეთით — 3, სამხრეთით — 1 (ერთი შიგნით თვით ეკლესიას და ერთიც ჩრდილოეთით შიგნით ჩრდილო ნაწილში გასასვლელი). სარკმელი აღმოსავლეთით — 3, დასავლეთითაც 3 უნდა ყოფილიყო, დღეს მხოლოდ ორია, სამხრეთ ნაწილს დაზიანება აქვს. სამხრეთ მხარეს თვით ეკლესიას აქვს 1 სარკმელი. ეკლესია შიგნით და გარეთ ნაგებია სულ თლილი ქვისა და კირისაგან. ეკლესია დღეს ნანგრევებად არის: თაღი ჩამოქცეული აქვს, დგას მარტო კედლები. სამხრეთი ნაწილის თაღი და სამხრეთი კედლის ზევითა ნაწილი დაქცეული აქვს. თვით ეკლესიის სამხრეთ მხარეს კედლის ზევითა ნაწილში პირის ქვა ჩამოცლილია და ნანგრევში ყრია. ჩრდილო გალერეის და ჩრდილო ოთახს თაღები შენახული აქვს. ეკლესიას სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნახევარის ზევითა ნაწილი დაქცეული აქვს. ეკლესიას საკურთხევლის სამხრეთ მხარეს აქვს ღრმა და მაღალი თახჩა. ეკლესიის სამხრეთ და ჩრდილო კედლებს აქვთ პილიასტრები და თითო ბჯრეს სამ-სამი ყალბი კამარა.

ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით კლდეში არის ე. წ. „მარკოზის“ ქვაბი, ე. ი. გამოქვაბული კლდეში. სოფლიდან 4 ვერსზე, სერზე, „წითელ ჯვარად“ წოდებულზე უწინ ყოფილა მუქი ქვისაგან გაკეთებული და აღმართული ჯვარი 1 საქენის სიმაღლით, წარწერა ჰქონია, გაუნადგურებიათ და იქვე ჩრდილოეთ კლდეზე გადაუყრიათ ამ რამდენიმე ხნის წინათ. ეკლესიის დასავლეთის კარი, მისივე ფანჯარა და აგრეთვე აღმოსავლეთის ფანჯარა შემკულია, შესანიშნავი ჩუქურთმით. დასავლეთის კარის კამარის ზევით, შიგნით, პირით აღმოსავლეთისკენ უდევს ქვაჯვარი ორი მზისა და ყვავილების გამოსახულებით. ეკლესიის ჩრდილოეთი ნაწილი — გალერეა სიგანით არის 2,3 მ, სიმაღლით კი 2 მ. ჩრდილოეთის ოთახის ზომა არის სიგრძით 13,7 მ, სიგანით თავში (დასავლეთ ნაწილში) 4,6 მ, ბოლოში (აღმოსავლეთ ნაწილში) 2,5 მ. ეს ოთახიც ნაგებია შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვებით, მხოლოდ თაღი აქვს უბრალო ნატეხი ქვისა. თაღი გარღვეულია

აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით მთელ სიგრძეზე და ჩამოჭცევას ლამობს. წვიმა ჩამოდის ყველგან. ეკლესიის და გალერეის სახურავზე ამოსულია ჭუჩის ბალახი. ეკლესიის ჩრდილო გალერეას დასავლეთ ნაწილში თაღის შიგნითა პირი ჩამოქცეული აქვს. ამავე გალერეის ჩრდილო კედელს პირის ქვა ნაწილობრივ მოცილებული აქვს. ჩრდილო ოთახს კარი აქვს დასავლეთით და მისი დასავლეთი კედელი მაღლითა ნაწილში დანგრეულია. ეს შენობა ეკლესიის ხაზზე დასავლეთით 1,5 მეტრით წინ არის გამოწეული. ეკლესიის ჩრდილო გალერეას თაღი შედარებით უკეთ აქვს შენახული. ეკლესიას და მის ნაწილებს დასავლეთის მხარეს კედელში გამოწვდილი აქვს თაროს მაგვარი ქვები.

ეკლესიის დასავლეთით არის ქვაბი კლდეში. ადგილი მეტისმეტად შესანიშნავია, ნაძვნარი და ფიჭვნარი ტყეა, აგვილი დაბალია, ხევია. ეკლესიას ჩრდილოეთ გალერეაში გაუდის ორი კარი, მათ შუა დგას მრგვალი სვეტი, რომელსაც თავზე (სვეტის თავი) ოთხკუთხად შემრგვალებული ქვა ადევს. ეკლესიის სამხრეთი და ჩრდილოეთი ნაწილები სიგანით თანაბარია — 2,2 მ.

შ უ რ დ ო ს ბოლოს კაკლებთან არის საფლავის ქვა, რომლის ზევითა ნაწილში, მარცხნივ გამოსახულია მდგომარე კაცი. მას მარჯვენა ხელში უჭირავს ჯვარი, მარცხენა დოინჯით აქვს წელთან. მის გვერდებთან და ქვემოთ დახატულია მრავალი იარაღი: მარცხნივ: გასაღები, მარჯვნივ: ხმალი, ცული, თოფი, ჯოხი, კიბე, წერაქვი. ქვეყით: ქოშა, ე. ი. თიხის ჭურჭელი მაღალყელიანი და ყურიანი, ყანწი, ჰატამი (?) თუ სხვა ჭურჭელი, იორსი (გრდემლი), ანუ რკინის სანაყი მჭედლისა, გაზები დიდი და პატარა, ისევ პატარა იორსი, ორი ჩაქუჩი დიდი და პატარა, რკინის საჭრელი რკინა, ხის კოკა, ქვის გობი (ლახანჯა) და სხვა. წონით იქნება 10 ფუთი (სადაც ხმალაძე. საბჭოს წევრი ნიდა მურადოღლი).

ზ ი კ ი ლ ი ი ს გამოქვაბული არის სოფლის სამხრეთით, ხევის მარჯვენა მხარეს ამართულ თიხში. აქ არის სამი ოთახი, ანუ განყოფილება. პირველი (აღმ.) ნაწილი, ანუ მტკვრის მხარისა მცირეა 2,8×3,5 მ. მას ჩრდილოეთი მხარე სულ ღია აქვს, იგი ჩაზვავებული ან ჩამოფხეწილი უნდა იყოს. ამავე ნაწილს სამხრეთ მხარეს კლდეში გამოჭრილი აქვს ღრმა თახჩა (?). ამ ნაწილიდან კარი შედის მეორე, საშუალო ნაწილში. ეს მოზრდილი ოთახია 3,6×4,6 მ. კარი ქვის ნაშენი კარის მოყვანილობით არის გამოჭრილი კლდისაგანვე. ამ ნაწილს ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი ნახევარი და დასავლეთი კედელი (მთლად) დაჭ-

ცეული აქვს. დასავლეთი კედლის კვალი შერჩენილია თაღზე, სადაც გადასდევს კედლის ზოლი (ე. ი. კლდის ზოლი). ამ ნაწილს სამხრეთ მხარეს კლდეში გამოჭრილი აქვს ტახტები. ამ ნაწილიდან კარი ყოფილა მესამე (დას.) ნაწილში შესასვლელად. ეს კარი ყოფილა სამხრეთი კედლის ახლოს. აქ შენახულია კარის მარცხენა (სამხრ.) სვეტი კლდისა. მესამე ნაწილი (დას.) ყოფილა აკლდამად: აქ ახდილია ორი აკლდამა სამხრეთი კედლის ახლოს. აკლდამები ამოჭრილია კლდეში, ზევიდან ფიქალები ჰფარებია, ახლა აუხდიათ ნაწილობრივ და საფლავები დაუთხრიათ. თითო აკლდამაზე თითი ფიქალი ზედვე დევს, დანარჩენები აქვეა გადმოყრილი. აქ ზევიდან ჩანს 6 ფიქალი. ამ აკლდამების ჩრდილოეთით უნდა იყოს სხვა აკლდამებიც, იგი ნანგრევით არის დაფარული. ამ ნაწილის ჩრდილოეთი მხარე სულ ღია არის. ამ ნაწილის (დას.) და საშუალო ნაწილის არეზე ჩამოვარდნილა მაღლიდან უზარმაზარი კლდის ნატეხი და ახლა ამ ორი ოთახის არეზე გდია. სად იყო შესავალი კარი ამ სამ ოთახში (გარედან შესასვლელი) დღეს ჩრდილოეთის მხარის დაზიანების, ანუ ჩამოქცევის გამო არა ჩანს. ზომა მესამე ოთახის (აკლდამებიანის) არის 3×6 მ. (გამოქვაბულების გეგმა იხ. ნახ. 21). დღეს შესასვლელი არის სამხრეთი მხრიდან აკლდამის განყოფილებაში და აგრეთვე სამხრეთიდანვე პირველ (აღმ.) ნაწილში.

ამ გამოქვაბულის ძირს, აღმოსავლეთით, ფერდობზე არის ეკლესიის ნაშთი. შენახულა მხოლოდ საძირკველის ერთი ნაწილი, მოჩანს ჩრდილო მხარე, დანარჩენი დაფარულია ფერდობიდან ჩამოწოლილი მიწით.

ამ ეკლესიიდან ჩატანილია ქვა ზიკილის მაჰმადიანურ სასაფლაოზე, (ხევის მარცხენა მხარეს, სოფლის ძირს) ჩრდილოეთ ნაპირისა და გზის ახლოს დევს საფლავის ქვა ზომით 127×47,5×31 სმ რომელსაც ზედა ნაწილში აქვს სომხური წარწერა 11 სტრიქონი დაზიანებული, ქვედა ნაწილში კი ქართული წარწერაა. ქართული წარწერის შუაში გამოსახულია დუქარდი (დიდი მაკრატელი). წარწერა ქართული:

1. საფლავსა ამ
2. სა შინა მდებარე
3. ვარ ოსეფ დოვ
4. ლათ ბეგო
5. ვი მხი ლველ
6. ნო შენ დობას
7. გეეედრე ბით
8. ჩყათ (1829 წ.)

იგი ადევს იბრეიმ ისიჯხანოვი სერაოღლის ცოლს, რუსს.

ზ ი კ ი ლ ი ა შ ი 280 კომლია, გვარები: გვარამაძე, ნადირაძე, ხახუტაიშვილი, გოგოლაძე, ჲურაბაძე, ქაპანაძე, ქართველი მაჰმადიანე-

ბი. ქართულს ყველა მშვენივრად ლაპარაკობს. კიდევ არის გვარი: ცქიფოძე, ჩიტაძე, ბიბინაშვილი.

ე ლ ი ა წ მ ი დ ი ს ეკლესია დგას სოფლის ჩრდილოეთით 1 ვერსზე კლდოვან გორაზე. იგი ერთნავიანი შენობაა, რომელსაც სამხრეთით ჰქონია კარიბჭე, ხოლო ჩრდილოეთით ცალკე სამწირველო თუ სამკვეთლო. კარიბჭე დღეს დაქცეულია სულ, მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილი არსებობს მთლიანად. ეკლესია (მარტო) ზომით არის 9,6× 5,5 მ. ჩრდილოეთი ნაწილითვე სიგანით არის 8,5 მ. კარი აქვს სამხრეთით. სარკმელი აღმოსავლეთით — 2, დასავლეთით — 1, სამხრეთით —1. კარისა და აღმოსავლეთი ფანჯრის ადგილი გაგლეჯილია. ეკლესიას გარეთა პირი სულ შემოცლილი აქვს (რამდენიმე ქვაღა შერჩენილია), შიგნით კი შემოცლილი აქვს მხოლოდ 1,5 მ-დან 4 მ-მდე ადგილ-ადგილ. ადგილ-ადგილ კი ძირიც შენახულია. შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვით ყოფილა ნაშენი. იგი შესანიშნავი შენობა ყოფილა. ეკლესიის დასავლეთ ნაწილში შიგნით ყრია ნანგრევი. გარეთ სამხრეთის მხარეს ყრია აგრეთვე ბევრი ნანგრევი.

ეკლესია მოხატული ყოფილა. ნაშთი შერჩენილია საკურთხევლის ნაწილში სარკმლის მაღლით ნაწილის მარჯვნივ (ჩრდ.), ცოტა ზევით. აქ მოჩანს მაცხოვრის (?) ფეხი დიდი ზომისა (თათი) ხუთი თითი ხამლით (?), დიდ თითზე მოხვეულია თასმა(?) და ფეხის ზურგზე არის გადატარებული. ფეხის მარჯვნივაც რაღაც ნაშთია. მის ძირას ყოფილა ზიარება: შენახულა სარკმელთან ახლო თავის ზევითა ნაწილი, რომელიღაც პირისა, რომელსაც თავს ზევით შერჩენია ასო (†)..., იმის მარჯვნივ მოციქულის ნიმბი და წარწერა, ნიმბის მარცხნივ თვით შენახული ნაწილიც დაზიანებულა; ბათქაში მთელ კონქსა აქვს შერჩენილი, მაგრამ ნახატობა სულ გადარეცხილა. დასავლეთის კედელსაც და ჩრდილოეთ კედელს აქა-იქ შერჩენია ბათქაშები, მაგრამ ნახატები აღარა აქვს. შემორჩენილი წარწერა ნიმბის მარცხნივ:

1. [ᲣᲪ] (ᲫᲔᲛ)
2. [ᲐᲓᲐᲛᲘ]Ს

ე. ი. პაველ მოციქული

ეკლესიის თაღი ჩამოქცეულა დასავლეთ ნაწილში, სამხრეთ ნახევარში და შუა (ეკლესიისა) ნაწილში. ტრაპეზის ქვა გადმოგდებულია და აქვე არის ეკლესიის შიგნით. დასავლეთ კედელში, ჩრდილოეთ კედელში (დასავლეთ ნაწილში) და ჩრდილოეთის ოთახის კედლებში აუტანიათ ქვები სახეებისა და ჯვრის გამოსახულებით: დასავლეთი კედლის სამხრეთ ნაწილში უბრალო სახეა. ჩრდილოეთ კედელს მაღლა

უბრალო წრეების სახიანი ქვაა. ძირს კი 2 ქვა, ორივე ჯვრის გამოსახულებით. ჩრდილოეთის ოთახის ჩრდილო კედელშიც ქვაა რაღაც ფიგურის გამოსახულებით. ეკლესიიდან ჩრდილოეთ ნაწილში გასავალი კარის მარცხენა (დას.) ნაწილი განგრეულია. ეკლესიის სამხრეთი სარკმელი შემკულია შესანიშნავი ჩუქურთმით (გადავიღე), საკურთხეველს სამხრეთ კედელში აქვს მაღალი (3.5 მ) თაბჩა, რომლის მაღლითა ნაწილშიაც სხვენში არის ასასვლელი. საკურთხევლის ჩრდილოეთ კედელში კი ოთხკუთხი თაბჩაა სარკმლის ზოლზე, ისიც სხვენში ასასვლელი ხვრელით. ეკლესიის დასავლეთით არის რაოაც შენობების ნანგრევები. ეკლესიის დასავლეთით არის კლდეში ამოჭრილი ორი ოთახი(?) ჩაქცეული. ეკლესიის აღმოსავლეთითაც არის რაღაც შენობის ნანგრევი (ელიაწმიდის ეკლესიის გეგმა იხ. ნახ. 22). ეკლესიის სამხრეთის მხარეს ყრია მაღლიდან მოგლეჯილი ქვები და ნანგრევები. კარიბჭისა შენახულია მხოლოდ დასავლეთის კედელი ნაშთად (ნანგრევად). ეს დიდებული შენობა ყოფილა. დგას კლდოვან ადგილას. ეს არის ელიაწმიდის ეკლესია.

ამის გადაღმა ტყეში არის ჭ ვ ი ნ ტ ი ს ციხე.

ელიაწმიდის თავზე „ზასტავა“-ს (სავუშაგოს) წინ არის ახალციხის ძველი წყალსადენის ქვიტკირის შენობა.


წ ნ ი ს ი. წნისის ჩრდილოეთით კლდეში დგას ეკლესიის ნაშთი[13]. შენახულია სამხრეთი და დასავლეთი კედელი, პირველი 80 სმ სიმაღლის (ჩანს საძირკვლის (ცოკოლის) ქვა და ზევით ადევს ერთი პირი ქვა), მეორე კედელისაც მხოლოდ თითო პირი მოჩანს, კლდემდე, რომელსაც ებჯინება აღმართზე დანარჩენი ნაწილები. ზევითა კლდიდან ჩამოწოლილ ნანგრევს დაუფარავს (შიგნითა) ნაწილი. დასავლეთის კედელი სამხრეთ ნაწილში შენახულა 2 მ სიმაღლის, მხოლოდ მას პირის ქვა ქვედა ნაწილში აქვს, ზევითას კი მოცლილი აქვს და დუღაბი დგას ეკლესია მშვენიერი შენობა უნდა ყოფილიყო. ნაგები ყოფილა სულ თლილი ქვისა და კირისაგან. დასავლეთ კლდის ზევითა (ჩრდ.) კუთხეში შერჩენია კოზმიდის ერთი ქვა. ასე რომ, ამას ქვეცით ნანგრევეით არის დაფარული. ჩრდილოეთი კედელი ნაწილობრივ კლდე უნდა ყოფილიყო. ასევეა ნაგები აღმოსავლეთი კედელიც. სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში შენახული ქვითკირის კედელი 3 მ სიმაღლისაა. გეგმა ნანგრევების გამო არ ჩანს. ეკლესიის სამხრეთ მხარეს აღმოსავლეთ ნაწილში მიშენებულია მცირე ეკლესია ნაგები თლილი ქვისაგან ზომით 3×3 მ. იგი ეკვდერი უნდა იყოს, შიგ ჩანს სამარხის ორმოს მაგვარი, რომელსაც ქვა ახდილი აქვს პატარა ადგილას. კარი ეგზეტერს

აქვს დასავლეთით. კარებთან მარჯვნივ ჩრდილოეთით ეკლესიის კედელზე დგას ქვა სამი ჯვრის გამოსახულებით: შუაში დიდისა. აქეთ-იქით პატარებისა (ნახ. 23) ზომით 63×56×26 სმ.

პატარა ეკლესიას სარკმელი აქვს სამხრეთით. ეკლესიის აღმოსავლეთი კედელი კლდეა. იგი უსწოროა და კაცი ძლივს იმართება სიმაღლეზე. ეკლესიის სამხრეთ მხარეს პირის ქვა სულ მოცლილია, დასავლეთ მხარეს კი მხოლოდ ზეითა ნაწილში აქვს მოცილებული. ამ ეკლესიას, ვგონებ, მაღლა მეორე სართულიც ჰქონია — შენახულია თაღზე ზევით აწეული თითო და ორი პირი ქვა.

დიდი ეკლესია უნდა იყოს ვახუშტის მიერ მოხსენიებული. მისი რამდენიმე ქვა სამხრეთით გდია. სამხრეთი კედელი დასავლეთ ნაწილში ორი ქვის აქეთ საძირკვლამდეა დაქცეული 2,2 მ სიგრძეზე. ამავე სოფლის ჩრდილო-დასავლეთ მაღალ კლდეზე არის კოშკის ნაშთი. შენახულია ოთხკუთხი კედელი 2—3 მ სიმაღლის. გარეთა პირი შემოცლილია. აქ, ამ ციხის ქვევით გამოდიოდა არხი, რომელიც ამ ციხის ქვევით კლდეს სჭრიდა.

წინუბანში კოშკი ყოფილა სულეიმან დადაძის და მისი მეზობლის ჩახალაი ტოტორაძის სახლების უკან. ეს ადგილი ახლა გზად არის დადებული. მის საძირკველში აღმოჩენილა ქვა[14], რომელიც მე წამოვიღე. იგი მოწითალო ფერისაა ზომით 43×23×5 სმ. მას ზევითა ნაწილი და მარჯვენა ძირა ნაწილი ატეხილი აქვს. უკანასკნელნი შენახული არიან ორ მცირე ნატეხად. წარწერა ასომთავრულია:



ე. ი. „ქრისტე, წმიდათ გიორგი მთავარ
მოწამეო მეოხ
ეყავ მნათეყოფ
იღსა იოანეს ამენ.
ნაჩღასა შეუნდევენ ღმერთმან.
ჩოეს შეუნდვენ ღმერთმან“.

მე-5 სტრიქონში პირველ ასო „ჩ“-ს და მეოთხე ასო „ი“-ს მუცელში რაღაც ხაზები აქვს, რომლებიც ორივე შემთხვევაში ასო „ჭ“-ს ემსგავსება. და ეგონებ, რომ ეს ასო უნდა იყოს. ამიტომ მე ეს ასოები თვით სტრიქონში ჩავწერე მე-2 და მე-5 ასოებად.

წინუბანშიეე ასკაირ ჯაფარიძის სახლის დასავლეთ მხარეს სამხრეთი კუთხის ახლოს უდევს ქვა 45×23 სმ, რომელიც იმავე კოშკის ქვაა. მას აწერია: 1. ⱔⰰ —მჲ

„წმიდა ელია მთა-მთა იარე“, ე. ი. სეტყვა მთა-მთა ჩამოყარეო. მთქმელი არტემ მელიქიძე.


1932 წლისა აგვისტოს 29-სა ჩავიბარე სოფელ იველიტას მღვდელ სერაბიმ მერაბაშვილისაგან:

1. ლათინურ-სომხური ლექსიკონი.
2. სამოციქულოს ქადაგების წიგნი.
3. მაშტოც (კურთხევანი) სომხურ ენაზე.
4. პანაშვიდი სომხურ ენაზე.
5. საგალობელი სომხურ ენაზე.
6. წვრთნის წიგნი სომხურ ენაზე სტამბური(?)
7. ხელნაწერი სამი რვეული და ნათესიბი (??)
8. იტალიურ-თურქული ლექსიკონი. ნაწილი II.
9. მესოპოტამია. ლათინურ ენაზე.
10. ქადაგების წიგნი.
11. საეკლესიო მოთხრობები.
12. იგავნი იეზეზოს (??) ფილოსოფოზისანი 1859 წ.
13. ხელნაწერი გამოკვლევა ეპისტოლეებისა სომხურ ენაზე.
14. სომხურ-ქართული ლექსიკონი.
15. ძველი შესამოსის 4 ნაჭერი.

სოფელ იველიტას ეკლესია ბანიანი შენობაა, დამყარებული 6 ხის სვეტზე, ზომით არის 15×8,8 მ. იგი განახლებულია 1912 წელს. კედელს ბევრ ადგილას დატანებული აქვს ძველი ქვები. დასავლეთის მხარეს ბანის კიდურებზე გამწკრივებულია ვერძის თავები (ვერძი საფლავზე იდგმევა დუმით აღმოსავლეთისაკენ, ესენი კი პირით აღმოსავლეთისკენ პატივისცემისათვის). 1646 წელს აშენებულა ღამეობით, ამ დროისაა აშენებული აღმოსავლეთი კედელი, 1782 წელს დასავლეთის და ჩრდილო კედლები განახლებულა. 1912-ში სამხრეთი კედელი (გადმოცემით ახალი ეკლესია კონსტანტინეს მიერ არის აშენებული. გეოგრაფია მონთაბანში დაბეჭდილი ქართული, პატრი ვარდიძეს ეკნება). პატრის (??) ეკლესიაზე წარწერაა ლათინმა გააშენაო.

დასავლეთის კედელი.

ეკლესიის ჭარის თავზე მდებარე ქვაზე აწერია:



კარის თავის ქვის მაღლა სამხრეთით დევს ქვა. ძველი წარწერის ნატეხი მრგვალოვანი ასომთავრულით:

1. ... (Ტ)ᲠᲘᲡᲢ ... (ა)ღისა
2. ... (Ტ)ᲪᲢᲡ .. (ა)დას

3. მეორე ქვის ნატეხი უნდა იყოს ქვა, რომელიც დევს კარის თავის ზევით (1 ქვის დაშორებით) ძლიერ დაზიანებით:

1. ... (ზ) . ლ ...
2. ... (ჰ) ... მ ...

4. კარის მარჯვნივ, ჩრდილოეთით არის საფლავის ქვა წარწერით:

ქ: საფლავსა ა
ამასა შინა მდ[ე]
ბარე არს ცუ[რ]
(ა)მირა შვილი
მართლმადიდე
ბელი გასპარა
მიიცვალა 1766
დეკემბრის კვ: (26)

5. ამის წარწერის ზევით (ორი ქვის დაცილებით) არის ძველი ჩუქურთმიანი ქვა, ხვეული.

სამხრეთის კედელი:

6. დასავლეთ კუთხეში უდევს ქვა წარწერით (საფლავის ქვაა):
1. ქ. ცრემლობდით ქალნო და რძალნო ბერუკას
2. შვილის(?) ასულის ზედაქაანთ (?) ნიკოსათვის
3. მეცხედარედ მიყვანილსა მეოც და ათხუთმეტ წ
4. ლისა ესრედ მოკლე მოშრეტილისა (?) ეეედრებოდეთ მუდამ ღთ
5. სა ღირს იქმნას განსვენებისა

აღმოსავლეთ კედელზე არაფერია შესანიშნავი.

ჩრდილოეთ კედელს დასავლეთ კუთხესთან, ბანის ქიმზე უდევს ეკლესიის მოდელიდან დარჩენილი გუმბათი.

ეკლესიის დასავლეთით დევს 1 საფლავის ქვა წარწერით:

.. ჟამისაგან წაყვანილი არუთინ ვარ გრძელა...
. . სრე
. ეთ უფალს შემავედრეთ 1770?

მის გვერდით საფლავის ქვაა სამხრეთით დაზიანებული წარწერით, თარიღი შემორჩენილი აქვს — **1773.**

არის სხვა ქვებიც მე-18 საუკუნის წარწერებით.

სოფელ ივლიტას ჩრდილო განაპირას მცირე გორაკზე არის ძველი სასაფლაო წარწერიანი ქვებით, აღწერილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, მწკრივები კი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

პირველი მწკრივი ძველი წარწერიანი ქვებისა:

1. აღმოსავლეთ ნაწილში სამხრ. მხარეს მდებარე ქვა 145×62 სმ.

1. უ˘ის მხევალი მარიამ პარუნ ონანას ასული
2. მეფისანთ ანტონისათჳს მეცხედრედ სოფლად მოსული
3. ნორჩი ჰასაკით მიცვლილი ორმოცდაათ წელს ასული
4. ლოცვით უ˘ლს შემავედრეთ ღ˘ის სამართლის წინმისული,
5. ქ˘კს ქ სა˘სა 1819 მარტ. 20.

2. პირველის გვერდით ჩრდილოეთით მდებარე ქვა 162×57 სმ ზომით.

1. ყოველგან ლხინი ჩვენსა გლოვა დიდსა აღებდაზის დამესა
2. მიემართე საუკუნო ლხინს გაეშორდი სოფლის ღამესა
3. მეფისათ პეტროსას შვილი ანტონ ღ˘თს მავედრეთ იქ ვიცო
4. ცხლო იგი სჯობს ვით დღე ღამესა
5. 1801

3. მე-2-ის ახლოს, ჩრდილოეთით მდებარე ქვა 178×68 სმ ზომით.

1. 1814
2. დარეჯან დედუფლად მოველ გორიდამ მეფისაანთ პეტროსასი
3. რვა ვაჟის დედა ვიყავი წელიწადიც მქონდა ა–სი
4. ერთი ქალიც მითხოვილი ფირალაანთ ოსეფა–სი
5. ჩემაშვილმა ტერსტეფანმაც რომ ამიგო ყველა წე–სი
6. შენდობით მოგვიხსენიეთ ვალი არ წაგყვესთ არვი–სი
7. 8 . . . 14

4. მეორე მწკრივი წარწერიანი ქვებისა

ქვა სამხრეთით მდებარე 159×63 სმ.

1. აქ არის მდებარე სხეული
2. მეფისათ პავლეს ასულის
3. რისიმესი მჭედლიანთ ლუკ
4. ას მეუღლისა ღმერთმ[ნ] შეიწყ[ს].

მე-19 ს.

5. მე-4-ის გვერდით აკვნისებრი ქვა 65×34×32 სმ.

1. შეიწირე უფალო
2. ზვარაკად ძვირფასი
3. ძე ჩვენი სიმონ პავ — სამხრეთ
4. ლეს ძე მჭედლისშვ
5. ილი და ჰქმენ იგი — მხარეს
6. მეოხედ ჩვენდა სა
7. სუფეველსა შენს
8. დაიბადა ქალაქ
9. ბათომს 25 მაისს
10. 1894 წელს
11. გარდაიცვალა ქ.
12. ახალციხეს 18 ივნის
13. 1898 წელს

მეორე მწკრივი ძველი წარწერიანი ქვებისა:

4 ქვა 134×45 სმ თავზე სწორხაზოვანი ჯვარი აქვს

1. ქ. საფლავსა
2. ამასა შინა მ
3. დებარე არს
4. (ქო)სტანათ გაბო (ასო ო უფრო ი-ს წაგავს)
5. ქორას მეუღ-
6. ლე შუშანა
7. ქს 1768

5. მე-4 ქვიდან (2 მ-ის დაშორებით) ჩრდილოეთით ქვა 143×35 სმ. ზომით თავში აქვს სწორხაზოვანი ჯვარი

1. ქ. მოიხსენე უ
2. ფლო საფლავი

3. ესე:. კოსტნთ გრ.
4. იქორსია.: ქკს ქრის
5. ტესა შობ(ი)ს: . .

მესამე მწკრივი ძველი ქვებისა:

6. აკვნის ფორმის ქვა შემკული ჯვრებისა და ჩუქურთმების სახეებით. 93×62×22 გადაგორებული სამხრეთით გვერდზე. მდებარე სამხრეთ მხარეს.

7. მე-6 ქვიდან 7 მ-ის დაშორებით მაღლობზე იმგვარივე ქვა (აკვნისებური), შემკული ჩუქურთმით 81×50×20 სმ.

IV მწკრივი:

8. სამხრეთ მხარეს ქვა 88×40 ზომით თავსა და ბოლოს ჯვრების გამოსახულებით

1. ქ. საფლავსა ა
2. მასა შინა მდ
3. ებარე ჩაიქო — ჩაიქოლაანი დღესაც
4. ლათ ჯანს ძე — არიან რაბათში
5. იელსაფეთაი
6. შ[ვეთ მოიხე[თ — მე-19 დასაწ.

9. მე-8-იდან 1—5 მ-ზე ქვა 88×43 სმ.

თავში სწორხაზოვანი ჯვარი

1. ქ. ამ საფლავში მდებარე ყლა
2. ჯი (მკალავი) სტეფანას შვი
3. ლი მარიამაი ქსი 1770

10. ჩრდილოეთით განაპირა ქვა 155×53 სმ ზომით თავში ჯვრით

1. ქ: საფლავსა
2. ამასა შინა მდე
3. ბარე მახარობ
4. ლის მეუღლე
5. იე(ლ) საფეთარ
6. შენდობით მოიხ
7. სენიეთ ქსი
8. 177 (0)

11. მე-10 საფლავის გვერდზე, ჩრდილოეთით ქვა 127×47 სმ ზომით თავში ჯვრის გამოსახულებით

1. ქ: საფლავსა
2. ამასა შინა მდ
3. ებარე მახარ
4. ბელი შნდობით ასეა
5. მოიჯსენიეთ
6. ქსი: 1743:

V მწკრივი

12. სამხრეთით ქვა 123×52 სმ ზომით

1. ქ: მოიხსენიე უფ
2. ალო შამირანათ
3. გრიგოლას მეუ
4. ღლე კატარინე
5. 1782. იანვ. 20

13. მე-12 საფლავის ქვის გვერდით ჩრდილოეთით ქვა ზომით 129×43 სმ.

1. [ქ: მო]იხსენე უ[ფ]
2. ალო შამირან
3. ათ სტეფან(ა)
4. გრიგოლის ძე
5. 1781: მაისი 1(5)

14. მე-13-იდან 1,5 მ-ზე ქვა 132×51 (სმ) ზომით თავში ჯვარი

1. ქ. საფლავსა ა
2. მასა მდებარე
3. შამირანათ
4. გრიგორა შე
5. ნდობით მოიხ
6. სენიეთ ქ˝სი
7. 1760

15. მე-14-ის გვერდით ჩრდილოეთით ქვა 135×51 სმ ზომით თავში ჯვრით

1. ქ. საფლავსა . .
2. ა(რ)ს. იდ . . . .
3. . . . . .

VI მწკრივი

16. სამხრეთით ქვა საფლავის 132×47 სმ.

1. (ქ) უბედური დედა ვიყავ
2. სამი შვილით ერთათ მო(ე)კუ
3. დი რამაზათ ანაი 1802.

VII მწკრივი

17. სამხრეთით ქვა საფლავისა 118×51 სმ.

1. ქ. მოიხსე
2. ნიე უფა
3. ლო ესე
4. საფლავი
5. ივანესაი
6. ქ˝ს ულზ ე. ი. 174ყ.

18. მე-17-თან დეეს ჩამოგორებული ქვა, 106×69 სმ.

1. საფლავსა ამასა შინა ბეთანთ (ბეთანათ ახლაც აღიან გაღმა ახალციხეს)
2. რძალი იეღისე (ქალის სახელია)
3. უფალო შენი დიდება ზე
4. ცის სუფევა აღირსე
5. 1791. 16 მარტის

19. პირველთა ჩრდილოეთით საფლავის ქვა, 110×49 სმ.

1. ქ. მოიხსენიე უ˝ო ბეთანათ სტეფა
2. ნეს სული გესავდა თვის ცხოვრება
3. ში განუცხრომე აწ მის გული
4. მიიცვალა 1799 მარ. თვის 5

20. პირველთა მოშორებით მაღლა 132×55 სმ.

ქ. მოიხ(სიეთ) ძმ
ანო (დ)ა მამანო
. . . . ლვი
. . . . უჩი
საბასი
ქ.˝ს. უმბ ე. ი. 1754

21. მე-20-ის ზემოთ ახლოს საფლავისა ქვა 123×41 სმ.

1. ქ. შენდობით მოიხსენიე (მ)კითხველო
2. მდებარე ესე მოლოზნიათ პოღოსას
3. მეუღლე ელენე გიორგობის თვის 7

22. 21-ის ჩრდილოეთით 2 მ-ზე 169×48 სმ.

1.ქ. საფლავსა ამასა შინა მდებარეა
2. მოლოზნიანთ პოღოსას ქალი და მეუ ღვინობ.
3. ღლე ჩახალათ ოსეფასი ანნა: 1801 :5:

23. 22-ის ჩრდილოეთით ახლო 78×41 სმ

1. ჩახალათ ოსეფას ასული
2. ვარ აქ მდებარე სახელით
3. ანაი რომ ვერ გავიხარე მე სამ[ის]
4. [წ]ლისა ვიყავ. ყუვავილს რ~მ
5. 1819 შევიყარე: 10:12.

24. 23-ის გვერდით ჩრდილოეთით 120×54 სმ

1. საფლავსა ამასა შინა მდებარე არს
2. არჯუმელი საიოღლი შაჰ: (ანას) ძე ბოიჯი (მღებარი)
3. ოსეფა აღმომკითხველნო ძმანო
4. შენდობა ბრძანეთ წელსა 1829 სა
5. 15

VIII მწკრივი

25. სამხრეთით მდებარე ქვა 200×63

1. ქ: საფლავსა ამასა შინა მდებარე მაჭან
2. დრიანთ სარქ-სას ძე იოვანეი შენდობით
3. მოიხსენიეთ ქ~სი 1770

26. 25-დან 5—6 მ-ზე ზემოთ აკვნისებური ქვა 88×54×23,5 შემკული ჩუქურთმით. სამხრ. მხარეს მასზე გამოსახულია სამი მდგომარე პირი, მათში პირველს დასავლეთით ხელები ჩამოშვებული აქვს, მეორეს და მესამეს მარცხენები ჩამოშვებული აქვთ. მარჯვენებში ჯვრები უჭირავთ აწეული. ამ მეორეს და მესამეს მარჯვნივ დახატული არიან ბავშვები (თითოსთან თითო), აქვე მესამეს (აღმ.) მარცხნივ (აღმ.) არის წარწერა:

1. ქ(რ) სტ(უ)ს
2. ოღორ-
3. მინ ნე-
4. ფისინ
5. . . . . კ .
6. . . . რთ . . . შ . . ნი

IX მწკრივი

27. სამხრეთით მდებარე ქვა 147× 58 სმ თავში ჯვარ.

1. საფლავსა ამასა შინა მდებარე ენკენის 1ჳ
2. არს ფარემუზათ პოღოსას მეუღლე 1801
3. და ათუათ ბატონჯას ქალი კატარინა

28. მაღლობზე 157×52 სმ მე-27-ის ჩრდილოეთით ოდნავ აღმოსავლეთით

1. ქ. საფლავსა ამასა შინა მდებარე ზა.
2. ლინათ ყაზ₄რას მეუღლე კატარი
3. ნეი შენდობით მოიხსენიეთ ქ~სი
4. 1771

29. 28-ის გვერდით ჩრდილოეთით 133×48 სმ 1781 უ(ო) შენ შეიწყალე ზალინას შვილი მაისის 2. ყაზა

1. 3. შენს სუფეას განუსვენე მ. .
4. . . . . რა
სტრიქონები სწორედ ესეა

30 ცხვარი გადაგორებული უფორმოა.

X მწკრივი

31. სამხრეთ მხარეს მაღლობზე 160×58 სმ.

1. ქ დ. . . ნ . . . ტ. . . ლ
2 . . . ის მე ვართანის ძეს უდროოთა მომგვარა
ძი-ლი
3. . . ვენის მხ . . რეჰე ლო. სგან მე ცოდვილსაც
შეც. . .. ლი
4. თი . . 30 17(90) იყო წელ-ი

32. მაღლობზე ცხვარი მდგომარე უფორმო კუთხეებიანი.

XI მწკრივი

33. მაღლობზე 137X55 სმ

1. ვაი რა სიმწარე დამეცა ახალსა
ვაჟკაცობა-სა
2. ტოლამხანაკში მომაკლო ოცდა ათ
ცამეტი წლი-სა 1853
3. მე ვარ პოღოს გიგინოვი თოფით ო(ქტომ) 13
მომკუდარი ხელი-სა
4. წამკითხველნო ღ˘თს მავედრეთ რომ
გადავრჩე ქავარან-სა

XII მწკრივი

34. მაღლობზე ქვა 136×46 სმ.

ქუშმე ლოდისა ამის მდებარე
არს დიაკი პეტრე ყალაიჯოვის
მეუღლე სარრა აღმომკითხველ 15 აპ˘რ
ნო შენდობით მოიხსენიეთ

35. ჩრდილოეთით გადაღმა 114×45,5 სმ

ქ. მოიხსენიე
უფალო
ესე. საფლო
ავი ყა
უხჩის. შ
ვილი. ოვ
ანესაი.

36. 35-ე საფლავის ქვის გვერდით, ჩრდილოეთით 140×56 სმ

ქ. საფლავსა ამასა შინა მდებარე არს
ყაუხჩი: საკას: მეუღლე შაზადაი:
რომ მეიბარა უფალსა 1766

XIII მწკრივი

37. სამხრეთით ქვა საფლავის 170×57 სმ.

ქ. საფლავსა ამასა შინა მდება...
ათას(კათ) ბატონჯანას მეუღლე

მარიამა მოიხსენიეთ . . .
ჩვენის თქმით დაიწერა (ქსტსი) 177(0) კათათვის (4)

XIV მწკრივი

38. სამხრეთით საფლავის ქვა 140×43 სმ.

1. განანათლე [შ]ენ უ˘ო სული ფროთ
პოღოსასი
2. დაამეე რეშე-ს ემსა იყო
შენი სისხლისფასი
3. ანდროს მუდამ გადიდოს
ჰპოს ანგელოზთა დასი
4. 1794 თებ 20

39. 38-იდან 5 მ-ზე ჩრდილოეთით ქვა გადმოგორებული გვერდზე 137×48 სმ

1. ჲეხსანათ ქალი ხანუმა ვარ ამ
საფლავსა მდებარე
2. ერეკლიანთ ბატონჯანას მეუღლე
ქამს შევიყარე
3. მცირესა ხანის შემდგომად ღ˘თის
სამართალსა გავიარე
4. და მავედრებთ უ˘ლსა ცეცხლსა ვარ
ქავარანს მწარე

40. 39-ის გვერდით 130×49 სმ გული სულ აცირცნილია

1. ქ საფ. . . . ერ(ეკ)ლიანთ
2. ბატ [აცირც] არე ქამიც
3. მო . . . ნილია 188(8)
4. ღმერ ცეცხლის
5. გან

41. მე-40-ღან 2 მ-ის დაშორებით ჩრდილოეთით საფლავის ქვა 150×46 სმ.

1. ქ: საფლავსა ამასა შინა მდებარე
2. არს ერეკლე არუთენა: მარიბის (sic) 28
3. 1799:

სოფელ ნაოხრებში დღეს სახლობენ სომხები გადმოსახლებულნი 1830-იან წლებში. აქ სომეხ კათოლიკეთა ეკლესიის ჩრდილოეთით და დასავლეთით არის ძველი ეკლესიის საძირკველი. ეკლესიის დანარჩენი ნაწილი ახალი ეკლესიის კედლებშია დაყოლებული. აქ წინათ ადგილობრივი ხალხის გადმოცემით ყოფილა თლილი ქვისაგან ნაგები ეკლესია 3 მ სიმაღლით. ეკლესია ერთნავიანი შენობა ყოფილა 10,5×5,5 მ, რომელსაც დასავლეთით ჰქონია რაღაც შენობა 1,6×5,5 მ. ეკლესიას გარშემო ჰქონია გალავანი(?), რომლის ნაშთი შემონახულია ეკლესიის აღმოსავლეთ-სამხრეთით. თამარის დროის ნაოხარი სწორედ ეს უნდა იყოს. ადგილობრივ პირთა ცნობით ამ ადგილს ძველად ერქვა მორენია

ამ სოფლის ზევით აღმოსავლეთით 1 ვერსზე შემაღლებულ ადგილას არის პატარა ერთნავიანი ეკლესია 5×3,2 მ. ნაგები კლდის ნატეხი ქვისა და კირისაგან. კარი აქვს სამხრეთით, ფანჯარა აღმოსავლეთით — 1, დასავლეთით — 1. სხვა მხარეს არ შერჩენია. საკურთხეველს აქვს 2 თაბჩა ერთი სამხრეთით, მეორე ჩრდილოეთით. ტრაპეზი აღარა ჩანს. სამხრეთი კარის მახლობლად გდია ქვა, რომელიც მოყვანილობით ტრაპეზის სახისაა. სამხრეთის კარისაგე თავზე გამოსახულია ჯვარი. ეკლესიის დასავლეთით დგას ხეშავის ბუჩქი, რომელსაც შეთქმულების მიერ თეთრეულიდან ან ტანისამოსიდან მოხეული ნაჭრები აქვს შებმული (გამოკვანძული). ეს ქვა სამხრეთ მხარეს რომ გდია, მართლაც ტრაპეზის ქვა ყოფილა, შიგნით მდგარა. ახალციხეში ჩაუტანიათ ცხენზე შესაჯდომად ფეხის შესადგომად თათრებს, მაგრამ უფროსს ცოლი მოჰკვდომია და ისევ უკან მოუტანიათ, ეს მომხდარა სომხების გადმოსახლების ხანებში. ბეგრით სომხებისათვის წაუღებინებიათ და ისევ ამათთვის ამოუტანინებიათ.

ამ სოფლის — ნაოხრების ჩრდილოეთით ყოფილა რაღაც ქვების გროვა, სადაც არავის არ უნდა აევლო, ის წმიდა ადგილად ყოფილა მიჩნეული, მაგრამ ის ქვები აუღიათ დროთა განმავლობაში, რის გამოც ქართველ მაჰმადიანებისაგან საყვედურიც არ დალევიათ.

ორიე ეს ადგილი ნაოხრებიაო (ზემოც და ქვემო ადგილიც).

ჰარალის ციხე დგას სოფლის დასავლეთით 1 ვერსზე. შენახულია შიგნითი კოშკი ოთხკუთხი და ციხის დასავლეთი კედელი და ნაწილობრივ აღმოსავლეთი კედლის ნაშთი. ციხის ჩრდილოეთით არის შენახული 25 ნასახლარი, დანარჩენი ნაწილი გადახნულია. ციხის კოშკი კარგად არის შენახული. კარი აქვს დასავლეთით ზედა ნაწილში და ქვედას შუა ნაწილში. კოშკის ჩრდილოეთი კედლის სისქე 2,5 მ-ია. ციხის გარშემო კლდე განგებ უნდა იყოს შემოჭრილი გალავნის მაგივრად. ციხე გადაჰყურებს ფოცხოვის წყალს.

სოფელ ტამალის თავზე, აღმოსავლეთ მხარეს არის ეკლესიის ნანგრევი. შენახულა მარტო აღმოსავლეთი კედლის დუღაბი განგრეული სარკმლის ადგილას. დანარჩენი ნაწილი მთლიანად მოსპობილია.

ჰარალის ბეგები გვარად ყოფილან აჭალიშვილები. 40 კომლი მოსახლეა 5 სოფელში. ქართველი მაჰმადიანები არიან. ქართული ენა და გვარები დავიწყებული აქვთ.

სოფელ ინჯგოლაში 15 კომლი ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. ენა აღარ იციან.


ჯაყისმანის ეკლესია ერთნავიანი შენობაა. 10,5×5 მ, რომელსაც სამხრეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთით ჰქონია რაღაც შენობები, რომელთაგან ზოგი ნანგრევებად შენახულა. სამხრეთით მასზე მიდგმული ან მასთანაც აშენებული(?) უნდა ყოფილიყო ორი შენობა. მისგან შენახულა მარტო სამხრეთი კედლების ნაშთი სამრეკლოს ჩრდილოეთ სვეტებთან. სამხრეთითვე ამ უკანასკნელთა გვერდით შენახულია სამრეკლო(?), რომლის აღმოსავლეთითაც არის ეგვტერი ეკლესიის ჩრდილოეთით არის ერთი რიგი ეგვტრებისა, მეორე რიგი კი დაქცეულია სულ. მასზე გვეუბნება პირველი (ჩრდ.) რიგის გარეთ გადაშვერილი კედლები. ეკლესიის გარდა ყველა შენობას პირის ქვა შიგნითა და გარეთ შემოცლილი აქვთ. ეკლესია შედარებით უკეთ არის შენახული, მას ფიქალი (სახურავი) სულ მოხდილი აქვს. ნაშენია შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვისაგან. იგი შესანიშნავი შენობაა. კარი აქვს დასავლეთით — 1, ჩრდილოეთით —2, სამხრეთით — 1. სულ 4. სარკმელი აღმოსავლეთით — 1, სამხრეთით —1, დასავლეთით — 1. სამრეკლოც ნაგებია თლილი ქვისაგან. მას გვერდები გარეთა მხარეს ნაწილობრივ შემოცლილი აქვს. თაღი და კამარებიც შენახული აქვს. იგი დაბჯენილია 4 სვეტზე. დანარჩენი შენობებიდან მარტო დუღაბები დგას. დასავლეთი შენობებისა (გალერეისა) მარტო საძირკველიღა მოჩანს. ეკლესიისა და, სამრეკლოს გარდა თაღი ყველას დაქცეული აქვს. ეკლესიაში შეუტანიათ ხეები და დანარჩენი შენობები გომად უქცევიათ, ყოჩაღ ხმალაძე!

სამრეკლოს ქვეშ დევს ამოღრმავებული ქვა, რომელიც ემბაზი უნდა იყოს, ზომით 78×113×64 სმ.

ეკლესიის კარნიზები, სამხრეთის კარი, სამხრეთის სარკმელი და დასავლეთის სარკმელი შემკულია ჩუქურთმით. სამრეკლოს კამარა დასავლეთ მხარეს შემკულია ჩუქურთმით და მაღლა ჯვრით, რომელსაც

აქვს წარწერა. ამ წარწერის მარჯვნივ არის ცხენოსნის (წმიდა გიორგის?) გამოსახულება. ასეთივე გამოსახულება უნდა ყოფილიყო მარცხენა მხარეს, მაგრამ ქვა დაკარგულია. სამრეკლოს აღმოსავლეთით მდებარე ეგვტერს შერჩენია თაღის ნაწილი.


სამრეკლოს ჩრდილოეთი მხარის კამარის ქვეშ, აღმოსავლეთ სვეტზე პირით დასავლეთისაკენ ჰქონია ასომთავრული წარწერა[15]. იგი მზე-წვიმისაგან დაზიანებულა. წარწერას თავში აკლია დაახლოებით 8—10 სტრიქონი:



ე. ი. ვინცა . .
. . სც . .
დაუსაბამო(ჲ)სა ....
ნუმცა არს წარმართებაჲ მისი
11.

ყოვლად მას საუკუნესა, ანუ რაჲ საცა მიზეზითა მისგან (ღმერთო სულის) . .

2. სამრეკლოს დასავლეთ მხარეს ჯვრის გარშემო აწერია




ე. ი. „წმიდაი[ა]ნ[ი]
ჯვ[არ]ი
ესე: ს აშენა
ამხე[ა]
ყ[ო]ფ[ა]რ
კა[ა]ლ[ა]
ას(ი)ჩ ოსინ
ნი
ყ[ა]ყ[ა]ჩ ე შეყნ[ე]ულ
ტ[ა]ძ[ა]რთმ[ა]ც

მე-3 სტრიქონის მარჯვენა მხარეს — ესეა სწორედ „ᲪᲧᲮᲩ“-ს ქარაგმა არა აქვს.

ჯაყისმანში არიან გორგაძეები, ისინი ენათესაებიან ვალეს გორგაძეებს. 4 ძმა ყოფილა, ერთი დარჩენილა ჯაყისმანს, ერთი ვალეს ჩამოსულა, ორი იმერეთს წასულა.

სოფელ არალში არის ძველი ეკლესიის ნანგრევი. იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა, რომელსაც ჩრდილოეთით ჰქონია ეგვტერები. ეკლესიისა შენახულა მარტო ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის კედლები, ისიც ნაწილობრივ დანგრეული, ეკვდერისაც ჩრდილოეთის კედელი. ეკლესია ზომით არის 15×5,5 მ. აღმოსავლეთ კედელს შენარჩუნებული აქვს რამდენიმე თლილი ქვა. კანკელის ადგილას დევს ორი ქვა, ერთი მარცხნივ, მეორე მარჯვნივ, შემკული შესანიშნავი ჩუქურთმით. ზომით მარჯვენა (ჩრდ.) არის 80×115×53 სმ. მარცხენა (სამხრ.) არის 86×125×25 სმ. აფსიდის ძირა ნაწილი ნახევარწრე შენახულია. ეკლესიის სამხრეთით, ეზოზე დგას სვეტი ოთხკუთხი, რომელსაც სულ ძირს უდევს 2 ქვა. მათზე 1 ქვა. უკანასკნელს ამოხვრეტილი აქვს და მასზე ამართულია სვეტი 256×30 სმ. ქვების (ორი რიგის) სიმაღლე 70 სმ. ეკლესიის ჩრდილოეთით მიშენებული ეგვტერები სიგანით არის 2,5 მ. ეკლესიის ეზოზე სამხრეთის მხარეს ამართულია სვეტი ქვისა, რომელსაც დასავლეთ მხარეს მაღლა აქვს წარწერა. სვეტს თავი მოტეხილი აქვს, ნატეხები ინახება იქვე. წარწერა ხუცურია:



ე. ი. „ქრისტე, სახელითა
ღმრთისაჲთა
აღემარ
თა ძელი
ცხორებისაჲ
ჴელითა მახ
ასითა სა
ლოცველად
მშობელთა
მისთათუის
ა(მენ)“.

სიტყვა მახა გვხვდება ზარზმის ზემოთ დასავლეთ-სამხრეთით მდებარე ადგილის — მახაჭალის — სახელში, ესეც სახელი გვხვდება ნიკოლოზ კ'ზის მიერ არვანზეგ საბაის ძისადმი მიცემულ სიგელში XIII ს-ს. იგივე იკითხება მახოშვილების გვარში, რომელიც დღესაც შენახულია კახეთის სოფ. კაჭრეთში.

ორჭოშანის ბოლოს მცირე ბორცვზე არის ნანგრევი რაღაც შენობისა, ვგონებ ეკლესიისა. ჩანს აკლდამები ძვლებით. ზევით კირის ნაშთიღა მოჩანს. ამის ქვევით აღმოსავლეთ-სამხრეთით არის ციხის ნანგრევი. შენახულია მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაშთი. ამის ჩრდილოეთით დიდ მანძილზე არის ნასოფლარი, შენახულია მრავალი სახლის ნანგრევი. სოფლის ფაგებში უპოვნიათ ჭურჭელი, რომელშიაც იყო ოქროს ფული, ერთ მხარეს დერვიშის (ბერი!) გამოსახულებით, მეორეზე — ღორი, პირში სატევრით. ვიღაცეებს წაუღიათ, ფულით შეუსყიდიათო — ტიგრან გაბრიელას ძე ბაბოევი 67 წლისა. ორჭოშანს (ასე თქვა იქაურმა კაცმა) არიან: მაისურაძე — 7 კომლი, კოპაძე — 20, კვანაძე — 5 და სხვა, სულ 62 კომლი.

ბუზმარეთის ეკლესია ზიარეთს უწოდებენ ქართველი მაჰმადიანები. დგას სოფელ წყისეს სამხრეთით მთის მაღალ კალთაზე სოფლიდან 2 ვერსზე. იგი ერთნავიანი შენობაა 4,8×3 მ. ნაგებია თლილი ქვისა და კირისაგან. დგას მარტო კედლები, თაღი კი დაქცეულია. საკურთხევლის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის ნაწილი დაქცეულია ნახევრამდე. გარეთა პირის ქვა სულ შემოცლილია, შიგნითა პირი კი შენახული აქვს. საკურთხევლის ნაწილში ყრია ზემოთ ხსენებული (ალბათ) აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ ნაწილის კედლების ქვები. ეკლესიის გარშემო არის მრავალი ქვა მისგან ჩამოღებული. ეკლესია ჩვეულებრივი ერთნავიანი შენობაა; კარი აქვს სამხრეთით, ფანჯრები არ შეჩრჩენია. ეკლესიის გარშემო ყრია ჩუქურთმიანი ქვები. სულ ვიპოვე 4 დიდი და 3 ნატეხი ჩუქურთმიანი ქვები. ეკლესიაში კანკელის ადგილას, შუაში, დგას ქვაჯვარა, რომელსაც ძირა ნაწილი სწორი აქვს.

1. ქვაჯვარა ზომით არის	71×61×29 სმ.
2. ჩუქურთმიანი ქვა ზომით არის	61×52×20 სმ.
3. „ „	76×50×21 სმ.
4. „ „	86×61×13 სმ.
5. „ „	21×17×16 სმ.
6. „ „	27×14×17 სმ.
7. „ „	16×23×7 სმ.

2—7 ქვები და ქვის ნატეხები ფოტოზე გადავიღე. აღწერილი არიან მარცხნიდან მარჯვნივ, უკანასკნელი რიგი ძირიდან ზევით.
8. ჩუქურთმიანი ქვა 60×17×35 სმ.

ავტორისეული შენიშვნა: № 1. შიგნით არის ეკლესიაში. № 2—7 სამხრეთ კედელთან დავაწყე. № 8 ეკლესიის აღმოსავლეთით დევს ნანგრევ ქვებზე. ეკლესიის გარშემო არის შენობათა ნანგრევები. ჰხურებია ფიქალი, აქ ძირს ყრია მისი ნატეხები.

აქ ცხერებს ხოცავენ ყველანი — ქრისტიანები და მაჰმადიანებიც. ბუჩქებსა და ხეებს შებმული აქვს კვანძები ტანისამოსისგან.


ვახუშტი:

„ბოცოს-წყალსა და ქვაბლოვანის-წყალს შორის, ხვანასა და უდეს შორის არს მთა (ეს მთა არის „მარათა"), წარსული გურიის (უნდა იყოს აჭარის) მთიდამ აღმოსავლეთით. ამ მთასა შინა არს ვანას (სახელი ვანა არ შენახულა. ეს უნდა იყოს ბუზმარეთის (?) ეკლესია, სადაც არის ფეგი) მონასტერი, შეენიერი, კეთილნაგები, და მუნვე ქვებნი (გამოქვაბულები ბუზმარეთის მიდამოში არ არის) გამოკვეთილნი, დიდ-დიღნი, კლდესა შინა და აწ უქმნი. ამავ მთაში არიან ზეგანის დაბნები".

ქ. ახალციხეში გადმომცეს ცნობა, რომ ძველად წყისეს სერზე ყოფილა ჯვარი წარწერით, რომელიც წაუღია ვიღაც ადგილობრივ პირს და თავის სახლისათვის გამოუყენებია სეტად. მე მოსვლისთანავე ვიკითხე, დამიმალეს, აქ არავითარი ჯვარი არ ყოფილაო, მერე თქვეს იყო და არ ვიცით ვინ წაიღოო. მე ძალა მივიტანე და ბოლოს ოთხმა კაცმა მიმიყვანა ერთ სახლთან, ოჯახის უფროსი დაღუპული იყო. ჰკითხეს, ჯერ გარეთ კარაპანს, ანუ საჩეხს ქვეშ შედგმულ სვეტზე გვაჩვენა. მე ვნახე არავითარი წარწერა არ ჰქონდა მე ვუთხარი, რომ ესეც იმისია, მაგრამ წარწერა არ უჩანს და უნდა იყოს სხვა ქვაც წარწერითო, მით უმეტეს სვეტს აკლდა სიმაღლე. ამის შემდეგ შეგვიყვანეს დერეფანში და აქ კუთხეში იდგა ჯვრის კვარცხლბეკი, რომელიც წყლის საყენებელ ჭურჭლად გამოეყენებინათ. დერეფანში ბნელოდა; ქვა მაშინვე გარეთ გამოვატანინე, ამოვიკითხე წარწერა, გადავიღე მისი ფოტოგრაფიული სურათი და ვუთხარი, რომ ქვა გარეთ დებულიყო და შიგნით აღარ შეეტანათ, რადგანაც ამ დღეებში წავიღებდი სატფილისოდ. მართლაც სამი დღის შემდეგ ხსენებული ქვა ჩამოვატანინე 20 მანეთად სოფ. უდეს. მძიმე ქვა იყო და ძლიერ საწვალებელი ჩასატანად. გზაში ურმიდან გადმოუვარდათ ტალახში და ლამის მეურმის ბავშვი დააზიანა. ერთი უღლით მისი ჩამოტანა უკვე შეუძლებელი გახდა, მეორე უღელი მოუმატეს და ისე ჩამოიტანეს უდემდე. აქ იგი

შევინახე ყოფ. ქართული კათოლიკური ეკლესიის ეზოზე სხვა ჩემ მიერ მოგროვილ ქვებთან ერთად.

ჯვარი აღმოჩნდა სოფ. წყისეს მცხოვრებ ჩახალ ფეიზულ ოღლის შვილის მაჰმუდის სახლში. ადგილობრივ პირთა ცნობით, ჯვარი აღმართული ყოფილა წყისეს აღმოსავლეთ მცირე სერზე. იგი შედგებოდა ორი ნაწილისაგან: კვარცხლბეკისა და სვეტისაგან, სვეტი სიმაღლით 1 საჟენზე მეტი ყოფილა, მისთვის 1920 წლებში გამვლელ-გამომვლელებს თოფი უსვრიათ (ნიშანში იღებდნენო. ამის ნიშნები დღესაც ეტყობა კვარცხლბეკსაც და სვეტის ნაშთსაც) და დაუმტვრევიათ. სვეტს თავზე ჯვარი ჰქონია გამოსახული. ამის შემდეგ ეს ნაშთები თავის სახლში გადაუტანია ზემოხსენებულ პირს, რომელსაც სვეტის ნაშთი (უდიდესი ნაწილი) 110×32×33 სმ. კარაპანისათვის შეუდგამს სვეტად (სახლის კედელთან), ხოლო მისი ნატეხი კი სახლის კედელში დაუტანებია მასალად. სვეტის ძირი კი დერეფანში შეუტანა და წყლის ჭურჭლად ეხმარა. კვარცხლბეკი მესამე დღესვე წამოვიღე და ჩამოვიტანე უდეს. სვეტის გამოღებაც მინდოდა, მის მაგიერ ხის სვეტი უნდა შეგვეყენებინა კარაპანისათვის, მაგრამ კარაპანი ისე დაძაბუნებული იყო და გადაზნექილი ერთ (ჩრდ.) მხარეს, რომ ოდნავი შერყევა მისი წამოაქცევდა, ხოლო მის დაშლას და სულ ახალის დადგმისათვის კი საჭირო იყო არანაკლებ 100—150 მანეთისა, რაც მე არ მქონდა. ამიტომ შეუძლებელი გახდა მისი გამოღება და ადგილობრივე დავტოვე, მით უმეტეს იგი პირვანდელი სვეტის ნაშთიღა იყო. წარწერას ასეთი სახე ჰქონდა[16].



ე. ი. „ესე ჯუარი ქრისტჱსი მე, კოსტანტი ძემან / სტეფანესმან და გუდას / მან აღჰუმართე სახელს/ა მცხეთისა ჯურისასა, ნასყი/დევსა ქუეყანასა ზედა / შაჰრამანსა ა, სალოცველად ჩუენ/და ცოლისა და შვილთა / ნოენბერსა იზა — /ხნგჰ/ ლგ / ნოგლრსა /ე...“

წარწერის ქვედა სტრიქონი დაზიანებულია.

წარწერა საინტერესოა პალეოგრაფიულად. მასში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჱ, ჟ, ჭ. ესენი თავშეკრულებია.

წარწერა ყურადღებას იპყრობს ენის მხრივაც, იგი ჰაემეტია (აღჰუმართე). მასშივე საინტერესოა აგრეთვე სიტყვა შაჰრამანი, რომელიც ერთ-ერთ თვეს უნდა აღნიშნავდეს სპარსულად. პალეოგრაფიულად წარწერა ეკუთვნის VIII ს.

ორივე სოფ. წყისაში 50 კომლია ქართველი მაჰმადიანებისა. აქ არიან ასლანაშვილები ერთი გვარიდან წარმოშობილები.

ზემო წყისეში არის ეკლესიის ნანგრევი. იგი არის სოფლის აღმოსავლეთის ძირს. შენახულა მარტო საძირკველი. ზომით არის 8×5,6 მ. წყისეს ჯვარი-სვეტის ჩრდილოეთით ყოფილა აღმართული მეორე მცირე ჯვარი-სვეტი (ფიქლიდან). წარწერა არ ჰქონია. იგი ვიღაცას წაუღია.

წ ყ ი ს ე ს „გაღმაუბანს“, ლოდოვან სერზე, სოფლის ქვევით არის ნაეკლესიარი. აქ სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში საძირკველთან უდევს ქვა ზომით 50×88×34 სმ. მასზე გამოსახულია მდგომარე პირი, რომელსაც მარჯვენა ხელში რაღაც იარაღი უჭირავს, მარცხენაში საზომი (?). პირველი იარაღისა შერჩენილია ტარი (იაკობ ბალახაშვილის სიტყვით კვერი იყოო, მეორე საზომიაო). გამოსახულებას პირის სახე სულ დაზიანებული აქვს.

ქ ვ ე მ ო წ ყ ი ს ე ს ჩრდილოეთ სერზე დგას ეკლესიის ნანგრევი. იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა. ზომით 6,5×4,2 მ. ნაგები თლილი ქვით და კირით. შენახულა მხოლოდ აღმოსავლეთი ნაწილი; გარღვეულ-განგრეული ფანჯრის ადგილას (ე. ი. შუაში), მას პირის ქვა შერჩენია. მხოლოდ შიგნით, მაღლა და ძირა ზოლზე. დანარჩენი კედლებისა არის მხოლოდ საძირკველი. ეკლესიის გარშემო არის მრავალ შენობათა ნანგრევები. ეს გორაკი თუ სერი დაფარულია უზარმაზარი ლოდებით.

უ დ ი ს წ მ. გ ი ო რ გ ი ს (პატარა ეკლესია) ერთნავიანი შენობაა ზომით 6,5×3,6 მ. ნაგებია თლილი ქვით და კირისაგან, ჰხურავს ფიქალი. კარი აქვს სამხრეთით, ფანჯარა აღმოსავლეთით — 1, დასავლეთით — 1. დასავლეთის ფანჯარა განახლებულია და ზევით უდევს

მცირე ქვა სომხური წარწერით, რომელიც განახლების დროს არის დადებული. შიგნით დასავლეთ ნაწილში გამართულია აივანი. საკურთხეველს აქვს ორი მაღალი ღრმა თახჩა. ტრაპეზი ქართველ კათოლიკეთა ყაიდაზეა გამართული. ეს დღესაც ქართველი კათოლიკებისა არის. ჩრდილოეთ კედელში საკურთხეველთან არის ემბაზი — ოთხკუთხი ქვა ოთხკუთხად ამოჭრილი. შიგნით გალესილია კირით. ეკლესიას დასავლეთ მხარეს წარწერის (1842 წლ.) მარცხენა მხარეს უდევს ქვა ჯვრის გამოსახულებით (იხ. ნახ. 24). სამხრეთ კედელზე მდებარე ქვებს აქვს ჯვრის გამოსახულებანი სულ 6 ქვაზე. ჩრდილოეთ მხარეს არის ასეთივე ქვები.

ეკლესიის აღმოსავლეთით 6 მ-ზე არის ქვაჯვარა (ნახ. 25). ჯვარის ძირს დასავლეთ მხარეს ჯვრები აქვს გამოსახული, ჯვარს კი შუა გულში ნახევარბუშტი. ძირის ზომა უდრის 51×79×65 სმ. ჯვრის ზომა— 92×86×22 სმ. ამ ქვაჯვარის აღმოსავლეთით დევს საფლავის ქვა ჯვრის გამოსახულებით. ზევითა ნაწილში ზომით 128×43×38 სმ. ჯვარს ნახევარბუშტის ზევით აქვს უბრალო ხაზების ჯვარი. ზემოაღწერილი ეკლესია, როგორცა ჩანს, განახლებულია 1842 წელს.

უ დ ე. უვაროვა რომ წერს, რომ აქ ეზოზე ყრია ქვები ვეფხისა, ლომისა და სხვ. გამოსახულებით, ამ ქვების საქმე ასეა:

1. ქვები ვეფხისა და ლომის; კიდევ იონა მუცელსა ვეშაპისა; კიდევ გველის. ესენი სამრეკლო სახლის საფუძვლებში ჩაუყრიათ, დაუმტვრევიათ და ისე უხმარიათ. ერთი ამ ქვათაგანი ძლიერ დიდი იყო, თითქმის ორმოც ნაწილად გატეხეს და ისე იხმარეს. ეს ვეფხვი და ლომი კი არ იყო, არამედ სხვა, შესაძლებელია იონა მუცელს ვეშაპისასა.

2. უ დ ი ს სამრეკლო სახლის ჩრდილოეთ კედელს, პირით ჩრდილოეთისკენ, აქვს სახატე (აღმოსავლეთ ნაწილში), რომელშიაც ქვაზე გამოსახულია ჩვილედი ღვთისმშობელი 44,5×42,5 სმ. ქვას მარცხენა ზედა კუთხე ატეხილი და დაკარგული აქვს. ღვთისმშობელის მარჯვენა ზედა კუთხეში შენახულია ანგელოზი. ღვთისმშობელი ზის ტახტზე, გამოსახულია წელამდე. ყრმა უჭირავს მარცხენა მხარეს. ყრმა მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში გრაგნილი(?) უჭირავს. იგი ჩამოტანილია ჰულედან 40 წლის წინათ. ამ ქვის ქვეშ დევს სხვა ჩუქურთმიანი ქვის ნატეხი. სახატეს გვერდებზე და მაღლა არის ძველი ეკლესიებიდან დარჩენილი ჩუქურთმიანი ქვები: 2 ცალი მარჯვნივ (აღმ.), 2 მარცხნივ (დას.) და 1 მაღლა.

ახლანდელი ღვთისმშობლის (დიდი ახალი) ეკლესიის ადგილას ძველად ძველი შენობა (ეკლესია) ყოფილა. მისი მასალა ახლისათვის

შეუხმარებიათ. ახალი ეკლესია გუმბათიანი დიდი შენობაა. ეკლესიის სიძველენი: 1. საეკლესიო წიგნი — „მისსალი“, მხედრულად ნაწერი 1816 წ. ზომით 27×18×2,5 სმ, 293 გვერდი, შემკული 8 ფერადი ხატით და სხვა წვრილი სახეებით შავად. წიგნს სათაურად აქვს:

მისსალი
კაფუჩინთ კრების
რიგისამებრ
გაკეთებული იმავე ფრა
ნგული მისსალისაგან ქა
რთულს ენასა ზედა ვინმე
წერვის მსახურისაგან მოწა
დინებითა და ხარჯითა ფრა კარ
ლოსი იმავე კაფუჩინთ რიგოსნისა
აღესრულა წელსა უ˘ისასა ჩყიე: ოკ
ტომბრის კ˘ე ახალციხესა შ˘ა
1816:

წიგნს ბოლოში აქვს ანდერძი, რომლის ბოლოსაც წერია: აღიწერა და აღესრულა ვინმე წერისმოყვარისაგან სახელად ტერ ანტონ წოდებულისა, უღირსი მღვდლისა, აბასტუმნელი თუმანიანთ გვარისა. ძისა იოსებისა. საშუალითა და ხარჯითა პატივდებული ფრა კარლოსი იმავე კაფუჩინთ რიგოსანისა: წელსა უ˘ისასა 1816 ოქტომბრის დამლევს.

სათაური სტრიქონების მიხედვით არის გადმოწერილი, ანდერძიდან ამოწერილი კი უსტრიქონებოდ ზედმიწოლებით.

სოფ. უდის ქართულ კათოლიკურ ახალ ეკლესიაში აღმოჩნდა სვეტი ჩამოტანილი ფოცხოვის ხეობის სოფელ ფეტობნიდან[17]. აღნიშნული სოფელი დღეს საზღვარის იქით არის. ჩამოუტანიათ დიდი ხნის წინ უდის მცხოვრებს ივ. მერაბაშვილს 18-იან წლებში. უვაროვს ეს სვეტი უნახავს ძველ ეკლესიაში (МАК IV), რომელიც მდგარა ახალი ეკლესიის ადგილას. სად იყო აღმართული ეს სვეტი ფეტობანას ეკლესიის შიგნით თუ გარეთ, არ ვიცით. საფიქრებელია, რომ იგი უნდა მდგარიყო გრიგოლ ჯაბატოსის სვეტის მაგვარად ეკლესიის შიგნით, კანკელის წინ. სვეტი მოშავო (?) ფერის ქვისაა. იგი ოთხკუთხია, სიმაღლით არის 63 სმ, სიგანით 31 სმ გამოსახულებებით ოთხივე მხარეს.

ერთ მხარეს გამოსახულია ღვთისმშობელი (ორანტას პოზით) ხელაპყრობილი; მის ფეხებთან დაჩოქილა ვინმე პირი, წამოსასხამიო.

ვგონებ მანდილოსანი, მავედრებელი. დანარჩენ სამივე მხარეს გამოსახულია მთავარანგელოზები (თითო თითო მხარეს); ყველანი ადგილ-ადგილ დაზიანებული არიან, განსაკუთრებით ღვთისმშობელი. გამოსახულებებთან არის ასომთავრული წარწერა.

ღვთისმშობლის მხარეს:

1. ღვთისმშობლის ზევით სეტის სიგანის მაღლა ზოლზე იკითხება:

: ⴒⴓ[ⴍⴕ]ⴑⴘⴅ(ⴃ)[ⴊⴖⴓ] წმიდაო ღვთის მშობელო

2. ღვთისმშობლის ძირს მარცხენა ფეხთან: ⴘ᷄ⴘ მარიამ
3. ღვთისმშობლისავე ფერხთან ქვეშ:

ⴑ᷄ⴑⴓⴀⴈⴕⴑ დედაო ღვთისა
ⴀⴘ᷄ⴄⴃⴝⴑ ო მიოხე ბასილევს
(ⴘ᷄ⴊ) მეფე

მეორე მხარეს: ⴒⴕⴑⴑⴘⴍⴊⴑ

1. ანგელოზის ზევით
2. ანგელოზის ძირს

ⴑⴓⴑⴊⴖⴑ ფარსმანის
ⴑⴍⴑⴑⴖⴑⴑ დასულსა
ⴘⴍⴒ᷄(ⴍ)ⴊⴝⴑⴑ მანანაისა

მესამე მხარეს: ⴊⴑⴊ(ⴂ)ⴟⴅⴕⴖ[ⴍ](ⴎ)(ⴟⴆⴊ)

ანგელოზთ ზევით ესეც გაბრიელ ანგელოზი

მეოთხე მხარეს: ⴊⴄⴅⴑⴟⴄⴘⴘ(ⴑⴅ)[ⴖⴀ]

ანგელოზის ზევით ეტყს? გობრონის მაჭა

რომელი ფარსმან მეფეა წარწერაში მოხსენებული, არ ვიცით. საფიქრებელია უფრო უკანასკნელი (VI), რომელიც ვახუშტი შეფობდა 512—557 წლებში (?) და ძეგლიც VI საუკუნის ნახევარს უნდა მიეკუთვნოთ.

ძეგლი მეტისმეტად ძვირფას მასალას წარმოადგენს ჩვენი ისტორიისათვის. ქანდაკებათა შორის დღევანდლამდე ყველაზე უძველესად ცნობილი იყო მცხეთის ჯვრის ეკლესიის გამოსახულებანი VII ს. დასაწყისისა, მაგრამ, ვინაიდან ეს ძეგლი აღნიშნულ გამოსახულებებზე

უკანასკნელი 60 წლით მაინც ადრინდელია, ამიტომ დღეიდან ქანდაკებათა შორის ეს ძეგლი იჭერს პირველ ადგილს.

ძეგლი ძვირფასია სხვა მხრივაც. საქართველოს ისტორიიდან ვიცით, რომ ბიზანტიის მეფეები საქართველოს მეფეებს უწოდებდნენ βαιχεσ ე. ი. მეფეს (იხ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორია). ქართულად ისინი იწოდებოდნენ მეფეებად, ხოლო ძეგლის წარწერიდან ჩანს, რომ მეფეებს ბერძნული სახელიც (ბასილეს) უტარებიათ. ეს ერთადერთი ძეგლია, რომელიც ამის მასალას იძლევა.

უკანასკნელი წარწერა არკვევს ფარსმანის მეუღლის სახელს, რაც ისტორიით ცნობილი არ იყო.

პალეოგრაფიულად წარწერა რაიმე განსაკუთრებულ თვისებებს არ შეიცავს, ასოების მოხაზულობა ჩვეულებრივია.

ანკაწაკი — ჯიუტი

ინადი — კერპი, ინადიანი — კერპი

ხიზაბავრელ ტერპოლოს (პავლე) ჰონიაშვილს, არალის მღვდელს, ქართული ხელნაწერი სახარება, ტყავზე დაწერილი, გაუყიდია ტფილისში 35—40 წლის წინათ. ეს წიგნი გაყიდა მისმა ძმისწულმა ვასილმა.

ქართველი მაჰმადიანების გვარები უდეშიდ ბარათაშვილი 28 კომლი, კანჭაძე (კაჭათი) 10 კომლი, ჩილაშვილი 10 კომლი, ბერიძე (ბერთი) 15 კომლი, აბულაძე 18 კომლი, პეტაშვილი (პეტათი, ელათი — ელაშვილი) 15 კომლი, ბაქრაძე (მოლოზნიანთი) 20 კომლი. სულ 130—150 კომლი.

სოფელ უდის მცხოვრებმა იაკიმე სერაფის ძე ბალახაშვილმა გადმომცა ავგაროზის მაგვარი რაღაც ხელნაწერი სამ ფურცლად.

უდის ნასაყდრევი არის სოფლის ჩრდილო-დასავლეთით. შენახულია მარტო საძირკველის ნაშთი, 6,2×3,5 მ. შიგნით გდია კირის დიდი ნატეხი, აქვეა ჩუქურთმიანი ქვა 32×29 სმ. აქვეა მრგვალი სეტის ნატეხები.

უდის ნასაყდრევის ეკლესია ნანგრევად არის; შენახულია მარტო დუღაბი. შიგნით საძირკველს (აქა-იქ) და საკურთხევლის ნაწილს შერჩენია თლილი ქვა, გარედან კი ქვედა ნაწილში აქა-იქ შერჩენია კლდის დიდი ქვები. ზომით არის 13,4×6 მ. დუღაბი დგას 1—2—3 მ სიმაღლისა, ეკლესიაში არის სამი დიდი ნატეხი დუღაბისა (ორი საკურთხევლის ნაწილშია, ერთი შუა ეკლესიაში ჩრდილოეთ კედელთან აღმოსავლეთ ნაწილში); ეკლესიის დასავლეთით გდია დუღაბისავე სამი ნატეხი: ორი დიდი და ერთი პატარა. ძეგლის ქვები მასალად უხმარიათ. საკურ-

თხეველს ჰქონია მრგვალი მაღალი თახჩები (?) სამხრეთის თახჩა (?) 1 მ სიმაღლისა არის შენახული. კარი ჰქონია ძველად სამხრეთით, სარკმელი არ შერჩენია. ეკლესია შესანიშნავი შენობა ყოფილა. გეგმაზე ზომას ცოტა (1,5 მ) აკლია. ეკლესია დგას სოფელში ახალი ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით; მის ჩრდილოეთით მეზობლად ადგილი არის მიხეილ სოლომონის ძე ადლეიშვილისა (სახ. 26).

სოფ. უდის ბოლოს ქვაბლიანის წყლის მარჯვენა მხარეს შენახულია ხიდის ბურჯი. მას ჩრდილო მხარეს თაღისაკენ ნიმავალ პირზე ზევითა ნაწილში თლილი ქვა აქვს სამ პირად (სწორხაზოვანი წყობით) შენახული. იგი ქვიტკირისაა, სხვა მხარეს შეწოცლილი აქვს. ბურჯს ზევით, სამხრეთით, არის ბურჯზე გადასაბმელი კედლის ნაშთი. ბურჯის სიმაღლე 3 მ, სიგრძე 5,6 მ, სისქე 4 მ. ამას ჰქვიან „ციოხნის ხიდი".

უდის ციხე ჩაკირვით არის ნაშენი. კედლის სისქე 1,5 მ (იხ. ნახ. 27).

უდის სასაფლაოზე გადაღებული ქვა ზომით არის $94 \times 72 \times \frac{20}{24}$ სმ.

უდეს ჩამოტანილი ქვა (ხაზალიდან) შოშიას ხსენებით ზომით არის 37×67×21 სმ. წარწერა:

(Ⴒ)ᲠᲐᲡᲐᲮᲡᲐᲕᲡ-
ᲧᲐᲧᲘ

ე. ი. „... განუსვენე სულსა შოში(ასსა)"

ზაზილიდანვე ჩამოტანილი გუმბათის სიმაღლე 63 სმ, გარშემო 89 სმ.

უდის სასაფლაოზე ჩემ მიერ გადაღებული ძეგლები მდებარეობენ აღმოსავლეთ ნახევარში მთელ სიგრძეზე, ცხვრების უმეტესობა აღმოსავლეთ მხარეს არის სამხრეთ ნაწილისაკენ. პირველად გადაღებული საწურავიც (იხ. ნახ. 28) აქვეა. მეორე საწურავი (იხ. ნახ. 29) კი აღმოსავლეთ მხარესვე ჩრდილო ნაწილში; ეს უკანასკნელი ზომით არის 128×93 სმ.

უდის სასაფლაოზე, გარდა გადაღებული ორი საწნახლისა, არის კიდევ სხვა ქვები, რომლებიც საწნახლები არ უნდა იყოს. ეს არის:

1. ვარცლიანით ამოღრმავებული გრძელი ქვა. ასეთი ქვა ორია: ერთი დევს აღმოსავლეთ ნაწილში შუა ადგილას, ზომით არის 156×55×20 სმ. მეორე ქვა აღმოსავლეთ ნაწილშივეა ჩრდილო მხარეს, მეორედ გადაღებული საწურის დასავლეთ მხარეს 1,5 მ-ზე. იგი ზომით არის 163×61×23 სმ.

2. ოთხკუთხისებრი ქვა დიდი მრგვალი ამოღრმავებულით შუაში. იგი დევს მეორედ გადაღებული საწნახლის სამხრეთით 2 მ-ზე. ზომით არის 80×73×40 (?) (თუ სწორია, მიწაში ზის) სმ.

არც ერთი ამათგანი საწნახელი არ უნდა იყოს, არამედ სხვა საჭიროების უნდა იყოს. მაგ., ღარი გადმოსადენლად არც ერთს არა აქვს, არც ნაპირები აქვს სწორი ზევიდან, საწურის ნაწილების დასადგმელად.

ცულიან ცხვარს: პირველი ნატეხი ზურგზე ნაწილობრივ ატეხილი აქვს. მეორე საწნახლის აღმოსავლეთით მდებარე ცხვარს დუმა სწორი ნაკეცივითა აქვს.

ნაკეცებიანი ცხვარი სულ არის 3. პირველს, შიდა ნაწილში მდებარეს (ცულიანს დუმის მხარეც და გვერდიც ძირს) ჩათლილივითა აქვს. მეორეს, გადაღებულს ცხვრების გროვაში, დუმა მიწაში აქვს და არა ჩანს. მესამეს ცალკე გადაღებულის, ცხვრების გროვის აღმოსავლეთ-სამხრეთით მდებარეს, დუმა აქვს. ეს ცხვრები ორ-ორი ნაკეციანია. 3. დანარჩენ ცხვრებს ზოგს ჩათლილი აქვს, ზოგს დუმა აქვს და სხვა.

უდის ეკლესიასთან მდებარე დიდი წარწერიანი ქვა ჩამოტანილი ყოფილა წყისეს სერის ეკლესიიდან. ქვას მარჯვენა მხარეს მოტეხილი აქვს. წარწერიდან დარჩენილია:

1. ᲔᲧᲑᲢᲩᲔᲡᲢ . . . . . ე. ი. „(მეო)ხებითა წმიდისა...
2. . . . . ა და ქრნი . . . .
3. ·ᲢᲔᲢ(ᲮᲘ)ᲐᲠᲒ . . . . . მშობელსა...
4. . . ᲐᲧᲫᲖᲡᲢ . . . . . ქორონიკონი იყო ,ჳ" (ს) ოცსა წმიდასა"...

(ᲮᲘ)ᲐᲠᲒᲔᲫᲐᲣ
(Ს)ᲔᲨᲡᲢᲩᲔᲡᲢ

ზომით არის 91×100×23 სმ.

უდის მცხოვრებმა იორდანე გაბრიელის ძე ჭალიაშვილმა შემოსწირა სოფ. კახარეთში მეჩეთის ეზოზე 1930 წელს თხრის დროს აღმოჩენილი რომაელი მეომარის გამოსახულება ბრინჯაოსი ფეხმოტეხილი.

უდის სამხრეთ სერზე შეფენილია ზაქორიას სასაფლაო. აქ მრავლად არის უდის ძველი ეკლესიებიდან მოტანილი ქვები. თლილი ქვები, ცხვარი, ჩუქურთმიანი, ჯვრიანი, სვეტები, წარწერიანი და სხვა.

საფლავზე აღმართული ჯვრიდან დარჩენილი სვეტი, ოთხკუთხედი. კუთხეები მცირედ ჩაჭრილი, ანუ ჩათლილი აქვს. ზომით არის

125×21×21 სმ. დევს სასაფლაოს ბოლო ზოლზე, შუაში. ერთ მხარეს აქვს ასომთავრული წარწერა:

1. ⴆⴂ — ე. ი. „და
2. ⴑⴆⴣ — ძცვ
3. ⴡⴕⴟ — ენჯ
4. ⴂⴖⴊ — აფარ
5. ⴆⴂⴍ — და შ
6. ⴣⴣⴕ — ვილნ
7. ⴡⴜⴝⴕ — ი მისნ
8. ⴡ — ი“

საფლავის სვეტიდან დარჩენილი ქვედა ნაწილი — ოთხკუთხი, ზომა: 61×21,5×16 სმ. ასომთავრული წარწერით, დევს იქვე.

1. ⴝⴣⴓ — ე. ი. სლკ
2. ⴆⴣⴝⴂ — ლუკას
3. ⴍⴓⴝⴂ — შვილ
4. ⴍⴣⴆⴡ — თურა
5. ⴂⴊⴂ — ამენ.
6. ⴂⴕ

ყველა ეს ქვა გადატანილია ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოზე.

ყორაო — საწურავი ხილისა: ვაშლს, მსხალს, პანტას და სხვას დასწურავენ, ადუღებენ და ბაქმაზს აკეთებენ*.

1. სასაფლაოს ქვედა ნაწილში, სამხრეთით მე-6 ზოლზე (ქვებისა), ვაშლის და სხვა ხილის საწური ზომით 86×70×22 სმ (ნახ. 30).

2. ყორაო დევს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იოსებ გოგელაშვილის ქვის სამხრეთით 4 მეტრზე, ზომით არის 195×68×19 (ნახ. 31).

3. ყორაო ჩრდილოეთ მხარეს ნაპირიდან 10 მ-ზე სამხრეთი ბოლოდანაც იმდენივე მანძილზე, ზომით 130×92 სმ.

* სხვადასხვა პუნქტებში ჩახაზული საქაჩავები იხილეთ ნახატების ბოლოს.

ხელოსნების საფლავის ქვები:

1. შუა სასაფლაოზე დევს საფლავის ქვა 152×47×44 სმ, რომლის ზევითა ნაწილში გამოსახულია ჯვარი, ხოლო ჯვრის ქვემოთ კი სომხური წარწერა. ამის ქვევით დახატულია იარაღები: ჩაქუჩი, მალა (ქაფჩა, მალა თათრულიაო მითხრეს) და არშინი. სულ ძირს აწერია 1893(?) ეს ყოფილა კალატოზის საფლავი, ქართველი კათოლიკესი ვარტანა მელქონის ძე ბალახაშვილისა.

2. სასაფლაოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხის ახლოს დევს საფლავის ქვა ზომით 180×61×25 სმ, რომლის ზედა ნაწილში გამოსახულია ჯვარი. ქვედა ნაწილში კი მეკურტნის იარაღები. ეს იარაღებია: აშა (შუაში) — ჩასადები და გასატენი (1 ერთი თავით, მეორე მეორეთი); „მანგალი“ — 2 ცალი (აქეთ და იქით). ეს საფლავი ყოფილა მეკურტნის იოსებ გიგოლაშვილისა, გარდაიცვალა 45 წლის წინათ.

მესამე ნომრით აღწერილი ყორაოს სამხრეთით არის ოთხკუთხი ქვა — ორ მხარეს ვიღაც პირების გამოსახულებით, ზომით 55×22×29 სმ.

უდის სასაფლაოზედვე აღმოჩნდა მე-4 წარწერიანი ქვა ზომით 51×68×25 სმ ასომთავრული წარწერით. წარწერა ყოფილა ორ ქვაზე. ქვემოთ მოტანილი წარწერა პირველ ქვაზეა, მეორე არა ჩანს:

1. ⴕⴂⴆⴣⴓⴍⴝⴜⴂⴡⴝⴂⴡⴂⴂⴂⴂⴂⴂⴂ — ე. ი. „ქრისტე, წვიდაო ეკლესიაო
2. ⴝⴣⴂ ⴣⴂⴂⴖⴍ — მოიხსენე სულითა პეტრე“

წარწერიანი ქვების მეტი ხილი წყისეს სერის ეკლესიიდან ყოფილა ჩამოტანილი. ეს ქვაც ჩავიტანე ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოზე.

უდეს რწმუნებულად იქნება (??) გიორგი ქეროს ძე მაჩახლისაშვილი.

ადიგენის რაიონის სოფელ უდის საბჭო: სვიმონ ზაზაშვილი თავმჯდომარე, იაკობ სარაშვილი მოადგილე.

მ ლ ა შ ი ს ეილებს (ბინებს) გადალმა არის შენობები მიწაში ქვის კარებით. ეს იცის მლაშის მცხოვრებლებმა ჯალალ და ასლან აჰმედოღლებმა. ცნობა გორეკ აღუშაშვილისა.

სოფელ უდის მცხოვრებ ფილიპე სერგოს ძე ყულიჯანაშვილს უპოვნია წისქვილის ქვის ნაწილი, შავი ქვაა.

სოფელ უდის მცხოვრებს ივანე სიმონის ძე ბალახაშვილს აქვს სპილენძის მოზრდილი ზომის თასი. წარწერა აქვს გარედან:

1. ქ. მუხრანის ბატონის ერეკლესია. ქ'კს. ტპპ.

წ ა რ ბ ა ს უბანში არის 54 კომლი ქართველი მაჰმადიანი. გვარები კანწაძე 9 კომლი, კიკნაძე 12 კომლი, ვარდიძე 3 კომლი. დანარჩენები არ ახსოვთ. ქართული თითო-ოროლამ თუ იცის. აქ ეკლესია არ არის.

70—80 წლის მოხუცმა იაკობ ბალახაშვილმა გადმოგვცა: „ჩემს ახალგაზრდობას წ ყ ა ლ თ ბ ი ლ ა ს სომხის სკოლის შენობაზე მახსოვს ფ ე ტ ო ბ ე ნ ი დ ა ნ მოტანილი ქვა მეფე-დედოფლის გამოსახულებითაო, მას აქეთ კარგა ხანია, ისინი ნახეთ, თქვენთვის საინტერესოაო“.

აღნიშნული სოფელი მე უკვე დათვალიერებული მქონდა, მაგრამ ხსენებული ფიქალოები არ მინახავს. არც ჩვენმა ადგილობრივმა რწმუნებულმა ვალეს მცხოვრებმა სამსონ გოზალიშვილმა იცოდა და არც ადგილობრივ არავინ გვაცნობა.

ახალციხიდან ზევით ქვაბლიანის ხეობისაკენ მიმავალს მემძიმებოდა უკან დაბრუნება, მაგრამ არ მინდოდა უნახავი დამეტოვებინა რამე და ამიტომ გადავწყვიტე უკან დაბრუნება და ხსენებული ძეგლის ნახვა.

სექტემბრის 5 დილის 8 საათზე მივედი ხსენებულ სოფელში. ვიკითხე მასწავლებელი. გამგე ვნახე ერვანდ სიმონიანი და მასწავლებელი აკოფ აბრამიანი. მათ მითხრეს, რომ აქ არაფერი არ არისო; მე მაინც ვთხოვე შენობა ეჩვენებინათ. შენობა ვნახეთ, კარის თავზე ვიცანი ძველი სარკმლის თავის ქვა, ჩვეულებრივი გამოჭრილი ადგილით ძირს. მე ვუთხარი, რომ ეს ქვა ძველია. მასწავლებელმა მიპასუხა: —რას ატყობ, რომ ძველია, ქვა კირიანიაო — არ მეთანხმებოდა, სიძველისა რა აქვსო; იგი მართლაც კირით იყო გალესილი სქლად.

იქვე ხსენებული ქვის მარჯვნივ 1/2 მ დაშორებით იყო სხვა ქვა კირითვე გალესილი. მე ეშვი ავიღე, რომ ეს იყო ის ქვა. შესამოწმებლად მოვითხოვე კირის ოდნავი მოცილება პირველ ქვაზე; მთხოვეს ფული, გავურიგდი 3 მანეთად. ავიდა კაცი და ჩემის ზემდგომობით ქვის შუა ნაწილში ჩაქუჩის ოდნავი მოსმით დაიწყო კირის ფრთხილად ჩამოფხეკა. ორ-სამ გადასმაზე კირქვებიდან გამოჩნდა შესანიშნავი ქანდაკება ეკლესიის მოდელისა; მე შევაჩერე მუშა; საჭირო აღარ არის კირის მოცილება, უკვე ცხადია, რომ ქვაზე შესანიშნავი ქანდაკებაა და იყოს აგრე, ესე ჩამოვიღებ და წავიღებ, ვითომც სამგზავროდ გამზადებული ყოფილაო. რას იზამდა სიმონიანი, თანდათანობით გამოტეხა დაიწყო: ჰო, ეხლა მომაგონდა, ამ დიდ (პირველ) ქვაზე რაღაცა არის გამოსახული, ძველად მინახავს, აღარ მახსოვდა, ხოლო მეორეზე

ქი გარწმუნებთ არაფერია მარტო ჯვარია, გულში გამოსახული და იმის ქვეით ოთხი ხუთი ასოა დაწერილიო. მე ვუთხარი მარტო ჯვარის გამოსახულებასაც მნიშვნელობა აქვს ხელოვნებისათვის და ამიტომ ისიც უნდა ჩამოვიღოთო, ჯვარის ზევით ოთხი-ხუთი ასო აქვს მიწერილიო, რომ მეუბნებოდა, მე ვიფიქრე ჩვეულებრივი მინაწერი თუ აქვს ჯვრებს რომ უწერიაო (ი ვ ჭ ე ძ ლ ჯ თა) მე ჩემსას ვამბობდი, ის თავისას.

მუშას მუშაობა შევაჩერებინე და თუმცა იმდენი არაფერი გაეკეთებინა, მაგრამ 2 მანეთი მაინც მივეცი (სამის მაგიერ).

დავიწყე თხოვნა, რომ ქვები ვინმეს ჩამოეხსნა, დავპირდი ჩამოხსნის გასამრჯელოსაც, კედლის ამოშენებასაც, ხარჯსაც ვალემდე ჩამოტანის ქირასაც. მაგრამ მასწავლებელნი მეუბნებოდნენ, არავის უნდა ხელი მოჰკიდოს საქმესო; თვითონაც მეწინააღმდეგებიან ვერ დაგანებებთ ახალციხიდან მოგვიტანეთ ნებართვაო. ბევრი ვთხოვე, ბევრი ვეჩხუბე, არაფერი გამოვიდა.

თვით სიმონიანიც წინააღმდეგი იყო და არ მანებებდა:

—ქვის ჩამოღება არ შეიძლება, კედელი დაინგრევა, შენობა დაზიანდება. გარდა ამისა ქვა ჩამოვარდება და ბავშვებს დაეცემათო; მით უმეტეს სწავლა დღეს დავიწყეთ და საქმე შეგვიჩერდებაო. ქვის ჩამოღება არც კედელს დაზიანებდა და არც მოსწავლეების სწავლას შეუშლიდა ხელს, ხალხიც მასწავლებლების დარიგებით იყო თუ არა, უარს მეუბნებოდნენ, არ შეგვიძლიანო; ქვები სკოლის გარეთა კარის თავზე იდო და მისი ჩამოღება სულ ნახევარი საათის საქმე იყო და ადგილის ამოშენებაც სულ 2 საათისა, რაც ძალიან ადვილად შესრულდებოდა სწავლის მორჩენის, შუადღის შემდეგ; მაგრამ „შეაგდო ქვა სკოლის გამგემ და შეუშვირა თავი“; ასეთი კერპი მასწავლებელი მე არ მინახავს.

ვაჩვენებ მანდატებს საქართველოს მუზეუმის, საქართველოს ცენტრალური არქივის, ახალციხის რაიალმასკომის, მაგრამ ისიც და სხვა მასწავლებლებიც (აბრამიანი და სხვა), რომლებიც ამ დროს უკვე მოგროვდნენ, ყველანი მეწინააღმდეგებიან. მე შევპირდი, რომ ქვას ჩემი ხარჯით ჩამოვახსნევინებდი, კედელსაც ჩემი ხარჯით ამოვაშენებინებდი, მაგრამ არ ჭნეს. არა, ისინი მოითხოვენ რომ ამაზე სპეციალური მოწერილობა მოიტანეო ახალციხის აღმასკომიდან. მე ვეუბნები, რომ ამ სოფელში ეს მეორედა ვარ (ერთხელ საზღვრისაკენ გავლისას, მეორეთ ეხლა) და მესამედ უკვე აღარ შემიძლიან მისვლა. მე რომ ერთ სოფელში სამჯერ-ოთხჯერ მივიდე, დანარჩენი სოფლები როგორ უნდა

დავიარო“. ამათ არ ესმით, ესენი თავისას გაიძახიან: ჯერ სხვაგან დაიარე და მერე ისევ აქ მოდიო.

ბოლოს გამგემ მითხრა, რომ აქვე (??) საზღვრის კომენდატურიდან დაელაპარაკე ახალციხის ალმასკომს და თუ იქიდან გვიბრძანებენ, მაშინ ჩამოხსენიო; დავთანხმდი. წავედით მე და გამგე. წვიმდა. მივედი საკომენდატოში. მისი უფროსი მე მიცნობდა, ვინაიდან 5 დღის წინათ ვიყავი აქ და გამოვეცხადე მას საზღვრისაკენ მგზავრობის დროს. ვთხოვე ნება მოეცა ტელეფონით ახალციხის ალმასკომს დავლაპარაკებოდი. მან მითხრა, რომ დიდი სიამოვნებით, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი ხაზი სხვა არის და ახალციხის ტელეფონს არ შეუერთდებაო. რაღა იქნებოდა. მკითხა რათ გჭირდებათო. მე ვუამბე. მითხრა მე მივიღებ მონაწილეობას ამ საქმის გადაწყვეტაში. დაუძახა მასწავლებელს (მას გარეთ აცდევინებდნენ) და ჰკითხა, რატომ არ აძლევ ქვებსაო, რას აბრკოლებო. მან ისევ ის მიზეზი დაასახელა: კედელი დაიქცევა, ქვა ჩამოვარდება, მოსწავლეებს დაეცემა, სწავლაში ხელს შეგვიშლისო და სხვ. მან უთხრა, კედლის ამოსაშენებელს ხომ გაძლევს, რათ აბრკოლებო.

კომენდატმა უბრძანა მრისხანედ, რას ბიუროკრატობ, კაცს მანდატები აქვს, მიეცი ქვები, ნუ აბრკოლებ, იგი ქვების ჩამოხსნაზე ალბათ ოქმს შეადგენს და თუ გინდათ ჩემი გვარიც შეიტანეთ შიგ, რომ მეც თანახმა ვარ ამ საქმისა (ხსენებული სოფელი აღნიშნული კომენდანტის ხელისუფლების ფარგლებში შედის). სიმონიანმა ხმა ვეღარ ამოიღო, თავი მოიფხანა და თანხმობა განუცხადა (კომენდანტის გვარია პოსტოლოვი). წამოვედით. წვიმდა ისევ. გზაში საუბრის დროს მითხრა, თქვენ გგონიათ მე წინააღმდეგი ვიყავი ქვების მოცემისა „ჰეჩ-ჰეჩ არაო“-ო (სრულებით ჭრაო), მაგრამ საიდან ჩანდა ეს? წამოვედით, სოფლის განაპირა უბანში ძლიერი წვიმის გამო ერთ სახლში შევისვენეთ, ცოტათი გადაიღო, ისევ წამოვედით. ვთხოვე კაცი ვინმე ეჭირავნა. წვიმიანი დღე იყო. ყველა სახლში იყო, კანცელარიაშიც მრავალი ხალხი ირეოდა უსაქმურად, ახლა რა ქნა ამ მასწავლებელმა. სიტყვით თანახმა გაუხდა კომენდანტს, მაგრამ საქმით კი რას აკეთებს? ვითომც ამხელა სოფელში (300 კომლი) ერთი კაცი არ არის რომ ქვა ჩამოიღოს: შივალთ ერთთან, დადგება მასწავლებელი, რაღაცას ეტყვის, დგას და პასუხს არ მეუბნება, რა ვიცი რა უთხრა (სომხურად). იქნებ მოიკითხა როგორა ხარო და ამით გათავდა საქმე. გამომეტყველება და ქცევა სრულებით არ გამოხატავდა, რომ ის ჩემ საქმეზე დალაპარაკებოდა. ვითმენ, ვითმენ, მომწყინდება და ვეტყვი, რას ამბობს,

ეგ კაცი მოდის თუ არა; არაო და გამომბრუნდება. წავალთ მეორესთან, აქაც ისევე, მესამესთან და სხვა. ბევრი ვეჩხუბე, რა მასწავლებელი ხარ, რომ ერთი კაცი ვერ გამოძებნე. ნუთუ იმდენი გავლენა ვერ მოიპოვე სოფელში. ამასობაში გადადის შუადღე. დილით მისული, მშიერ-მწყურვალი (მოუცლელობისაგან) ვუცდი როდის გავაკეთებ საქმეს და ვერ იქნა. ბოლოს გამოვედი მოთმინებიდან და მოვითხოვე სატეხი კეტი (лом) და წერაქვი და გადავწყვიტე მე ჩამომეღო ქვა. თავიდანვე რომ ქვა დამიმალეს, ვიგრძენი, რომ საქმე ცუდად იყო, რომ ქვის დატოვება ადგილზე არ შეიძლებოდა, აქამდინ დაფარული ჰქონდათ, არავინ იცოდა რა იყო, ეხლა გამოაშკარავდა, მე რომ წავსულიყავი და მერე მოვსულიყავი, შეიძლებოდა ქვა აღარც კი დამხვედროდა, გაენადგურებინათ; ამიტომ გადავწყვიტე, ჯიბეში რომ კაპიკი აღარ დამრჩენოდა, ამ ქვებს მაინც სამშვიდობო ალაგს ჩავიტანდი აქედან (მჭონდა სულ დაახლოებით 100 მან.), მოვატანინე ეს იარაღები და უნდა დავიწყო ჩამოღება (ქვის ჩამოღება არც ისე ძნელი იყო, მაგრამ კირით გამტვერიანებას ვერიდებოდი, მგზავრი ვიყავ და ტანისამოსს ვინ გამირეცხავდა ამ უცხო ადგილას). ამ დროს გამოჩნდნენ მუშები; მთხოვეს 40 მან. მე ვუთხარი თუ გინდათ 20 მან. მოგცემთ, თუ არადა მე ჩამოვიღებ. პატარა ლაპარაკის შემდეგ დათანხმდნენ. ახლა ვიფიქრე ეშმაკობით ქვა არ გამიტეხონ და არ დააზიანონ და ამიტომ მოვითხოვე, თუ დააზიანებენ, კაპიკს არ მივცემდი. მაგრამ არც ეს უშველიდა. მოვითხოვე ხის კოჭის მოტანა და შედება ქვის ძირში, რომ ქვა იმაზე ჩამოცურებულიყო; კოჭი ვითომც არა გვაქვსო. მაშინ აღნიშნული ქვის ძირს, კარის წინ, დაგებული იყო დიდი ფიქალი და სხვა წვრილი ქვები. ამოვაღებინე ყველა, ნიადაგი ავაჩვილებინე; შემდეგ ჩამოვაყრევინე ხსენებულ ქვაზე ზევით მდებარე წვრილი ქვები; შემდეგ თვით დიდი ქვა; სატეხით მას მარცხენა გვერდი გამოვუწიეთ და გვერდზე, დაცერებით ჩამოვაგდეთ. ქვა გვერდზე დაეცა და გადაბრუნდა. მე ძლიერ ეშინობდი ქვის გატეხვას, მაგრამ მოხერხებით ჩამოვაგდებინე და სრულებით არაფერი დაჰზიანებია. ახლა მეორე ქვა. მეორე ქვა სრულებით კირით იყო გადალესილი, იგი არც გვიშინჯია, ისევე ჩამოვიღეთ. შემდეგ სხვა კაცს გავურიგდი 15 მანეთად ვალემდე ჩატანას. დავწერეთ ხელწერილი, რომელიც დავადასტურებინე ადგილობრივ ხელისუფლებას. გავიდა 20 წამი, მომიბრუნდა ეს კაცი და მითხრა 20 მან. მომცემ, თუ არადა არ წავიღებო. არცხვინეს ყველამ, შენ თვითონ რაც ითხოვე, მოგცა, პირს რაღად ტეხავო. არა ქნა. იძულებული ვიყავი ხელახლა ეს ხუთი მანეთი სხვა ხარჯში შემეტანა. შემდეგ კედლის ამოშენების ხარჯი

უნდა გამეღო. მოიყვანეს სამი კალატოზი. ითხოვეს 60 მან. მე ვუთხარი ჩამოქცეული იყო კედელი დაახლოებით 1,5 მ სიმაღლით და 3 მ სიგრძით. მე ვაძლიე 30 მან; არა ჭნეს. მაშინ ვუთხარი, თუ გინდათ ეს არის, თუ არადა მე ქვები მზადა მაქვს და მიმაქვს და ამაზე მეტს ვერ მოგცემთო. იკისრეს, დავწერეთ ხელწერილი. წამოღებაზეც ისევე მაწვალეს. მოჭირავე მეუბნებოდა, შენ წადი, მე თვითონ წამოვიღებო. არ ვენდე. ამასობაში დაღამდა. ქვები დილაზე ადრე უნდა ჩამოეტანა ვალეს. მეც იქ დავრჩი, დავიძინე კოლმეურნეობის კანცელარიაში. დილით ჩამოვატანინე ვალეს. მოვიტანე ძველი ეკლესიის ეზოზე. დაგვეხვია მთელი ხალხი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ჩამოიღეს ურმიდან. ნახეს კირით გალესილი, ლანძღეს წყალთბილელები, რათ გადალესეთ კირითაო; მოვატანინე წყალი. ასხეს კირს და ჩამორეცხეს დიდი ქვა სუფთად, დაკრიალდა, გამოჩნდა შესანიშნავი ჭანდაკება; ვე ამან გამიტაცა და ვეძებდი წარწერას, მაგრამ წარწერა ვერსად ვერ ვიპოვნე; ხალხი შეუდგა მეორე ქვის ჩამორეცხას, მე ისევ პირველ ქვას ვუყურებდი, ვერ ამომეცნო, თუ რა იყო გამოსახული ორი პირის უკან. თურმე იგი ღარდის ფონი იყო. ამასობაში ჩამორეცხეს მეორეც; ადრევეც მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ ქვაზე წარწერა გადაფხეკილიაო. მე არ მჯერდა. როდესაც მასწავლებელი მეუბნებოდა, რომ მხოლოდ ორი სამი ასოა შენახული ჯვრის ქვეშო, მე ვფიქრობდი, შესაძლებელია ჯვრის ჩვეულებრივი წარწერა არის, მაგრამ ნამდვილად კი თურმე ქვაზე ყოფილა 12 სტრიქონი წარწერა, რომელიც ამოუფხეკიათ და მხოლოდ ჯვარი რომ არ დაეზიანებინათ, აქ მის მხრებს ქვეშ დაუტოვებიათ 3—4 ასო. სამწუხარო იყო ეს მოვლენა, მაგრამ რაღა გაეწყობოდა, მთელი 12-სტრიქონიანი წარწერიდან ათი ასო ვეღარ აღვადგინე.

ამ ქვების კირით გადალესვა უნდა მომხდარიყო ამ ოთხიოდე წლის წინათ, როდესაც ეს სკოლა შეუკეთებიათ. იქამდე პირველი ქვა გადალესილი ყოფილა და სხვებსაც უნახიათ სკოლის კედელზე, ხოლო წარწერა როდის გადაფხეკეს, მაშინვე თუ უფრო ადრე, ვერ გავიგე, არ ვითხრეს, არ ვიცითო და სხვა.

აქ ვნახე ერთი მოხუცებული, რომელმაც მიამბო, რომ ეს ქვები ჩამოუტანიათ 1880 წლებში სოფ. ფეტობნიდან; ისინი შეუსყიდიათ 7 ფუთ პურად. ჯერ ეკლესიის კედელში უნდა დაგვეტანებინაო და მერმე აღარ დაატანეს და სკოლის კედელში დაატანინო. იცით რატომ არ იღებენო; ამბობენ ეკლესიის ქვებია და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით არ უნდა ჩამოღებაო. მე ვუთხარი ეს ტყუილია, რა შუაშია სარწმუნოება. ჯერ ერთი, ეს ქართული ეკლესიის ქვებია და არა სომხური, მეორეც ის ეკლესიაზე კი არ უდევს, არამედ სკოლაზედაო, მაგრამ ტყუილი მიზეზი იყო ეს. არავინ ამაზე არ ლაპარაკობდა, თვითონ მასწავლებელი იგონებდა გასამართლებელ საბუთს.

გადავიღე ფოტოგრაფიული სურათები ქვევიდან, შევატანინე ეკლესიაში და დავაწყობინე ეკლესიის დასაწყისთან კედელთან და ჩავაბარე ჩვენს ადგილობრივ სარწმუნებულს ს. გოზალიშვილს.

წყალთბილიდან ქვების ჩამოხსნა და ჩამოტანა ვალემდე (3 ვერსი) სულ დამიჯდა 72 მანეთი, ხოლო ვალელებმა კი ქვების ჩამოხსნა, ჩამოღება, გადარეცხა და ეკლესიაში შეტანა-დაწყობაში არც ერთი კაპიკი არ გადამახდევინეს.

პირველი სარკმლის თავი ქვაა. იგი ზომით არის 65×131×28 სმ-ზე; მასზე გამოსახულია მარცხნივ მოხუცი მამაკაცი, მარჯვნივ მანდილოსანი. ორივეს გუმბათიანი ეკლესიის მოდელი უჭირავთ ხელში (პირველს მარჯვენით, მეორეს მარცხენით), მეორე ხელი კი ორივეს აპყრობილი აქვთ. გამოსახულება მოთავსებულია ფარდის ფონზე; ეს ფონი შ. ამირანაშვილის სიტყვით იხმარებოდა იტალიაში VI ს-მდე და მისივე სიტყვით ძეგლი იმავე VI ს. უნდა ეკუთვნოდეს. იგი საუცხოო ნამუშევარია.

მეორე ქვა ზომით არის 65×65×20 სმ. მას ზემო მარცხენა კუთხე ატეხილი და დაკარგული აქვს. ქვის შუა ნაწილში გამოსახულია ჯვარი, ჯვრის გარეთ მთელ თავისუფალ არეზე ყოფილა ასომთავრული წარწერა 12 სტრიქონად, რომელიც წაუფხეკიათ; აქ არის შენახული ასოები და ასოების ნაშთი:

1. . . . . აკლია დაახლ. 17—20 ასო
2. . . . . ⴆ . . . . .
3. ⴝⴡⴝ . . . . . .
4. . (ⴗⴣⴡ) . . . . . .
5. . . . . .
6. . . . . .
ⴕ-ⴆⴗ ⴆ-ⴕⴡ
7. . . . . .
8. . . . . .
9. . . . . ⴀⴆⴕⴡ . . . . . .
10. . . . (ⴅⴗⴆⴡ)ⴡⴝ . . . . . .
11. . . . . ⴖⴡⴝ . . . . . .
12. . . . . აკლია დაახლ. 17—18 ასო-ნიშანი.

წ ყ ა ლ თ ბ ი ლ ა ს სომეხ კათოლიკეთა სასაფლაოზე ადგილობრივ მცხოვრებ ივანე ქეროფის ძე ტარპინოვის ბავშვის საფლავზე დევს ქვა, ჩაძოტანილი ზემო უსკვის ნაეკლესიარიდან, რომელსაც შერჩენია წარწერის ნაშთი. წარწერა ასომთავრული ყოფილა, რამდენიმე ქვაზე ერთ სტრიქონად: ...[ყ]ᲩᲧᲫᲨᲧᲩ[Ი]„შეუნდვენ შეცოდებანი“. წინა და უკანა ასოები გვერდზე შდებარე ქვებზე იქნებოდა დაწერილი. წინა ასო შესაძლებელია ქარაგმით კი არ ეწერა, არამედ მთლიანად.

მ უ ს ლ უ ღ ი — ქვისაგან ან ხისგან გაკეთებული წყლის ჭურჭელი. აცივებს წყალს, ზაფხულში ხმარობენ.

სოფელ ლ ე ლ ო ვ ა ნ ი ს სამხრეთ-აღმოსავლეთით 1 ვერსზე დგას ეკლესიის ნანგრევი ე. წ. „ტაძარი“. იგი სამნავიანი ბაზილიკა ყოფილა 11,3×9 მ, ნაგები თლილი ქვისა და კირისაგან. დღეს ნაშთიღა არის, დგანან დანაწყვეტებული კედლები, რომელთაც გარეთა პირის ქვა სულ შეშოცლილი აქვთ, შიგნითა კი ნაწილობრივ შერჩენიათ. კედლების ნაშთები ნახევარი სიმაღლით შენახულან, მთელი სიმაღლე აქვს მხოლოდ საკურთხევლის სამხრეთი კედლის ნაწყვეტს. ეკლესიაში გდია თაღ-კედლების უზარმაზარი ნაგლეჯები. ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილია სამი აფსიდის ნაშთი, საიდანაც ჩანს, რომ სამნავიანი ყოფილა. საკურთხევლის სამხრეთი კედლის წამოწეული კედელიც ამაზე მეტყველებს. აღმოსავლეთით ჰქონია სამი ფანჯარა. ეს ადგილები ახლა გაგლეჯილია. საკურთხევლის კედელს (შენახულს) შერჩენია მცირე თახჩა, დგას მარტო დუღაბი. ეკლესია დგას პატარა გორაკზე.

ლ ე ლ ო ვ ა ნ ი ს სამხრეთ-დასავლეთით 4—5 ვერსზე არის „თ რ ი ა ლ“-ის ნანგრევი რაღაც შენობისა, სადაც არის ქვა ჩუქურთმიანი თუ დახატული, რომელზედაც ხეა შემოხვეული — ამოსული.

ლელოვანში 170 კომლია. ქართული სრულებით არ იციან თითო-ოროლას გარდა. ზოგიერთი სახელები შენახულა ქართული: რეჰანი, ჭინძი, ქონდარი, მწვანილი. გვარები: ზამუკაშვილი — 10 კომლი, ცენტერაძე — 15 კომლი, ლორთქიფანიძე — 7 კომლი, კოკობაშვილი — 10 კომლი.

ადიგენის ეკლესია რომ დგას, იმ ადგილს ჰქვია შუშხუთი.

იუზამ მითხრა: არისო ბეგის ციხე (ბეგის-მუსხელიშვილი).

ლელოვანის მისგითის აღმოსავლეთით არის ოთხკუთხი ქვა — ზეთის სახდელი; 1,9×1,1×0,4 მ. შუაში გახვრეტილი აქვს.

ამავე სოფელში აშრაფ სული ოღლის ეზოზე ყორეზე მიყუდებულია ზეთის სახდელი ქვა 1,55×1,4×0,2 მ. მომრგვალო ფორმისა.

ეს კაცი გვარად კოტეტიშვილია. აქ არიან კიდევ: მაისურაძე, ჯვარიფეშოლქვაძე, კოპაძე.

აქვე არის მეორე ქვა მომრგვალო ფორმის, შუაში გახვრეტილი, ბოლოში აქვს პატარა ღარისებური ჩაღრმავებული.

ამავე სოფელში რასულ მამად ოღლის აქვს ძველი დარბაზი გადაკეთებული. მისთვის შემდეგ ხანში სამხრეთ კედელში დიდი ბუხარი გაუკეთებიათ.

ი ჯ ა რ ე თ ი. 55 კომლი. ქართველ მაჰმადიანთა გვარები: სარაჯიშვილი — 20 კომლი, ხდიაშვილი 7 კომლი, კირკიტაშვილი 15 კომლი, ადამაშვილი 3 კომლი, ბისიკაშვილი 1 კომლი. ქართველმა მაჰმადიანებმა ქართული არ იციან.

ი ჯ ა რ ე თ ი ს ეკლესია დგას ხევის მარცხენა მხარეს. იგი ნანგრევად არის და არა ჩანს რანაირი შენობა იყო. შენახულია მარტო აღმოსავლეთის კედლის დუღაბი და სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილი 2 მ სიმაღლით, ესეც დუღაბი და დასავლეთ კედლის ჩრდილო ნაწილი 1 მ სიმაღლით. იგი ერთნავიანი (?) შენობა უნდა ყოფილიყო, რომელსაც სამხრეთით თავიდანვე ჰქონია მთელ სიგრძეზე შენობავე მიშენებული. მარტო ეკლესიის ზომაა 10,5×5,6 მ; სიგანე სამხრეთი ნაწილითვე 8,5 მ. ეკლესიას დასავლეთით ჰქონია რაღაც შენობა, მოჩანს საძირკველი. აღმოსავლეთ კედელს ფანჯრის ადგილი, ანუ შუა ადგილი გაგლეჯილი აქვს დიდად. ეკლესიის ნაშთი და შიგნით საკურთხევლის მოყვანილობა იხილეთ (ნახ. 32). ეკლესიის აღმოსავლეთით არის აკლდამა, რომელშიაც ჩასულან აღმოსავლეთის მხრიდან (თაღი ჩაუმტვრევიათ) და ძვლები აურევიათ-დაუმტვრევიათ. ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის რაღაც შენობის ნანგრევები.

ეკლესიის დასავლეთით დგას ორსართულიანი სამრეკლო[18]. მასში დასახლებულა ვიღაც ჭურთი და თავის საცხოვრებელ სახლად უქცევია, მაღლითა სართული კი თივის საწყობად. შესავალი აქვს სამხრეთი მხრიდან. ძირა სართული კარგად არის შენახული სამხრეთი ნაწილის გარდა, რომლის გარეთა პირის ქვებიც მოცილებულია, მაღლითაკი კი შენახულა მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი ერთი კამარით ორ სვეტზე. ძირა სართულს შიგნითი პირი მთლად აქვს შენახული, გარედან კი შენახული აქვს მხოლოდ აღმოსავლეთი მხარე ერთი ჩუქურთმიანი სარკმლით და ყალბი კამარით (?) სვეტებზე და ჩრდილოეთი მხარე, მაგრამ ორივე ამ მხარეს ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე მთლად მოცილებული აქვს, დასავლეთი და სამხრეთი მხარეების გარდა. პირი კი სულ მთლად მოცილებულია. ზედა სართული, რაც შენახულა, გა-


რეთა პირი სულ მთელი აქვს, შიგნითი კი სულ მოცილებული აქვს. ეს ზევითა ნაწილი შემკულია გრეხილი ჩუქურთმით და ერთი რომბით. შიგნით ძირა სართულის ზომა არის 4×4 მ. ძირა სართული ოთხკუთხია აგებულებით, ზედა სართული კი მრგვალია. ძირა სართულს შერჩენილი აქვს აღმოსავლეთ მხარეს სარკმელი ჩუქურთმის შემკულობით, იგი ზევითა ნაწილში დაზიანებულია, გაბოტეხილია. სარკმელს ზევით ჰქონდა რომბი, ახლა დაზიანებულია. მთელ სარკმელს გარედან უვლის სვეტებზე დაბჯენილი კამარა.

შუქრი აზიზოღლი 15 წელიწადია რაც მოსულა.

ეკლესიის ნანგრევებიდან ეტყობა ჩატანილია ქვა ორი პირის გამოსახულებით და ინახება ოსმანის სახლში.

ეკლესია შიგნით და გარეთ სულ წვრილი ნანგრევით არის დაფარული. თლილი ქვა სოფელს წაუღია და სახლებისათვის მოუხმარია. გზაზე ღობეს უდევს ორი ჩუქურთმიანი ქვა.

იჯარეთის მცხოვრებ ჰემდი ჯაფაროღლის (30 წლის) აბარია ეკლესიდან ჩამოტანილი ქვა—სარკმლის თავი ზომით 65×82×24 (?) სმ მასზე მარჯვნივ გამოსახულია კაცი, რომელიც დგას. მას მარცხენა ხელში უჭირავს დროშა-ჯვარი. მარჯვენა ხელი უდევს გულთან. ქვის მარცხნივ დახატულია ქალი, რომელიც აგრეთვე მდგომარეა და ორივე ხელი გულთან აქვს აპყრობილი. ქვას აქვს დაზიანებული ასომთავრული წარწერა ოთხ სტრიქონად:



ძალიან გაურკვეველია ყველა ასო, საეჭვოა გადმოღებულშიც.

აფიეთის ბოლოზე დგას ღორთუბნის ეკლესია. იგი სამნავიანი შენობა ყოფილა 13×8 მ (ნახ. 33). შენახულა მარტო დუღაბის კედლები, ისიც ნაწილობრივ. დგას ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის კედლები და სამხრეთის კედლების შუა ნაწილი. ნაგები ყოფილა თლილი ქვისა და კირისაგან. პირის ქვა შიგნით და გარეთ სულ მოცლილი აქვს. ეკლესიაში ყრია სამი დიდი დუღაბის ნატეხი. გარდა ამისა ნანგრევიც ბევრია. ეკლესიაში ჩრდილო და აღმოსავლეთი კედლები ნაწილობრივ გაგლეჯილია. კარ-სარკმელი აღარ უჩანს.

ეკლესიის გასწვრივ, დასავლეთით 100 საჟენზე დგას კოშკი, ნაწილობრივ დანგრეული.

ყარათუბანში არიან: ბათმანიძე, იუსელი (იქნებ იოსელიანი იყოს?). ამ სოფლის წინაპარი ყოფილა თომა და აქედან თომაშვილები ეყოვითო. აქ არის 60 კომლი.

ზანავში არის გვარი ჩიკაძე (ჭიკაძე?). ზანავის ბუხრის ზომა სიმაღლით 95 სმ, სიგანით 81 სმ-ია. სახლიდან დარჩენილი დას. კედლის სიგრძე 4,94 მ, ჩრდ. კედლის (ნაწილობრივ მიწით დაფარულის) სამხრეთისაკენ მობრუნებულ კლდემდე არის 7,8 მ. ბუხარი დგას კლდეზე.

ზანავის ეკლესია დგას სოფლის ჩრდილო-დასავლეთი მთების უბეში. იგი ერთნავიანი შენობაა 11,5×6,9 მ. ნაგები ყოფილა ქვითკირისაგან. გარეთა პირი თლილი ქვა უნდა ყოფილიყო. შიგნითა კი კლდის ნატეხი სწორპირიანი. იგი სულ ნანგრევად არის ქცეული, შენახულა მარტო დუღაბი პირშემოცლილი. დგას მარტო დასავლეთი კედლის დუღაბი, ჩრდილოეთი კედლის დაზიანებული დუღაბი და აღმოსავლეთ-სამხრეთი კუთხე. დანარჩენი სულ დაქცეულია. კარი ჰქონია დასავლეთით, ახლა ეს ადგილი დიდად არის გაგლეჯილი. ეკლესიის შიგნით და გარეთ ყრია უზარმაზარი ნატეხები დუღაბისა. ამას ადგილობრივნი მონასტერს უწოდებენ. შიგნითაც და გარეთაც კლდის სწორპირიანი ქვისაგან ყოფილა ნაშენი. კათოლიკონს (შუა ეკლესიას) ჰქონია ორ-ორი ყალბი კამარა, მათი ნაშთი შენახულა ჩრდილოეთის კედლის დასავლეთ ნაწილში. ეკლესიას სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით ჰქონია მთელ სიგრძეზე რაღაც შენობები. ახლა მარტო საძირკველღა მოჩანს. დასავლეთის და აღმოსავლეთ-სამხრეთის კუთხის კედლები დგას სიმაღლით 5 მ, ჩრდილოეთის კი 2—4 მ-მდე. ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით დგას რაღაც შენობის ნანგრევები, ზომით არის 5,5×4,25 მ. აღმოსავლეთის კედელი შენახულა 3 მ სიმაღლით. დანარჩენი 0,5—1 მ-მდე, შიგნით და გარეთ სულ ნანგრევებით არის სავსე. ამ შენობასაც გარეთა პირის ქვა შემოცლილი აქვს. (ეკლესიას შემოცლილი აქვს შიგნითაც და გარეთაც). ეკლესიის ჩრდილოეთით არის რაღაც ნაშთი (ნასადგომევი).

ადიგენი[9]. აქ არიან გადმოსახლებული კეკელიძე, მაკარიძე, ჩოკაძე, ლორთქიფანიძე, ერისთავი-ჯიჯავაძე სულეიმან ბეგ.

ადიგენის მცხოვრებ სულეიმან ერისთავმა შემოსწირა 4 „ბარათი“.

სოფ. ადიგენი—ომარ ეფენდი მოსულა იყო ქვემო იზმირიდან. ის, მოვიდა 30 წლისა. აქ იყო 70 წელი, იმსახურა ქუთაისში მასწავლებ-

ლად. მოკვდა 120 წლისა, უკანასკნელ ხანს სახლი და მიწა სოფლისათვის მაუყიდია 5000 მანეთად, სადაც ახლა სასოფლო სკოლაა. მერმე ოსმალეთშივე წასულა. ერთი წლის შემდეგ უკანვე დაბრუნებულა. მერმე აქ მოკვდაო 35 წლის წინათ. დასაფლავებულია სოფლის საერთო სასაფლაოზე, წარწერა არა აქვს. რაიმე თხზულებები მას არ უწერია. ეწოდებოდა მხოლოდ ასე: ომარ ეფენდი. ცოლი ადგილობრივი ქალი ჰყოლია ლორთქიფანიძის გვარისა — მუხტარბაშევი. შვილი არა ჰყოლია, სხვა უშვილნია. ცოლიც მომკვდარა და ნაშვილობიც, შვილიშვილები კი არიან.

ა დ ი გ ე ნ ი ს რაიაღმასკომის საწყობში ინახება ქვა, ძველი ნანგრევი, ეკლესიიდან წამოღებული, ქვა კარის კამარისაა, იგი შუა ქვა უნდა იყოს. გვერდის ქვები გლეხებს წაუღიათ სახლებისაო ვის. ნანგრევი გაუთხრიათ 5 წლის წინათ და მაშინ კამარა მთელი ყოფილა, დაუნგრევიათ და წაულ-წამოუღიათ, წარწერა ასომთავრულია:

1. (ს ჰ ყ ა ქ ა ჰ ო ქ ე ჯ ყ ჯ ს ა ქ (ზ)

ე. ი. „(ღმრთი)სმშობელო მეოხ
ეყავ სო(ლსა)...“

წარწერას თავი და ბოლო აკლია. ნანგრევი არის ახლანდელ აღმასკომის შენობის აღმოსავლეთით 10 მეტრზე, გზის ძირას. საძირკველიც კი აღარ არის შერჩენილი. ამ ადგილას ახლა დუღაბის ნამსხვრევია ყრია და ზომის აღება შეუძლებელია. ისე მცირე ეკლესია ყოფილა.

ქ ვ ა ბ ლ ი ა ნ ი ს მარჯვენა მხარეს, სოფელ ადიგენის პირდაპირ, მთის სერზე, დგას შუშხუთის პატარა, ერთნავიანი შენობა, ზომით 4,8×2 მ. ნაგები შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვისაგან. სახურავი (ფიქალი) მოხდილია და ხავსით არის დაფარული. გარედან პირის ქვა ნაწილობრივ (აქა-იქ) მოცარდნილა და იქვე ეკლესიასთან არის აყუდებული, შიგნით კი კედლის პირები კარგად არის შენახული, გარდა აღმოსავლეთი კედლის ძირა ნაწილისა, რომელიც მოცლილია და აგრეთვე სამხრეთ კედლის ძირა ნაწილისა, რომელიც მთელ სიგრძეზე შიგნიდან და გარედანაც დანგრეულია. ეკლესიას კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი აღმოსავლეთით — 1, დასავლეთით აქვს სანათური. თაღი შენახულია. აღმოსავლეთ სარკმლის თავის ქვაზე მარჯვნივ (სამხრეთით) გამოსახული ყოფილა ვიღაც პირი. შენახულა მარტო თავის მოხაზულობა მკრთალად ქვაზე. დასავლეთი კარის თავზე, ქვაზე გამო-

სახულია დაზიანებული ჯვარი. მის ზევით სანათური შემკულია ჩუქურთმით. აღმოსავლეთი სარკმელი შემკული უნდა ყოფილიყო ჩუქურთმით, იგი ახლა სულ ამომტვრეულ-ჩამორეცხილია მზე-წვიმისაგან. დასავლეთ კედელზედვე საქარის ნაწილში უდევს ქვა, რომელიც სხვა ეკლესიიდან უნდა იყოს აქ დადებული. იგი ადრევე დიდი ყოფილა სიმაღლით, მისთვის ნახევარი (სიგანეზე) შეუჭრიათ და აქ დაუდვიათ. მას ზევითა ნაწილში შერჩენია წარწერის ნაშთი, ასოების ქვედა ნაწილები (მარცხენა მხარეს). შერჩენილია აგრეთვე ორი სტრიქონი. ქვას ქვედა ნაწილში გამოსახული აქვს ერთხაზოვნად ჯვარი (ნახ. 34). ეს ადგილი ადიგენისა არის, ეკუთვნის ზარზმასო(?). ეს დაუსახლებელი ადგილიაო. წარწერა ხუცურია: 1 სტროფს აკლია დაახლოებით 16 ასო.

2. ს ყ ჩ ჭ ო ჯ ჩ ყ ჟ ა ჩ ჯ[1]ჭ
3. (??)ჩ[2] ჭ ჩ

1. აქ ადგილი დაზიანებულა.

2. ეს შეიძლება სულ ზედმეტი იყოს. ჯერ ეს დაუწერია ნაპირისაკენ და რაკი ადგილი არ უნახავს შესაფერი, მეორე ასო მცირედ იქნებ იყოს დაწერილი. უფრო კი შეიძლება წინა ასო „ყ“ იყოს (თუმცა არ წაააგავს), მაშინ იქნება „ჩჩ“ (შეუნდვენ).

წარწერის ნაშთი იკითხება: ასაშენებელი მან შემოწირა შეუნდვენ ღმერთმან. წინა სტრიქონებიდან შენახულა უკანასკნელი ორი ასოს ქვედა ნაწილი. ეკლესიის დასავლეთით დგას რაღაც დიდი შენობის ნანგრევი. იგი ეკლესია არის 10×16 მ (?). დღეს დანგრეულია. იგი ერთნავიანი ეკლესია უნდა ყოფილიყო 8×4,5 მ (?), რომელსაც სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილოეთით მთელს სიგრძეზე ჰქონია შენობები. დღეს შემონახულია მარტო ეკლესიის დუღაბი ისიც ნაწილობრივ. დანარჩენი დანგრეულა. შედარებით მთლიანად შენახულია მხოლოდ დასავლეთის კედლის ნაშთი (ჩრდილოეთი ნაწილი) და ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილი შიგნით (ერთიც და მეორეც). დგას მარტო დუღაბი დანარჩენ ნაწილში. ეკლესია შიგნით და გარეთ სულ ნანგრევით არის სავსე. იგი ტყით და ბუჩქით არის დაფარული. პატარა ეკლესია უფრო ძველი უნდა იყოს. კარი ძლიერ პატარა აქვს. ზომა კარისა 1,4×0,8 მ. გეგმა ასეთია (ნახ. 35). ეს ადგილი ადიგენისა ყოფილა. ბიჭები საქონელს ეძახიან: დიიდ-ჰოო. წარწერის მეორე სტრიქონი ასეთია: ჩ ი ჟ ჩ შეუნდვენ ღმერთმან. სამხრეთ კედელს გარედან ქვა მცირედღა შერჩენია.

ზართას კოშკის ნაშთი დგას ადიგენის შუშხუთის ეკლესიის აღმოსავლეთით, სოფ. ადიგენის გაღმა, ჭომღარის მარჯვენა მხარეს, მთიდან გამოწეულ პატარა გორაკზე. ნაგები ყოფილა დიდროვანი ქვებისაგან უკიროდ. დღეს საძირკვლის დიდი ლოდებიღა არის. მის დასავლეთ-ჩრდილოეთით დგას ქვითკირის ბურჯი (?). კოშკის აღმოსავლეთით არის ნასახლარები. კირი იქნება კოშკსაც ჰქონდა, ახლა დარჩენილ ქვებს არ უჩანს.

ზართა ძველად სოფელი ყოფილა.

უტყისუბნის[20] სოფლის სამხრეთ-დასავლეთით მახაჭალის წყალის მარჯვნივ, გოდერძის გზის ძირას (სამხრ.) 1 ვერსზე სოფლიდან არის დიდი ქვა, რომელიც ოთხკუთხად არის ამოჭოილი. შიგ მდგარა ჯვარი, რომელიც ახლა სამად არის გატეხილი და იქვე მახლობლად გდია. ზომით ეს ჯვარი (ყველა ნატეხებით) არის 170×78×16 სმ. ჯვრის ქვა ოთხკუთხია, მაგრამ გვერდები პრტყლად აქვს ჩათლილი. ასე რომ, რვაწახნაგოვანს ემსგავსება. მას აქვს ასომთავრული წარწერა, რომელიც იწყება მარჯვენა მხრიდან, შერმე ადის მაღლითა ნაწილში (?) და შემდეგ მარცხენა მხარეზე გადადის წარწერა.

მარჯვენა მხარეზე:

1. ⴣⵎ ⵢⵗⵔ(ⵒⴒⴣⵔⵎ)

ე. ი. „ქრისტე, შეიწყალენ (სტეფანე)

ზედა ნაწილში:

(კოსტა)

1. [ⵖ]¹(ⵁⵗⴒⵆ) (ნტინე)

2. (ⵔⵎ)

მარცხენა მხარეზე:

1. [ⵆ]ⵆ ⵀⵛⵀⴰ ⵀⵗⵏⵊ

(და) ძმაჲ მისი

2 ⵀⵜⵆⵎ(ⵠ) მიქაე(ლ)

1. ამ ასოსი შენახულია მარტო ძირა ხაზი, ვფიქრობ, რომ „კ“ იქნებოდა. წარწერა იქნებ ასე იკითხებოდეს: „ქრისტე შეიწყალენ სტეფანე კონსტანტინე და ძმაი მისი მიქაელ“.

ჯვრის ძირი ბუნებრივი დიდი ქვაა.

აქ ჩამოდის მახაჭალის წყალი. აქ არის ხიდი. ხიდის ჩრდილოეთით 50 საჟენზე არის ეკლესიის ნანგრევი. შენახულა მხოლოდ აღმოსავლეთ კედლის ჩრდილო ნაწლის დუღაბი 2 მ სიმაღლით და სამხრეთი კედლის

ნაწილი, დანარჩენი სულ მიწასთან არის გასწორებული. შიგნით და გარეთ ნანგრევებით და ტყის ბუჩქებით არის დაფარული. მის სამხრეთით არის აკლდამები, დიდრონი ბრტყელი ქვებით. ზოგი მათგანი ახდილია. ხიდის აღმოსავლეთით, 100—150 საჟენზე ნაძვებთან არის ეკლესიის ნანგრევი, შენახულა მარტო ერთი კედლის საძირკველი. ამის მახლობლად სამხრეთით არის დიდი შენობის ნანგრევი 13×3,5 მ. იგი სულ დანგრეულია, ნანგრევი ქვები შიგნით არის ჩაწოლილი. ნაეკლესიარის დასავლეთით მახლობლად დგას აღმართული ბუნებრივი ქვა 1,5 მ სიმაღლისა. აქვე სამხრეთით არის რაღაც შენობა და ნანგრევები.

ხიდის გადაღმა ტიტველ ადგილას უჩვენებენ ბაზარს და უწოდებენ „შეითან ბაზარს“. ხიდის გაღმა, ე. ი. მდინარის მარჯვენა მხარეს.

ყველა ეს არის სოფლის ძირას სამხრეთით.

დიდი ეკლესიის(?) თუ შენობის ჩრდილოეთით ყრია ჯვრები.

1. ჯვრის ქვა რვაწახნაგოვანი, ზომით 64×13×24 სმ. მას აქვს წარწერა სამ მხარეს (ორ მხარეს მთლად და მესამეზე კი გადატანილია სამი სტრიქონი):

1 მხარე:		მე-2 მხარე:		მე-3 მხარე:	
1 (ⵔⵆⵓⵜ)	(ლით)	ⵒⵓ	ვთ		
2 (ⵖⵔⵆⵏⵙ)	(გლის)	ⵍⵚⵀ	ზარ		
3 (ⵗⵏⵅⵁ)	(ცხო)	ⵀ(ⵓⵒ)	ძ(იე)		
4 ⵀⵒⵍ(ⵓ)	რებ(ი)	ⵊⵗ	მც		
5 ⵏⵚⵏⵚ	სა სა	ⵅⵁⵃ	ხონ		
6 ⵜⵓⵜⵒ	დიდე	ⵏⵁⵓ	სოი	ⵒ	ე
7 ⵍⵔⵔⵚ	ბლა	ⵜⵙ	მს	ⵔⵔ	ლ
8 ⵜ	დ	ⵗⵔⵔ	ნღო		

2. ჯვარი, რომლის წიხა პირი შემკულია ჩუქურთმით, გულში ბუშტით, ქვევითა ნაწილში პატარა ჯვრით და სულ ძირს წარწერით:

1 მხარე:		მე-2 მხარე:	
ⵀⵁⵎ(ⵖ)	ე. ი. წმიდაო გიორგი	(ⵎⵙ)	
ⵢⵒ(ⵔⵔ)	შეიწყალე(ლ)	(ⵜ)ⵆ	(ვ) ქ
		(ⵒ)ⵜ	
		ⵔ	

ამ ჯვარს მარცხენა მხარე მოტეხილი აქვს და აქვე არის. ზომით არის 92×82×24 სმ.

3. აქვე არის უწარწერო ქვის ჯვარი. ზომით 66×63×22 სმ.

4. ისეთივე ჯვარი 111×81×24 სმ.

5. აქვეა ეკლესიის გუმბათის მოდელი ჩუქურთმით შემკული, 8 სარკმელი აქვს.

აქვეა გაურკვეველი შენობის ნანგრევები, ხოლო ეკლესია ქვითკირისაგან ყოფილა ნაგები და აქა-იქ ქვითკირის ნაგლეჯები მოჩანს. იმ დიდ შენობას კი კირი არ უჩანს.

უტყისუბანში არიან სანაკიძეები 10 კომლი, ზოგი ქართულად კარგად ლაპარაკობს, აქვეა შამანიძე.

უტყისუბნის ჩაკიდულას ეკლესიის ნანგრევებში არის კარნიზის ქვები:

1. 56×49×30 სმ.

2. 70×50×30 სმ.

აქვეა: 1 ქვაჯვარი 61×60×26 სმ.

2. ქვაჯვარი 1 მ 09 სმ × 80 სმ ×28 სმ.

წარწერით ჩ᾽ ქ᾽ (ასომთავრულად) (წ᾽ ჲ გ᾽ი), ე. ი. წმიდაჲ გიორგი. პალეოგრაფიულად გადმოვბეღე ჩ᾽ დანარჩენი ასეა დაწერილი ქ᾽ გ᾽ი

აქედან წამოვიღე:

1. ქვაჯვარი სამ ნატეხად:
პირველი ნატეხი — 93×52 სმ.
მეორე ნატეხი 30 სმ სიგრძით.
მესამე ნატეხი 56 სმ სიგრძით.

2. გუმბათი 1 მ 25 სმ × 40 სმ. ის რვასარკმლიანია, თავი მოტეხილი აქვს; მისი ორნამენტი თოკისებრია, სარკმლების ორნამენტი კი სვეტებიანი.

სოფელი დერცელი. მურთაზ შაჰაბაზოღლი ჰულიკიძე. ცნობები:

1. სოფელი კიკიბო. აქ არის პატარა დანგრეული ციხე. კედლები ერთ მეტრზე შენახულა. დაწერილი ქვები არ არის.

2. ღაღვი. იქ არის ეკლესია დანგრეული ზედა ღაღვში. კედლები 1 მეტრზეა შენახული. არც ჩუქურთმა, არც ნაწერები არა აქვს.

3. ქვედა ღაღვში არის დანგრეული ეკლესია. იგი სულ მიწასთან არის გასწორებული.

ჰეჭლაში არის ეკლესიის ნაშთი. აქ გდია შენობის ნატეხები სამ დიდი ნატეხად. ეს ნატეხი არის დუღაბიანი ქვით. საძირკველი აღარ ჩანს.

მოხეში არის ეკლესიის ნანგრევი. იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა 6,5×2,5 მ. შენახულია მარტო აღმოსავლეთი ნაწილი მთელი სიმაღლით და დასავლეთი კედელი 1 მეტრზე. ისიც ცარიელი დუღაბია. პირის ქვა სულ მოცლილი აქვს.

სოფელ აშხაში არის ეკლესიის ნანგრევი. შენახულა მარტო აღმოსავლეთის კედელი მთელი სიმაღლით, შუაში გალესილი. იგი ერთნავიანი (?) ბაზილიკა ყოფილა 10×5,5 მ. მას სამხრეთით ჰქონია მინაშენი მთელ სიგრძეზე 2 მეტრი სიგანისა, მისი ნაშთიღა მოჩანს. მისი ქვა მეზობლებს წაუღიათ: 1. შაქირ ყოჩი ოღლი, ალი სული ოღლის და სარვარ ჭალიშ ოღლას. პირველის სახლს უდევს ეკლესიის სვეტები. ოთხსვეტის სახისანი ერთად შეერთებული 2 ცალი. სხვა პირების სახლებსაც ამავე ეკლესიის ქვები უწყვიათ.

დიდ სმადის თავზე, გორაკზე, ჩრდილო-დასავლეთით სერის გადასახედზე არის ეკლესია. იგი ერთნავიანი შენობაა 7×3,2 მ. შენახულია მარტო დუღაბი. დანარჩენი სულ მოცლილია. პირის ქვა შენახული აქვს მხოლოდ შიგნით ნაწილობრივ (აღმოსავლეთ კუთხეების ადგილას გამართულ ნახევარწრეებს და ნაწილობრივ ჩრდილო კედელსაც აქა-იქ). შენახული კედლების სამხრეთ-დასავლეთი ნახევარი დაქცეულია და სულ შიგნით ჰყრია ნანგრევები (არის პირის ქვებიც). სამხრეთით ეკლესიას რაღაც შენობა ჰქონია, მოჩანს ნაშთი. წარწერიანი ქვები აქ არ ჩანს. ქვები სახლებისათვის წაუღიათ.

ჩორჩანას ეკლესია დგას სოფელში. იგი ერთნავიანი შენობაა, ზომით 5,4×3,5 მ. ნაგებია თლილი ქვისა და კირისაგან. შიგნითა პირი შენახულია, გარეთა კი ნახევრად მოცლილია. შენახულია თაღიც. კარი აქვს სამხრეთით, ფანჯარა აღმოსავლეთით 1, დასავლეთით 1, სამხრეთით არა ჩანს ჰქონდა თუ არა, რადგანაც კედელი კარის ზევითა თაღამდე გაგლეჯილია. თვითონ კარის ნაწილი კი კარგად არის შენახული. აღმოსავლეთ სარკმლის შიგნით ჩრდილოეთით უხის ქვა ჯვრის გამოსახულებით. ეს ადგილი უწინ თახჩა უნდა ყოფილიყო და ქვა შემდეგ შედგმული ჩანს, რადგანაც თახჩა ძოლად არ არის დაფარული ამ ქვის მიერ. ქვა და თახჩა ზედ ფანჯარასთან ყოფილა. ეკლესია ახლა უპირავს მაადინ ეფენდოღლი ლუხუმანიძეს. გარედან ეკლესიას ქვედა ნაწილშიღა შერჩენია პირის ქვები, ისიც მხოლოდ სამხრეთით და დასავლეთით, დანარჩენ მხარეს სულ მოცილებული აქვს. სამხრეთ კე-

დელს დასავლეთ ნაწილში უდევს უზარმაზარი ქვა, რომელიც კარების ქვამდე (სვეტამდე) მიდის.

პატარა სმადაში არის თლილი ქვისაგან ნაშენი ეკლესია 7,5×3,6 მ. იგი ერთნავიანი შენობაა, შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვაა. სახურავი აღარ ახურავს. თაღი აქვს, მაგრამ დასავლეთ ნაწილში სამხრეთ მხარეს ჩანგრეულია. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი აღმოსავლეთით 1, დასავლეთით 1, სამხრეთით 1 (სულ 3). ეკლესია საბძლად და თივის საწყობად აქვს გადაქცეული აბაზ ეიბ-ოღლის.

ეკლესიაში ჩრდილო კედელს უდევს ქვა თავდაყირა წარწერით:

1 ⵎ · · (ⵏ)ⵔ ე · · (ი)მ
2 (ⵎ)ⵜ ⵅ · (ⵣ)[1] (ე) ქვ. (გ)
3 (ⵣ)ⵏⵔⵀⵔ [2] (გ)იორგ
4 ⵒ(ⵜ) ⵡ ⵙ ⵎ ჩ(ა)ჯსე

1. მესამე ასო ქვის დაზიანების გამო ძირს არის დაწეული.
2. უკანასკნელი ასოა თუ სხვა რამე არა ჩანს.

სამხრეთ კარზე მდებარე ქვაზე ნახევარწრედ დიდი ასოებით წარწერაა[21]:

1. ⵋⵔⵔ ⵗⵅⵖⵙⵏⵙⵋ ⵋⵐⵔⵀⵡⵎⵡⵙ
ⵗⵔⵙⵙⵔⵗⵙ
2. ⵡⵋⵡⵡⵔⵙⵔⵏⵙ ⵔⵖⵡⵔⵖ ⵔⵔⵅⵙⵙ
ⵡⵏⵣⵙ

ამა ეკლესია აღ-მნბლს
ერსთვს შაბურსძეს მწყრლ
მთკნს შიოს

ქვის მარცხენა მხარეს:

და მშ-ლთა მს-თ(?) (შ-ნ) ღ-ნ

ⵆⵋ ⵔⵡⵅⵖⵔ ⵔⵙⵔ(?)(ⵡⵐ) ⵐⵐ

ქვის მარჯვენა მხარეს:

1. ⵜⵔⵐⵙⵋ ⵔⵔⵔⵎ ქრ-ქსა რმიგ ე. ი. 1465 წ-

ამ დიდი წარწერის ქვეშ ნახევარწრედვე წვრილი ასოებით:

1 ნიე ⵜⵙⵋⵒⵎⵔ ⵏⵔⵀⵙⵋⵔ ⵋⵏⵡⵐⵔ ⵎⵙⵎ ⵒⵔ
ⵎⵐⵎⵣⵙⵔ ⵀⵣⵔⵐⵎ ⵔⵒⵅⵡⵔ ⵎⵅⵙⵅⵅⵙⵋ ?ⵣⵎ
2 ნიე ⵅⵅⵎⵅⵙⵙⵋ ⵋⵎⵣⵅⵙⵋ ⵜⵎ ⵎⵋⵣⵙⵐⵎ
ⵙⵣⵣⵙⵋ ⵔⵡⵅⵅⵎⵣⵔ ⵔⵡⵅⵙⵔⵙⵋ

ქსახლთა ღთისათა აღშნა ესე კვესისა ზეობსა ქ-ე გაოსნე
წდ ეკ-ლსა იოვ-ნე მწყრ-ლ სოლსა მშბლთა მსთასა
ებსკბსა ? ოლ

ამ წრეების ქვეშ დახატულია ჯვარი და მხრებს ქვეშ აწერია:

ⵅ-ⵎ ⵜⵙ-ⵎ ე. ი. „ჯუარი ქრისტესი“

ამავე სამხრეთ მხარეს აღმოსავლეთ კუთხის ახლოს არის თავდაყირად დადებული ქვა წარწერის ნაშთით:

1 ⵜⵐⵎ (ⵡⵐⵎ)[1]ⵏⵐⵋ 2 „ქრისტე შეიწყალე ე-ც“
2 ⵜ 3

მეორედ გადმოღებული:


1. ⵜⵐⵎ(ⵒⵐⵎ) (ⵣ) ⵏⵉⵒ ან „ქრისტე, თევდორე მესვეტი
2. (ⵡ)ⵔ(ⵎ) შეიწყალე“

აღმოსავლეთ სარკმლის ზევით მდებარე ქვის წარწერა:

1 ·ⵜⵐⵎ ⵡⵕ ⵡⵐⵖ (ⵎ) „ქრისტე შეიწყალე
2 ·ⵡⵔ (ⵎ) გაიანე“

უკანასკნელი სტრიქონის დასაწყისი ასო „შ“ ასეთია, იქნება იყოს „ა“, მაშინ წაიკითხება „იოანე“, მაგრამ კბილი აქვს და იქნებ „ლ“ იყოს, მაშინ „გაიანე?“.

უკანასკნელი ასო იქნებ „ქ“ იყოს.
ამავე აღმოსავლეთ კედელზე მდებარე ქვის წარწერა:



„ქრისტე შეიწყალე გიორგი მღვდელი“


ასეა სწორედ, ქარაგმა მარტო ერთგან აქვს. მეოთხე წარწერაში მეორე სტრიქონის პირველი ასო ვგონებ „ქ“ ეს უნდა იყოს. სწორედ ამისთანავე „ქ“ არის მეხუთე წარწერაშიაც. იქნებ მე-5 წარწერაში იკითხებოდეს: „მღვდელი“.

ეკლესიის ჩრდილო კედელს დასავლეთი ნახევარი 1 მ ზევით პირის ქვა სულ მოცლილი აქვს. დასავლეთის ფანჯარა შემკულია უბრალო კამარების შემკულობით.

აღმოსავლეთის ფანჯარა შემკულია უბრალო ხაზებით. მის თავზე ჯვარია, ძირსაც ორი დიდი ჯვარია გამოსახული. აქ არის გვარები: თურმანიძე, ნაზარიშვილი.

ბოლა ჯურის[22] სოფლის ბოლოს არის დიდი ეკლესიის ნანგრევი, შენახულა მხოლოდ კედლები 1—1,5 მ სიმაღლით (1,5 მ კედელია საკურთხევლის ნაწილში, ხოლო 1 მ კი კათოლიკონის). იგი სულ თლილი ქვისაგან ყოფილა ნაშენი. დღეს ქვა მცირედ ჰყრია ადგილობრივ, დანარჩენი წაუღიათ ჯამესათვის მასალად და საძირკველში ჩაუყრიათ. ზომით არის 8,2×4,8 მ. კარი ჰქონია სამხრეთით.

ეკლესიის აღმოსავლეთით გდია სარკმლის ძირის ქვა, შემკული შესანიშნავი ჩუქურთმით და ხუცური წარწერით:



„წმიდაო ღმერთო შეიწყალე სული შერსაი“

უკანასკნელ სიტყვას ორი ქარაგმა აქვს, „ი“ იწერება „ა“ ე. ი. კუთხე მომრგვალებული აქვს. ქვა ზომით არის 73,5×105×41 სმ.

ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით გდია ქვა ჯვრის გამოსახულებით 67×64×39 სმ.

ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით გდია სარკმლის თავის ქვა, შემკული შესანიშნავი ჩუქურთმით, ზომით 68×92 სმ (სისქე არა ჩანს, მიწაშია ჩაფლული). ეკლესია ნაშენი ყოფილა უზარმაზარი თლილი ქვისაგან. ეზოს გარეთ დასავლეთითვე გდია უზარმაზარი ქვა.

ეკლესიის მახლობლად ჩრდილო-დასავლეთით არის ქვა გულამოღრმავებული, 15 სმ სიღრმით. ზომით არის: სიმაღლით 59, სიგანით 67 და სიგრძით 145 სმ.

ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით დგას ოთხკუთხი სვეტი, რომელზედაც დასავლეთ მხარეს გამოსახულია ჯვარი 61×42×42 სმ (რაც დედამიწიდან ზევით არის). ეკლესიის დასავლეთით 8,5 მ-ზე არის თლილი ქვისაგან ნაშენი კედელი, ერთი პირის ქვით, კარი აქვს დასავლეთით.

ეკლესიის სამხრეთით გდია კარის თავზე მდებარე(?) ქვა 74×217×41 სმ. ამ ეკლესიის პატრონი გადმოცემით ყოფილა „ძამუღა“.

ამავე სოფელში, ბოლაჯურში, არის მეორე ეკლესია პატარა ზომის. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა 4×2,3 მ. ნაგებია თლილი ქვისა და კირისაგან. ადგილ-ადგილ (შუა ნაწილში) უბრალოდ გათლილი ქვაც ურევია. კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი დასავლეთით 1, აღმოსავლეთით 1, სამხრეთით 1. თაღის აღმოსავლეთის ნახევარი ჩაქცეულია, დასავლეთის ჩამონგრეულია. შიგნითა და გარეთ პირი ყველა კედლისა მთელია, მხოლოდ სამხრეთ კედელს ერთ პირას ქვაზე ზევით ქვა მოცილებული აქვს. ესეც უზარმაზარი ლოდებისაგან არის ნაშენი. დასავლეთის კარის თავზე გამოსახულია ჯვარი. ამავე კარის მარცხნივ მდებარე ქვაზე გამოსახულია ერთი დიდი ჯვარი და ოთხი მცირე მის კუთხეებში (ნახ. 36). კარნიზი შენახულა ჩრდილო მხარეს, დასავლეთ მხარეს კი მხოლოდ 2 (ქვედა კიდურის) კარნიზის ქვა. ეკლესიის დასავლეთით 2 მეტრზე დგას ოთხკუთხი სვეტი 1,5 მ. სიმაღლით (დედამიწის ზევით). ეკლესია დანგრეულა და დაშლას ლამობს.

ბოლაჯურის მისგითი დგას სოფელში. იგი ნაგებია თლილი ქვისა და კირისაგან. ზომით არის 13×11,4 მ. კარი აქვს ჩრდილოეთით. სარკმელი ყველა მხარეს, გარდა ჩრდილოეთისა. ჰხურავს თუნუქი. შიგნით აქვს ჭერი და აივანი შემკული შესანიშნავი ჩუქურთმით. ისინი და კედლები საუცხოოდ არიან მოხატული ხეროს მისგითისაებრ. თაღი დაბჯენილია ოთხ ფიცრის სვეტზე.

მისგითი აუგიათ 40 წლის წინათ. მას საძირკველი ძველი მისგითისა აქვს დატოვებული. ეს საძირკველია დედამიწიდან 1 მ-ზე (ქვების ორი პირი); მასალა ახალი მისგითისათვის ადგილობრივი დიდი ეკლესიიდან მოუტანიათ (ძველ მისგითს ალბათ მარტო საძირკველი ჰქონდა ქვიტკირისა, თვითონ ფიცრისა იქნებოდა, ამ აშენების დროს საფუძველი დატოვეს და ზედაც ქვიტკირი ააგეს?). კარი მისგითს ძველი აქვს შენახული. მას ქართული ეკლესიის კარის სახე აქვს სავსებით.

მისგითის დასავლეთით არის დიდი ოთახი.

მისგითს ჰქონია ახალციხის ფაშის „ბარათი“. ის დაუკარგავთ; მასში ეწერაო, რომ ბევრ დიდ სოფელს, რომელთაც მისგითი არა ჰქონდათ, აქ უნდა ელოცათო.

მისგითის აღმოსავლეთ კედელზე, სამხრეთ კუთხესთან ახლოს, მიყუდებულია ზეთის სახდელი ქვა. მეორე ასეთივე ქვა არის მისგითის დასავლეთით; უკანასკნელი ნახევრად მიწაში ზის; ორივე ქვა აქ ამოუღიათ ძველად. პირველი ქვა ზომით არის 1,7×1,73×0,36 მ, მეორე ქვა 1,63×1,63×0,33 მ.

ბოლაჯურის დასწვრივ ჭობლიანის წყალზე არის ძველი ხიდის ბურჯი.

ყ უ რ ა თ უ ბ ნ ი ს ეკლესია ერთნავიანი შენობაა 4,2×2,3 მ. ნაშენი ნაწილობრივ თლილი და ნაწილობრივ კლდის ქვის და კირისაგან. დგას მარტო კედლები, ისიც ნაწილობრივ დანგრეული. თაღი შერჩენია მხოლოდ საკურთხევლის ნაწილს. ეკლესიაში ამოსულა დიდი 2 ხე, რომელთაც ძლიერ მრავლად აქვთ შემოკრული ტანისამოსის ნახევები. ეკლესიას კარი აქვს დასავლეთით, ფანჯარა შერჩენია აღმოსავლეთით. ფანჯრის ძირს დატანებულია კედელში ქვა ჯვრის გამოსახულებით, ყურძნის მტევნების, მზის სახეების შემკულობით და წარწერით. ქვა შემორულია სანთლებით. წარწერა ზევით ნაპირისკენ მარჯვენა მხარეს:

1. სომხურია: „წელსა
2. 925+551=1476 წ.

ძირს: 1. ·(z)U..... მე...“

ზომით არის 115×76×24(?) სმ. ამ ქვაზე ზევიდან დევს სხვა ქვა, გულში ჯვრის გამოსახულებით 45×41×14 სმ. თაღი ეკლესიისა, რომელიც საკურთხეველს შერჩა, მხოლოდ ორი ფიქალია დადებული სიგანეზე. ქვა უბრალო თლილია. უდიდესი ნაწილი კლდის ნატეხი ქვაა. დგას სოფლის ჩრდილოეთით შემაღლებულ ადგილას. აქვეა ფრინველების ფრთები. ეტყობა ფრინველებსაც სწირავდნენ. აქვეა ცეცხლის ნაშთებიც.

ა ნ დ რ ი ა წ მ ი დ ის ანდრიას ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთ ბოლოზე. იგი ერთნავიანი შენობაა 6,9×3,3 მ. ნაგებია ქვითკირისაგან: გარეთა პირი, შიგნით კი საკურთხევლის დასავლეთი ნაწილი და კარები თლილი ქვაა, დანარჩენი კლდის ნატეხი უბრალო თლილი ქვა. კარი აქვს: სამხრეთით 1, დასავლეთით 1. სარკმელი აქვს აღმოსავლეთით 1, დასავლეთით 1. ტრაპეზი ერთიანი ქვაა, დგას კედლის ახლოს, სამკვეთლოც ერთიანი ქვაა, დგას კედელთან, სამკვეთლოს მაღლა არის თახჩა კედელში, კანკელი ქვითკირისა ყოფილა, შენახულა წინა

თლილი ქვები. ეკლესიას დასავლეთ მხარეს მაღლითა ნაწილში უდევს ქვა ჯვრის გამოსახულებით. აღმოსავლეთ სარკმლის გარეთა პირი გარშემო ჩამოქცეულია. თაღი არის, მაგრამ დაზიანებული. სახურავი სულ გადახდილი აქვს. დასავლეთი ნაწილი ნაწილობრივ ჩამოქცეულია, საკურთხევლის თაღი კარგად არის შენახული. საკურთხეველში დევს მომრგვალებული ქვა ზოლებშემოვლებული, რომელსაც ზევითა ნაწილი ამოღრმავებული აქვს. იგი სვეტის თუ ჯვრის ძირი უნდა იყოს. ზომით არის 44×58×62 სმ. გარშემო (ე. ი. პერიმეტრი) 206 სმ. შენობის ქვა უმეტეს ნაწილად მოწითალო ფერისაა. სახურავზე ამოსულია გრაკლა (ხე).

ღ რ ო მ ა ს[23] თევდორეს ეკლესია დგას სოფლის დასავლეთით 2 ვერსზე. იგი ერთნავიანი შენობაა ზომით 6,5×3,4 მ. ნაგებია შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვით და კირისაგან. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი აღმოსავლეთით 1, დასავლეთით 1. თაღი მთელი, სახურავი ოდნავ დაზიანებული. ეხურავს ლომფინი. აღმოსავლეთის საქარეზე აქვს ვერძის თავი, დასავლეთისაზე ეკლესიის მოდელი გუმბათიანი სახისა. ტრაპეზი ერთიანი ქვაა, იგი დღეს გადმოგდებულია, მდგარა კედელთან, სამკვეთლო მოშლილია. საკურთხეველს აქვს ორი თახჩა: ერთი სამხრეთით, მცირე ჩრდილოეთით. დასავლეთ კედელზე არის ქვა ჯვრის გამოსახულებით. აღმოსავლეთი სარკმლის თავი შემკულია წრისებრი ჩუქურთმით. კანკელის წინ დგას ორი ქვა: ერთი ჩრდილოეთ კედელთან, მეორე სამხრეთ კედელთან. ორივე სვეტისებრი ქვებია, მაღლა ამოღრმავებული აქვთ. მესამე ამდაგვარი ქვა გდია სამხრეთ კედლთან, მეორე ქვასთან. აქვე კანკელთან გდია ქვა, რომლის წინა პირიც შემკულია ჩუქურთმით ზომით 68×26×46 სმ. მეორე ამგვარი ქვა თუ ნატეხი გდია ტრაპეზთან ზომით 44×21×24 სმ.

ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხიდან ორ-სამ მეტრზე დგას ორი სვეტი გაუთლელი ქვისა ერთმანეთიდან 1,5 მ დაშორებით ერთი აღმოსავლეთით, მეორე მის დასავლეთით. დასავლეთის სვეტი ზომით არის 180×58×47 სმ, აღმოსავლეთის კი ზომით არის 160×40×51 სმ. ეკლესიის აღმოსავლეთ კუთხესთან გდია სვეტი მაღლა ჩაღრმავებული, სამ მხარეს დოშა-ჯვრის გამოსახულებით (ნახ. 37) ეკლესია კარგი ნაგებია, სახურავიც ლამაზი აქვს. ეკლესიის გარშემო ყრია ქვები.

ქ ი ს ა თ ი ბ ი ს (თუ ღ რ ო მ ი ს?) „ბ ა ი ე ბ ი ს“[24] ეკლესია დგას ფერდობზე. იგი ერთნავიანი შენობაა 8×3,2 მ. სამხრეთ და დასავლეთ მხარეს ნაგებია თლილი ქვისა და კირისაგან, კარ-სარკმელიც და კარნიზებიც ასეთივე ქვაა, დანარჩენი კლდის ნატეხი ქვაა. კარი აქვს სამ-

ხრეთით, სარკმელი სამხრეთით —2, დასავლეთით —1, ახურავს ლომფინი, რომელზედაც მიწაა გადმოწოლილი ზევიდან. საკურთხევლის ნაწილი კლდეა. კარნიზები ჩუქურთმით არის შემკული (ეკლესიაზე დასავლეთიდან მიდგმულია ეკვდერი ზომით 3,6×2,2 მ. ნაგებია თლილი ქვისაგან. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი სამხრეთით — 1, სახურავი შენახული აქვს). ეკლესიას თაღი შენახული აქვს. ეკლესია მოხატული ყოფილა, მხატვრობა შესრულებულია უსწორმასწორო კედელზე, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ნაწილში — საკურთხეველში, აქ პირდაპირ კლდის გამოშვერილი ადგილები დაფარული არ არის და ზედ არის შესრულებული. მხატვრობა ნაშთად არის შენახული საკურთხეველში — სამხრეთ კედელზე მოჩანს ერთი პირის დაზიანებული ტანისამოსის ქვედა ნაწილი.

საკურთხეველში ჩრდილოეთ მხარეს შენახულია ნაშთი 4 მღვდელმოძღვრისა, ძლიერ დაზიანებულია ჩრდილოეთ კედელზე. საკურთხევლის ახლოს 2 მდგომარე წმიდანია, შემდეგ პილიასტრზე 1 მდგომარე წმიდანი, იგინიც დაზიანებული არიან; საკურთხევლის ახლო დახატულ პირველი წმიდანის ტანისამოსის არეზე მარჯვნივ არის რამდენიმე ჩაჰდეული მინაწერი. აი იგინი ზევიდან ქვევით მიმდევრობით.

I. მხედრულად:

1. ქ. ელი (ო) ზსა:. დავითს მწი
2. ..ესა:. ღმერთმან ცოდვანი
3. მისნი . . . .
4. . . . ღრთმანი

II. 1. ე. ი. დავით

2. (ავგთ)

3. დოიონე

III. 1. სასოო

2. რჱგათ

IV. —ჱსუ

V. 1. დავთგოლშ(ირ)

2. და მ(ჱბნთ)

VI. 1. . . . .

2. . . . . ს ხუცურია

VII მეორის გასწვრივ, აღმოსავლეთით

1. ც დს ტ-ს ღმერთისა
2. (მშობელი)

VIII. მეშვიდის ქვემოთ

1. . . . ᲘᲐ (Ყ)Ხ ე. ი. ღმ(შ)ლ

2. . . .

IX. 1. . . . Ⴑ ა

წარწერები I—VII ნაწერია ტანისამოსის წითელ ფონზე, VIII—IX მათ მარცხნივ, აღმოსავლეთით, X ისევ წითელ ფონზე.

ყველა მინაწერი მე-17—18 საუკუნისაა. წმიდანებს წარწერები არც ერთს არ შერჩენია. პილიასტრის დასავლეთით უფრო წმიდანები უნდა იყვნენ, ვიდრე ერისკაცნი.

ფრესკების კვალი არის დასავლეთ კედელზედაც ჩრდილო ნაწილისაკენ. აქ შენახულია რომელიღაც წმიდანის თავი მხრებამდე წითელი ფერისა (მარტო ეს ფერია შენახული).

აქ არის ნაკაწრი (დაზიანებული) წარწერა:

1 ბ(ე)ბ[ᲮᲐ] ᲮᲔᲡᲐ ე. ი. „დედაო ქრისტესაო
მ. ხ. ო. . . . ს
2 ᲐᲔᲐ . . . ᲡᲐ . . . . რი . .
1 . . . ᲮᲔ . . . . . ღმერთმან“
2 . . . ᲘᲬ „დედაო ქრისტესაო
. . . უდ . . .
1 ᲑᲔᲑᲮᲘᲥ ᲮᲔᲡᲐ . . . . . დღესა მ(ას)..
2 . . . . ᲧᲑ . . . . . მსმწერ . . .“
1 . . . . ᲑᲘᲔᲡᲮᲐ
1 . . . . ᲐᲡᲐᲩᲧᲔᲡ . . .

აქვე ძირს ვიღაც პირი მშვილდით ისარს ისვრის. შენახულია იგი მხარს ზევით წითელი საღებავის სახით.

თაღის ჩრდილო ნახევრის დასავლეთ ნაწილში შერჩენია მდგომარე პირების მხატვრობის ნაშთი. მხატვრობა სულ ორ რიგად ყოფილა. ოთხთა თაღზე (აქეთ და იქით) და თაღის ძირს. შუა ეკლესიაში გდია

ერთიანი ქვა, რომელიც ტრაპეზის ქვა უნდა იყოს. სამხრეთი კედლის ფანჯრის აღმოსავლეთი მხარე ჩაქცეულია და ეკლესიაში ნანგრევებია. ეკლესიის კარებიც მიწით არის ამოვსებული.

ეკლესიას დასავლეთით ჰქონია გალავანი, რომელსაც დასავლეთითვე აქვს ქვის კარი შებმული, ეკლესიის და ეგვტერის კარნიზები შემკული არის ერთნაირი ჩუქურთმით. ორივე ერთ დროს უნდა იყოს აშენებული. ეკლესიის კარნიზი ჩუქურთმით შემკულია დასავლეთ მხარეს. გალავანი აქვს დასავლეთით და სამხრეთით, სამხრეთი ნაწილობრივ დაქცეულია, დასავლეთი კი კარგად არის შენახული. აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით კლდე ზღუდავს.

აქ მონასტერი ყოფილა. ეკლესიის აღმოსავლეთით ჩადის გვირაბი, რომელსაც კარი აქვს სამხრეთ მხარეს. ეკლესიის სამხრეთით არის ეგვტერები კლდეში. სამხრეთით პირველ ზევითა რიგს აქვს სარკმლები, ქვევითა რიგს სამხრეთისავე მხარეს უდევს დიდი ბრტყელი ქვები. ერთზე დასავლეთ ნაწილში გამოსახულია ჯვარი ნახევარ წრეში (ნახ. 38), მეორეზე, აღმოსავლეთ ნაწილში, რაღაც სახე ადამიანის ჩონჩხისა თუ ცხოველის (ნახ. 39). ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით, ბაღებში არის შენობათა ნანგრევები. აქ არის ნასოფლარი.

წ ყ ო რ ძ ი ს[25] ზემო ეკლესია დგას სოფლის დასავლეთ ფერდობზე. იგი ერთნავიანი შენობაა ზომით 7,2×4 მ. ნაგებია შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვისაგან, კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი აღმოსავლეთით — 1, დასავლეთით —1, სამხრეთით —1, ჩრდილოეთით — 1. თაღი შენახულია, მაგრამ სახურავი მოცილებულია. იგი კარგი შენობაა. საკურთხეველში ჩრდილოეთ მხარეს არის თახჩა, ტრაპეზის ქვა გადმოგორებულია და იქვე გდია, იგი კედელთან მდგარა. საკურთხეველს კედლის ქვედა ნაწილში აქვს საჯდომი, შემორგებული ნახევარწრედ. სამხრეთი კარის თავზე მდებარე ქვას აქვს გამოსახული ჯვარი ნახევარ წრეში. შენობა მთელი ყოფილა. აღმოსავლეთი სარკმლის ძირს ყოფილა ქვა ჯვრის გამოსახულებით, ჯვარი ამოუტეხიათ.

წ ყ ო რ ძ ი ს ეკლესია სოფელში ერთნავიანი შენობაა 4,8×2,5 მ-ზე ნაგები შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვისა და კირისაგან. მას სამხრეთით ჰქონია რაღაც შენობა მთელ სიგრძეზე, მოჩანს ნაშთი სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ და დასავლეთ კუთხეებთან გამოწეულ კედლის ნაწილებზე. დასავლეთ ნაწილში აქ კარიბჭე(?) იქნებოდა, აღმოსავლეთში ეგვტერი (?). ეკლესია მრავლად არის შემკული ჩუქურთმებით. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი აღმოსავლეთით —1, დასავლეთით — 1 და ჩრდილოეთით —1. ყველა კარ-სარკმელი შემკულია

შესანიშნავი ჩუქურთმით. დასავლეთ მხარეს კუთხეებთან აქვს ორ-ორი ყურძნის მტევნის გამოსახულება. კარნიზები კუთხეებთან შემკული ყოფილა შესანიშნავი ჩუქურთმებით. დღეს სამხრეთ-დასავლეთის კუთხის კარნიზი ჩამოვარდნილია და დაკარგული. დანარჩენი შენახულა, ჩრდილოეთ კედელს კარნიზთან ახლოს აქვს სახეები სხვადასხვა. სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუნჭულები ძირა ნაწილში დაზიანებულია. გარეთა პირის ქვები მოცლილი აქვს (3 ქვა აქვე გდია). სახურავი აღარა აქვს. თაღი შუა ნაწილში ჩამოქცეულია. საკურთხევლის თაღი კარგად არის შენახული. საკურთხეველს აქვს ორი თახჩა, ერთი სამხრეთით, მეორე ჩრდილოეთით. ეკლესიას ჩრდილო-დასავლეთის კუთხის კედლის ძირას კედელი სულ გამოცლილი აქვს. სამხრეთი კარის თავზე გამოსახული აქვს ჯვარი. ეკლესიის ქვები ბეღლისათვის შეუხმარებიათ.

აქ არის 30 კომლი ქართველი მაჰმადიანი.

ადგილობრივი სკოლის მასწავლებელია სურაია ნომ ყიზი.

უ რ ა ვ ლ ი ს[26] ეკლესია დგას სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით პატარა ღელის პარჯვენა მხარეს კლდეში, სოფლის ბაღების განაპირას. იგი გუმბათიანი შენობაა ჯვრის სახედი შიგნით და გარეთ. დღეს ნანგრევად არის. შენახულია მარტო კედლები, რომელთაც პირის ქვა უმეტეს ნაწილად გარეთ მოცლილი აქვს. ძეგლი ნაშენია წითელი და რუხი ფერის თლილი ქვისაგან შიგნით და გარეთ. უმეტესი ნაწილი წითელი ქვაა. მახლობელი კლდე სწორედ ამ ფერის ქვაა და ორივე ფერის ქვა აქედანვე უნდა იყოს ნახმარი. ძეგლი ზომით არის 7×5 მ. გუმბათისა შენახულა მხოლოდ ქვედა ნაწილი 0,5—1 მ სიმაღლით. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი აღმოსავლეთით — 1, დასავლეთით — 1 (?), სამხრეთით — 1. ეკლესია მოხატული ყოფილა. ნაშთი შენახულია სამხრეთ მხარეს ნახევარ წრეში: აქ ფანჯრის მარცხნივ და მარჯვნივ შენახულია ტანისამოსის ნაშთი ვიღაც პირებისა. მხატვრობის ნაშთი შენახულია ამავე ნახევარწრის კამარის ზევით (პირით ჩრდილოეთისაკენ), ეკლესია მშვენიერი შენობა ყოფილა. გუმბათის კამარები შენახულია ოთხივე. დასავლეთ ნაწილს თაღი ჩაქცეული აქვს. შიგნით ნანგრევებია. ეკლესიაში შიგნით ამოსულა პატარა ხეები. ჩრდილოეთი კედელი გუმბათამდე კლდეშია აშენებული ანუ მიშენებულია კლდეზე. გუმბათი შიგნით მრგვალია, გარედან ოთხკუთხი. გარეთ ეკლესია სულ წითელი(?) ქვისაგან ყოფილა ნაშენი, რუხი ქვა ადგილ-ადგილ აქვს შერჩევით სილამაზისთვის შიგნით (სარკმლის თავზე, სამხრეთ კუთხეებში და სხვ.) ეკლესია მშვენიერი შენობა ყოფილა. სარ-

კმლები გუმბათს თითო მხარეზე თითო უნდა ჰქონოდა. გუმბათის ზომა შიგნით შენახულ ნაწილში 2×2 მ. ეკლესიის აღმოსავლეთით ხევში კლდეებში გამოდის წყაროები, ასე რომ აქ წყაროებიც ყოფილა და შეიძლება ხევად დაიწეროს ეს ღელე(?).

უ რ ა ვ ლ ი ს ბაღის ეკლესია სამეკლესიანი გეგმისა ყოფილა, როგორც ბერთა, სწორედ ისეთივე გეგმა ჰქონია. შენახულია მარტო აღმოსავლეთი ნაწილი და შუა ეკლესიის ჩრდილოეთი კედელი; შუა ეკლესია სიგანით არის 5,2 მ, სიგრძით 11,5 მ. ჩრდილო ეკლესიის სიგანე 2,5 მ, სიგრძე — შუა ეკლესიისა ექნებოდა, დანარჩენი ნაწილები სულ საძირკვლამდე გასწორებულია; სამხრეთი ეკლესიისა შენახულია მარტო აღმოსავლეთ კედლის ნაშთი შუა ეკლესიისაკენ. ამის გეგმასა და ბერთა ეკლესიის გეგმას შორის გარჩევა მხოლოდ ის აქვს, რომ ჩრდილოეთ მხარის ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილი სწორკუთხედი აქვს, ბერთაში კი იგი ნახევრად მრგვალად დაეხატე, შესაძლებელია მე იქ შეცდომა მაქვს და მაშინ იქაც ისევე უნდა იყოს აღდგენილი; იქ სამხრეთი ნაწილი სრულებით არ არის შენახული, ასე რომ, ჩემი გეგმა (ბერთისა) სამხრეთი ნაწილის ეკლესიისა (აღმ. ნაწილში) უნდა შესწორდეს. საკურთხეველში დგას ტრაპეზის ქვა, დაშორებული კედლიდან, ოთხკუთხი, დასავლეთ მხარეს ჯვრის გამოსახულებით. შუა ეკლესიის საკურთხეველს ნაწილობრივ თლილი ქვა აქვს შენახული, გარეთა პირი სულ მოცლილია.

ურავლში აღმასკომის ახლოს არის სახლი ალი ემინოვისა, რომლის წინაც არის ღვინის საწური 1,5×0,9×0,36 მ (ნახ. 40).

გ ი ო რ გ ი წ მ ი დ ი ს ეკლესია დგას სოფელში. იგი ერთნავიანი შენობაა 5,6×2,3 მ. ნაგებია ქვითკირისაგან. დღეს ნანგრევად არის ქცეული. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი აღმოსავლეთით —1, ჩრდილოეთით —1. ნაშენია ნაწილობრივ თლილი ქვით და უმეტეს ნაწილად კლდის ნატეხი ქვით. თლილი ქვა აქვს კარ-სარკმლის კუთხეებს და საკურთხევლის თაღ-კამარას. დგას კედლები. თაღი საკურთხევლისა შენახულია, დანარჩენი ნაწილისა კი ჩრდილოეთი ნახევარი დაქცეულია. საკურთხეველს აქვს ჩრდილოეთ მხარეს თახჩა, სამხრეთ მხარეს საკურთხეველთან არის იმისთანავე თახჩა. შიგ საბძელი აქვს მამა სულეიმან ოღლის. ეკლესია ბათქაშით არის გალესილი, ქვედა პირი თეთრია, ზედა გაშავებული. იგი მოხატული უნდა ყოფილიყო, ახლა გაშავებულია და აღარაფერი ეტყობა, ოდნავი კვალი კი აქვს. სამხრეთი კარის თავზე მდებარე ქვაზე გამოსახულია ჯვარი. ეკლესიის სამხრეთით ყოფილა რაღაც შენობა, რომელიც სიგრძით ეკლესიას აღმოსავლეთითაც სცილდება და დასავლეთითაც. იგი ზომით არის 8×4,5 მ. იგი ეგვტერი უნდა იყოს ან უძველესი ეკლესია. შენახულია მისი საკურთხევლის თუ სამწირველოს ნაშთი ეკლესიის აღმოსავლეთ კუთხესთან. გარედან კედლები მაღლით ნაწილში ნაწილობრივ დაზიანებულია. სამხრეთით შენობისა შენახულია საძირკველი, რომელიც სქელი კედელი ყოფილა და კარგად მოჩანს. ეს კედელი სისქით 1 მ არის. იგი შეიძლება ეგვტერისა იყოს (?).

ეკლესიის სამხრეთით არის ოთხკუთხი ქვითკირის შენობა, რომელსაც გარეთა პირი თითქმის შემოცლილი აქვს. იგი საძვალე ყოფილა, ჩასასვლელი აქვს ზევიდან დასავლეთ მხარეს, ზომით არის 4×3,6 მ, ე. ი. მთელი შენობა კედლებით. შიგ ძვლები ყრია.

ხ რ ი ა ნ ი ს[27] სოფლის განაპირას დასავლეთით დგას ეკლესია 10×5 მ. ნაგები შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვისაგან. შიგნითა პირი სამხრეთის ორი პილიასტრი და ჩრდილოეთიდან გამოწეულ კედლის (საკურთხევლის ახლოს) გარდა დანარჩენი ყველა კარგად არის შენახული, ხსენებულნი კი დაქცეულია. გარეთა პირი ნაშენია რუხი და წითელი ფერის ქვისაგან შერჩევით. კარი აქვს სამხრეთით, ფანჯარა აღმოსავლეთით —2, სამხრეთით —1. დგას მარტო კედლები, თაღი აღარა აქვს, შიგნით ყრია. აზიზ ოღლის საბძელია და ბზით არის დაფარული. საკურთხევლის ჩრდილო ნაწილში ამის სიტყვით, პატარა ოთახი არისო, რომელსაც კარი დასავლეთით აქვსო. გეგმაზედ ასე დაეინიშნე. სამხრეთ კარებთან გარედან დგას ორი სვეტი: მარჯვენა წახნაგებიც აქვს, მაგრამ კარის მხარეს ჩაჭრილია; მეორე მარცხენა სვეტი კი 8-წახნაგიანია; პირველის ზომაა: სიმაღლით 125 სმ, სისქით 50 სმ; მეორესი 125 სმ სიმაღლით, სისქით 35 სმ. პირველიც მის მაგვარი უნდა ყოფილიყო. გარეთა მხრიდან სამხრეთ მხარეს კედლის პირი უმეტეს ნაწილად მოცლილი აქვს; შენახული აქვს მხოლოდ აღმოსავლეთ კუთხესთან 2 მ სიგანით და 4 მ სიმაღლით, ე. ი. მთელი კედლის სიმაღლეზე. აღმოსავლეთ მხარეს ფანჯრების ადგილას გადმოქცეულია. ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლები სულ მიწაში ზის და ჩრდილოეთ მხარეს იმავე კაცის საბძელია გამართული. აღმოსავლეთი ფანჯრის მარჯვნივ, ძირს არის მუქი ქვა უბრალო ჯვრის გამოსახულებით (ნახ. 41). ზემოაღწერილი ეკლესია შიგნით სულ თლილი ქვაა, იგი შედარებით უკეთ არის შენახული, ზევიდან ბანით გადახურული აქვს ხსენებულ პირს. ეს კაცი ამბობს — ჩვენ ქართველები ვართ თათარაშვილებიო.

ხ რ ი ა ნ ი ს ჩრდილოეთით გორაზე არის ციხის ნანგრევი, მიწასთან გასწორებულია.

ტბეთში არის ქილისა (ეკლესია) დანგრეული, შენახულია 1 მ-ზე კედლები.

ზანზოფის[28] ეკლესია დგას იაილა ზანზობში. იგი ერთნავიანი შენობაა ჩვეულებრივი 6,9×3,5 მ. ნაგებია წითელი და რუხი ფერის თლილი ქვისა და კირისაგან. გარეთა პირი სუფთად არის თლილი, შიგნითა კი კარ-სარკმლისა და კუთხეების გარდა, უბრალოდ თლილია. ეკლესია ნანგრევებად არის. ორივე (ჩრდ. და დას.) კარების და აღმოსავლეთ სარკმლის ადგილები გაგლეჯილია. თაღი შენახულა, მაგრამ ადგილ-ადგილ დაზიანებულია. აფსიდის თაღი კარგად არის შენახული. ტრაპეზის ქვა სამხრეთ კარებთან გდია. იგი ერთიანი ოთხკუთხი ქვაა. აქვე არის იმოდენივე ქვა მომრგვალებული(?) ფორმისა. ეკლესიას ჰხურებია ლორფინი, ახლა სულ გადახდილია. კარი აქვს სამხრეთით—1 და ჩრდილოეთით —1. სარკმელი აღმოსავლეთით —1, დასავლეთით —1. საკურთხეველს აქვს ორი პატარა თახჩა, ერთი სამხრეთით, მეორე ჩრდილოეთით. შიგნით ქვები ყრია უწესრიგოდ. გარედან შესანიშნავი შენობაა, უმეტეს ნაწილად წითელი (და რუხიც) ქვებით; თამარის ნაშენიაო. ქვების წყობა სწორხაზოვანია. ჩრდილოეთისა და დასავლეთის კუთხის ქვედა ნაწილში გარედან პირის ქვა მოცილებული აქვს; სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს მაღლა აქვს მოცილებული, სამხრეთ კედელს შუა ნაწილში ძირს მოცილებული აქვს (კარებთან და მის მარცხნივ აღმოსავლეთით); აღმოსავლეთ სარკმელს გარშემო აქვს მოცილებული; კარნიზები ნაწილობრივ არის შენახული.

ისტორიული ძეგლები:

1. ტბეთის ეკლესია, დანგრეულია, კედელი შენახულია 1 მ, ზანზოფის ეკლესიაზე მოზრდილი უნდა იყოს.

2. ტბეთის ზევით არის ჭარხალეთის ეკლესია.

3. ემპელის ციხე ნანგრევიც არის და მთელიც.

4. ახალდაბას ეკლესია, დანგრეულია სულ, აღარა ჩანს დიდი იყო თუ პატარა.

5. რაყისი ქვემო და ზემო. ორივეში არის ეკლესიები. ორივეში დანგრეულია.

6. „ახალქაცას“ (ნასოფლარია) არის ეკლესია, დანგრეული. შენახული კედელი 1 მ სიმაღლისაა. ნაშენი ყოფილა უბრალო და არა თლილი ქვით.

7. საგულეს ეკლესია.

8. მაიკეთის ეკლესია ნაშენია თლილი ქვისაგან, ზომით ზანზოფის ეკლესიაზე ცოტა მცირეა. თაღი შენახული აქვს. მაიკეთში იაილათ დგანან ურავლელები და სხვ.; ის ხეოთის ღელის ზევითა ნაწილშია გვერდზე.

9. საყევარის ეკლესია, ნაგებია თლილი ქვისაგან. თაღი არა აქვს. ზანზოფის ეკლესიაზე მოზრდილია.

ზანზოფის ეკლესიის ჩრდილო გალავნის ყორეში ჩაყუდებულია ორი სეეტი ამოღრმავებული ზევით; მესაძე ჩატანებული 1 სეეტი აგრეთვე ზევით ამოღრმავებულია.


ენთელის აღმოსავლეთით სერზე არის ციხის ნანგრევი. შენახულია მხოლოდ ნაშთი. გატიტვლებულია დუღაბამდე (ნახ. 42). დანარჩენი დანგრეულია. მასში სახლი უდგას იდირი სამად ოღლის. ამ ციხის ქვემოთ ამ სერზედვე არის ეკლესია. იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა (?) 8×4,4 მ. ნაგები ქვითკირისაგან. საკურთხევლის კუთხეებს, სარკმლებს, კამარებს თლილი ქვა აქვს, დანარჩენი სწორპირიანი ქვაა. შენახულა მთლიანად მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე და სამხრეთი კედლის დასავლეთი ნაწილი. ნახევრად შენახულა სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე; დანარჩენი დანგრეულია საძირკვლამდე. კარი შერჩენია სამხრეთით. სარკმელი აღმოსავლეთით — 1; უკანასკნელის ადგილი გაგლეჯილია. სამხრეთი კედლის გარეთა პირი თითქმის შემოცილებული აქვს. შიგნითი პირი კი შენახულა ყველა კედლებისა. სამხრეთ კარებში დევს ქვა, ზევიდან ოთხკუთხად ამოღრმავებული (ნახ. 43). იგი სვეტის თავია ან სვეტის ძირი. ეკლესიის დასავლეთით ყოფილა რაღაც შენობა. შენახულა ნაშთი: პირმოცილებული კედელი (ნახ. 44). გარდა ამისა, ერთი კოშკის საძირკველს უჩვენებენ სოფლის ბოლოს, მეორეს სოფლის ზემოთ, ყანებში.

ხეოთის ეკლესია (ხეოთში უფროსი ტყის მცველი ვასო ინასარიძე). 1. შიგნით აღმოსავლეთ სარკმლის მარჯვნივ, ქვედა ნაწილში ჩრდილოეთით უდევს ქვა ჯვრის გამოსახულებით და წარწერით (ნახ. 45):

1. ჩ-ე
2. ყა ყ-ე

ე. ი. „წმიდაჲ ბარბარე“

2. ფანჯრის მარცხნივ, სამხრეთით ისეთივე ქვა ჯვრის გამოსახულებით (ნახ. 46) და წარწერით:



ე. ი. „ქრისტე ადიდე ოპიზაჲ(?) ხუცთაჲ(?) ჰათ აშენეს“

ხეოთის ეკლესია ერთნავიანი შენობაა 12×5,6 მ. მის სამხრეთით დგას ორსართულიანი სამრეკლო[29], ჩრდილოეთით ეკვტრები (გეგმაზე 1 მ უდრის 1 უჯრას. ნახ. 47). იგი დანგრეულია. დგას მარტო კედლები 2 მ სიმაღლის. აღმოსავლეთი მხარე კი ნანგრევით არის დაფარული. კარი აქვს დასავლეთით და სამხრეთით. სარკმელი არც ერთი არ შენახულა. კარი სამხრეთით ორია: ერთი თვით ეკლესიისა და მეორე სამრეკლოში შედის. ტრაპეზის ქვა აქაც, სამწირველოშიც და სამრეკლოს ქვეშ ეკლესიაშიც გადმოქცეულია და იქვე გდია. ნაშენია გარედან და შიგნიდან ნაწილობრივ თლილი ან ნაწილობრივ უბრალო ქვისაგან.

ეკლესიას სამხრეთით, აღმოსავლეთ კუთხესთან მიშენებული აქვს სამრეკლო. იგი ორსართულიანია. მაღალი სამრეკლოა დაბჯენილი 11 სვეტზე 11 გასახედით. კარი აქვს (მე-11) სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. ძირს ეკლესია ყოფილა. მის ქვეშ საძვალე. უკანასკნელი აუყრიათ და ძვლები ყრია (ჩასაყალი ღიაა). სამრეკლოს ქვედა სართული ოთხკუთხია, მაღლით მრგვალი სვეტები, სვეტისთავები სამრეკლოსი შემკულია ჩუქურთმით. მაღლაც თავისებური ზოლი აქვს. ქვედა სართული მრავლად არის შემკული ჩუქურთმით: კარი, სარკმელები, კარნიზები (ქვედა სართულისაც და მაღლითისაც). დასავლეთ მხარეს კარის მარჯვნივ ჩრდილოეთით უდევს სამი ჩუქურთმიანი ქვა. კარის მარცხნივ, სამხრეთითაც სამი; უკანასკნელნი შესანიშნავი არიან: ერთზეც კართან ახლოს მდებარეზე, გამოსახულია გაქცეული ირემი და მას ცხენოსანი მონადირე შეილდით ისარს ესვრის. მეორე და მესამე ერთმანეთზე დევს. მაღლითა ჩუქურთმიანია, ქვედაზე კი გამოსახულია ვიღაც მდგომარე პირი ძლიერ დაზიანებული. დასავლეთ კარისავე თავზე გამოსახულია ჯვარი.

ეკლესიის აღმოსავლეთით 3 მ-ზე გდია ცხვარი თავმოტეხილი, თავიც აქვეა; ცხვრის მარჯვენა მხარეს გამოსახულია: თოფი, ცული, ჭურჭელი, ყანწი და სხვა (იხ. ნახ. 48).

სამრეკლოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან გდია სვეტი 2,5 მ სიმაღლის; გატეხილი სამად. აქვე სამხრეთით არის საფლავის ქვებიც. სამრეკლოს დასავლეთით არის რაღაც შენობის ნანგრევი. ამ შენობის


პილიასტრების ძირა ქვები (სვეტები) მაღლითა ნაწილში შემკულია ჯვრით. ერთი (სვეტი) ეკლესიის სამხრეთ კარებთან დგას, მეორე მის დასავლეთით, მესამე სამხრეთით კედელთან მეორის პირდაპირ. აქვე ყრია სხვა სვეტები და ქვები, სამრეკლოს დასავლეთ-სამხრეთ კუთხესთან არის ქვა ოთხკუთხად ამოღრმავებული.

ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მიშენებული სამწირველო მთელია, ოღონდ თაღის დასავლეთი ნაწილი ჩამონგრეული აქვს. სახურავი აღარა ჰხურავს. სამრეკლოსაც სახურავი აღარა ჰხურავს. თაღი თუმცა აქვს, მაგრამ დაზიანებულია.

ეკლესიაში ტრაპეზის ქვა გადმოგორებული უნდა იყოს. სამრეკლოს ქვედა ნაწილში გამართულ ეკლესიაში და ჩრდილოეთით მიშენებულ სამწირველოს ტრაპეზის ქვები კი გადმოგორებულია. ესეც ვგონებ ასეა. ეკლესიას გალავანი ჰქონია. კარი შენახულა აღმოსავლეთ მხარეს, უზარმაზარი ქვები აქვს თავზე გადადებული. უბრალო კედელია. ხეოთში არის 150 კომლი ქართველი მაჰმადიანი: მამულაშვილი —20 კომლი, ნუზლაანთი —10 კომლი, ორბელიანი — 1 კომლი და სხვ.

ხეოთის ქვემოთ რომ პატარა ეკლესიაა, ის მიჰვრიტაა არის.

მაჩახეთი[30]. სოფლის გაღმა, ჩრდილოეთით, ხეის მარჯვენა მხარეს არის ეკლესია. მას დასავლეთ მხარეს საძირკვლთან ახლოს (ორი ქვით ზემოთ) უდევს წითელი ქვა დაზიანებული წარწერით:



ე. ი. „საბელითა ღმრთისაჲთა და შეწევ(ნითა)... ჲდჲ“

დასავლეთით სარკმლის თავზე მდებარე ქვაზე გაძოსახულია შუაში ჯვარი და აქეთ-იქით ორი პალმა თუ ხე (ნახ. 49). ეს ეკლესია ერთნავიანი შენობაა 5,8×2,8 მ. ნაგებია ქვითკირისაგან. ნაწილი თლილი ქვაა. კედლები კარგად არის შენახული, მხოლოდ აღმოსავლეთ მხარეს პირის ქვა მოცლილი აქვს, სამხრეთ მხარესაც სამწირველოს, მაღლა მოცლილი აქვს. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი აღმოსავლეთით —1, დასავლეთით — 1. კარებთან, შიგნით, მარცხნივ, დასავლეთით დევს ოთხკუთხი ქვა მაღლა ამოღრმავებული; მას აღმოსავლეთ მხარეს აქვს გამოსახული ორი ჯვარი. მასთანვე გდია სხვა დიდი ოთხკუთხი ქვა. იგი ტრაპეზის ქვა უნდა იყოს. თაღი შენახულა, მაგრამ დაზიანებულია. უმეტესი ნაწილი თაღისა დაქცეულა, კონქის თაღი შენახულია.

ეკლესიას სამხრეთით აქვს სამწირველო მთელ სიგრძეზე. სიგანით არის 1,4 მ. კედლები მისი კარგად არის შენახული. მხოლოდ თაღი ნაშთადღა შერჩენია. იგი ეკლესიასთან ერთად აშენებული ჩანს.

ძველის ეკლესია ზომით 9,2×4,6 მ (ნახ. 50). სამხრეთი და დასავლეთი ნაწილები კამარებით არის შეერთებული მთავარ ნავთან, ნაშენია ქვითკირისაგან. შიგნით და გარეთ გაღესილია კირით. ახურავს კრამიტი. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი სამხრეთით — 2, აღმოსავლეთით —1, დასავლეთით — 1. მთავარი ნაწილი გარედან მაღალი ერთნავიანი ეკლესიის ფორმისაა. დასავლეთი ნაწილი ცალკე გალერეის ფორმასავით არის გამოყვანილი, ხოლო სამხრეთი ნაწილი დაბალია; კიდურები, ანუ კარნიზები დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებს ერთ სიმაღლეზე აქვთ, მხოლოდ დასავლეთის ნაწილის აღმოსავლეთი მხარე აწეული აქვს. ეკლესია შიგნით და გარეთ ნაშენია თლილი ქვისაგან. ახურავს კრამიტი და ყავარი. მთავარ ნაწილს აქვს ორი დიდი კამარა. დასავლეთ სვეტიდან სამხრეთ ნაწილზე პატარა კამარა არის გადაყვანილი. სამხრეთი და დასავლეთი ნაწილები სხვაფრივ თაღებით არიან შეერთებული მთავარ ნაწილთან. გარშემო აქვს გალავანი.

ეკლესიის ეზოზე არის ვერძების გამოსახულება ქვებზე, საფლავის ქვებია ესენი. აღმოსავლეთ მხარეს არის ერთი საფლავის ქვა — ვერძი, რომელსაც სამხრეთ მხარეზე გამოსახული აქვს თოფი, პატრონები და საპირისწამლე; ხოლო ჩრდილოეთ მხარეს მხედრული წარწერა 1854 წლისა — ივანე მოსეს ძე ზედგინიძესი. დასავლეთით ფანჯარა აქვს თვით მთავარ ნაწილს.

სოფლის სამხრეთით გორაზე არის ზველის[31] სათიკნე ეკლესიის ნანგრევი. ტრაპეზის ქვა ჩანს. უბრალო შენობა ყოფილა, 1 საჟენი სიმაღლის კედელია.

ეკლესიის აღმოსავლეთ-სამხრეთ კუთხესთან გარედან დეკს ქვა 1,7×0,6 მ მიწაში ჩასმული, რომელსაც სამი ამოჭრილი აქვს ოთხკუთხად, ორი დიდი და ერთი პატარა. ამას ეძახიან საკანთლო ქვას. მასში საღამოთი ჩაასხამენ წყალს და დილით დაიბანენ, მუწუკი რომ ჰქონდეს სახეზე ან სხვა.


აქვეა ქვაჯვარი, ქვედა ნაწილი მოტეხილია 0,5×0,5 მ.

ღობიეთის მეორე ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთით 1 ვერსზე ბაღებში. იგი გალერეებიანი თუ სამწირველოებიანი შენობაა 12×10,2 მ. ნაგებია გარედან თლილი ქვისაგან, შიგნით ნაწილობრივ თლილი და ნაწილობრივ სწორპირიანი ქვისაგან. თვით ეკლესია ზომით არის 8,5×3,8 მ. დღეს ნანგრევებიღაა. შენახულა მხოლოდ ეკლესიის

კედლები. გვერდებისა კი ჩრდილოეთი ნაწილის აღმოსავლეთი მხარის გარდა სულ დაქცეულა და ნანგრევებით არის სავსე. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. სარკმელი შერჩენია მხოლოდ აღმოსავლეთით. ეკლესიის ყველა კედელი კარგად არის შენახული. მხოლოდ დასავლეთი ნახევარი დაქცეულა. თვით ეკლესიაც და მისი ნაწილებიც სულ ნანგრევებით არის სავსე. ეკლესია და მისი ნაწილები ერთ დროს არის აშენებული. ეკლესიის სამხრეთით ნანგრევში დგას სვეტი შემკული ოთხივე მხარეს სახეებით (უბრალოა), ზომით იქნება — სიმაღლით (დედამიწის ზევით) 0,8 მ, სისქე-სიგანით 40 სმ. ეკლესიის სამხრეთით არის რაღაც შენობის ნანგრევი, შენახულია კედლების ნაშთი. ამ ნანგრევის აღმოსავლეთით გდია სვეტი სახეებიანი. ეკლესიის ჩრდილოეთი ნაწილის აფსიდა (უთაღოდ) შენახულა, მას სარკმელი აქვს აღმოსავლეთით. ეკლესიაში ეკლებია ამოსული, ჩრდილოეთ ნაწილში ცირცლის ხე. ყველა ნაწილი ნანგრევით არის სავსე.

აბაშნის[32] ეკლესია დგას სოფელში იგი ნაგებია თლილი ქვისაგან. არის ერთნავიანი შენობა 8×4 მ. თაღი აქვს, მხოლოდ სახურავი არა ჰხურავს. კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი აღმოსავლეთით —1, დასავლეთით —1, სამხრეთით —1. კანკელი ქვითკირისაა. აღგილობრივ კოლმეურნეობას საწყობად აქვს დღეს. ჩვეულებრივი ბაზილიკაა, კანკელის კარი ასეა (ნახ. 51). საკურთხეველის ნაწილს დატანებული აქვს ჭოკები.

ეკლესიას დასავლეთით ჰქონია რაღაც შენობა, მისგან შენახულია ჩრდილოეთი კედელი და დასავლეთ-სამხრეთი კუთხე. მას კარი შერჩენია ჩრდილოეთით; დასავლეთი კარის თავზე გამოსახულია ჯვარი. ამ ქვას მარჯვნივ და მარცხნივ უდევს ერთი ქვის ორი ნატეხი. მარჯვენაზე გამოსახულია ვიღაც პირი ეკლესიის მოდელით ხელში (გუმბათოვანი ეკლესია); მარცხენაზე წმიდა გიორგი, რომელიც დეოკლიტიანეს ჰგმირავს. ქვას მარჯვნივ და მარცხნივ ნაპირებისაკენ აქვს შესანიშნავი ჩუქურთმა, ხოლო ზევითა ნაწილში წარწერაა:



ე. ი. „ქრისტე შეიწყალე ნიღვარაძე ძე საურმაგისი“. „წმიდაჲ გიორგი“

„Q"-ს კბილის ნაწილი მეორე ქვაზეა მოხვედრილი. ქვის მარჯვენა ჩუქურთმის შუაში ჩუქურთმიანი ჯვარია გამოსახული. დასავლეთის შენობა ალბათ სამრეკლო იყო. იგიც თლილი ქვისგან არის ნაშენი. მის სამხრეთით ნანგრევია. ახაშნის და ყამზის საზღვარზე არის კოშკის ნანგრევი, რომლის ძირშიც არის მაღარო.

აგარის მონასტერი[33] დგას ცალკე სერზე. 1. სერის დასავლეთ ნაწილში დგას ეკლესია. აქვე არის უძველესი — მცირე ეკლესია (სერის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში), რომელიც შემდეგ გაუდიდებიათ, გადაუკეთებიათ (მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში). უძველესი ეკლესია კუთხეებში და კარ-სარკმელში თლილი ქვით არის ნაშენი, დანარჩენ ადგილებში — ნატეხი კლდის ქვით, განახლებული კი — შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვით. უძველესი ეკლესია შიგნით სქლად ყოფილა გალესილი, ახლა მოცილებულია. მისი ნაშთი შენახულა სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. იგი ერთნავიანი შენობაა. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი აღმოსავლეთით —1, დასავლეთით —1. თაღი მთელი აქვს. სამხრეთ კედელში არის მცირე თახჩა საკურთხევლის ახლოს. დასავლეთ კედელთან გდია გრძელი ან მაღალი ქვა, რომელიც იქნებ ან სამკვეთლოსი იყოს ან ტრაპეზისა და დაძრულია ადგილიდან. უძველესი ეკლესია ზომით არის 4,2×2,2 მ, სიმაღლით 4 მ (ნახ. 52). განახლებული ეკლესია ნაგებია შიგნით და გარეთ რუხი და მოწითალო ფერის ქვით, ზომით არის 7,5×4,3 მ. დგას მარტო კედლები, ისიც ნაწილობრივ დაქცეული, თაღი შერჩენია მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს. ამასაც ჩრდილოეთის მხარე ჩაქცეული აქვს. განახლებული ეკლესია ხედ არის მიშენებული უძველეს ეკლესიაზე სამხრეთ-დასავლეთიდან. კარი აქვს სამხრეთიდან, სარკმელი აღმოსავლეთით — 1, დასავლეთით შერჩენია 2, სამხრეთით —1. ეკლესია შიგნით ნახევრამდე ნანგრევით არის სავსე; აღმოსავლეთი სარკმელი დაზიანებულ-გაელეჯილია; სამხრეთ კედელს ზევითა ნაწილი დაქცეული აქვს, გარეთა პირი ნაწილობრივ მოცლილი აქვს.

ამ ეკლესიის სამხრეთ მხარეს მთელ სიგრძეზე ჰქონია შენობა, რომლისაგან შენახულა მხოლოდ დასავლეთი კედელი და აღმოსავლეთი კედლის ნაშთი, სიგანით 2,4 მ. ამ ნაწილს ქვეშ საძვალე აქვს, კარი შესასვლელად აქვს დასავლეთი მხრიდან, კარი პატარაა. ეს სამწირველო უნდა იყოს ერთიანი მთელ სიგრძეზე. ეს სამხრეთი მხარეც ნანგრევით არის სავსე.

2. ზევითა ნაწილი. ეზოში შესასვლელი კარი აქვს დასავლეთი მხრიდან. აქ არის რამდენიმე შენობა. შიგნით და გარეთ წითელი თლილი ქვისაგან ნაშენი შენობა. მას ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებთან უდგას სვეტები, შენახული თითო მხარეს სამ-სამი, დანარჩენი გამოცლილია. კარი აქვს ჩრდილოეთით და დასავლეთით და ერთიც აღმოსავლეთით ეკვდერში გასასვლელი. სარკმელი დასავლეთით — 2, ჩრდილოეთით —1, სამხრეთით —1 (ნახ. 53). შენახულ სვეტებს გეგმაზე ზემოთ აღნიშნულ ნახ. 26-ზე ჯვარი უზის. შიგნით შენობა საჭონლის სადგომად არის გამხდარი. ეს შენობა ნაშენია მოწითალო და რუხი ფერის თლილი ქვისაგან. თაღი ორივე ნაწილს აქვს. მაგრამ დიდი შენობისა ადგილ-ადგილ დაზიანებულია და პატარას ჩრდილოეთ ნაწილში ჩანგრეულია. ლორფინი აღარა ჰხურავს. პატარა ოთახი — საძვალე მთლად მიწაში ზის.

3. ამ შენობის დასავლეთით, შემოსასვლელ კარებთან, სამხრეთით დგას ოთხკუთხი კოშკი, შენახულია ნახევრად. იგი უბრალო ქვისაგან და კირისაგან არის ნაშენი.

4. ამავე შენობის დასავლეთით არის აკლდამა მიწაში, უჩანს კარი თუ ჩასავალი მიწით ამოვსებული. ამ შენობის ჩრდილოეთით და სამხრეთით ყრია შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვები: სამხრეთით — 1, ჩრდილოეთით 4—5 ცალი.

5. ჩრდილოეთით არის დიდი ეკლესია (ჯერ ეს უნდა აიწეროს, მერე სხვები). იგი ერთნავიანი შენობაა 13×7 მ. ნაგებია შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვისაგან. კარი აქვს დასავლეთით —1, სამხრეთით —1, ჩრდილოეთით —1; სარკმელი აღმოსავლეთით — 1, დასავლეთით —1, სამხრეთით — 1. თაღი შენახულია, მაგრამ დაზიანებულია. ჩრდილოეთი და დასავლეთი კარები ამოგებულია შემდეგ ხანაში. საკურთხეველი 0,8 მ სიმაღლისაა. ტრაპეზის ქვა გადმოგდებულია და შუა ეკლესიაში გდია. ეკლესია მოხატული ყოფილა. ნაშთი შენახულია საკურთხეველში. აქ სამხრეთით, სამი ნიშის(?) თაღზე, ანუ კონქში და ჩრდილოეთით, სამი ნიშის თაღზე, ანუ კონქში, შენახულია წელამდე დახატული წმიდანები თითოში თითო, დაზიანებულნი. დანარჩენ ნიშებში მხატვრობა დაზიანებულია (ეკლესიის გეგმა იხ. ნახ. 54).

ამ ეკლესიას სამხრეთით ჰქონია სამწირველო ერთი თუ ორი. შენახულია მარტო სამხრეთი კედელი, ისიც შუაში განგრეული 4 მ-ზე. შენახულია აღმოსავლეთი კედელიც მისი, პირის ქვა შიგნით და გარეთ თითქმის სულ მოცლილი აქვს ამ ნაწილს. სარკმელი აქვს აღმოსავლეთით. კარი ექნებოდა სამხრეთით. ამ ეკლესიას თაღი აქვს, მაგრამ სახურავი მოცილებული აქვს. ჩრდილოეთ კედელს გარეთა პირი მაღლითა ნაწილში აღმოსავლეთ ნაწილის გარდა სულ მოცილებული აქვს.

ამ ეკლესიას აქვს წარწერა აღმოსავლეთ სარკმელთან. აქ გამოხატულია ორი პირი ეკლესიის მოდელით ხელში. კარ-სარკმელი შემკულია ჩუქურთმით.

დიდ ეკლესიას დასავლეთი სარკმლის თავის ზევით უდევს ქვა ჯვრის გამოსახულებით; დასავლეთი კარის თავზე უდევს ქვა ჯვრის გამოსახულებით და წარწერით.

6. ამ დიდი ეკლესიის ჩრდილოეთით დგას უბრალო ქვისა და კირისაგან ნაშენი ეკლესია, ერთნავიანი 4,4×2 მ. კარი აქვს დასავლეთით და ჩრდილოეთით(?), სარკმელი აღმოსავლეთით —1, დასავლეთით — 1. თაღი შენახულია, მაგრამ დასავლეთ ნაწილში ჩამოქცეულია. საკურთხეველს აქვს ორი თახჩა.

7. დიდი ეკლესიის სამხრეთით დგას შიგნით და გარეთ სულ წითელი და რუხი ფერის თლილი ქვისაგან ნაშენი ეკლესია. იგი კარგად არის შენახული, მხოლოდ საკურთხეველის კონქში აქვს ჩანგრეული. იგი ერთნავიანი შენობაა 6×2,9 მ (აქ გდია, შიგნით, 1 დიდი ჩუქურთმიანი ქვა, 1 — პატარა). კარი აქვს ჩრდილოეთით, სარკმელი აღმოსავლეთით —1, სამხრეთით —1, დასავლეთით —1. ჩრდილოეთ მხარეს კარებს აქვს მაღალი კამარა. აფსიდა გარედან 5-წახნაგოვანი აქვს.

8. უკანასკნელის სამხრეთით დგას ეკლესია, რომელიც ერთნავიანი შენობაა, ნაშენი უბრალო კლდის ქვისაგან, გარდა საკურთხეველის ნაწილისა, და კარისა ზომით 4,6×2,5 მ. კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი აღმოსავლეთით — 1, სამხრეთით — 1, დასავლეთით —1. თაღი შერჩენია მხოლოდ საკურთხეველს და დასავლეთ-ჩრდილოეთ კუთხეს.

9. დიდი ეკლესიის აღმოსავლეთით არის ნაწილობრივ თლილი ქვისა და ნაწილობრივ უბრალო კლდის ქვისგან ნაშენი ეკლესია. საძვალე ორსართულად (ძაღლა ეკლესია, ძირს საძვალე). იატაკი ეკლესიისა ჩანგრეულია. ეკლესიის თაღიც ჩანგრეულია. შენახულია მარტო კედლები და აფსიდას ოდნავ ჰფარავს თავისი თაღი. კარი ჰქონია დასავლეთით და სამხრეთით, ორივე ახლა დანგრეულია. ზომით არის 5,8×2,1 მ. მას სამხრეთითაც ჰქონია საძვალე, იგი დანგრეულია. გარეთა პირი ამ შენობას აღმოსავლეთით და სამხრეთით დაზიანებული აქვს. დასავლეთი და ჩრდილოეთი კარი გარედან ჩამონგრეულია.

ამ შენობათა აღმოსავლეთით და დასავლეთით არის მრავალ შენობათა ნანგრევები.

ამ შენობათა აღმოსავლეთით კლდეში არის გამოქვაბულები (ურავლიდან გიორგწმიდისაკენ მიმავალ გზაზეც, წყლის მარცხენა მხარეს კლდეში არის გამოქვაბულები).

ნანგრევები ოთხივე მხარეს არის ამ ძეგლებისა.

დიდი ეკლესიის სამხრეთით მდგომი პატარა ეკლესიის აფსიდა გარედან 5 თუ 7-წახნაგოვანია. დასაკლეთ ნაწილში ორივე მხარეს პატარ-პატარა წახნაგი თუ ჩავთვალეთ, მაშინ 7 წახნაგი გამოვა.

გამოქვაბულები არის ეკლესიის აღმოსავლეთ კლდეში და სამხრეთით ხევის მარცხენა მხარეს კლდეში, გზის თავზე.

სოფ. აგარის წყაროს უდევს ეკლესიიდან მოტანილი ქვები: სვეტი, ორი კამარის ქვა, შემკულია უკანასკნელი შესანიშნავი ჩუქურთმით და კედელსაც 4 ქვა, და მე-5 კედლის გარეთ მარჯვნივ. ზომა სვეტებისა არის:

მარჯვენასი 116×34×30 სმ.

მარცხენასი 116(?)×36×37 სმ.


კამარის ქვისა მარჯვენისა 100×18×46 სმ.


კამარის ქვისა მარცხენისა 100×18×46 სმ.

აგარის წარწერები:

აღმოსავლეთ კედელზე, სარკმლის ზევით, 1 ქვის დაცილებით, ოდნავ მარცხნივ ჩრდილოეთით დევს ქვა ასომთავრული წარწერით

მეორედ გადმოღებული






ე. ი. „სამებაო წმიდაო ადი
დე ი...
ე.. (უე)რელი
ბლქ (იძე)"

ე. ი.
მაწყუერელ(ი) თევდორე
(ჭლკისი)"

აღმოსავლეთ სარკმლის თავად მდებარე ქვაზე გამოსახულია ორი პირი, რომელთაც ხელში ეკლესიის მოდელი უჭირავთ. მის აქეთ ასომთავრული წარწერა მარჯვენა მხარეს და მარცხენაზე გადატანილია ბოლო სტრიქონების ბოლო ასოები:



ე. ი. „სახელითა ღმრთისაჲთა მე თევდორე აღვაშენე ესე სტოაჲ სალოცველად ამის ადგილისა (ცხ)თათჳს, ღმერთმან აკურთხენ და შეიწყალენ შვილნი ამის ეკლესიის...“


ავტორის შენიშვნები:

1. აქ ორი ასო დაზიანებულია, პირველ ასოს მუცელი უჩანს, იქნებ ან „ი“ იყოს, ან „ა“; მეორე ასოსი შენახულია ზევითა ხაზი, იქნებ ან „ე“ იყოს, ან „ო“.

2. იქნებ „ყ“ იყოს, ან „ქ“.


3. ამის შემდეგ ქვაზე ადგილი ვგონებ განგებ არის ამოფხეკილი რაღაც იარაღით.

წარწერა დასავლეთი კარის თავზე მდებარე ქვაზე (ნახ. 55).



ე. ი. „ჯუარო ქრისტესაო შეიწყალე მონაჲ შენი მიქელ“

ქვის მარცხენა ნაწილში:




„ნათლისმცემელო ქრისტესაო შეიწყალე ცოდვილი (ან „შეიცოდე“) გულდამ“.

ავტორის შენიშვნა: 1. ზევით შეცდომით თ-დ მაქვს დაწერილი.

2. აქ ვგონებ ჯერ დაწერილია ასო „ო“, მერმე წაშლილია.

3. წარწერა ასეა სწორედ, ქარაგმებიც ახლა სწორად გადმოვიღე. ქვას მარჯვენა მხარე გატეხილი აქვს.

წარწერა დიდი ეკლესიის სამხრეთით მდგომი შენობის კარის (ჩრდ.) თავზე, ასომთავრულად:



„ქრისტე, სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისათა, ერისთავთ-ერისთავთა ბეშქენ და მურვანის მლოცველმან მე ეფრემ ჯალეყაჲ შენებად ტრაპეზისა ამის და გა- მიქუეთეს აღაპი საუკუნოჲ სამე- ბობაჲ და ვინცა შემიცვალოს კრულმცა არს ღმრთისა პირითა“.

* ასო U სტრიქონის თავზეა დაწერილი.


ავტორისეული შენიშვნა: ქარაგმა ზოგან არა აქვს და წარწერა სწორად არის გადმოღებული. პირველი 8 სტრიქონი მოთავსებულია ოთხკუთხად ჩაჭრილ ადგილში, უკანასკნელი ორი სტრიქონი ქვედა ნაწილში სწორ პირზე.

შუა ეკლესიაში გდია ტრაპეზისა და სამკვეთლოს ქვები, იგი ერთიანი ქვებია.

ა გ ა რ ა ს შენობათა გეგმა (იხ. ნახ. 56).


აქვე ამათ გარშემო არის მრავალ შენობათა ნანგრევი. ზოგისა კედლებიც არის შენახული 2—3 მ-მდე. იგინი უბრალო ქვისაგან არიან ნაგებნი.


საკურთხევლის ნიშების თავზე დახატულ წმიდანებს მარჯვნივ, ჩრდილოეთით, შერჩენიათ წარწერები. ჩრდილოეთით, სარკმელთან ახლოს პირველ ნიშაში გამოსახულება გაშავებულია. მეორე ნიშაში დახატულს აწერია:




წ̃ა კუპრ(ი) მღდელ
ა(ნ)ე მოწამე

კვიპრიანეს ძირს, იმავე ნიშაში, მარჯვნივ მოჩანს თავი რომელიღაც წმინდანისა; ამას წარწერა დაზიანებული აქვს.

მესამე ნიშაში:  ... მენტოს ე. ი. (კლე)მენტოს

მეოთხე ნიშაში:  მა(ტთე)

5. დიდი ეკლესიის სამხრეთი კედლის დასავლეთ კუთხისაკენ არის დაზიანებული ასომთავრული წარწერა:



იქნებ იყოს
იქნებ იყოს

„სახელითა
ღმრთისაჲთა ესე (ქვაჲ)
დავს(დევ დემე)
ტრამა“.

ავტორისეული შენიშვნა — ე. ი. ესე ქვაი დავსდევ დემეტრამა.

სამხრეთ მხარეს ეკლესიის სამწირველოს კარების მაღლითა ქვები ჩამოვარდნილია და აღარ ჩანს, იქნებ წარწერები იყოს. ამ შენობებთან ყრია მრავალი ძვირფასი ჩუქურთმიანი ქვები. დასავლეთი კარის გარედან კარი თავის ქვა კი არა აქვს ჩამოგდებული, როგორც ეს ზევით მიწერია, არამედ კარის თავის ქვის კამარის ქვები (მასზე წარწერა არ იქნებოდა, რადგანაც იგი მის ქვეშ მდებარე კარის თავის ქვაზეა).

ამ ეკლესიების სამხრეთით 0,5 ვერსზე ტყეში არის ეკლესიის ნანგრევი. აღნახულა მხოლოდ აღმოსავლეთი ნახევარი. იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა, სიგანე აქვს 2,6 მ. სიგრძით შენახული ნაწილი 3 მ-ია. ნაგებია ქვითკირისაგან. კედლები შიგნით და გარეთ დაზიანებულია. დასავლეთ ნაწილში გადაზეავებულია მიწის მოცლისაგან.

ე მ პ ე ლ ო ს ც ი ხ ე დგას გორაზე, ადგილი კლდოვანია. ნაგებია კლდის უბრალო ნატეხი ქვისა და კირისაგან. დღეს ნანგრევად არის. შენახულია მხოლოდ ნაწილობრივ (იხ. გეგმა, ნახ. 57). ზომით არის 25×10 მ. ნანგრევის გამო კარი აღარ უჩანს.

ზ ე მ ო რ ა ყ ი ს ეკლესია დგას წყლის მარჯვენა მხარეს, მისი და მარჯვნიდან შემდინარე პატარა (შედარებით) წყლის შესაყარს შორის ამოზიდულ კლდეზე. იგი ერთნავიანი შენობაა, რომელსაც სამხრეთით მიშენებული აქვს (ეკლესიის მთელ სიგრძეზე) ეგვტერი. უკანასკნელი ეკლესიისავე თანამედროვე უნდა იყოს. ზომით მარტო ეკლესია არის 5×3 მ. ეგვტერი — 5,3×2,2 მ; სიმაღლით ეკლესია არის 4 მ (დაახლ.) (გეგმა იხ. ნახ. 58).

ეკლესია შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვით არის ნაგები; იგი დღეს ნანგრევად არის; დგას მარტო კედლები, ისიც ნაწილობრივ დაქცეული. თაღი კი შერჩენია მხოლოდ ეგვტერს, ისიც დაზიანებით, სახელდობრ, შენახულია მხოლოდ აღმოსავლეთ ნახევარი, დასავლეთ ნახევარი კი ნაწილობრივ (ჩრდ. მხარეს სიგრძეზე); თვით ეკლესიას კი შენახული აქვს მხოლოდ საკურთხევლის თაღის ნაშთი. სახურავიც აღარა აქვს. ეკლესიის დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლები (ჩრდ. კედელი საკურთხევლის ხაზამდე) შენახულია მხოლოდ 1 მ სიმაღლისა (შიგნიდან), დანარჩენი მაღლითა ნაწილი ამ კედლებისა კი დაქცეულა, საკურთხეველს აქვს ორი მცირე ოთხკუთხი თახჩა (ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ). ძეგლი შებოლილია.

ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე სარკმლის სამხრეთით ძირს მდებარე ქვაზე გამოსახულია ჯვარი ჩაჭდევით.

ეგვტერის სარკმლის თავზე ქვაზე ამობურცვით გამოსახულია ჯვარი ერთი ასოთი: ჩ—წ. ეგვტერისავე სხვა ქვებზე გამოსახულია სხვა მცირე ჯვრები ჩაჭდევით.

ეკლესიასა და ეგვტერს აღმოსავლეთი კედლის გარეთა პირი მაღლითა ნაწილში მოცილებული აქვს.

ეგვტერიდან ეკლესიაში შემავალ კარებთან მდგომარე სვეტების თავებს აქვს ჩუქურთმიანი შემკულობები. აქვე ჩრდილო კედელზე მიბჯენილ სვეტს (დას.) სვეტის თავზე აქვს ასომთავრული წარწერა ერთ ხაზზე.

[illegible]

1. პირველი სამი ასოს ქვედა ნაწილები დაზიანებულია, ვგონებ იგი იყოს (ⵜ-ⵗⵄ), მაშინ წაიკითხება მთელი ხაზი: „ქრისტე შეგვიწყალე, ქრისტე გაგვიმარჯვე“.

სარკმლის ადგილები ეკლესიას და ეგვტერს განგრეული აქვს.

ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს ჩრდილო კუთხეში უდევს ქვა ოთხკუთხად ამოჭრილი. ძეგლის გარშემო არის ფეგები.

ქვემო რაყისშიაც არის ფეგები.

ჰ ა რ ხ ა ლ ე თ ი ს ყიშლების ეკლესია დგას ყიშლების დასავლეთ-სამხრეთით მეორე გორაკზე, რომლის გარშემო არის მრავალი ფეგები. იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა 5,4×3,5 მ, რომელსაც ჩრდილოეთით მთელ სიგრძეზე მიშენებული აქვს ეგვტერი(?) ზომით 5,4×1,85 მ; დღეს ეკლესია საძირკვლამდე დაქცეულია, შენახულია მთლიანად მხოლოდ ეგვტერი, ე. ი. მისი სამი კედელი — აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და დასავლეთი მეოთხე — სამხრეთ კედლად ეკლესიის კედელი ჰქონია გამოყენებული. ეკლესიისა მხოლოდ საძირკვლის ქვებია შენახული.

ეგვტერი შიგნით და გარეთ სუფთა თლილი ქვისაგან არის ნაგები კირით. იგი მთელია, თაღიც აქვს, მხოლოდ მცირედ არის დაზიანებული, მისთვის აღმოსავლეთის მხარეს (ჩრდ. კუთხესთან) დიდი პირის ქვა მოუცილებიათ, ასევე მოუცილებიათ დას. კედლისათვის შუაში. ეგვტერის თაღის ეკლესიასთან გადაბმის ახლოს მთელ სიგრძეზე დატანებული აქვს მცირე ქვევრები, რომლებიც ყველა გატეხილია; ნაშთის მიხედვით იგი 15 ჩანს, ზოგი პატარაა, ზოგი ცოტა მოზრდილი, ის ალბათ სამალავად იყო გამართული.

ეგვტერი დღეს სამხრეთ მხარეს სულ ღიაა ეკლესიის დაქცევის გამო. იგი ეკლესიასთან ერთად უნდა ყოფილიყო აშენებული. ეგვტერს კარი აქვს ჩრდილოეთით, სარკმელი აღმოსავლეთით. ეგვტერის კედლის სისქე 68 სმ-ია, კარის სიგანე 74 სმ. ეგვტერის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხესთან დევს დიდი გაუთლელი ქვა მრგვალად ამოღრმავებული, ალბათ ჯვრის საყენებელი.

ეგვტერის ჩრდილო კარის თავზე მდებარე ქვას პირით ჩრდილოეთით აქვს წარწერის ნაშთი. მისი მარჯვენა მხარე დაზიანებულია მზეწვიმისაგან, შენახულია მხოლოდ მარცხენა ნაწილი, ნაწერია ხუცურად.

1. [illegible] . . . . ინსლს ათა
2. [illegible] . . . . პაპა . .

ჰარხალეთის და რაყისის ეკლესიები გეგმით და აგებულებით ძლიერ ჰგვანან ერთმანეთს, მხოლოდ ერთს ჩრდილოეთით აქვს ეგვტერი, მეორეს — სამხრეთით.

ეგვტერის ჩრდილო კედელზე, გარეთ კარის დასავლეთის ორ ქვაზე გამოსახულია ორი ჯვარი ჩაჭდევით: ერთი დიდი, მეორე პატარა.

ყიშლების გარეშემო და ქვემოთაც დიდ მანძილზე არის ფეგები.

ყიშლების აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით, პატარა ხევის მარცხენა მხარეს პატარა სერზე არის დიდი ფეგები. აქ შენახულია დიდი ოთახები, ნაგები უკიროდ. დგას მარტო კედლები. ზოგიერთ კარს შერჩენია თავზე გადადგმული ფიქალი.

ა ხ ა ლ კ ა ც ა[24] არის საგულეს დასავლეთით იქ ფეგებია დიდი, ძრის ეკლესიიდან დარჩენილი საძირკველიც. ცნობა აგარაში ჩავიწერე.

ო რ ც ე ფ ი ს (იხ. გეგმა ნახ. 59) ბერთა ეკლესია სამეკლესიანი შენობა ყოფილა 10,2×9,5 მ. დღეს ნანგრევად არის. შენახულია მარტო დუღაბი. პირის ქვა სულ მოცლილი აქვს გარდა ჩრდილო ნაწილისა, რომელსაც შიგნით ნაწილობრივ შერჩენია. მასვე (ჩრდ. ნაწილს) შერჩენილი აქვს თაღი დასავლეთ ნაწილის გარდა. ეკლესიის დასავლეთ ნაწილი — ნართექსი(?) და სამხრეთი ეკლესია სულ დანგრეულებია საძირკვლამდე. თვით მთავარი (შუა) ეკლესიის დასავლეთ კედლის უმეტესი ნაწილი და სამხრეთი კედლის დასავლეთი ნახევარი სულ დაქცეულია აგრეთვე საძირკვლამდე. ამ ნაწილს (შუა ეკლესიას) შერჩენია შიგნით რამდენიმე თლილი ქვა. ეკლესია მთლიანად სულ თლილი ქვისაგან ყოფილა ნაგები; ჩრდილოეთით ეკლესიის დასავლეთ ნაწილში ყრია ჩაქცეული თაღის უზარმაზარი ნატეხები. ჰხურებია სწორპირიანი ბრტყელი კრამიტი, რომელიც აქვე ყრია დამტვრეული. შუა ეკლესიას ჰქონია ორ-ორი ყალბი კამარა. იგი შესანიშნავი შენობა ყოფილა. კარები არ შერჩენია არსად. სარკმლები კი აღმოსავლეთით არის; ჩრდილოეთით, შუა ეკლესიაში, სამხრეთით ალბათ — 1; ჩრდილოეთ ეკლესიას სამკვეთლოს ახლოს აქვს ღრმა შესაძრომი, შუა ეკლე-

სიიდან ჩრდილო ეკლესიაში კედელია განგრეული, ალბათ კარი თუ იყო აქ.

ეკლესიის აღმოსავლეთით დგას ერთნავიანი ეკლესია, 4×2 მ. ნაგები თლილი ქვისაგანვე. მასაც პირის ქვა სულ შემოცლილი აქვს, შეოჩენია მარტო შიგნით. საკურთხეველის დასავლეთი კედელი სულ დანგრეულია, გარდა კამარისა, თაღი სულ ჩაქცეულია, გარდა ხსენებული კამარისა და საკურთხეველისა. სარკმელი შერჩენია აღმოსავლეთით. ამ სარკმლის გარეთ (აღმ.) ამოსულია ხე, რომელიც შესულია შიგნით ამ სარკმელში. ძეგლების გარშემო არის ნასახლარები.

მაიკეთის ეკლესია დგას ყიშლების ვაკეზე. იგი ერთნავიანი შენობაა, 5,5×2,65 მ, რომელსაც სამხრეთის მთელ სიგრძეზე მიშენებული აქვს ეგვტერი; უკანასკნელი ეკლესიის დროსვე უნდა იყოს აშენებული, დგას მარტო კედლები, რომელსაც პირის ქვა მხოლოდ ალაგ-ალაგ შერჩენია, სამხრეთ ნაწილი 1 მ-ზედა არის შენახული. დანარჩენი დაქცეულია. ეკლესიიდან უფრო მთლიანად დგას დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლები, თუმცა პირის ქვა შემოცლილი აქვთ ნაწილობრივ, ნაგები ყოფილა სუფთა თლილი ქვისა (უმეტესად) და სწორპირიანი ქვისაგან კირით. ქვების წყობა სწორხაზოვანია. ნაგებია ჩაკირვით, პირის ქვა მოცლილია და ნაწილი აქვე ძეგლის გარეშემო ყრია; ტრაპეზი კედელზე არის მიდგმული, იგი ნანგრევით თითქმის დაფარულია. შუა ეკლესიაში ჩრდილოეთ კედელთან საკურთხევლის დასაწყისთან დგას ოთხკუთხი სვეტი, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთით კუთხე მრგვალად აქვს ამოჭრილი, მისთვის (ამ ნაწილისათვის) კუთხე ჩამოუტეხიათ. იგი შესანიშნავი შენობა ყოფილა. კარ-სარკმელი არ შერჩენია. ქვემო გაწყობა შესანიშნავია. გარეთა პირი შენახულია ძირს 1—2 წყობა, მაღლა კი ნაწილობრივ მე-3—5. იხ. გეგმა (ნახ. 60).

მაიკეთი არის ხეთის წყლის მარცხენა მხარეს, სოფ. ხეთიდან 5—7 ვერსზე (ეს ცნობა აქ სახლში ჩავწერე), მაიკეთისაკენ მიმავალ გზაზე ფეგებია, მას ხარანეთი ჰქვიან. მაღლა რომ ფეგებია, ის არის მარნალეთი.

ხეთის ხეობა.

წყაროთგვერდის ეკლესია (იხ. ნახ. 61) დგას ხეთის წყლის მარჯვენა მხარეს ოდნავ შემაღლებულ ადგილას, ხეთიდან 2—3 ვერსზე, სოფლის არხის ზემოთ. იგი ერთნავიანი შენობაა, 6,5×3,4 მ, რომელსაც სამხრეთით მთელ სიგრძეზე მიშენებული აქვს (თავიდანვე) ეგვტერი(?), ზომით 6,5×2 მ. ძეგლი ნაგებია სუფთად თლილი ქვისაგან კირით. ეკლესია დღეს ნანგრევად არის. დგას მარტო აღმოსავლეთი ნახევარი, დასავლეთი კი მთლად დანგრეულია. ეკვტერიდან შენახულია მხოლოდ სამხრეთ კედლის აღმოსავლეთი ნახევარი, ისიც 2 მ სიმაღლისა. პირის ქვა ეკლესიასაც და ეგვტერსაც ნაწილობრივ ზედა აქვს, ზოგან კი მოცლილია. ეკლესიის აღმოსავლეთ სარკმლის ადგილი გაგლეჯილია. ქვები სწორი წყობის არის. თაღი სულ არ შენახულა. კარი ეგვტერს სამხრეთით ჰქონია. ეკლესიასაც ალბათ სამხრეთითვე ექნებოდა. ეკლესიის დასავლეთ ნაწილში ყრია დუღაბის უზარმაზარი ნატეხები. ეკლესიის სამხრეთით 2 მ-ზე დევს ოთხკუთხი ქვა, ოთხკუთხად ამოჭრილი, რომელშიაც მჯდარა სვეტი, ე. ი. ის კვარცხლბეკია. სვეტიც იქვე გდია კვარცხლბეკის დასავლეთით 1 მ-ზე. ის ოთხკუთხია, თვითეულ მხარეს მას ძარს ხაზები მოსდევს სიგრძეზე და შუა ხაზი მაღლა ჯვარს იკეთებს ძველი ფორმისას. ზომა კვარცხლბეკისა: 83×61×40 სმ. ზომა სვეტისა 2 მ 20 სმ × 28 სმ. ეკლესიის აღმოსავლეთ-სამხრეთით და დასავლეთით არის ნასოფლარი. ეგვტერს აღმოსავლეთი მხარე სწორკუთხოვანი ჰქონია, ეკლესიისა და ეგვტერის დასავლეთით შესაძლებელია რომ შენობა იყო (შენახულია სწორ ხაზზე მდებარე ქვები უკიროდ).

სვეტზე ზოგ მხარეს მარტო დროშა-ჯვარია, ზოგს კი ხაზებიც და დროშა-ჯვარიც აქვს.

ეკლესიის ქვების წყობა სწორხაზოვანია, ჩაკირვით. პირის ქვა შიგნითაც ნაწილობრივ შენახულია, ნაწილობრივ — მოცილებული.

ჩვენ რომ საღამოთი სვეტები ვნახეთ, ის ნაღვარევი, ანუ ნაღორევია.

ხეჭიზას ეკლესია (იხ. ნახ. 62) დგას ყიშლების ბოლოს, ხეოთის წყლის მარჯვენა, მაღალ მთის კალთაზე, ვაკობ ადგილას. იგი ერთნავიანი შენობაა, რომელსაც სამხრეთით აქვს სამხრო მთელ სიგრძეზე; ზომით მარტო ეკლესია 6,3×4 მ-ია, სიმაღლით 1—1/2 მ. სამხრო ზომით არის 6,3×2,3 მ, სიმაღლით 1,5 მ. ნაგებია უბრალო და უთლელი ქვისაგან უკიროდ. კარი აქვს სამხრეთით (ეკლესიასაც და სამხროსაც), სარკმლები არ შერჩენია. კედლის სისქე 1,5—1,7 მ. ეკლესიიდან სამხროში გამავალ კარს თავზე დიდი ფიქალი ადევს. შენობას შიგა და შიგ უფრო ქვედა ნაწილში დიდი ლოდები უწყვია; კედლების ზევითა პირი დანგრეულია, კედლების ხაზი ზოგან სწორხაზოვანია. სამხრეთი კარის მარცხნივ აღმოსავლეთ კედელზე დევს ოთხკუთხი სვეტი, მაღლა ამოღრმავებული, დაზიანებული. ზომით 100×27 სმ. მასზე ერთ მხარეს დროშა-ჯვარია გამოსახული. თვით ეკლესიის კარის მარცხნივ, აღმოსავლეთ კედელზევე დევს სვეტის ქვედა ნატეხი ჩუქურთმიანი შემ-

კულობით დაბალი ხელისა, ზომით 56×21 სმ. მისი ჩუქურთმა ერთ მხარეს ასეთია (იხ. ჩანახატი ნახ. 63), მეორე მხარეს სიგრძეზე ხაზი აქვს.

ეკლესიის აღმოსავლეთით გდია სარკმლის თაღი, 53×69×45 სმ-ზე ჩვეულებრივი გამოჭრილით (იხ. ნახ. 64).

საყევარის ეკლესია (იხ. ნახ. 65) დგას ეილების სამხრეთით, მთის კალთაზე, ტიტველა ადგილას. იგი ერთნავიანი შენობაა 6,2×3,2 მ. შენახულია მარტო კედლები 2—3 მ სიმაღლისა. იგი შესანიშნავი ნაგებობის ძეგლია. მასალად თლილი დიდრონი ქვა აქვს კირით. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი არ შერჩენია. აღმოსავლეთ სარკმლის ადგილი გაგლეჯილია, სამხრეთი კარის ადგილიც და ჩრდილოეთი კედელი საკურთხევლის ახლო დაზიანებულია. დაზიანებულია აგრეთვე დასავლეთი კედლის მაღლითა ნაწილში. ქვების წყობა სწორხაზოვანია. საკურთხეველში არის 2 მშვენიერი თახჩა. ძეგლი შიგნით და გარეთ ნანგრევითაა სავსე. გარეთ ყრია თოკისებრი და სხვა ჩუქურთმიანი ქვები: კარნიზებისა, კამარებისა და სხვა. მის ქვემოთ, დასავლეთით არის ნასახლარები, აქვეა დაყუდებული ლოდების გალავანი, რომელიც შენახულია სამხრეთით და დასავლეთით და ნაწილობრივ ჩრდილოეთით; შუა ეკლესიას აქვს 1 პილიასტრი. კედლის სისქე 80 სმ-ია.

საძილეთი არის საყევარის ქვევით. აქ არის კლდეში გამოქვაბული, კედელზე გამოჭრილია ჯვარი.

1. საყევარის ეკლესიის აღმოსავლეთით არის ოჩანეთის (ადგილის სახელია) ფეგები.

2. საყევარის სამხრეთით არის გვეზიების ფეგები.

3. საყევარის სამხრეთ-დასავლეთით არის საქვისჭალის ფეგები.

4. საქვისჭალის სამხრეთ-დასავლეთით არის ილანის ფეგები.

5. ილანის დასავლეთით არის აროსების ნასოფლარი, სადაც მახლობლად ნაგუთნში არის ნაეკლესიარი.

6. ყიზილში არის ეკლესია.

7. დამიანეთშიც.

8. ყიზილის აღმოსავლეთით არის ჭინჭრობის ნასოფლარი.

9. ორცეფის დასავლეთით, ურავლისაკენ მდგომ ეკლესიას ჰქვიან „არნადა". არნადას ზევით არის „ბერთა".

ყიმილეთი — ფეგებია. ეს ადგილი ცნობებში მაქვს ჩაწერილი და ადგილობრივ კი არ აღმინიშნავს, თუ სად არის. დაწერილი მაქვს საყევარის ახლო და საყევართან უნდა იყოს.

ყიზილის ეკლესია დგას სოფელში, დიდი ამოშვერილი კლდის ძირას. იგი ერთნავიანი შენობაა 4,6×2,3 მ. დგას მარტო დუღაბი, პირის ქვა სულ მოცლილია, მხოლოდ რამდენიმე ცალი მერჩენია შიგნით და გარეთ დასავლეთ-სამხრეთი კუთხის კედელს. სამხრეთი კედლის დასავლეთი ნახევარი და აღმოსავლეთი კედლის შუა ნაწილი საძირკვლამდეა დაქცეული.

ნაგებია თლილი ქვისაგან ჩაკირვით სწორხაზოვნად. საკურთხეველს შერჩენია ორი თახჩა ოთხკუთხი; ჩრდილო კედლის ნაწილი (საკურთხევლის ახლოს) მაღლითა ნაწილში დაქცეულია და ამოუშენებია ზედ მიდგმული სახლის პატრონს ყორით. აქ სახლობენ ქურთები 15 კომლი.

* * *

კონსტანტინე ივანეს ძე გვარამაძე* (როგორც ჩანს, კ. გვარამაძისგან გ. ბოჭორიძეს მიუღია ქვემოთ ჩამოთვლილი ხელნაწერები).

1. ოთხთავი ეტრატზე ნაწერი 16×10×10 სმ.

მოიხსენებს საბა მჩხრეკელის მიერ, სვიმეონ აფხაზეთის კათალიკოზის დროს. ხუცურად ნაწერი.

2. ქადაგება სამოციქულო. მხედრულად ნაწერი, 17,5×11,5×2 სმ.

3. მთაწმიდად წასვლისათვის ჩვენისა წმიდად ქალაქად იერუსალიმად. მხედრულად ნაწერი. 20×15,5×1 სმ.

4. ფსალმუნი. დაბეჭდილი მოსკოვს 1764 წ. ხელითა მესტამბე აბრამ ურიაყოფილის მიერ.

5. საქრისტიანო მოძღვრება. რომში დაბეჭდილი.

6. საქრისტიანო მოძღვრება. რომში დაბეჭდილი.

7. განზრახვა ქრისტიანებრივი, აბასტუმნელი თუმანიშვილი ოხეფას ძე ტირაცუ ანტონისაგან 1794 წ. ახალციხეს.

8. დღიური კონდაკი, მხედრულად ნაწერი 17×11,5×2 სმ. მე-18 საუკუნე.

9. დავთარი წირვისა, სომხური და ქართული მრავალი მინაწერით, 21×15×2,5 სმ. მე-18 საუკუნე.

10. დავთარი წირვისა. 21×15×3 სმ.

---

* გვარამაძე კონსტანტინე ივანეს ძე, შვილი ივანე პაველის ძისა; კ. გვარამაძე (1867—1943) იყო სამცხე-ჯავახეთის ფოლკლორული, ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალების შემკრებ-შემსწავლელი.

11. სამართალი აღბუღასი მე-19 საუკუნე 12×9×2,6 სმ.
12. სომხური ეტრატი (??) ნაწერი წიგნი 13×99×3,2 სმ.
13. სომხურ-ქართული ლექსიკონი 22×18×3,3 სმ.
14. თომა კემყელი(??) მხედრული ნაწერი. მე-18 საუკუნე. 23×18×3,7 სმ.
15. საბას ლექსიკონი, 20,5×17,5 სმ.
16. ღვთისმეტყველება 1800 წ. მხედრულად ნაწერი 21×15×2,5 სმ.
17. ოქროსყდიანი ქადაგებანი (??) 16×10×1 სმ.
18. გულანი. ეტრატი, ნაწერი ხუცურად 21×14,2×8 სმ.
19. მარხვანი, ქაღალდი, ნაწერი ხუცურად 20×15×6 სმ.
20. შელოცვის წიგნი მხედრულად ნაწერი, 10×8,4×3,3 სმ.
21. ლოცვანი, მხედრულად ნაწერი 11,7×8,25×3,5 სმ.
22. ესტატე პლაკიდას წიგნი. მხედრულად ნაწერი 18×11,3×1 სმ.
23. გაიოზის გრამატიკა.
24. კონდაკი შემწირველთა. მე-19—20 საუკუნე 22×17×0,5 სმ.
25. საეკლესიო მოთხრობანი მხედრულად ნაწერი 16,5×11×5 სმ.
26. გალობანი (ზოგი ლექსად არის) მხედრულად ნაწერი 15,3×11×2,2 სმ.
27. სასულიერო მოთხრობათა წიგნი. მხედრულად ნაწერი 10×8×1,3 სმ.
28. ლოცვანი, მხედრულად ნაწერი 17×10,7×2,7 სმ.
29. ქადაგების წიგნი 1793 წ. 17×11×1,7 სმ
30. ლოცვანი ანუ პარატეზი სულიერი 15,3×11,2×1,7 სმ.
31. არისტოტელეს კატიღორია (??) მხედრულად ნაწერი 21×17×0,7 სმ.
32. სომხური ლიტურგია (ნაწილობრივ ხელნაწერი, ნაწილობრივ დაბეჭდილი) 34×23,5×1 სმ.
33. დაუჯდომელი ვინმე მესხის გადაწერილი წიგნიერი ხელით, ყდა ვერცხლით, ხატებით შემკული, 7×5×1,2.

1932 წელსა ოქტომბრის 6-სა დღესა ჩავიბარე ქ. ახალციხის მცხოვრებ პეტრე გრიგოლის ძე თამარაშვილისაგან ტფილისში გადასატანად და ცენტრალურ არქივში დასაცავად:

1. ქრონიკები თ. ჟორდანიასი.
2. კრებული სხვადასხვა თხზულებათა (ლექსები, მთვარის წიგნი, ქრონიკები და სხვა).

3. საისტორიო წიგნი ფურცელნაკლები.
4. ნაწყვეტი ლოცვათა, ორი ცალი (??) — 1905 გამოცემა.
5. ლოცვის წიგნი გამოცემული 1877 წ.
6. ხელნაწერი ლოცვანი, მცირე.
7. ძველი ნაბეჭდი წიგნი ფურცელნაკლები.
8. ხელნაწერი რვეული 2 ცალი.
9. უბის წიგნი მიხეილ თამარაშვილისა.
10. სურათები ფოტოგრაფიული 8 ცალი.
11. წერილები მიხეილ თამარაშვილისა 14 ცალი.

სამაგიეროდ უნდა გავუგზავნო:

1. მთვარის წიგნი.
2. აბესალომ და ეთერი.
3. ვეფხის-ტყაოსანი ახალი გამოცემა.

მისამართი: ახალციხე, რაბათი, პეტრე თამარაშვილს.

მინაწერები

1. უდეს მცხოვრების ოჯახში დაცული ვერცხლის ჯურჭლის წარწერა ჰგავს ქართულ ასო „კ“, უფრო უნდა იყოს სპარსული ასო „ک“

აბასთუმნის ეკლესია ალექსანდრე ნეველის სახელობისაა. ის გუმბათიანია. აშენებულია 1896 წელს. გეგმა ზარხმის ეკლესიიდან არის აღებული.

აბასთუმნის ყაზარმების უბანში ხევის მარცხენა მხარეს არის თლილი ქვისაგან ნაშენი ეკლესია. იგი ერთნავიანი შენობაა 11,1×7,15 სმ; შიგნით გაღესილია კირით. კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი აღმოსავლეთით — 1, დასავლეთით —2, სამხრეთით —1. ტრაპეზი ერთიანი მომრგვალო ქვაა მოშავო ფერისა, იგი დგას საკურთხევლის შუაში. საკურთხევლის ძირა ნაწილს ფიცარი აქვს აკრული. ეკლესია განახლებულია. ამავე დროს ეკუთვნის აღმოსავლეთის და სამხრეთის განიერი სარკმლები. ჩრდილო და სამხრეთი კედელი იკეთებს ორ-ორ ყალბ კამარას. საკურთხეველს აქვს ორი თახჩა (სამხრეთით და ჩრდილოეთით); დასავლეთის კედელი შემკულია დიდი შესანიშნავი ჩუქურთმიანი ჯვრით; დასავლეთის ფანჯრებიც (ორი) შემკულა ამგვარივე ჩუქურთმით; ეკლესიას აღარაფერი ჰხურავს; თუნუქი საკუროროტო სამმართველოს წაუღია.

ეკლესიის აღმოსავლეთით არის სამრეკლოს (?) ნაშთი ქვითკირისა ნანგრევად ქცეული. ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით კუთხეში

შიშენებულია (ცალკე კედელი აქვს) სამწირველო (?), რომელსაც კარი აქვს აღმოსავლეთით, კარს ზევით (აქეთ-იქით) აქვს ორი რომბი ჩუქურთმით; სახურავი არც მასა ჰხურავს, გადაუხდიათ.


ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში საფლავზე აღმართულია ქვის სვეტი.

ამ ეკლესიის გალმა, ხევის მარჯვენა მხარეს, დგას წმ. გიორგის (?) ეკლესიის ნანგრევი; იგი ერთნავიანი შენობაა, 5×3,7 მ. დღეს ნანგრევად არის ქცეული. თაღი სულ არა აქვს, კედლები დაზიანებულია, ე. ი. ნაწილი დაქცეულა, კარი აქვს დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. მათი ადგილები დაზიანებულია; სარკმელი შერჩენია აღმოსაელეთ კედელს, დასავლეთით კი ნაშთიღა არის. ძეგლს გარედან პირის ქვა შემოცლილი აქვს.

თამარის ციხე[36] დგას კურცხანასა და აბასთუმნის ხევებს შუა მდებარე გორაკზე. იგი ქვითკირის შენობაა 50×10,8 მ. დაახლოებით აღმოსავლეთ ნაწილის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში არის პირამიდული შენობა, შიგნით სუფთა ცემენტისებური დუღაბია გალესილი; მას ზევით აქვს მრგვალი ხვრელი; იგი ხორბლის შესანახი უნდა იყოს; ახლა მას აღმოსავლეთით გამონგრეული აქვს კარი.

კედლის სისქე ჩრდილოეთის 1,5 მ, სამხრეთით და სხვაგან 1,3. ნაგებია ქვითკირისაგან. ციხის დასავლეთ ნაწილში შენახულია თაღის ნაწილი; შიგნით არის სხვადასხვა შენობები, არის გვირაბიც; ჩრდილო ნაწილის კედლის ნაწილი დანგრეულია. გზა შეუდის ჩრდილოეთის მხრიდან. კარიც ჩრდილოეთის მხარეს აქვს.

კურცხანის შესართავის სამხრეთის კლდოვანი მთის სერის მცირე კალთაზე არის წმ. გიორგის ეკლესია. აქ არის რამდენიმე შენობა. აქ მონასტერი[37] ყოფილა. შენობების განლაგება აქეთია:



1. მთავარი ეკლესია
2. სამრეკლო
3. მცირე ეკლესია
4. მცირე ერთნავიანი ეკლესია
5. რაღაც შენობა
6. გრძელი შენობა
7. რაღაც შენობა
8. მოხატული ეკლესია

№ 1. მთავარი ეკლესია ერთნავიანი შენობა (?) უნდა ყოფილიყო, 7,9×5,4 მ, რომელსაც სამხრეთით აქვს სამწირველოები თუ რაღაც შენობები განუყრელად. ნაგებია გარეთ სულ თლილი ქვით, შიგნით კი ნაწილი თლილი და ნაწილი ნატეხი ქვით. ძეგლი მთლად დანგრეულია: შენახულია მხოლოდ აღმოსავლეთი კედელი მთლიანად 8 მ სიმაღლის; მას პირის ქვა ნაშთადღა შერჩენია; აქვს სარკმელი, მაღალი და ოდნავ განიერი; ეკლესიის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებს აქვს ვიწრო და მაღალი თახჩები; ეს კედლები აღმოსავლეთის ხაზზე სულ სწორია, მხოლოდ კუთხეებში მრგვალდება ოდნავ (იხ. ნახ. 66). ეკლესია მოხატული ყოფილა: აღმოსავლეთ სარკმლის თაღში შერჩენია ორი თავის სიმრგვალის ხაზები მუქი მწვანე და მუქი წითელი ფერებისა; ამავე აღმოსავლეთ სარკმლის სამხრეთ მხარეს სარკმლიდანვე დაწყებული, შენახულია ფრესკების ნაშთი — მღვდელ-მოძღვართა ტანისამოსის ჯვრიანი სახეები წითელი და მოთეთრო ფერისა. ეკლესიას აღმოსავლეთ მხარეს აქვს ჩუქურთმიანი ქვა, ჩადებული აქ ალბათ სხვა შენობიდან. კარი სადა და სად ჰქონდა — არა ჩანს.

№ 2. მთავარი ეკლესიის სამხრეთით არის სამრეკლო (?), აშენებული კლდეზე; იგი ნანგრევადაა ქცეული.

№ 3. სამრეკლოს დასავლეთით არის მცირე ეკლესიის ნანგრევი. იგი ერთნავიანი შენობაა 4,8×3,25 მ თაღი მოელი აქვს; ჩრდილო კედელი გამონგრეულია.

№ 4. უკანასკნელის სამხრეთით არის მცირე ერთნავიანი ეკლესიისავე ნანგრევი. მასაც თაღი მთელი აქვს და ჩრდილო კედელი გამონგრეულია. ზომით არის 3,5×2,45 მ. აქ იატაკში აკლდამაა გათხრილი.

№ 5. სამრეკლოს აღმოსავლეთით არის რაღაც შენობის ნანგრევი.

№ 6. ამის აღმოსავლეთით არის გრძელი ოთახი. სამხრეთით შეერთებული თაღიანი გამოქვაბულით, რომელსაც თაღი კონუსისებურად აქვს მოყვანილი თავში — მაღლა ახდილია.

ამ შენობის აღმოსავლეთით კიდევ რაღაც შენობის ნანგრევია და მის წინ აღმოსავლეთით ადგილის გასამაგრებელი კედელი.

შენობათა აღმოსავლეთ ნაწილში გდია მზის სახიანი (?) მცირე ქვა. ეზო მოფენილია ნანგრევებით.

გზა მონასტერს შეუდის დასავლეთი მხრიდან.

№ 7. მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით დგას რაღაც შენობის ნანგრევი.

№ 8. № 7-ის ახლოს მონასტრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 20—30 საჟენზე არის პატარა ერთნავიანი ეკლესია 3,5×2,2 ჲ, რომელ-

საც ჩრდილო მხარეს საძირკვლის ახლოს შერჩენია თლილი ქვები, დანარჩენი მოცლილია. თაღი შენახული აქვს; კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი აღმოსავლეთით და დასავლეთით; ჩრდილოეთი კარის ზევითა ნაწილი გამონგრეულია, სახურავს ხავსი აქვს მოკიდებული და ზედ ფიჭვებია ამოსული; ეკლესია მოხატული ყოფილა. აღმოსავლეთ კედელზე შენახულია ნაშთი; სარკმლის მარცხნივ (სამხრეთით) არის 3 მღვდელთმოძღვარი; მარჯვნივ (ჩრდილოეთით) —2. მარცხნივ პირველი (სარკმლის ახლოს) შენახულია წელს ქვევით, მეორე მუხლს ქვევით, მესამისა წელის ადგილი. სარკმლის მარჯვნივაც: პირველი — წელს ქვევით, მეორე მუხლს ქვევით; ყველა ძლიერ დაზიანებულია; შენახულია წითელი, ლურჯი და მოთეთრო ფერები. იატაკი დასავლეთ ნაწილში კარის წინ ჩანგრეულია და ძირს აკლდამა ყოფილა.

ეკლესია დგას კლდოვან ადგილას.

ფრესკებიდან შენახულია მღვდელთმოძღვრების ჯვრიანი ტანისამოსის ჯვრიანი სახეები, რომელთა ძირსაც გასდევს ყვავილიანი არშია.

აბასთუმნის ძეგლები:

1. ყოფილი სამხედრო ეკლესია.
2. ნანგრევი
3. თამარის ციხე
4. გვირაბის ნაშთი ძირს
5. გამოქვაბული
6. მონასტერი
7. ხიდი ძირი (ანუ ბოგირი)
8. აბასთუმნის ციხე სოფლის გაღმა

თამარის ციხის გაღმა კლდეზე უჩვენებენ თამარის აკვანს.

ზემოაღწერილი ციხის სამხრეთით 1 კილომეტრზე არის სხვა ციხის ნანგრევი; იგი ზომით ყოფილა 50×25 მ. კედლის სისქე აქვს 1,6 მ. შენახულია დასავლეთ კედლის სამხრეთი ნახევარი და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის კუთხე. ეს კუთხე გამოყენებულია ეკლესიად, რომლის ზომა არის 8×3,8 მ. იგი მოხატული ყოფილა; მხატვრობა შენახულია საკურთხევლის ძირა ნაწილში, თაღში მცირედ; თაღის ჩრდილო და სამხრეთ გვერდებზე ნაგლეჯებად და სარკმლის სამხრეთ კალთაზე; ყველა ძლიერ დაზიანებულია. ეკლესიის ფორმა (იხ. ნახ. 67). კედლებიდან შენახულია ჩრდილო კედელი მთლიანად, აღმოსავლეთისა თავის თაღითავე და სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილი; დანარჩენი დანგრეულია. ეს კედლები საკუთრივ ციხისა არის და გამოყენებულ-გადაკეთებულია ეკლესიად. ფრესკები ძლიერ დაზიანებულია და

აღარაფერი ჩანს. თაღის ჩრდილო გვერდზე შენახულია რომელიღაც წმიდანის ნაშთი ძლიერ დაზიანებული; სარკმლის მარჯვნივ შენახულია რომელიღაც წმიდანების წელს ქვევით ნაწილი, სარკმლის მარცხნივაც შენახულია რომელიღაც წმიდანების ტანისამოსის ქვედა ნაწილის ნაშთი. ფერები შენახულია ბუქი მწვანე, მუქი წითელი და მოთეთრო.

აბასთუმნის მიდამო

ბოდო კლდე — 6
შაან-ყაია — 5
ყაი ნარი ყურა —3
დათვეთი — 2
დორთ ტაშთი დაგორმანი — ფეგია 4
ხაჩი ტაშ აღობილის თავში
ქილისა დერეს(?)
დიდ-მაღალი
ყანობილი
კურცხანის აგარაკის ორი ციხე

დარიხდარაში არის საბა-ჯვარი, აბასთუმნის ახლოს ჩიღლარი, სადაც ყოფილა წარწერა (ნაბიჯოს ყიშლადან)

ქირკალისეს დიდი ეკლესია
ბოდოკლდის ახლოს ნაქალაქში
ხათუნ ფეგლასი
ტამლარ კურცხი.

ჰიხელის ჩრდილოეთით 1, ½ ვერსზე პატარა, შემაღლებულ გორაკზე დგას მარიამწმიდის ეკლესიის ნანგრევი. იგი ერთნავიანი დარბაზული შენობა ყოფილა 6,4×3,5 მ. დღეს ნანგრევად არის ქცეული. შენახულია მარტო საძირკველი და ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხის კედელი 3,5 მ სიმაღლით. ამ ნაწილს შიგნიდან და გარედან, ძირა ნაწილში შერჩენია თლილი ქვა ნაწილობრივ. ეკლესიის გარშემო დიდი ნასოფლარია; აქ ყრია ქვები, რომელთაგან ზოგი უზარმაზარი ზომისაა. ეკლესიას სამხრეთით რაღაც შენობა ჰქონია. ეკლესიის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით არის აკლდამები. ეკლესიის აღმოსავლეთით დევს უზარმაზარი მოგრძო ლოდი, რომელსაც მაღლა ოთხკუთხი ამოჭრილი აქვს; შიგ ჯვარი უნდა ყოფილიყო აღძართული.

ქიქინეთი, აქ მცხოვრები გვარები: მუღლაძე, გოგოლაძე, სარალიძე.

ქ ი ქ ი ნ ე თ ი მონასტერ-ქილისას ეკლესია ერთნავიანი შენობაა 9×5 მ, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთით, ჩრდილოეთით და ვგონებ აღმოსავლეთითაც რაღაც შენობები ჰქონია. უკანასკნელიდან მარტო საძირკველი მოჩანს ოთხივე მხარეს. ეკლესიიდან დარჩენილა მხოლოდ ნანგრევი. ნაგები ყოფილა კლდისა და თლილი ქვისაგან, აქა-იქ შენახულა 10—12 თლილი ქვა. კარი აღარ უჩანს. სარკმელი აღმოსავლეთით. უკანასკნელის ადგილი ახლა გაგლეჯილია. საკურთხეველის ჩრდილო და სამხრეთ მხარეს (კუთხეების ადგილას) აქვს მაღალი თაბჩების მაგვარი 3 მ სიმაღლით. ეკლესიას პირის ქვა შიგნით და გარეთ სულ მოცლილი აქვს და მარტო დუღაბი დგას, ისიც ნაწილობრივ. ეკლესიის სამხრეთით ყრია დიდი ნანგრევი.

ქ ი ქ ი ნ ე თ ი ს ჩრდილოეთით, მაღალი მთის სერზე არის ციხე, ზომით 30,5×15,5 მ. მას სამხრეთი მხარე დაქცეული აქვს, დანარჩენი შენახულია. გზა შეუდის სამხრეთის მხრიდან კლდოვან ბილიკებად. კარი აქვს აღმოსავლეთის მხრიდან. ციხის შიგნით ჩრდილოეთ კედელზე ბიშენებულია ეკლესია. ციხის დასავლეთ ნაწილში აღმართულია სამსართულიანი კოშკი. სართულები მოშლილია. თაღის ნაწილი ჩამონგრეულია. ციხე ნაგებია კლდის ქვისაგან. მას ჩრდილოეთ მხარეს დაკიდული კლდე აქვს ტყიანი ნაწილით. შიგნით ამოსულია ხეები, შიგნითვე არის შენობების ნანგრევები. გზა სამხრეთიდან მიმდინარე დასავლეთის მხრიდანაც შეუდია. აქ არის პატარა კარი გალავნის კედელში შესავალი. აღმოსავლეთი მხრიდან ციხეს ოთხკუთხი ფორმა აქვს.

ციხე დგას მაღალი მთის აღმოსავლეთისაკენ დაქანებული სერის ცალკე აწვდილ კლდეზე. მასში არის ერთნავიანი ეკლესია, ნაგები ქვითკირისაგან. გარეთ სამხრეთ მხარეს თლილი ჰქვა ჰქონია. ზომით არის 5,3×3,8×3,55 მ. დღეს ნანგრევად არის ქცეული. შენახულია მარტო ჩრდილოეთის ნახევარი მხარე, სამხრეთისა კი ნაწილობრივ დანგრეულია; ამ სამხრეთის მხრის კედელი შენახულია, თაღი კი მთელს სიგრძეზე ჩამონგრეულია. თაღს აქვს ორი კამარა: ერთი დასავლეთის კედელთან, ერთი შუაში (მეორე კამარის სამხრეთი ნაწილი ჩაქცეულია). ორივე თლილი ქვისაგან არის ამოყვანილი. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით. იგი დანგრეულია. სარკმელი აღმოსავლეთით —1, ჩრდილოეთით, სამხრეთით არ შერჩენია. დასავლეთის კამარას (პირით აღმოსავლეთით) დატანებული აქვს ყვავილის ჩუქურთმიანი ქვა, რომელიც დაზიანებულია. იგი შემდეგ ხანში სხვა შენობიდან უნდა იყოს გამოყენებული აქ. ძეგლის მასალა კლდის ნატეხი ქვა არის. თლილი ქვა მარტო სამხრეთ მხარეს ჰქონია, ჩრდილოეთისა — ციხის კედელზეა მიბჯენილი, დასავლეთისა კიდევ კლდეს ებჯინება (ნაწილობრივ კლდეა, ნაწილობრივ ამოშენებული).

წ ა ხ ნ ი ს წ ყ ა რ ო ს ყოფილა ძველი წყარო. იგი დაუნგრევიათ და მის ადგილას ახალი გაუკეთებიათ. წყაროსთან ყრია ძველი მილის ნატეხები.

აქ არის გვარი სარალიძე 30 კომლი.

წ ა ხ ა ნ-ში ახლანდელ ჯამეს ადგილას უწინ ეკლესია ყოფილა. იგი დაუქცევიათ ამ 24 წლის წინათ და მის ადგილას ჯამე აუშენებიათ (ეკლესიის მასალა ჯამესათვის შეუხმარებიათ). ნაშთი ქვითკირი ახლაც ჩანს ეზოს აღმა ყორეში.

წ ა ხ ა ნ-ში არის 240 კომლი: ციციშვილი, ფეიზიშვილი, ნაფაშვილი, ხუციშვილი, ჭიჭინაძე, ქართული თითო-ოროლამ იცის.

ხ ა რ ჯ ა მ ი 60 კომლი: ყიფიანები.

ქართული თითო-ოროლამ იცის აქაც, წახანშიაც, წახნისწყაროშიაც.

ხარჯამის ჯამეს წყაროს იატაკად უდევს რამდენიმე თლილი ქვა დარჩენილი ძველი ეკლესიიდან. ასეთივე ქვები ყრია მეჩეთთანაც. მეჩეთის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან არის ძველი შენობის საძირკველი. მეჩეთის დასავლეთით მოჩანს რაღაც საძირკვლისებური ნაშთი.

ხ ა რ ჯ ა მ ი ს სამხრეთით მაღლობ ადგილას, ე. წ. „გ ო ჩ ა“-ს[38] არის ძლიერ დიდი ნასოფლარი. აქ შუაში შემაღლებულ გორაკზე არის ნაეკლესიარი, მოჩანს საძირკვლის ნაშთი, ზომით დაახლოებით 4,8×3,2 მ. საძირკველთან ყრია კირის ნაფხვენები. ამ გორაკის სამხრეთით არის დიდი დერეფანი სიგრძით 10 მ, სიგანით 1,6 მ, სიმაღლით 1 მ. გადახურული აქვს უზარმაზარი ლოდები. იგი ერთ ადგილას ჩანგრეულია. კარი არ უჩანს. ნასოფლარის ყველა ადგილას უზარმაზარი ლოდებია აშვერილი. ნაეკლესიარის აღმოსავლეთით არის სახლის ნაშთი, რომელსაც ჩრდილოეთის მხარეს უყუდია ერთი უზარმაზარი ლოდი. ადგილი „გოჩა“ არის ხარჯამისა და ვარხანისა.

ზ ა დ ე ნ ი ს ნასოფლარი არის „ს ა ბ უ ზ ა რ ე“-ს[39] მახლობლად, დასავლეთ გორაკზე. აქ არის ორი უზარმაზარი ქვა, ერთმანეთის მოპირისპირე. ამ ქვების ახლოს არის აკლდამები ოთხ-ოთხი ქვისაგან. ქვების აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით არის ნასახლარები მრავალი უზარმაზარი ლოდებით. აქ არის ასეთი დიდი ლოდებით დახურული გრძელი დერეფნები.

ვ ა რ ხ ა ნ ი ს მისგითის მახლობელი წყაროს მილის თავზე დევს ძველი ორნამენტიანი ქვა, რომელსაც ორნამენტიდან ნაშთიღა შემორჩენია. ზევითა ნაწილი ჩუქურთმისა მოუშლიათ და მის მაგიერ გამო-

უსახიათ სურა, მაშტაფა და თუნგი. თუნგის ძირს შერჩენილა ძველიდან დარჩენილი ასო, იგი ზის ქვის მარცხენა ქვედა კუთხეში.

ცნობები: ქვედა ღაღველი — ბეჭირ ჯიბლაძე.

ხ ე რ ო — 130 კომლი. ჭართული თითო-ორორლამ იცის. აქ არიან: ყარაგოზაშვილი, იმერლიძე, ოთარაშვილი.

ხ ე რ ო ს[40] მისგითი ძველი შენობაა. აუშენებიათ სოფლის ზევით მდგომი და სოფლის ქვევით ნანგრევი ეკლესიების მასალით. წყობა ქვებისა ძველი აქვს; აგრეთვე ქვების თლილობა; ქვები ძველებურად აყუდებით არის კედელში და შიგნით დუღაბი აქვს ჩასხმული. ზომით შიგნით არის 11×10,5 მ. შიგნით ყვავილების მხატვრობით არის შემკული; უკანა ადგილას აქვს ჩარდახი (ბალკონი) ფიცრისა, შემკული ჩუქურთმით და შეღებილი ფერადებით; სახურავად თუნუქი ახურავს. ჭერის შუა ნაწილი ყუბა ნახევარ წრის სახისა, იგიც მთელ ჭერთან ერთად მოხატულია. ჭერი დაბჯენილია ოთხი ფიცრის ბოძზე, აგრეთვე მოხატულზე.

მოლა არის აბაზ ჩაღოშვილი უდელი. მისგითს წინ აქვს ბალკონი, რომელსაც უდგას 6-ჩუქურთმიანი სვეტი. კარი შემკულია ჩუქურთმით. სიგელი ეკლესიისა ინახებოდა ადგილზე. ის სულთან სელიმისა არისო, წამოვიღე.

შ ო ყ ა ს თავზე მაღალ გორაზე დგას ეკლესიის ნანგრევი. 6,5×4,8 მ(?) შენახულია მხოლოდ აღმოსავლეთ-სამხრეთი და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ კუთხის დუღაბები 2,5 მ სიგრძით და 4 მ სიმაღლით; სარკმლის ადგილი მთლად გაგლეჯილია, დანარჩენი ნაწილისა საძირკველიც ოდნავღა მოჩანს. აქედან და სხვა ნანგრევებიდან წაუღიათ სოფლის მისგითისათვის ქვა; დგას სოფლის ჩრდილოეთით.

შოყაში მურად მაკარაძის შვილს 13 წლისას აქ დაუსრულებია სკოლა და მერმე ორი ფაკულტეტიო.

ა ლ თ უ ნ - ყ ა ლ ა ს[41] ზომა დაახლოებით იქნება 100×100 მ. ნაგებია კლდის ნატეხი ქვისაგან კირით; სამხრეთის მხრიდან აქვს ორი გალავანი; ადგილ-ადგილ აქვს მაღალი კოშკები; ჩრდილო კოშკს (ყველაზე მაღალი კოშკია) კარი აქვს სამხრეთ მხარეს მაღლითა ნაწილში. შიგ, აღმოსავლეთ-სამხრეთ კუთხეში, აშენებულია რაღაც შენობა, რომელიც შიგნით მთლიანად ოთხპირად კირით არის გალესილი (თვითეული პირი ეტყობა). შენობა დაზიანებულია, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მაღლა ჩანგრეულია; ზომით შიგნით იქნება სიგრძით 3,5 მ. სიგანით 2 მ, სიმაღლით რაც შენახულია (იატაკში ნანგრევი ყრია) 5 მ. მაღლითა დასავლეთ ნაწილში პატარა მრგვალი ერდო აქვს, მას დასავლეთ

მხარი ჩანგრეული აქვს. თვით შენობას ჩრდილო-დასავლეთ კუთხე შემომრგვალებული აქვს გარედან, შიგნით კი ყველა კუთხე მრგვალი აქვს. შიგნით სუფთად ყოფილა გალესილი. იგი პურის შესანახავი უნდა ყოფილიყო. მას აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლები კოშკისა აქვს გამოყენებული, ჩრდილო და დასავლეთი კედლები კი ახლად არის აშენებული (ასეთივე პურის შესანახავია აბასთუმნის თამარის ციხეში). თვით დასავლეთი კოშკი ოთხკუთხაა. ზომით არის 10,5×5,2 მ; კარი აქვს სამხრეთით, მაღლა; სარკმელი დასავლეთ მხარეს ჩრდილოეთის კედელთან; იგი მოზრდილი სარკმელია.

ციხეს შიგნით ეზოზე, კლდეზე მიშენებულია ქვითკირის შენობა (კლდე აქვს დასავლეთ მხარეს) 3×2 მ, ისიც აგრეთვე კირითაა გალესილი შიგნით. შესავალი ახლა აქვს სამხრეთ მხრიდან. ეს შენგრეული ადგილია. მასაც თაღზე ერდო ჰქონია შუა ნაწილში, ახლა ეს ერდოს ნაწილი ჩანგრეულია. თაღის სამხრეთი ნაწილიც ჩანგრეულია.

ეზოშივე, კარიდან 10 მ-ზე დასავლეთით დგას რაღაც შენობის ნანგრევი, იქნება სასახლე იყო. შენახულია აღმოსავლეთი კედელი, სამხრეთ კედლის დასავლეთი ნაწილი, დასავლეთი კედელი; ჩრდილო კედლად კლდე არის. ზომით 6×5 მ. კარი აქვს აღმოსავლეთით სამხრეთ ნაწილისაკენ. სარკმელი შერჩენია სამხრეთ მხარეს. იგი შიგნით გალესილი ყოფილა კირით. სამხრეთი კედლის დასავლეთი ნაწილის ნახევარი სულ დაქცეულია.

კარის მახლობლად, სამხრეთ-დასავლეთით დგას ოთხკუთხი ბურჯი.

ციხის კედლის სისქე კარებთან 2 მ, სხვა ადგილებში ზოგან 40 სმ, ზოგან საშუალო და სხვ. თვით გალავნის კარის თავზე გამოსახულია ჯვარი უბრალო ერთ ხაზად.

შოყას ეკლესია დგას სოფლის დასავლეთით 1 ვერსზე, ალთუნყალის ძირას, ვაკე ადგილას. იგი ერთნავიანი შენობაა 5,1×2,43 მ. ნაგები ყოფილა სულ თლილი ქვისაგან შიგნით და გარეთ. გარეთა პირი სულ მოცლილი აქვს, შიგნითი პირი კი შენახულია დაზიანებით. ეკლესია ნანგრევად არის ქცეული. მას სამხრეთი კედელი კარის ადგილას განგრეული აქვს და დაზიანებული; თაღის სამხრეთი ნახევარი მთელ სიგრძეზე ჩამონგრეულია, ჩრდილო ნახევარი კი შენახულია. კარგია შიგნითი ქვების წყობა. შუა ეკლესიის კამარის დასაყრდენად კედლიდან გამოწეული ქვა შემკულია თოკისებური ჩუქურთმით. ქვების წყობა შიგნით და გარეთ სწორხაზოვანია. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი აღმოსავლეთით —1, დასავლეთით —1, სამხრეთით აღარ შერჩენია. შიგნით იატაკი ნანგრევით არის სავსე. ტრაპეზი მოშლილია და

აღარა ჩანს, საკურთხეველს სამხრეთ კედელში აქვს მცირე თახჩა, კედელი შუაში დუღაბჩასხმით არის ნაგები. საკურთხეველს მაღლა დატანებული აქვს ორი ჭოკი (ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ). შიგნით კედლები კარგად არის შენახული, გარდა სამხრეთი კედლისა, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. ჩრდილოეთ კედელსაც 2 ქვა აქვს გამოცლილი კამარის ხაზზე (შუა კედელში).

ზ ე დ ა-ე ნ თ ე ლ ი ს[42] ძველი სასაფლაო არის სოფ. ზედა-ენთელის თავს (სოფ. ხეროს ბოლოზე). აქ შენახულია საფლავის ქვები და მისი გალავნის ნაშთი. გალავნისა გადარჩენილა ჩრდილოეთი მხარე ეზოში შესასვლელი კარით; ის ნაგებია თლილი ქვითა და კირით, სიმაღლით არის 1 მ, კარის დასავლეთით 3 მ-ზე, ჩრდილოეთი კედლის კუნჭულთან არის საფლავი, რომელსაც დასავლეთით ქვაზე, პირით დასავლეთისაკენ აქვს თურქული წარწერა. არის სხვა საფლავებიც.

ენთელის თემ-საბჭოს თავმჯდომარედ არის აწყურელი ალი ჩხეიძე.

არძნეს ზევით 1 ვერსზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაღალ მთის მაღალ კალთაზე არის ბ ო ს ე ლ ე თ ი ს ნაქალაქარი. აქ გორაკზე ყოფილა ეკლესია 13,4×6 მ, რომელიც დღეს დანგრეულია, ქვა სოფელს წაუღია, საძირკველიც ამოგდებულია.

აქ არის უზარმაზარი ლოდებისაგან ნაგები სახლები, დერეფნები, ორმოები და სხვა, რომელნიც ნაწილობრივ დანგრეულია.

აქვე არის შესანიშნავი გრილი წყალი. აქედან გზა გადადის ყულები-ს ნასოფლარში. ის პატარა ნასოფლარია, სულ ხარაბა არისო, ის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის.

ბ ო ს ე ლ ე თ ი ს ეკლესიას ჰქონია წარწერიანი ქვა, რომელიც წაუღია არძნეს მცხოვრებ მოლა ისმაილ ოღლი ხურშუდს და თავის ძველი და ახალი სახლისათვის შეუხმარებია. ძველი თლილი ქვა ახლაც კარგად ჩანს ძველი სახლის სამხრეთ მხარეს (პირის მხარე). ეკლესია მშვენიერი თლილი ქვისაგან ყოფილა ნაგები.

აქ არის გვარი: კაკუჭაძე (იასონი ჩვენი გამყოლი).

ეკლესიის ჩრდილოეთით არის 2—3 აკლდამა, გათხრილები. ეკლესიის აღმოსავლეთით არის დიდი სახლების ნანგრევები. აქ, ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის დიდი ორმოსებური დარბაზი, რომელსაც თავი გრძელი ფიქალებისაგან აქვს მოყვანილი. თავი ახლა ჩანგრეულია მაღლა, მაგრამ მისი ძირა ნაწილი შენახულია. კარი აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთით. მის სამხრეთ კუთხეში ჩადის გზა ქვევით. აქ კუთხეში ქვა

არის გამოწეული ტახტივით. ეს ყოფილა დერეფნისებური, კაცი მდგომარე გაიელისო.

ეკლესია თლილი ქვითა და კირით ყოფილა ნაშენი.

სახლები კი უკიროა. ყველა შენობები დიდი თხელი ლოდებისაგან არის ნაგები, ლოდები დაყუდებული არის და გადებულიც.

ეკლესიის ჩრდილოეთით დიდ მანძილზე არის მრავალი დიდი შენობა ასეთივე ნაშენი. შენობები ნაშენია დიდი ლოდებისაგანაც და პატარა ლოდებისაგანც. კედლებს სწორი ხაზი აქვს, ქვების წყობა სწორხაზოვანს უახლოვდება. ბევრი შენობა მთელია. ერთი ასეთი მთელი შენობა არის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოშორებით, მეორე ჩრდილო-დასავლეთით. ამას დიდი დერეფანიც აქვს.

ამ ნაქალაქარიდან 1 ვერსზე დასავლეთით არის თურქმანნარის ნასოფლარი ასეთივე ნასახლარებით, ისიც ნაქალაქარიაო.

არძნეში არის გვარები: შანიძე 25 კომლი (ამათივე გვიანი ხანის გვარია კაკუჭაძე), თურმანიძე იგივე ოსიძე 1 კომლი, კეკელიძე 6 კომლი, შანიძეების წინაპარი ყოფილა ზაზო და ვასო.

არძნეს დასავლეთით შემაღლებულ გორაკზე არის ჩასოფლარი. აქ არის დიდი ლოდები, დარჩობილი მიწაში, დანარჩენი ქვები გამოუტანია სოფელს. აქ არის ორმო, რომელიც ამოუვსიათ, საქონელი ვარდებოდაო. ეს არის ძველი არძნე, რომელსაც „ვერანას“ ეძახიან. ამ ძველ არძნეს დასავლეთით, 100 საჟენზე მეორე, მცირე გორაკზე არის ეკლესიის ნასაძირკვლარი. ზომით არის 6,4×4 მ. ქვები სულ წაუღიათ. გალავნად დიდი ბრტყელი ლოდები ჰქონია შემოყოლებული. ისინი შენახულია ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში.

ზ ე დ უ ბ ნ ი ს აღმოსავლეთით სოფლის გარეთ, 100 საჟენზე დგას ეკლესიის ნანგრევი; იგი მოზრდილი შენობა ყოფილა, 10,5×7,4 მ. დღეს მთლად დანგრეულია; შენახულია მარტო სამხრეთი კედლის დასავლეთი ნაწილის დუღაბი სიგრძით 4 მ, სიმაღლით 1,2 მ. პირის ქვა სულ შემოცლილი აქვს; შიგნით ყრია ნანგრევები; საკურთხევლის ადგილას გდია ორი უზარმაზარი ნანგრევი. ნანგრევები ადგილ-ადგილ დაფარულია მცენარეებით. ეკლესიის სამხრეთით და ჩრდილოეთით არის რაღაც შენობების ნანგრევები.

აქ არის გვარი: დეშეტრეძე 6 კომლი (აჭარაში ბევრია ჩვენი გვარიო), ქიკვაძე.

ეკლესია დგას სოფლის ზევით დასახლებული ექვსი კომლის ახლოს.

ღ ო რ თ უ ბ ნ ი ს თავზე არის გორაკი, რომელზედაც არის ნასოფლარი. აქვე შუა ნაწილში არის ნაეკლესიარი. შენახულია მარტო სა-

ძირკველი. იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა, 8×4,7 მ. გორაკი დაფარულია სახლების ნანგრევებით. ეკლესია ნაგები ყოფილა ქვითკირისაგან.

აფიეთის ბოლოზე რომ ეკლესია და ციხეა, ღორთუბანს ეკუთვნის.

გუგუნაურში არის ძველიდან დარჩენილი კარაპანი, შენახულია კედლები, სახურავი აღარა აქვს, იგი ახლა ეკუთვნის ფაჰრად აჰმადოღლი ფიფიას, ივივე ფიფაძეს. შუა ბურჯი ფიჩვის ხის ნაჭრებისაა დანარჩენი კედლები ქვისა, ზოგი ძლიერ დიდი ქვაა. ხის ნაჭრების ბურჯი დაბჯენილია მიწაში ამოშვერილ დიდ ქვაზე. კედლის ქვები დიდრონიც არის და პატარებიც. შენობა ამბობენ 200 წლისა იქნებაო.

ბოსელეთიდან ქუთაისის მაზრაში გადასულან ჩოკაძეები. ჩოკაძეები ადიგენშიაც არიან. იმერეთიდან გადმოდიან და ვეუბნებიან: ჩვენი ძმები ხართ, მოდით, იმერეთში თქვენც ადგილი გაქვთო. ბოსელეთის წყაროს ზევით ყოფილა ვაშლის ხე, იქ მათ შენახული ჰქონიათ ოქრო და იქვე ოქროს ხმალია დარჭობილიო. ბევრი უძებნიათ და ვერ იპოვნესო; იქნებ იპოვნეს კიდეც, ვინ იცისო.

ჰაჯი-ოღლის ყიშლა[43] არის ადიგენის სატყეო მეურნეობის პირველ პუნქტში, ნიახჩაის ხე-ტყის საწყობიდან აღმოსავლეთით 5 ვერსზე, ღორთუბნის იაილას ჩრდილო-დასავლეთით 1 ცერსზე, დაბლა პატარა ხევის ჭილიდარას (ჭილის ხეობის) მარჯვენა მხარეს, აქვანა სერის ჩრდილოეთით (ეს წვერი ანუ გორაკი აღმართულია ღორთუბნის იაილას სამხრეთით).

1. ნანგრევების სამხრეთ მხარეს პატარა რუს მარცხენა მხარეს არის ნასახლარები, ნაგები დიდი ფიქალებისაგან. აქ სხვათა შორის არის ბეღელი, რომელსაც ოთხი კედელი ოთხი ფიქალისაგან აქვს და მაღლაც ორი ფიქალი ახურია და მაღლიდანვე აქვს კარი ჩასაყრელ-ამოსაყრელად ზომა 2×1,4×1,6 მ. ძირი მიწით არის დაფარული. აქვე, ამაზე მიკვრით არის ოთახი ქვის კარით. ეს ოთახი არის ბეღლის სამხრეთით; კარი იყურება სამხრეთისაკენ. ამ კარით შევდივართ დიდ ოთახში, რომელსაც შუაში უდგას ორი მრგვალი ერთიანი ქვის სვეტი; მას ადევს ოთხკუთხი სვეტის თავი; სვეტიდან სვეტამდე და კედლამდე გადადებულია დიდი გრძელი ფიქალი. სიგრძეზე ამ სვეტებზე გვერდის კედლებიდან გადმოდებულია აყუდებით ფიქალები. ერთი მათგანი აღმოსავლეთ მხარეს ზომით არის 2×2 მ. ოთახის ზომა 5,45×4,25×1,9 მ. აქედან ჩრდილოეთით მიდის ხვრელი, რომელიც 1 საჟენის შემდეგ ორ ხვრელად ჩადის ძირს. სვეტები ხამად არის ნამუშევარი და დამრგვალებული. ოთახი საუცხოო სანახავია. გარეთა კარიდან შევდივართ მეორე დერეფანში, მერე კიდევ კარია ქვისა ჩამოკიდნილი (იქვე გდია) და შემდეგ შევდივართ ამ დიდ ოთახში. კარის შუა ნაწილი მრგვალად არის გახვრეტილი.

2. პირველის ჩრდილოეთით მცირე ხევის მეორე, დასავლეთ მხარეს არის სხვა ნანგრევები. აქაც არის ოთახები. ერთ ოთახში არის ერთი სვეტი და მასზე გადადებულია სახურავის ფიქალები; ზომით არის 4,4×2,4 მ. ამ ოთახის სამხრეთით არის ისეთივე ოთხი ქვის ბეღელი თავგადახდილი.

3. ამის ჩრდილო-აღმოსავლეთით უფრო შემაღლებულ ადგილას არის სხვა ნანგრევები, ოთახები და გვირაბი. აქ არის ერთი ოთახი, ერთი მრგვალსვეტიანი, 4×3 მ. კარი შეუდის აღმოსავლეთ მხრიდან; ამ ოთახიდან ჩრდილოეთით მიდის გვირაბი ადგილ-ადგილ პატარა ხვრელებით, ადგილ-ადგილ კარებით. ერთ ადგილას კარი დღესაც მოჩანს. გვირაბი მთლად კლდეშია გამოკვეთილი კაცის სიმაღლედ. გვირაბი მიდის 1 ვერსზე. ჩვენ გავიარეთ ერთი შესავალი ხვრელი, მერე კარი 2, ორიც ხვრელი, მესამე ხვრელი, რომელიც ძირს უხვევდა დავტოვეთ. ამის საპირისპიროთ არის რამდენიმე ოთახის ნანგრევი; მათ დასავლეთით არის შესანიშნავი 4 ქვის ბეღელი მაღლა ქვით, რომელსაც შუაში ხვრელი აქვს.

4. ამის ჩრდილო-დასავლეთით ახლოს არის ნანგრევები. აქ არის სახლები მიწაში. ერთი სახლი ნაგებია ქვისაგან უკიროდ, მას აქვს კარი სამხრეთის ჩხრიდან. ეს კარი დღეს მიწით არის ამოვსებული. ამ კარით შევდივართ მცირე დერეფანში, რომლიდანაც კარი შედის დიდ ოთახში; ორივე ამ კარს აბია ქვის თლილი კარები, რომელთაც შუაში აქვს მრგვალი ჩაღრმავებული, ნაპირის გვერდზე კი ოთხკუთხი; ამ პატარა დერეფანს მეორე კარი აბია აღმოსავლეთით. აქედან შევდივართ დიდ ოთახში, რომელიც ზომით არის 8,3×4,15 მ, სიმაღლით 2,5 მ. აქ გადაყვანილია ოთხი კამარა თლილი ქვისაგან. მათ შუა ადგილები ამოგებულია ქვებით სწორხაზოვანი წყობით. ეს ქვები სუფთა თლილი არ არის, არამედ ოდნავ მოსწორებულია. თაღი ასეთია: კედლის გათავების შემდეგ კამარიდან კამარამდე გადადებულია ბრტყელი, განიერი და გრძელი ფიქალები; ეს ასეა პირველ სამ ჩრდილო კამარას შუა, მესამე-მეოთხე სამხრეთ კამარებს შუა. კამარის თაღზე იმ რიგადვე გადებულია გრძელი ფიქალი, ასევე გადებულია აღმოსავლეთ კედლის თავზე, ხოლო დასავლეთ მხარეს კი ამ ფიქალის ადგილას კედელია ამოღებული ოდნავ გადმოწევით შიგნისაკენ. აქედან შუა თაღზე გადებულ ფი-

ჭალისაკენ დაჭანებით აწყობილია ფიქალებივე; ასე რომ, აქ გამოყენებულია როგორც გარდიგარდმო, ე. ი. სივრძეზე გაწყობა, ისე აღმა, ზევით აყუდება. ამრიგად დახურულია მთელი ოთახი; მაღლა მიწა აყრია. სამხრეთ კედელზე ფიქალები აყუდებული ყოფილა. ისინი ახლა ჩამოქცეულია და ოთახში ყრია და დღეს ცარიელი კლდე არის ამ კედლად. ამ დიდ ოთახში შემავალი კარის ზომა 1,25×0,8×0,15 მ. პატარა დერეფნიდან რაღაც გვირაბი გადის ჩრდილოეთით, იგი მიწით არის სავსე. დიდ ოთახში დღეს ჩასავალი არის ჩრდილოეთ მხარეს ჩანგრეული ნაწილიდან. მისი იატაკი დაფარულია წვიმისაგან ჩამოტანილი მიწით და აგრეთვე ნანგრევი ქვებით. მთელი შენობის კედლები და თაღები შედარებით მთლიანად არის დაცული. პატარა დერეფნის ზომა და გეგმა (იხ. ნახ. 68).

ამ შენობის დასავლეთით არის დიდი ოთახების ნანგრევი. ნაგები ყოფილა ნაწილი თლილი ქვისაგან. ძელები ყველა დიდია, დგას მარტო კედლები (იხ. ნახ. 69).

გამყოლები:

1. ადიგენის სატყეო მეურნეობა, უფროსი ტყის მცველი სტეფანე მანველიშვილი.

2. იმავე ტყის მცველი ასლან უიდარ ოღლი ჰიბაბრია.

ადგილს ჰქვიან ნიაზჩაირი.

გვირაბი ჩადის მთავარ წყალთან, რომელიც შემდეგ ჩამოდის საწყობთან. წყალი არის ნანგრევების ჩრდილოეთით. აკვანა სერთან არის ღორთუბნის იაილა (საზაფხულო ბინა). ამ იაილას დაბლა, ჩრდილოეთით, არის რაღაც შენობის ნანგრევი, რომელიც ყოფილა თლილი ქვისა; შენახულია მარტო საძირკვლის ქვები; ზომით არის 4,75×4 მ. წყალს ჰქვიან სახელი გომურო ყიშლას წყალი. საწყობი არის ხე-ტყისა, წითელი მთის ღელეში. ოღროჩობილის წყალი ზედა ღაღვამდე, შერმე ღაღვის წყალი, ოღროჩობილი მთა არის საწყობიდან რომ ზევით წავედით ეს ოღროჩობილის წყალი ყოფილა.

ხე-ტყის საწყობიდან აღმოსავლეთით 1 კილომეტრში წითელი მთის ადგილში, დაბლობში, არის ნამნიაურის ფეგები, აქ არისო სახლების დიდი ნანგრევები.

1. იმავე საწყობის ქვევით, წყლის მარცხენა მხარეს, ფერდობზე ფიშვ-ნაძვნარში დგას ციხის ჭოხის ნანგრევი. მთლიანად შენახულია მხოლოდ ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთი ნახევარი, დასავლეთი ნახევარი ამავე კედლისა და დასავლეთით კედელი კი შენახულია ნაწილობრივ. დანარჩენი კედლები სულ დაქცეულია, ნაგებია ქვითკირისაგან.

ზემო ღაღვის ჩრდილოეთით ზემოთ დგას მრგვალი ფორმის კოშკი. კარი აქვს მაღლა, აღმოსავლეთით. აღმოსავლეთით არის მისივე ნაწილის ნანგრევი.

ქვედა ღაღვში არის ცაცანიძეები, ჩხიაძე (ჩხეიძე?) 10 კომლი, დერცელში არის თურან მგელაძე, გადმოსული გურიიდან. აქ არის 15 კომლი მგელაძენი. თურანი მშვენივრად ლაპარაკობს ქართულს. ცაცანიძეც კარგად ლაპარაკობს ქართულს.

ქვედა ღაღვის ზემოთ 1 კმ. წყლის მარჯვენა მხარეს გორაკის ფერდობზე გამოწეულ კალთაზე არის ეკლესიის ნანგრევი. იგი სამნავიანი(?) ბაზილიკა ყოფილა 9×6,8 მ. ნაგები ყოფილა სულ თლილი ქვისაგან (შიგნით და გარეთ) კირით, დღეს დგას მარტო დუღაბის ნაშთი ორი მეტრის სიმაღლით, ზოგან ერთი მეტრის. პირის ქვა ზოგი აქვე (შიგნით და გარეთ) ყრია, ზოგი კი ზედვე აქვს საძირკველში, ხოლო უმრავლესი წაღებულია. კედლებიც ადგილ-ადგილ (ე. ი. დუღაბი) საძირკვლამდეა დაქცეული. მაგ., ჩრდილო სვეტი აღარა ჩანს მაღლა, საძირკველი კი მოჩანს. ნანგრევის გამო გეგმის ზუსტად აღება შეუძლებელია (იხ. ნახ. 70).

საკურთხევლის ჩრდილო ნაწილს შერჩენია ძირს თლილი ქვები. ეკლესიის დასავლეთით გდია დიდი დუღაბის ნაგლეჯი. იგი შესანიშნავი შენობა ყოფილა. დაუნგრევიათ უკანასკნელ ხანს. ეკლესიის შიგნით ნანგრევის დიდი გროვა დგას. აღმოსავლეთის კედელს ეგონებ შეჭრილი სამკუთხედები ჰქონია.

ეკლესიის მახლობლად, ჩრდილო-დასავლეთით (ხევის მარჯვენა მხარეზევე) პატარა კლდიან გორაკზე დარჩენილია ციხის ნანგრევი. შენახულია მარტო ჩრდილო კედლის დასავლეთი ნაწილი 3 მ. სიმაღლით და 4,5 მ გარშემო. კედელი მრგვალი ფორმისაა, ნაშენია ნატეხი ქვებით დუღაბის ჩახმით. კედლის სისქე 1,8 მ(?)...

ციხის დასავლეთით, ძირს არის ნასოფლარი.

ქვედა ღაღვში (სოფელში) არის ეკლესია. იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა, 9,45×4,6 მ. ნაგები შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვისაგან კირით. დღეს ნანგრევად არის. ახლა ადგილობრივ მცხოვრებს აფლად ჩაჭირ-ოღლის თივა-ბზის საწყობად აქვს. ძეგლს გარეთა პირი სულ აღარა აქვს, შიგნით კი შერჩენია: ჩრდილო კედელს მაღლითა ნახევარში, დასავლეთ კედელს მაღლა მთლიანად, ძირს კი სამხრეთ ნაწილში. სამხრეთ კედელი 1 მ ზევით დაქცეულია სულ; მას შერჩენია

3 თლილი ქვა დღევანდელი საბძლის კიბის ძირს მარცხნივ, დასავლეთით ეს სამხრეთ კედელი საკურთხევლის ნაწილში 3 მ სიმაღლისაა შენახული, ე. ი. დუღაბი; აღმოსავლეთ კედლისა შენახულია მხოლოდ დუღაბი; მასაც სამხრეთ ნაწილის ზევითა ნაწილი დაქცეული აქვს; ეკლესიას კარი ჰქონია ვგონებ სამხრეთით(?), სარკმელი აქვს აღმოსავლეთით, დასავლეთით — 1, სამხრეთით არ შერჩენია, თაღი სულ აღარა აქვს. გარდა დას.-ჩრდილო კუთხეში შერჩენილი მცირე ნაწილისა. ეკლესია ჩაღრმავებულივით არის (თუ გარეთ ადგილია ამაღლებული?). ეხლანდელი კარიდან 1,5 მ სიღრმეზე ჩავდივართ. დაქცეული კედლები სამხრეთ და აღმოსავლეთით აღნიშნულ პირს ყორით აუმაღლებია, სახურავადაც ფიცრის მასალა გადაუხურავს. ეკლესია საინტერესო ძეგლი ყოფილა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საკურთხევლის აღმოსავლეთი კედელი (იხ. მისი გეგმა ნახ. 71).

სიმაღლით 5 მ-ზე მეტია. აღმოსავლეთ კედელი მიწით არის დაფარული გარედან, სამხრეთ მხარესაც მიწით უნდა იყოს ამაღლებული. ეკლესია დგას სოფელში, კლდის ძირას. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან 0,75 მ-ზე დევს ქვა, ძირს ოთხკუთხი, მაღლა მრგვალი; ზევიდან მას ღრმა ჩაღრმავებული აქვს. ძირითა ოთხკუთხი ნაწილი შემკულია თოკისებრი ჩუქურთმით, ის ემბაზი უნდა იყოს. ზომით არის 80×70×60 სმ.

აქვე ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ გზის ძირას მდგომ ისმაილ ალინ ოღლის ფურნეს უდევს ეკლესიის სვეტის ნაწილი ოთხკოლონიანი ფორმისა (ერთიანი ქვაა); იგი ნახევარზე მეტი მიწაში ზის.

აქვე ეკლესიის ჩრდილოეთით ყოჩი თურან ოღლის სახლის ძირა სართულის სამხრეთი კედელი სულ ერთიანი ეკლესიის თლილი ქვისაგან არის აშენებული.

ასეთივე ქვები აქვს სხვების სახლებსაც და კალოებსაც; ქვედა ღაღის მცხოვრებ ფაზარ დურსუნ ოღლი ჩხეიძეს (ჩხეიძე?) 60 წლისა, დანგრეულ სახლს ჩრდილო კედელში უდევს სამი ქვა:

1. სამრეკლო თუ ეკლესიის გუმბათის მოდელი ერთიანი ჩუქურთმიანი ქვა. ოთხივე მხარეს გახვრეტილი. მას ერთი კუთხის მხარე ატეხილი აქვს. ზომით არის 1,5×0,34×0,34 მ.

2. სვეტის ნატეხი 0,6×0,2×0,12 მ.

3. თახჩის თავზე უდევს შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვა 0,7×0,15×0,23 მ.

აქვე უწყვია ეკლესიისვე თლილი ქვები, ასეთივე ქვები უწყვია დასავლეთ კედელსაც.

ამ სახლის იატაკში არის ორმოსავით. ახლა ის ამოვსებულია. აქედან ძველად გვირაბი მიდიოდა წყლისაკენ.

ამავე კაცის ფიცრული სახლის სამხრეთ სასკორეზე გდია სვეტი, შემკული ხაზოვანი ჩუქურთმით, ზომით 0,65×0,25 მ.

კიკიბო — 11 კომლი, გობაძე — 5 კომლი, იაკობაძე —3 კომლი, ირემაძე — 3 კომლი. ყველანი აჭარიდან არიან გადმოსულნი და ლაპარაკობენ ქართულად. კიკიბოს ჩრდილო სერზე 1 ვერსზე დგას ციხე, (იხ. გეგმა ნახ. 72). შენახულია კოშკი, ზევითა ნაწილი მოქცეულია და დასავლეთი კედლები მისი შენობებისა, დანარჩენი დაქცეულია და საძირკველიღა მოჩანს, დაზიანებულ ადგილებში გეგმას შიგნით წყვეტილი ხაზები დავუსვი. სიგრძით არის (ერთიანად) 14 მ, სიგანე დიდი ნაწილისა 8,5 მ. ნაგებია კლდის ქვისაგან დუღაბის შუაში ჩასხმით; ქვა საშუალო ზომისაა.

კოშკს კარი მაღლა უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთ მხარეს, დღეს დანგრევის გამო აღარა ჩანს; მისი (კოშკის) დასავლეთი მხარე ვიღაცებს უნგრევიათ, მოუცლიათ მხოლოდ გარეთა პირი, შიგნით კი ვერ შესულან. კიკიბოს ჩრდილოეთ მაღალ კლდეში არის ქვაბები. კლდე ციხის მაგიერია. ქვაბები იყურება სამხრეთისაკენ. ის სამსართულიანიაო. მას ჰქვია შაჰან-ყაია.

დერცელის აღმოსავლეთ-სამხრეთით ხევის მარცხენა მხარეს, ტყიან სერზე, 2 ვერსზე დგას ეკლესიის ნანგრევი. ამას ჰქვიან „თაგიწყაროს“ ეკლესია. იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა 6×4 მ. ნაგები ქვითკირისაგან. შიგნითი პირის უბრალო ნატეხი ქვაა, გარეთა სულ შემოცლილია. მთლიანად დგას მარტო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის კედლები, სამხრეთ კედლის აღმოსავლეთი ნახევარი, სამხრეთ-დასავლეთი კუთხით, დასავლეთი კედელი კი სულ დაქცეულია. აღმოსავლეთ კედელს შერჩენია თავისი თაღის შუა ნაწილი. ეკლესიის იატაკი შიგნით დიდი ნანგრევებით არის დაფარული. კარები არ შერჩენია, სარკმელი აქვს აღმოსავლეთით; საკურთხეველს აქვს 2 მცირე თახჩა. დერცელის რწმუნებულ ალი მურად ოღლი ჭულაძეს არ მიუღია მანდატი.

ციხისუბანში არის ციხის ნანგრევი. იგი დგას სოფლის შემაღლებულ ადგილას. ის სულ დანგრეულია; კედლები საძირკვლამდე დაქცეულია, შენახულია მარტო ჩრდილო კედლის აღმოსავლეთი ნაწილი 3,5×3,5 მ და იმავე კედლის დასავლეთი კუთხე. ციხის შიგნით სულ ნანგრევის გორა დგას. ნაგები ყოფილა ქვითკირისაგან. ზომით ყოფილა დაახლ. 15,5×13,5 მ.

ციხისუბანში არიან თავდგირიძეები 20 კომლი; ფეთოლარი არის ახალი ამათივე გვარი, დავრიშ ემინ ოღლი თავდგირიძე.

მოხეს ეკლესია უნდა დაიწეროს მოხეს ჯანიაურის ეკლესიად (ჯანიაური ადგილის სახელია). სიკო ზედგინიძემ (რომელიც სატყეო განყოფილებაში მსახურობს) იცის გორის იქით, ძინძე-ს ადგილში, ფეგებში დაღუპულა ქვა, ის სულ დაწერილი იყო, ზომით 1,5×1 მ იქნებოდა. მაზედვე ორი გველი ეხატაო. ზედგინიძეს წარწერა გადაუღია. (სარდარ პაპიძე საირმე. მასაც მანდატი არ მიუღია).

საირმის ეკლესია ერთნავიანი შენობა ყოფილა 9,5×5 მ. მას სამხრეთით რაღაც შენობა ჰქონია. დღეს ეკლესიისა დგას მარტო დასავლეთი კედლის დუღაბი და ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის დუღაბი. უკანასკნელს შიგნიდან (ჩრდ. ნაწილს) შერჩენია ორი თლილი ქვა. პირის ქვა სულ მოცლილია, შიგნით ყრია დუღაბის ხუთი უზარმაზარი ნატეხი. სამხრეთ შენობიდან შენახულია დასავლეთ კედლის საძირკველი და აღმოსავლეთ კედლის საძირკვლის ნაშთი, კარი არ შერჩენია, სარკმელი შერჩენია დასავლეთით.

ეკლესიის სამხრეთით ძველად აკლდამა ყოფილა.

ეკლესია დგას სოფლის ჩრდილო მცირე გორაკის კალთაზე, სოფლიდან 1/2 კილომეტრზე.

ჰეჭლას მისგითის ქვედა სართულის კედლებს უდევს ბევრი თლილი ქვა, რომელიც ალბათ ადგილობრივი ეკლესიისაა.

ქვაბლიანის შარჯვენა მხარეს ჰეჭლას მთაზე არის ნასოფლარი „ქვის სახლები“. ამის სამხრეთით 1 ვერსზე არის მეორე ნასოფლარი „ზურგენული“. ორივე დიდი ფეგებია ქვის სახლებიანი. სარდარ პაპიძეს მამას შაბან პაპიძეს უნახავს 120 წლის ქალი, რომელსაც უთქვამს: „ქვისახლების ქალი ვიყავ ზურგენულის პატარძალი“-ო. არეულობის გამო გამოვიქეცითო.

ზედაუბნის მისგითი ყველაზე ძველია ამ მხარეში.

სათათრეთიდან აღებულია ბარათი დაწერილი ქვაზე. ეს ქვა შენახული უნდა იყოსო. ახალციხის ზევით ამისთანა მისგითი არ ყოფილაო.

სარდარას ყანის ქვევით ღელეს, სოფლიდან აღმოსავლეთით მაღლა ჰქვიან „მელისაკლავი ღელე“. გაღმა ჰქვიან „გრძელი ჭალა“. გაღმაც მაღლა ჰქვიან „დავითიან ღელე“, ზევითავე ჰქვიან „დიდ ველი“.

„ხოშორი კაცი ვარო“, ე. ი. დიდი კაცი ვარო — სთქვა სარდარმა.

ქვაბისჯვრის ეკლესია სამნავიანი შენობაა 13×10,5 მ ნაგები თლილი ქვისა და კირისაგან. იგი ნანგრევად არის ქცეული: დგას მარტო კედლები, თაღი კაკაგარდა საკურთხეველისა და ჩრდილო ნაოს

აღმოსავლეთ ნაწილისა, დაქცეულია; იგი დაბჯენილი ყოფილა 4 ოთხკუთხა სვეტზე. ძეგლს გარეთა პირი, ერთი პატარა ნაწილის გარდა, თითქმის სულ მოცილებული აქვს.

ქაცარაული 30 კომლი.

გოდერძის გზაზე ტულუღ-ქეფრის სამხრეთით ხიდის მახლობლად, ხევში, ქვებში ეგდო ჩუქურთმიანი ქვა, ქვედა ნაწილმოტეხილი (დაკარგულია); ჩუქურთმა ხეულია. ქვა ზომით არის 50 (მაქს.) ×69× 25 სმ. იგი წყლისაგან უნდა იყოს ჩამოტანილი ამ ადგილიდან დასავლეთით აღმართული კოჯორის ნანგრევი ეკლესიიდან. ჩვენ ის მოვათვალიერეთ გზის ჩრდილოეთით მდგომარე რცხილისა (?) და მის ახლო მდებარე დიდი ქვის შუა დაგროვილ ქვებზე.

გოდერძის ჩრდილოეთით 1/2 კილომეტრზე, კოჯორზე არის ეკლესიის ნანგრევი. იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა, 9,8×4,9 მ. ნაგები თლილი ქვისაგან. დღეს შენახულია მარტო დუღაბი ადგილ-ადგილ 1 მ სიმაღლის. თლილი ქვა შერჩენია შიგნით პილიასტრების ადგილას (ორს ჩრდილოეთით და ერთს — სამხრეთით, სახელდობრ, აღმოსავლეთით). პილიასტრის ფორმა (იხ. ნახ. 73). თლილი და სხვა ქვა ყრია ეკლესიის შიგნითაც და გარეთაც. მასალის უდიდესი ნაწილი გაზიდულია. შუა ეკლესიაში გდია კარის თავის (?) ქვის ორი ნატეხი, დიდი და პატარა, შემკული შესანიშნავი ჩუქურთმით. ზომა დიდი ნატეხისა 72×88×31 სმ, პატარა ნატეხის 52×68×35 სმ (ორივე ზომა მაქსიმალურია). ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოჩანს უზარმაზარი დუღაბის ნატეხი. ეკლესიის ჩრდილოეთით მოჩანს აკლდამები თუ სხვა შენობათა ნანგრევები. ეკლესიის აღმოსავლეთით და სამხრეთით მოჩანს გალავნისა თუ სხვა შენობების საძირკველი, აღმოსავლეთით—2, სამხრეთით —1, ეკლესიის ქვა ოდნავ მოწითალო ფერისაა.

ეკლესიის სამხრეთით ფერდობებზე არის ნასოფლარი.

ამ ეკლესიის ქვა შეუხმარებიათ ზარზმისათვის უკანასკნელი შეკეთების დროს.

თიქმა-ტაში დგას აქვე ნანგრევი ეკლესიის ზემოთ, ვაკეზე, ფეგებში, ზომით არის 1 მ. 45 სმ ×70 სმ ×25 სმ.

ლეკნარის ფეგი მდებარეობს აჭარის მთების სამხრეთ-აღმოსავლეთით, ადგილობრივი მცხოვრების სული-აღა ბოლქვაძის სახლის სამხრეთით. აქ არის ქვისაგან ნაგები სახლები, ბეღელი, გვირაბი. აქვე არის დიდი, დღეს წაქცეული თიქმა-ტაში. 2 მ. 20 სმ ×70 სმ × 30 სმ. ქვები ნათალია. სახლები ნაგებია უზარმაზარი ფიქალებისაგან.

ვაშლობის ფეგი მდებარეობს ტყიანი მთის კალთაზე ადგილობრივი მცხოვრების სული-ალა ბოლქვაძის ოჯახის მახლობლად, ჩრდილოეთით. ნაგებია დიდი ქვებისაგან. დგას მარტო კედლები. ზომით არის 9×6,7 მ, სიმაღლით 2,7 მ. კარი აქვს დასავლეთ.-ჩრდილოეთ მხრის ახლოს. აღმ. კედელი და კარის ადგილი დაზიანებულია. ამ ოთახის სამხრეთით არის გვირაბი, 6×1,3×1,1 მ, რომელშიაც კარი შედის ამ ოთახიდან, ჩრდილოეთი მხრიდან. გვირაბი ნაგებია ქვით, კარი არა აქვს, თაღად გადებული აქვს ფიქალები.

ვაშლობთან ჩამოდის ბეშუმის წყალი, შარაგზის მახლობლად კი ყალნის წყალი. ეს წყლები შეერთების შემდეგ არის მახაჭალის წყალი.

გოდერძია ზემოთ, აღმოსავლეთ-სამხრეთით 1,5 კმ-ზე არის ნასოფლარი თენნარი. იგი დიდი ნასოფლარია. აქ არის საშუალო ზომის ქვებისაგან უკიროდ ნაგები სახლიდან დარჩენილი კედლები.

ამის ზემოთ, ახლოსვე, არის დიდი ქვაყრილი, რომლის თავშიაც, გზის პირას გამოდის შესანიშნავი ცივი წყარო, რომელსაც „ხუხუნას წყარო“ ქვიან. ამ ქვაყრილიდან უზიდნიათო ქვა ზარზმის ასაშენებლად. განახლების დროსაც აქედანვე წაუღიათ. ამ ქვაყრილის თავზე ყოფილა დიდი გათლილი ფიქალი, რომელზედაც ზევით გამოსახული ყოფილა ჯვარი და მერმე დიდი წარწერა, ზარზმის აღმაშენებელი წერებულაო, ჩუქურთმაც ჰქონია. ეს ქვა ზარზმის განახლებისას გაუტეხიათ და წაუღიათ მასალად. მას ზოგი ხაჩს იძახის. ნამდვილად ფიქალი ყოფილა.

გოდერძელი აბას ქიამილ ოღლი კორკალაძე.

მარლის ეილების ძირზე არის დიდი ნასოფლარი (ფეგები). აქ არის ერთი ფიქალი ზომით 2,5×1,3×0,22 მ, რომელიც ხუთ ძმას გაუდვია სახლის თავზე. სახლი ახლა დანგრეულია. მარელელებს (მარელი) და ხვანელებს (ამათია ეს ეილები) დაუნგრევიათ, თავიანთ ბინებისათვის მასალა წაუღიათ. ადგილობრივაც შენახულა თითო-ოროლა სახლი. კედლები ნაგებია უკიროდ, გადახურულია ფიქალებით. აქვე არის დაყუდებული ფიქალებიც და მრგვალი ქვებიც.

„სირონი“ — საზღვარი (იოსებ ზახაშვილი); საბურთავი. ყარაფილა (შავფოთელა) კარგი წვრილი ბალახია.

ზაზალოს ციხე დგას სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 2 ვერსზე, ცალკე აწვდილ კლდოვან გორაკზე. იგი ნანგრევად არის. შენახულია მარტო აღმოსავლეთი და დასავლეთი კოშკები, კედლები კი ნაშთად არის. ნაგებია ქვითკირისაგან; ჩრდილოეთით მას კლდე აქვს, კარი

აქვს ჩრდილოეთით; შიგნით შენახულია რაღაც შენობის ნანგრევი; აღმოსავლეთ კოშკს ჩრდილო მხარე მონგრეული აქვს, დასავლეთ კოშკსაც ჩრდილო მხარეს შუა ნაწილში ერთი ადგილი გამონგრეული აქვს. დახგრეულია სამხრეთ კედელი, ჩრდილო კედლად კი დღესაც კლდე აქვს აღმართული მთელ სიმაღლეზე. კარებს (ჩრდ.) ორი ქვის სვეტი აქვს ჩაყუდებული; სამხრეთ მხარესაც ძირს კლდე აქვს, მაღლა კი კედელი ექნებოდა, რომელიც ახლა მონგრეულია. კედლები აქა-იქ ნაშთად არის შენახული. ზომით არის 45×15 მ. დაახლოებით.

სოფ. ზაზალოს მცხოვრები ალიხან ბიბოღლის სახლს ბანის გვერდზე ჩრდილოეთ მხარეს დასავლეთის კუთხესთან უდევს ქვა, 31×40×15 სმ. წარწერის ნაშთით: ⵜⵗⴰ ქეო.

აქვე მცხოვრები საფარ მამად ოღლის სახლის კარის მარცხნივ (აღმ.) უდევს ქვა 31×67×21 სმ წარწერით:

(ⵖ)ⵛⴰⵍⴰⵗⵏⵗⵙⴰⵠⵢⵛ ⵢⴰⵚ(ⵖ)

ე. ი. „განუსვენე სულსა შოში“...

წარწერა მეორე ქვაზე იქნებოდა გადასული, იგი დასრულებული არ არის.

ადგილობრივი მისგითი აშენებულია ძველი ეკლესიის საძირკველზე. ძველი საძირკველი უძრავად შენახულია მისგითის ჩრდილოეთ მხარეს აღმოსავლეთ მხარისაკენ ქვედა ნაწილში; მისგითის სხვა ნაწილი ახლად არის აშენებული. ეკლესია თლილი ქვისაგან ყოფილა ნაშენი, სუფთად თლილი ქვაა. ზომით არის 11,5×11,5 მ.

მისგითის აღმოსავლეთ კედელს დატანებული აქვს წარწერიანი ქვის ნატეხი 57×36 სმ. ასომთავრული მრგვალოვანი წარწერით:

1. ⴼⵣ ⵗⵃ ქვას ეს მხარე „წმიდაო ეკ(ლესიაო)
2. ⵙⵠ(ⵣ) მოტეხილი აქვს სლ(ვ)...“

ზახალოშივე მცხოვრები მალუდ რაჯაბ ოღლის სახლის აღმოსავლეთ მხარეს ჩრდილო კუთხეში უდევს ქვა წარწერით, 31×63×20 სმ.

1. ⵗⵢⵗⵛⵔⵣ(ⵃ)ⵛⵊⵗ ე. ი. „ქრისტე, შეიწყალე ბარაბაზ“ (?)

წარწერა კედელზე ყოფილა ამოჭრილი, იმიტომ, რომ თვით ქვის მარჯვენა ნაპირი სწორია, ე. ი. ქვას არაფერი აკლია, მაგრამ წარწერას

კი თავში აკლია. ცხადია, რომ მისი დასაწყისი ამ ქვის მარჯვნივ მდებარე ქვაზე იქნებოდა დაწერილი, სახელდობრ ასო †

წარწერის ასოები ოდნავ ჩაღრმავებით არის დაწერილი. ასოები შეღებილი ყოფილა წითელ ფერად, რომელიც დღესაც ემჩნევა.

ქვა სახლის პატრონმა ახალი სახლის აშენების შემდეგ მისგითში უნდა გადაიტანოს და იქ შეანახვინოს.

ზაზალოს საძხრეთით არის ფეგლარი ბათუმლარ ყოჯიოღლის ფეგი. აქ არის ერთი მოწითალო ფერის დიდი ქვა, რომელსაც აღმოსავლეთ მხარეს აქვს ხუთმეტამდე ჩაჭდეული ჯვარი. მას ზევიდანაც აქვს ჯვრები. ეტყობა სალოცავი ადგილი იყო. ქვა ზომით არის 0,65×1,1×1,3 მ. აქ შენახულია რამდენიმე ფიქალგადახურული შენობა, ამბობენ ბეღელია თუ წისქვილიო; მას ჩრდილოეთ მხარეს დიდი ქვა უდევს, რომელსაც აქვს ღრუ; ქვის დასავლეთი მხარე უსწორმასწოროა.

მღვრუშალი შერიფოღლი: ზინდა — ძველებური ციხე, სადაც ჩააგდებენ ხოლმე დამნაშავეს და იქ მოკვდებოდა ხოლმეო.

ზაზალოს მცხოვრები ათამბეგ ამილახვრის ბახჩას აღმოსავლეთ მხარეს სამხრეთი კუთხის ახლოს უდევს ადგილობრივი ყოთიური ეკლესიიდან ჩამოტანილი ჩუქურთმიანი ქვა კარნიზისა, 45×80×32 სმ.

ზაზალოში არიან; ბოშორიძეები 15 კომლი, ამილახვარი და სხვ.

ზაზალის მთაზე, სოლიფერდზე ჯორების ხალხამზე (ბაკი) არის ღეგები.

ირის ჭალის (ზაზალის თავზე, ციხის ზევით რომ ვაკე ადგილია) აღმოსავლეთ ნაწილშიაც არის ფეგები.

კარტიკამი, ხულგუმო, ბავრა და ტურცხი, ესენი არტაანის ოლქის სოფ. ურიდან გადმოსულნი არიან 1828 წელს. ქართველი კათოლიკები, ისინი გამაჰმადიანებული არ არიან.

ხვილიშის ეკლესიასთან 65 წლის წინათ აღმოჩენილა ორი თუნგი ირაკლი მეფის ვერცხლის ფულით. ის იპოვნა ხიზაბავრის მცხოვრებმა ბექოშვილმა (თუ მექოშვილმა); მას მერმე ჭურდებმა მოჰპარეს (კოსტ. შეშაბერიძე).

ზარზმა[44]

ეკლესიის ზომა 18,4×12,2 მ.

კარი აქვს დასავლეთით და სამხრეთით. სარკმელი აღმოსავლეთით —3, დასავლეთით —3, სამხრეთით —1, ჩრდილოეთით —1 და 1 სანათური აღმოსავლეთ ნაწილში. გუმბათს აქვს ი სარკმელი. გუმბათი დაბჯენილია ორ სვეტზე და საკურთხევლის კედლებზე. საკურთხევლის ჩრდილოეთით და სამხრეთით ცალკე ოთახებია გაკეთებული. ჩრდილოთახში კარი შედის საკურთხეველიდან და დასავლეთიდან. სამხრეთ. ოთახში მარტო დასავლეთიდან. ტრაპეზი აღარ არის. დიდებულნი დახატული არიან ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე. კონქში დახატულია ღვთისმშობელი ყრმით კალთაში. პირველ რიგში ზიარება, მეორეში მღვდელ-მოძღვარნი, ძირს სარკმლისა მღვიძარე თვალი მიქელ-გაბრიელის აქეთ-იქით.

გუმბათში დახატულია: ქრისტე, ფაიებზე ღვთისმშობელი და წინასწარმეტყველები; იალქნებში მახარობლები.

სვანთ ერისთავი წარწერით.

დიდებულები ჩრდილოეთ კედელზე გამოსახული არიან აღმოსავლეთ ნაწილში 4 (მე-5 ქრისტე), დასავლეთ კედელზე —4, აღმოსავლეთ ორს წარწერები აღარა აქვს. სამხრეთ კედელზე —4; პირველს წარწერა აღარა აქვს. მხატვრობა ნაწილობრივ განახლებულია. კანკელი ახალია.

1. წარწერა საძრეკლოს ძირა ნაწილზე აღმოსავლეთ კედელზე, ასომთავრული ხვეულად, ჯვრის მარჯვნივ და მარცხნივ.

I ჯვრის მარჯვნივ:

1. ⴔ ⁝ ⴢⴛⴄⴅⴇⴑ ⁝ ⴉⴅ ⁝ ⴄⴅⴄ ⁝ ⴄⴇⴌⴅ ⁝
2. ⴍⴒⴄⴆⴅⴑ ⁝ ⴆⴒ ⁝ ⴉⴇⴒ ⁝ ⴃⴅⴄ ⁝ ⴓ
3. ⴢⴒⴇⴄⴆⴅⴇⴍⴑ ⁝ ⴋⴇⴀⴑ ⁝ ⴀⴒⴇⴍⴑ

„ქ. აღეშენა წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ სახელსა ზედა წმიდისა იოანე მახარებელისასა ნებითა ღმრთისათა და ბრძანებითა ყოველს ქვეყანასა სახელგანთქმულისა, აგარიანთა პირისა დამყოფელისა, ხურ-

II. ჯვრის მარცხნივ:

4. ⴀⴑ ⁝ ⴈⴑ ⁝ ⴊⴇⴓⴓⴑ
5. ⴋⴊⴄⴀⴑ ⁝ ⴊⴅ ⁝ ⴒⴊⴋⴑⴆⴅⴑ ⁝
6. ⴍⴒⴔⴄⴆ ⁝ ⴏⴋⴀⴑⴒⴓⴄⴆⴅⴑ ⁝ ⴑ
7. ⴏⴑⴓⴒⴑⴄⴀⴑ ⁝ ⴍⴄⴓⴒⴍⴑ ⁝ ⴈⴑⴓⴓⴊⴑ
8. ⴖⴆⴄⴍⴑ ⁝ ⴔⴒⴕⴘⴓⴍⴑ ⁝ ⴍⴒⴋⴄⴍⴑ ⁝ ⴖⴒⴍⴋⴄⴍⴄ
9. ⴀⴑ ⁝ ⴍⴒ ⁝ ⴓⴄⴍⴍⴑ ⁝ ⴏⴋⴍⴑⴋⴋ ⁝ ⴈⴑ ⁝ ⴅⴒⴍ ⁝ ⴒⴒⴋ ⁝ ⴓⴒⴖⴀ
10. ⴓⴒⴎⴓⴓⴀⴀ ⁝ ⴓⴒⴎⴏⴅⴍⴑ ⁝ ⴔⴒⴕⴘⴓⴍⴑ ⁝ ⴍⴋⴄⴀ
11. ⴓ(ⴖ) ⴅⴄⴍⴑ ⁝ ⴌⴍⴋⴄⴍⴍⴑ ⁝ ⴒⴊⴍ ⁝ ⴍⴅⴄ ⁝.

ციძისა პატრონისა ფარსმანისითა, სულსა მისსა განუსვენეს და შეუნდვნეს ღმერთმან, მღედელთმთავართ მთავრობასა ხურციძისა პატრონის მაწყვერელისა სერაპიონისასა, ქორონიკონსა სჯე“ — 265.

შუაში ჯვარს აწერია:


ⵅⵏ ⵜⵙⵏ — ჯუარი ქრისტესი

2. სამხრეთ ეგვტერის კარზე, სამრეკლოზე მიდგმულზე, პირით ჩრდილოეთით აწერია:

1. ⵜⵙⴸⵗⵓⵜⴰⵏⵓⵔ ⵖⵜ ⴲⵔⵜⵙⵓⵙⵀ
2. ⵢⵁⵍⵗⵜⵙⵀⴸⵍⵗⵓⵜⵀⵏⵔⵏⵄⵀⵏⵀⵄⵀⵙⵍⵁⵜ
3. ⵙⵗⵀ ⵜⴰⵔⵜⵢⵙⵏ ⴲⵔ. ⵏⵔⴸⵔⵏ ⵀⵜ ⵄⵀ
4. ⵙⵜ ⵁⵗⵙ ⵙⵜⵍⵢⵄⵀⵙⵓⵙ ⵔⵜⵖⵔⵜ ⵙⵍ
5. ⵜⵏⵜⵄⵁⵙⵏ ⵖⵜⵗⵓ ⵍⵄⵄⵙⵗⴸ ⵜⵖⵖⵀ
6. ⵓⵀ ⵁⵢⵍⵗⵜ ⴲⵓⵜ ⵀⵔⵓⵜ ⵖⵜ ⵄⵀ
7. ⵍⵀⵏ ⵜⵜⵢⵜⵜⵄⵀⵙ ⴲⵜⵔⵜⵀⵀⵗⵜ ⵙⵍⵜⵏⵜ
8. ⵄⵁⵙⵏ ⵔⵜⵗⵜⵍⵏⵏⵓ ⵀⵏ ⵀⵙ ⵜⵍⵀⵙⵜⵄ
9. ⵜⵙⵜ ⵛⵜⵀ ⵅⵜⵄⵀⵙⵜⵀⵜⵀⵏⵜⵖⵔⵛⵜⵙⵜⵄⵜ
10. ⵙⵜ ⵛⵜⵀⵙⵜⵄⵗⵏⵀⵍⵗⵏⵀⵁⵀⵙⵁⵍⵍⵍ

ე. ი. „სარგიზ მანდატურთუხუცესსა და სამცხისა სპასალარ... .. დ ...“

5. ეკლესიაზე სამხრეთ მიშენებულ სამწირველოს კარის და კედლის მაღლა, დასავლეთ მხარეს, წარწერა:



ე. ი. „ქ. ამისა აღმაშენებელსა წინამძღვარსა ხურციძესა გაბრიელს შეუნდვნეს ღმერთმან. მისსა დედასა, პატრონისა ივანეს ასულსა, გულდამ ყოფილსა გაიანეს, შეუნდვნეს ღმერთმან. მისსა მამასა, შოთა ყოფილსა შიოს შეუნდვნეს ღმერთმან“.

ფრესკები

გუშბათის ცაზე გამოსახულია ქრისტე წიგნით, დაზიანებული წელს ზევით. იგი ზის ფეხმორთხმით. მარცხენა ხელში წიგნი უჭირავს კალთაზე, მარჯვენათი ალბათ აკურთხებდა.

ფაიებზე: გამოსახულია ღვთისმშობელი და 5 წინასწარმეტყველი: დავით, სოლომონ, ესაია და სხვ.

მათ ქვეშ მთელ რკალად არის დიდი ასომთავრული წარწერა საღვთო წერილიდან.

იალქნებზე გამოსახულია მახარობელნი — 4.

საკურთხევლის კონქშია გამოსახული ღვთისმშობელი ყრმით კალთაში, ტახტზე მჯდომარე, აქეთ-იქით ანგელოზებით.

ბემაში: თაღზე — სამხრეთით რაღაც სიუჟეტი, წარწერა დაზიანებულია, მის ქვევით „კარავი“, ჩრდილოეთ ბჰარეს — „მაყვლიანი“, მის ქვევით — „კიბე“...

ამის ქვევით დიდი ასოებით წარწერაა ნახევარწრედ მთელი საკურთხევლის ხაზზე.

პირველ რიგში — ზიარება: მარჯვნივ პურით, მარცხნივ ღვინით. მარჯვნივ 6 მოციქული, მარცხნივ 5; მოციქულების უკან ორივე მხარეს ორ-ორი წინასწარმეტყველი.

მეორე რიგში მღვდელმოძღვარნი ხუთ-ხუთი თითო მხარეს. ზოგი წიგნებით, ზოგი გრაგნილებით. სარკმელში მიქელ და გაბრიელ.

სარკმლის ძირს მღვიძარე თვალი წარწერით I C X C აქეთ-იქით მიქელ და გაბრიელ.

ტრიუმფალური კამარის ქვეშ ოთხ-ოთხი წმიდანი მდგომარე.


კამარების თავზე, მახარებლების ქვევით ოთხივე მხარეს არის დიდი ასომთავრული წარწერა საღვთო წერილიდან.

კათოლიკონი, ჩრდილოეთ ნავში: თაღზე აღმოსავლეთ მხარეს გამოსახულია ხარება, მის ქვეშ რაღაც სიუჟეტი დაზიანებული; დასავლეთ მხარეს მირქმა და მის ძირსაც რაღაც სიუჟეტი დაზიანებული. აღმოსავლეთ კედელზე (აქვე) ჯვარცმა, ქვევით ჯვრიდან გარდამოხსნა, სულ ქვევით ანგელოზი და ისუ ნავე (უკანასკნელნი ჩრდილოეთ ნაწილში შემავალ კარის ზევით); დასავლეთ კედელზე — რაღაც სიუჟეტები. ჩრდილო კედელზე (აქვე): 1. რიგი შობა ქრისტესი; მე-2 რიგი სარკმლის დასავლეთით (მარჯვნივ) ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა, სარკმლის აღმოსავლეთით (მარცხნივ) ფერისცვალება. მე-3 რიგი: სარკმლის დასავლეთით — ურწმუნო თომა(?); სარკმლის აღმოსავლეთით რაღაც სიუჟეტი უფლის გვამის გამოთხოვა(?) (ესე წერია ბოლოში: გუამი უფლისა) ეს აღმოსავლეთ ნაწილში ჩრდილოეთი ნავისა.

დასავლეთ ნაწილი ჩრდილო ნავისა. სიბნელეა და ძალიან დიდი დრო უნდა აღწერას. ვწერ მარტო ისტორიულ ნაწილს.


ჩრდილოეთ კედელზე ძირს აღმოსავლეთით დახატულია ქრისტე, რომელიც აკურთხებს კათალიკოზს; ქრისტეს აწერია I C X C.

კათალიკოზს:



ქარ ლისა კლ ა ეფთ იმიოს

მათ შემდეგ, დასავლეთით დახატული არიან ბაგრატ მეფე, გიორგი ჩორჩანელი და სერაპიონი. აწერიათ: (ვწერ ალმ-დას.)




ე. ი. „მამა სერაპიონ“
„მეფეთა მეფე ბაგრატ“
„ერისთავთ-ერისთავი გიორგი ჩორჩანელი“


ბაგრატსა და სერაპიონს შუა წერია:



ე. ი. „სიგელნი და ენქერი უბოძა მამასა სერაპიონს“



დასავლეთ ნაწილში დახატულია ამავე ჩრდილოეთ ნავში 4 პირი; პირველ ორს (ალმ.) წარწერები აღარა აქვს, მესამეს აწერია:




„არაბაძი“, მეოთხეს:




„ქურციკი“

ჩრდილოეთ სვეტზე პირით სამხრეთით აწერია:




ე. ი. „ერისთავთ-ერისთავი, მსახურთ უხუცესი, სუანთ ერისთავი, სუიმეონ გურიელი“.

სამხრეთ კედელზე აღმოსავლეთ ნაწილში დახატულია 4 პირი, პირველს წარწერა აღარა აქვს. მეორეს აწერია:



ე. ი. „მანდატურთუხუცესი ბექაი“

მეორეს:




ე. ი. „სამცხის სპასალარი სარგიზ და მხატვართუხუცესი“


მესამეს:

„ამირსპასალარი ყუარყურა“





6. (წარწერების ნუმერაციაა) კარიბჭის ღია კამარაზე სამხრეთ მხარეს:



ე. ი. „ქ. გთავდა საყდარი ესე ძალითა ღმრთისაითა და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა“...

I. ეკლესია თლილი ქვისაგან არის ნაგები, შემკული ჩუქურთმებით.

II. ჩრდილოეთით (დასავლეთ ნაწილში) არის სამწირველო თლილი ქვისაგან, განახლებული 6.05×2,43 მ.

III. სამხრეთით არის დანგრეული ეგვტერი, დგას მარტო კედლები, ისიც ნახევრად დანგრეულია.

IV. სამხრეთითვე არის მეორე ეგვტერი. ისიც დანგრეული უფრო მეტად.

V. სამხრეთით დგას სამრეკლო ორსართულიანი, რომლის ძირა ნაწილი სამწირველოდ არის ქცეული.

VI. სამრეკლო ნაწილობრივ დგას (მარცხენა გვერდით ძველ ეგვტერზე, ივანე სულაის ძისა, რომელსაც კარი აქვს ჩრდილოეთით, ზო-

მით არის 4,5×2,5 მ. ზომა გარედან ავიღე ვარაუდით შიგნითისა). სამრეკლო მას მარტო სახურავზე აბჯენია, სხვაფრივ ცალკე, იგი გვერდით არის მიბჯენილი მის კედელზე.

VII. ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე მიბჯენით დგას სხვა სამწირველო თლილი ქვისავე 5×2,7 მ.

ზარზმის წყაროდგას სოფლის აღმოსავლეთით, პირი აქვს ჩრდილოეთით. ნაგებია თლილი ქვითა და კირით. მას დასავლეთ კედლის ჩრდილო ნაწილი გამონგრეული აქვს და სამხრეთი კედლის უმეტესი ნაწილი დაქცეულია. აღმოსავლეთი კედლის შიგნითა მხარეს (პირით დასავლეთისაკენ) უზის ორი გამოსახულებიანი ქვა. პირველი მარჯვენა მხარისა გატეხილია; შენახულია მარჯვენა ნახევარი პატარა ნატეხით, მარცხენა ნახევარი კი დაკარგულია. მისი პირვანდელი ზომა ყოფილა 34×53 სმ. ახლანდელი ზომა კი არის 4×30 სმ. მასზე გამოსახულია ვიღაც მდგომარე წმიდანი, წარწერით

ამოკითხვა სათუოა. (ᲘᲝ) ᲩᲯ (ᲮᲨ) ᲣᲘ წ(იოვე)ლი...

მეორე მარცხენა ქვა ზომით არის 40×53 სმ. მასზე გამოსახულია დანიელი ორმოში მხეცებთან, სახურავიც დაზიანებული აქვს. წყაროშეკეთებას მოითხოვს.

ზარზმის წყაროს ჯვარი ზომით არის 1 მ ×90×26 სმ.

წარწერა ქვევითა ნაწილში:

1. ᲩᲕ
2. ᲡᲔᲤ
3. ᲩᲨ

ე. ი. „წმიდაჲ სტეფანე“

წარწერა ძველია ძლიერ. ზარზმის აგების დროის უნდა იყოს.

მის ზევით და გვერდის მარჯვენა მხარი სულ მოტეხილი აქვს, ხოლო ქვევითისა კი — ქვედა ძირა ნაწილი.

ზარზმის აღმოსავლეთ-სამხრეთით, მთის ფერდობზე, 1 ვერსზე არის დიდრონი ლოდებისაგან კირით ნაგები ციხის ნანგრევი. შენახულია მხოლოდ ჩრდილოეთი კედელი, ბურჯით, სიგრძით 15 მ, სიმაღლით 3,5 მ. ბურჯი ნახევრად მრგვალია. კედელს აქვს პატარა ხვრელები, სათოფურები (?) ციხეს ჰქვიან ყალა-ბოინა. ქვა ხამია კლდისა, მაგრამ დიდრონი. ციხის ზევითა ნაწილი დანგრეულია. კარი აღმოსავლეთ მხარეს უნდა ჰქონებოდა. შენახულია შეჩრილი კედელი აღმოსავლეთით შემობრუნებულ კედელში. შენახულია აღმოსავლეთ კედლის ნაწილიც პირველის ზემოთ. პირველი და მეორე ციხის გალავნის ნაშთები უნდა იყოს. ზევითა ნაწილში შენახულია კიდევ ალბათ თვით კოშკის თუ ციხის ნანგრევი კედლები 1—1,5 მ სიმაღლით.

ციხე აშენებულია მთის პატარა კალთასავით გამოსულ და აწვდილ გორაკზე.

ეკლესიას აღმოსავლეთით აქვს 3 სარკმელი (1 სარკმელი აღმოსავლეთით ეგვტერის მიერ არის დაფარული) და 4 სანათური (1 სანათური ნახევრად დახურულია). სამხრეთით აქვს ღია კარიბჭე, რომლის აღმოსავლეთ ნაწილში არის ეგვტერი გამართული. სარკმელი სამხრეთით აქვს 1, დასავლეთით — 3 და 2 სანათური, ჩრდილოეთით —1 სარკმელი და 2 სანათური. კარ-სარკმელი და გუმბათი შემკულია ჩუქურთმით. დასავლეთის კარის თავზე არის წარწერა:

Ხ(ᲫᲮ)ᲣᲮᲔ ᲧᲨᲒᲢ ე. ი. „ქ. ძლევაჲ ჯვრითა“

აქ არიან 30 კომლი ქართველი მაჰმადიანები. ერთი მოხუცი ლაპარაკობს ქართულად. გვარები: ჩიკვაიძე, თორმანიძე, შაითელიძე. სკოლას აწყობენ თათრულს, ქართული სკოლა გვინდათ.

აბასთუმნის ქვები ზარზმის ეკლესიაში.

1. საფლავის ქვა 114×47×27 სმ წარწერით:

1. ᲮᲨ ᲧᲨ ᲧᲣᲢᲨ (ᲡᲮ)겟 ქე შე ჯევის ო(ს)ფ
2. ᲫᲩᲣᲡ . Ხ ძლ. ა.

ქვის მარჯვენა ნაწილში გამოსახულია სწორხაზოვანი ჯვარი ოთხკუთხედში.

2. ქვა ზომით 99×40×32 სმ. მის მარცხენა ნაწილში გამოსახულია ვიღაც მდგომარე საერო პირი.

პირველი და მეორე ქვა ერთი ძეგლიდან უნდა იყოს მოტანილი.

3. სარკმლის თავი ორი პირის გამოსახულებით 99×50×37 სმ. ქვაზე გამოსახულია ორი პირი, ორივეს ხელში თავის ზევით რაღაცა უჭირავთ, მარჯვნივ გამოსახულს მარცხენით (მარჯვენა მეორესაკენ აქვს გაპყრობილი), მარცხნივ გამოსახულს მარჯვენით (მარცხენა გვერდზე ძირს აქვს გაშვერილი).

4. კარის თავი ქვის ნატეხი ჩუქურთმიანი 40×58×28 სმ.

ამ ქვის დიდი ნატეხი 1924 წელს ჩაუტანებიათ სოც. დაზღვევის სანატორიუმის კედელში.

5. ცხვარი თავმოტეხილი, დიდი ზომისა.

6. სარკმლის თავი შემკული თავში ლომისა (?) და ორი პირის გამოსახულებით მარჯვენა წრეში და ორნამენტით მარცხენა წრეში. ძირს არის კუთხური ასომთავრული წარწერა. ზომით არის 70×111×30 სმ. წარწერა:

1.

2. ⵜⵗ ⵢⵗⵏⵙⵃⵊⵢⵔⵀⵏⵆⵏ
[ⵙⵀⵏ]

ე. ი. „ქრისტე შეიწყალე ისაკ(?), შეილნი მისნი“

7. წარწერიანი ქვის ნატეხი 21×46×26 სმ წარწერით:

1. (ⴰ)ⵏⵃⴰ(ⵒ)

2. (ⴰ)ⵒ

(ო)ეკო(მ)
(ო) ნ

ეს ქვები ყველა იქიდან არის ჩამოტანილი.

ჰ უ ლ ე [45] გუმბათიანი ეკლესიაა. გუმბათი დაბჯენილია ორ სვეტად საკურთხევლიდან გამოწეულ კედელზე. კარი აქვს ჩრდილოეთით და დასავლეთით. სარკმელი გუმბათში 6-ია, ძირს აღმოსავლეთით 3, დასავლეთით 3, სამხრეთით 1, ჩრდილოეთით 1, შიგნით და გარეთ დაზიანებულია. პირის ქვა ბევრ ადგილას მოცლილი აქვს გარედან, განსაკუთრებით ჩრდილოეთ მხარეს, შიგნით. ჩრდილო სვეტი სულ დაქცეულია, მეორე სვეტი, კედლებიც ადგილ-ადგილ, კარები ორივე და სახურავი ძლიერ დაზიანებულია. სამხრეთი კედელი აღმოსავლეთ ნაწილში განგრეულია. საკურთხეველს აქვს ორი ძლიერ მაღალი ვიწრო თახჩა, ერთი ჩრდილოეთ მხარეს, მეორე სამხრეთ მხარეს.

ეკლესიას დასავლეთით აქვს ჩუქურთმიანი ჯვარი, დაზიანებული. აღმოსავლეთის (შუა, დიდი ნავის), სამხრეთის და დასავლეთის სარკმლები შემკულია ჩუქურთმით, აღმოსავლეთით და სამხრეთით სარკმლების ჩუქურთმა მთელია, დასავლეთით კი დაზიანებული, ჩრდილოეთით სარკმელი ძლიერ დაზიანებულია. აღმოსავლეთით პატარა ნავების სარკმლები სადა ყოფილა, ისინი დაზიანებულია. ჩუქურთმითვე არის შემკული აღმოსავლეთ მხარეს შეჭრილი ადგილები და თაღებიც. ზომით ეკლესია არის 13,4×10,1.

ეკლესია მოხატული ყოფილა, გუმბათში მხატვრობა შებოლილია. იალქნებზე მახარობლებიც შებოლილია. სამხრეთ-აღმოსავლეთის იალქანზე შენახულა წარწერა ⵒⵔⵗⵏⵆⵏ ხრებლი. კონჭი დაზიანებულია.

ძირს პირველი რიგიც დაზიანებულია, მოჩანს მხოლოდ ტანისამოსის ნაშთი აქა-იქ. ძირს მეორე რიგში ჩრდილოეთ კედელზე საკურთხევლის მარცხნივ — მღვდელმთავარი დაზიანებულია; მეორე — მის მარცხნივ თახჩაში, აგრეთვე დაზიანებულია, მესამე, მეოთხე და მეხუთეც დაზიანებულია. მათ ბოლოს სვეტად გამოწეულ კედელზე პირით სამხრეთისაკენაც არის წარწერა ⵒⵔⵗⵏⵆⵏ წ[ა] გერმ[ნოზ].

ამავე კედელზე — სვეტზე პირით დასავლეთით გამოსახულია რომელიღაც წმინდანი, მდგომარე. წარწერა დაზიანებულია. ამის ჩრდილოეთით, ცალკე ოთახის ზევით, პირით დასავლეთით — ჯოჯოხეთის წარტყვევნა (გორდეევით) დაზიანებულია. იქვე აღმოსავლეთ ოთახში კარის ზევით დახატულ ქრისტეს დატირებას შერჩენია წარწერის ნაშთი

ⵆⵔⵀⵏ დაფლ.

ჩრდილოეთ კედელზე მაღლა გამოსახულია მენელსაცხებლე დედანი, ნაწილობრივ დაზიანებული. მათ ქვეყით ყალბ კამარაში არის აღმაშენებელნი, იხილე თაყვანიშვილის გადმოღებული გარდა ერთი მათგანისა ⵅⵆⵔⵊⵅⵔⵊⵒ ყუარყარე. სამხრეთ კედელზე დახატულ სიუჟეტს აწერია: ⵙⵆⵖⵗⵙⵔ[ⵒⵓ]ⵗⵆⵗⵙⵔ ⵊⵆ(ⵒ)[ⵏⵀⵔ] სულისა წმიდისა მოფენა.

სამხრეთ სვეტზე პირით სამხრეთით კამარაზე გამოსახულია ორი წმიდანი წელამდე, დაზიანებული; მაღლა წმიდანი მდგომი დაზიანებულია, ძირსაც წმიდანი მდგომი დაზიანებულია. ამავე სვეტის კამარის ქვეშ პირით დასავლეთით რომელიღაც ანგელოზია ბუკით; ამავე სვეტზე აღმოსავლეთ მხარეს აგრეთვე ორი მდგომარე წმიდანი, ზევითა ძლიერ დაზიანებულია. ამავე სვეტზე ჩრდილოეთ მხარეს რომელიღაც წმიდანი მდგომარე, დაზიანებულია მის ქვეყით წარწერა იოსებ თბილელისა. ამ სვეტიდან დასავლეთისაკენ გადაყვანილი კამარის ჩრდილოეთ მხარეს სვეტთან ახლოს რომელიღაც წმიდანები (მეორედ მოსვლის სცენა?) არის გამოსახული.

დასავლეთ კედელზე მეორედ მოსვლა ძლიერ დაზიანებულია. შენახულია მხოლოდ შუა ნავის მარჯვენა, ჩრდილო ნახევარი. აქვე ჩრდილოეთ სვეტისაკენ გადაყვანილ კამარის კედელს, პირით სამხრეთით აქვს მეორედ მოსვლის ერთი სცენა, მამანი წარწერით: ⵟⴰⵅⵓⵏ

გონდი (იხ. აქვე, ქვევით № 4). ამავე კამარის ქვეშ შეხახულა რომელიღაც წმიდანი, მხარეებს ქვევით ჩრდილოეთ ნავი, დასავლეთით კედელზედაც მოჩანს მხატვრობა, ძლიერ დაზიანებული.

მთავარ ნავში დასავლეთ კედლიდან სვეტებისაკენ გადმოყვანილ კამარების რგოლზე პირით ერთმანეთისაკენ არის წარწერა ძლიერ დიდი ასოებით:

ⴰⵔⵀⵒⴰⵙ ⵙⵙⴰⵔⵖⵒⵣ ⵔⵜⵒⵜⴰ ⵛⵜⵙⵜⵟⵜⵃⵒ-
ⵟⵀ ⵙⴰⵒ

...უნდოს სასუფეველი ცათაჲ დასაბამითგან სოფ...

ამას დასაწყისში ნახევარზე მეტი აკლია კამარის მეორე ნახევრისა (სვეტთან ერთად) დაქცევის გამო.

ამავე წარწერის გაგრძელებაა სამხრეთ კამარაზე პირით ჩრდილოეთით, მასაც პირველი ნახევარი დაზიანებული აქვს; მეორე ნახევარი:

ⵙⵜⴰⵖⵖⵀⴰⵙⵜ ⵃⴰⵃⵐⵣ ⵟⵜⵀⵃⵜⵣⵜⵛⵖⵟ,
ⴰⵖⵣ ⵜⵃⵙ ⵖⵖⵃⵜⵋⵖⵙⵜⵔⵙ ⵛⵜ ⵃⵙⵒⴰⵖⵃ
ⵔⵜ ⵃ(ⵙⵔⵜⵔⵙ)...

საუკუნოსა რომელი განზადებულ არს ეშჱკისათს და მსხურთა შ(სთათს)

საკურთხეველში ჩრდილო კედელზე, მეორე რიგში, სარკმლიდან მესამე პირს აწერია:

[ⵒⵗ] ⵜⵔⵜⵀⵙ(ⵖ) ე. ი. „წმიდაი ათანასი“

გორდეევს უკანასკნელი ორი ასოს მაგიერ ორი წერტილი უწერია.

საშინელ განკითხვის სურათის ქვეშ, შუა ნავში, დასავლეთ კედელზე კარის მარჯვნივ დახატულია მიქაელ და გაბრიელ, მდგომარენი. აწერიათ მიქაელ და გაბრიელ.

1. სამხრეთ სვეტზე პირით ჩრდილოეთით წერია:

ⵑ. ⵖⵖⵒⵖ(ⵃⵀⵗ)ⵔⵜ ⵏⵔⵙⵜⵣⵔⵜ ⵛⵜ ⵒⵗⵜ ⵟⵗⵔⵖⵃⵙⵜⵜⵙ
ⵒ. ⵔⵜ ⵙⵒⵗⵃ ⵖⵜⵃⵀⵜ ⵖⵗⵃⵖⵙⵜⵜⵙⵖ ⵖⵙⵖ ⵟⵗⵔⵖⵃⵙⵜⵜ ⵒⵜ
ⵓ. ⵒⵖⵟⵗⵔⵜ ⵟⵖⵃⵖⵙⵔⵜ (ⵀⵒ)ⵒⵑⵒⵗⵙⵜ ⵜⵑⵙⵖⵀⵗ ⵔ
ⵔ. [ⵗⵑⵒⵃ ⵖⵟⵗⵙ ⵟⵗⵗⵛⵗ ⵃⵖⵙⵜ](ⵙⵔⵜ): ⵙⵀⵙ ⵏⵀ
ⵕ.
ⵙⵙⵜ) ⵙⵔⵜ:

5. 23 ასო აკლია დაახლოებით
1. შეწე(ვნი)თა ღთსაჲთა და წ̃სა გ̃ი ჭულისაჲ
2. თა სრულ იქმნა ეკლესიაი ესე ჭულისაი ხა
3. ტებითა ჯელითა (მხ)ტვრისა არსენი თ
4. [ორელ ებისკოპოზისა] (ითა): შ̃ნს ღ̃ნ
(ნ̃ სა)ჲთა:

2. ამის ქვემოთ ფერადიან უჯრედიან ორნამენტზე არის ჩაჭდევით მინაწერი მხედრულად:
1. . . . .. ს . . რ . ლ. მე-18 ს.
2. მეუღლეს რუ . . თ
3. .... ვაილს ნავასმ....
. . . მ . . . ამა

3. ამის ქვეით ყოფილა მინაწერი, შენახულა მარტო ნაშთი.
1. არ ჩანს რამდენი ასო აკლია თავში, ეს მე-18 ს.
2. „ „ „ „ „ „ (შ) ეიყლე

4. ჩრდილოეთ მხარეს დიდასოებიანი წარწერის მაღლა დასავლეთ კუნჭულთან დახატული წმინდანების მარჯვნივ, პირით არის წარწერა დაზიანებული

ⵑ. ⵟⴰⵅⵓⵏ ⵀⵏⵛⵖⵟⵣⵛ ⵀⴰⵘⵍⵏ
ⵒ. ⵣⵛⵔⵔⵛ ⵀⵀ

— გონდი მღდელთ მოძღ
ვართა მმ

ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით არის დანგრეული სამრეკლო.

ეკლესიის დასავლეთით არის რაღაც შენობების ნანგრევები.

ეკლესიის ჩრდილოეთით დგას პატარა ეკლესია ჩრდილოეთ კედელმონგრეული და გარეთა პირი შემოცლილი. მას კარი დასავლეთით ჰქონია; სარკმელი აქვს აღმოსავლეთით —1. სამხრეთს არ შერჩენია, დასავლეთით — 1, სამხრეთ გვერდს შიგნიდან დატანებული აქვს 2 თუ 3 ჩუქურთმიანი ქვა.

ჰულეში მცველს მაკარიძეს უპოვნია ქვის ნატეხი, ერთი ასოთი — ო. ზომით არის 36×19×9 სმ.

ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის დიდი ლოდებისაგან გაკეთებული ჭოხი, გადახურული ფიქალებით. იგი მომრგვალო ფორმისაა, დაბალი; კარი აქვს სამხრეთით.

ვალე[46] ეკლესია (იხ. ნახ. 74).

1. წარწერა. სამხრეთ-დასავლეთ სვეტს სამხრეთის მხრიდან აქვს წარწერა ორ სვეტად. მესამე სვეტი წარწერისა ამავე სვეტზე არის აღმოსავლეთის მხრიდან.

პირველი სვეტი:

1. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
2. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
3. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
4. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
5. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
6. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
7. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
8. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
9. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
10. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
11. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
12. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝

ე. ი. „ქრისტე, ნებითა ღმრთისაჲთა, მე ღმრთივ გვირგვინოსნის იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატონიანისაჲ ქართველთ მეფეთ
მეფის კონსტანტინეს შვილის შვილმან, მეფის ბაგრატის ასულმან, ათაბაგ ამირსპასალარის სახლის რძალმან

მეორე სვეტი:

1. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
2. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
3. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
4. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
5. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
6. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
7. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
8. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
9. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
10. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
11. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
12. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
13. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
14. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
15. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝
16. ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝ ⁝

დედისიმედმან მეორედ აღვაშენე წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ შენ ცათა მობაძავისა ვალისა ღმრთისმშობელისა რათა მცველ მფარველ გუემნა აქა და მერმესა მას საუკუნ[ო]ა მე და თანა მეცხედრესა
ჩემსა ათაბაგსა ქაიხოსროს და ძენი ჩუენნი ყუარყუარე მზეჭაბუკ, მანუჩარ, თუალ შუენიერი, ივანე და თამარ დღეგრძელობით დაიცვენ ამენ, დასა მათსა ელენეს სასუფეველი დაუმკვიდრე.

მესამე სვეტი:

1. ᲐᲐᲐᲡᲔ : ᲙᲐᲡᲔ : ᲐᲧᲑ :
2. ᲥᲥᲯᲔᲡ : ᲝᲠᲔ : ᲐᲜᲫ
3. ᲯᲜᲡᲔ : ᲐᲘᲡᲔ : ᲒᲧᲖᲡ :
4. ᲜᲖᲜᲠᲜᲡ : ᲧᲠᲡ : ᲘᲠ :
5. ᲯᲐᲡᲡᲔ : ᲙᲐᲡᲔ : ᲨᲯᲓᲖ :
6. ᲜᲡ : ᲒᲔ : ᲕᲧᲐᲝᲡ :
7. ᲧᲠᲡ : ᲘᲠ : ᲒᲔᲡᲔ : ᲙᲐᲡᲔ
8. ᲝᲒᲯᲡ : ᲧᲠ : : ᲘᲠ : ᲔᲠ
9. ᲣᲔ ᲔᲠᲨ : ᲒᲔ : ᲩᲯ
10. ᲔᲓᲖᲜ : ᲒᲘᲜᲥᲯᲐᲐᲩᲖᲥᲘᲝ :
11. ᲯᲔᲘᲧᲣᲜᲓ : ᲕᲠ : ᲒᲔ
12. ᲐᲐᲔ : ᲙᲐᲘ : ᲕᲯ ᲙᲘᲖ :
13. ᲔᲝᲘᲠᲝᲔ : ᲐᲯ : ᲑᲯᲔᲧ
14. ᲣᲠᲖᲘ : ᲒᲔ : ᲩᲝᲠᲜᲓᲛᲖᲘ :
15. ᲥᲐᲘᲩᲘᲧᲑᲜᲠ? : ᲒᲔ : ᲓᲒ :
16. ᲔᲥᲓ : ᲫᲘᲯᲣᲣᲖᲑᲔᲔᲣ ᲣᲜ :
17. Ძ(Ე)ᲔᲠᲣᲔᲘᲕᲔᲠ ᲔᲠ ..

მამასა ჩემსა მეფესა ბაგრატს, თანა მეცხედრესა მისსა დედოფალს ელენეს შეუნდოს ღმერთმან, ძმასა ჩემსა ჰერაკლეს და აშოთანს შეუნდოს ღმერთმან, დასა ჩემსა თეოდორას შეუნდოს ღმერთმან ამენ, ვახტანგ და ჰერაკლე დღევრძელობით დაიცვენ ამენ და ძმა ჩემი არჩილ ათინთა მიერა წარტყვენილი და ცთუნებული გამოიხსენ და კეთილად აგე პირველსავე პატივსა ამენ.

2. სალაროში შესასვლელი კარის თავზე გამოსახული ჯვრის ქვეშ არის ასომთავრული წარწერა, შებოლილი სანთლებისაგან და დაზიანებული (ქვედა ქიმები ატეხილია ზოგან): წარწერა არის პირით დასავლეთისაკენ, სულ ერთი სტრიქონი:

ᲐᲜᲒᲓ ᲠᲔᲘᲒᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲥᲡᲔᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲫᲐᲡᲔᲡᲡᲐᲐᲓᲔᲓᲠᲔ

ე. ი. „მე ცოდვილი დანგა ღირს ვიქმენ ამა პატიოსნისა ჯვრისა გამოხატვად“.

3. ჩრდილო-დასავლეთ სვეტზე პირით დასავლეთისკენ წარწერაა სამ სვეტად ასომთავრულად.

პირველი სვეტი:

1. ᲩᲘᲝᲔ : ᲘᲝᲔ : ᲒᲔ : ᲧᲜ
2. Ნ : ᲡᲔᲧᲘᲜᲜ
3. ᲬᲔ : ᲨᲔᲬ
4. ᲘᲡᲔ : ᲘᲘᲡ :
5. ᲐᲧᲔ ᲥᲘᲬᲔ :

ე. ი. „წმიდაო ღმერთო და შენ საშინელო ცოცხალო ძისა ღმრთისა მშობელო

მეორე სვეტი:

1. ᲧᲘᲐᲩᲘᲑ
2. ᲘᲘ : ᲐᲘ :
3. ᲔᲘᲘᲐ
4. ᲡᲔ : Ა
5. ᲔᲜᲔ Ს :
6. ᲧᲘᲜᲡ :

შემწე იე მე ულირ სსა მ ონას შენს(ა)

მესამე სვეტი:

1. ᲐᲮᲘᲜᲢᲥ
2. ᲔᲧᲡ : ᲥᲧᲔ =
3. ᲨᲜᲘᲥᲭ
4. ᲝᲔ : ᲒᲔ :
5. ᲯᲘᲘᲘᲡ
6. ᲐᲘᲨᲔᲔᲘᲘᲝ :
7. ᲔᲜ : ...

მზეჭაბ უკს ცხო ვნები თა და დღეგრ ძელობით ამენ


4. იმავე სვეტზე პირით სამხრეთის მხარეს არის მხედრული წარწერა, რომელსაც დასაწყისი ასო (ჩ) ასომთავრული აქვს:

1. (:.) მ (ი:.) ყო
2. ვლად(:.) საგ

3. ალობელო (:.)
4. დედაო (:.) მ
5. ცხნელი
6. საო:. მე (:.) უ
7. ღირსი (:.) მო
8. ნა (:.) ესე (:.) შე
9. ნი (:.) ყვარყ
10. ვარე:. ცოდვ
11. ათა:. მიერ:. შე
12. ბღალი (sic):. გე
13. ვედრები (sic):. რათ
14. ა (:.) მერ(მე)სა(:.) მას:.
15. (შ)ობასა (:.) რათა (:.) მეოხ (:.)
16. მეყო:. ძისა (:.) შენისა თა
17. ნა:. ვალია (sic):. ღ˘თის: მშო
18. ბელო:. მე(ოხ):. (მეყავ:.) და
19. (მავალ :. მეყავ:. მო)
20 (ნასა):.

მე-5 სტრიქონის პირველი ასო (ც) „ხ“-ს უნდა აღნიშნავდეს

მე-4 წარწერის მარცხნივ, იქვე, იმავე სვეტზე, პირით სამხრეთისაკენვე, არის მ ე-5 წ ა რ წ ე რ ა ასომთავრულად:



„წმიდაო ღმერთო და“


მარტო ესა-ა წერია.

ვ ა ლ ე შ ი სულ 400 კომლი ცხოვრობს. ამათში ქართველი კათოლიკეები — 250 კომლი, ქართველი მართლმადიდებლები — 60, ქართველი მაჰმადიანები —90 კომლი. ქართველ მაჰმადიანთა გვარები: ჭავჭავაძე —2 კომლი, ამილახვარი —3 კომლი, ბოჭოშვილი —5 კომლი, ჩიტაძე —2 კომლი, ბერიძე — 7 კომლი, ნადირაძე (— ტირალათები) — 6 კომლი კაპანაძე.

გადმოცემა ვ ა ლ ე ს ეკლესიის შესახებ: ძველად აქ გაუვალი ტყე ყოფილა. დასავლეთიდან წამოსულა მონადირე. აქ შეფეთებია ამ ეკლესიას. ეზოში დაუთესია ფეტვი და უთქვამს: ეს ფეტვი შენთვის მომი„ვ ა ლ ე“ბია. დაბრუნებულს ფეტვი ძლიერ მოსწონებია, მიხვდა რომ პოხიერი მიწა ყოფილა. იქიდან რამდენიმე კომლი წამოუყვანია და აქ სოფელი გაუშენებია. თვითონ მპოვნელი დასაფლავებულია ეკ-

ლესიის აღლანდელი ეზოს აღმოსავლეთით 12—13 მ-ზე დაშორებით ილარიონიძეების ბაღში. მისი ჩამომავალნი იწოდებიან ტირალათებად — ისინი იყვნენ ნადირაძეები. მათი ჩამომავალნი ქართველი მაჰმადიანებიც არიან და ქართველი მართლმადიდებელნიც.


კანკელის წინ, სამხრეთ ნაწილში მარცხნივ არის მთავარანგელოზის ქანდაკება ქვაზე 91×70×27 სმ. ძირა ნაწილში არის წარწერა ასომთავრული ძლიერ დაზიანებული. იგი საკურთხეველის კედელზეა აყუდებული. წარწერა:




კანკელის მარჯვნივ კედელზე აყუდებულია იმგვარადვე, როგორც მთავარანგელოზი, სვეტი 110×55×39 სმ. წინ ძველი ფორმის ჯვრის გამოსახულებით (ტარიანია) და მაღლა ცოტათი ამოღრმავებული. ერთხანს ეკლესია ჯამედ ყოფილა. კარი ჩრდილოეთით ჰქონია, ახლა ამოგებულია. შიგნით კირით არის გალესილი და კონქში მოხატული. ეკლესიას სახურავიდან წყალი ჩასდის და თაღი სულ დასველებულია, საჭიროა შეკეთება. იატაკი აგია. ერთი ჩუქურთმიანი ქვა საწიგნეს ახლოს, მეორე სამხრეთ ნაწილში სვეტის აღმოსავლეთით.

6. წ ა რ წ ე რ ა

სამხრეთი კარის თავზე გამოქანდაკებულია სამი პირი, ძლიერ დაზიანებულია (მარცხნივ), მარჯვნივაც ყოფილა რაღაც ქანდაკება, იგი სულ ძოცარიელებულია. ამათ გარშემო ყოფილა წარწერა, რომლის 12 სტრიქონიდან ნაშთიღა არის:




აქვე ამ კარის მარცხნივ (აღმ.) კოლონის (სვეტის) თავზე არის წარწერის ნაშთი:



ნმ(ე)..(ნ)ე
(თ)აისძის წუ
ლი


ვ ა ლ ე ს ეკლესიის აღმოსავლეთ სარკმლის თავზე აღმოჩნდა კრავაის ქანდაკება. ეკლესია აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს, მაგრამ აღნიშნული პირის ქანდაკება ვერ შეუნიშნავს. იგი წერს, რომ (ამონაწერი მომყავს თარგმანით) ეკლესიის „აღმოსავლეთ სარკმლის თავზე არის ღვთისმშობლის გამოსახულება, ხოლო მის ქვემოთ მის აქეთ-იქით მთავარანგელოზების ორი ფიგურა, გაბრიელის და მიხეილის“ — (Изв. Кав. отд... И. М. Арх. общ. вып. II. Тиф. 1907 г. გვ. 70); ნამდვილად კი ღვთისმშობლის ქვემოთ მოთავსებული ორი გამოსახულება არაა მთავარანგელოზებისა, როგორც ეს აღნიშნულ მკვლევარს აქვს მოყვანილი, არამედ ერთი, მარცხენა, გაბრიელ მთავარანგელოზისა, ხოლო მეორე, მარჯვენა კი IX ს. ცნობილი მოღვაწის კრავაისა, რომელზედაც ცნობები ამოკრებილი აქვს ხსენებულსავე პირს (71—72). გამოსახულება შესანიშნავია. მიუხედავად მრავალი საუკუნისა, მისი პირისახე ისევ ცოცხლად არის შენახული. მას შესანიშნავი ნაკვთები აქვს, რომელიც ყალიბში ჩამოსხმულ-ჩამოყალიბებულს მოგაგონებს.

მას აქვს წარწერა (იქვე, 71)



ე. ი. „წმიდაო ღმრთი
ს მშობელო
კრავაი (თუ კრავი)
შეიწყალე“

მთავარანგელოზს (უკანასკნელის წარწერა თაყაიშვილს არა აქვს მოყვანილი (იქვე) აწერია:



ე. ი. „გაბრიელ
მახარებე
ლი“

გამოსახულება ეკუთვნის VIII—IX სს.

აღმოსავლეთ მხარეს, პატარა (გვერდის) ფანჯრების თავი შემკულია ჩუქურთმით და ჯვრით.

დასავლეთ კარის თავზე ქანდაკებაა — ორი ცხენოსანი ერთმანეთისაკენ მობრუნებულნი.

ჩრდილოეთ მხარეს, ყოფილი კარის თავზე, დევს ქვა ორი ლომის გამოსახულებით, შუაში ირმით და ვიღაც პირით (წმიდანი?).


ეკლესიის კარნიზები შემკულია ჩუქურთმებით. ეკლესია ნაშენია სულ თლილი ქვისაგან და კირით. შიგნითაც გალესილია კირით. იგი სამნავიანი შენობაა. ახურავს ლორფინი. კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით (უკანასკნელი ამოგებულია). ფანჯარა აღმოსავლეთით და დასავლეთით —1, ჩრდილოეთით —1, სამხრეთით —1. ზომით ეკლესია არის 13,5×10,2 მ. სამკვეთლოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დგას წახნაგოვანი ქვა. სამხრეთი ფანჯრის მარჯვენივ და მარცხნივ გამოსახულია მხედარი — ცხენოსანი. ჩრდილოეთ და დასავლეთის სარკმელს აქვს ჩუქურთმა. ეკლესიის სამხრეთით მოჩანს რაღაც შენობის ნაშთი — საძირკველი.

„საქიზდა გაილმაზ დოხუზუნ და ყალმაზ“. თარგმანი „რვაში არ მოვა, ცხრაში არ დარჩებაო“. ამას იტყვიან ფრინველზე, რომელსაც ლაგლაგი ჰქვიან. მან 9 მარტის ღამეს, ე. ი. 8 მარტის შემდეგ ღამეს, თუ მოიტანა თავთავი პურისა, კაი მოსავალი იქნება, და თუ ცარიელა მოვიდა ან ხე მოიტანა, იქნება ხმელიო. იხ ბუზიყლაპიას ჰგავს, მასზე ცოტა მომცროა, ტანად იმოდენაა, მხოლოდ ფეხები და ფრთები მომცრო აქვს. ლაგლაგი თათრული სიტყვაა; მან ცალ ფეხზე იცის დგომა.

ვალეს აღმოსავლეთით ჯვარი არისო მღვდელ პაველ დარბაზოვისა. ჯვარი სხვა ძეგლის არისო და ქვედა ნაწილი სხვააო.

ვალეს ეკლესიის აღმოსავლეთით მდგომი ჯვარი — 65×77×15 სმ. მისი ქვედა სვეტი სიმაღლით 94, გარშემო 2 მ. მის აღმოსავლეთით მდებარე ლოდი თავში ჯვრის გამოსახულებით 1,46×0,48 მ.

წარწერა:



ე. ი. „ქრისტე ად(ადე?) სული
პატრი... შვილნი
ე...თ
წმ(იდა გიორგი)“.

ვალეს გალმა ეკლესიაა ზომით 7×4 მ. ძირს გდია 7 ჩუქურთმიანი ქვის ნატეხი. ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან არის ქვა მიწაში ჩარჭობილი, გულში ამოღრმავებული.

ვალეს ზემოთ, ფოცხოვის წყალზე, წისქვილთან, ახლანდელი ხიდის ზემოთ, წყლის მარცხენა მხარეს შენახულია ხიდის ბურჯი. იგი ნანგრევად არის ქცეული. პირის ქვა შერჩენილი აქვს ჩრდილო მხარეს და ნაწილობრივ აღმოსავლეთით (ძირა სამი წყება). წყობა სწორხაზოვანია ჩაკირვით; აღმოსავლეთ მხარეს პირის ქვათა შორის მეორე შწკრივზე სამხრეთ ნაწილში უდევს ჩუქურთმიანი (ხვეული) ქვა, მოტანილი ალბათ ეკლესიის ნანგრევიდან. ზომით კედელი არის 2,7×3,2×2,5 მ. იგი დგას კლდეზე.

დარბაზიშვილები არიან ფოცხოვის ვარხანას და ხურგაშენს, ისინი იქ იწერებიან დარბაზოლდად.

ვალეში არის გვარი ლაცაბიძე 4 კომლი (ილარიონ ლაცაბიძე).

ვალეს ბინების სამხრეთით, მთის მეორე მხარეს არის ფეგები, რომელსაც ჰქვიან ბიჩანაგი. ის არის მთის ბოლოს, ოდნავ გამოწეულ კალთაზე.

სატყეპელა, ანუ ქიალა — ტაბა არის საზღვარზე; მასზე დგას სირონის სვეტი № 210. იგი ქვების მცირე გორაკს წარმოადგენს. დასავლეთ-ჩრდილოეთ მხარეს ჩაქცეულია შიგნით. აქ უნდა იყოს სასაფლაო და მასზე დაყრილი ქვები. გორაკის სიმაღლე 4 მ-მდეა. გორაკიდან აღმოსავლეთ ჩრდილოეთ დალმართზე 150 მ (დაახლოებით) სიგრძეზე მისდევს ხრამი 2 მ სიღრმისა. ის გადმოცემით მტრის ჯარისათვის ყოფილა გამართული. აქ მომხდარა დიდი ბრძოლა თამარის (?) დროს და თამარს მტრები დაუმარცხებიათ.

ხვანას ეკლესია დგას პოსტის სამხრეთ-აღმოსავლეთით 40 მ-ზე. იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა. შენახულია მარტო საძირკველი. ზომით არის 13,5×4,1 მ, ნაგები ყოფილა ქვითკირით. სოფელში არის 40 კომლი ქართველი მაჰმადიანი.

ხვანას დასავლეთით, 1 ვერსზე, ოსმალეთის საზღვარზე არის დიდი ციხე. იგი ეკუთვნის სოფ. ერემ-ს. იქ არის 20—25 კომლი.

ხვანაშივე სოფლის აღმოსავლეთ-სამხრეთით არის ნაჭალაჭარი სამ ადგილას. შუაში მდებარე ადგილას არის ნაეკლესიარი, ზომით 7,5×3,5 მ. შენახულია მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე 1,5×1,5 მ. სიგრძე-სიმაღლის ქვითკირი, რომელსაც გარეთა პირი შემოცლილი აქვს, შიგნით კი უბრალოდ თლილი აქვს სწორ წყობად. კედელი ჩაკირვით არის ნაგები.

ყულალისში სოფელში დგას ქვითკირის კოშკი. ხაში, აბ-ში არაფერი ძეგლი არ არისო.

არჯანას ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთით 1/2 კილომეტრზე ფეგებში. იგი თლილი ქვისაგან ყოფილა ნაგები. შენახულია მარტო ჩრდილო და აღმოსავლეთ კედლები და სამხრეთ კედლის აღმოსავლეთი ნაწილი, იმათაც გარეთა პირი სულ მოცილებული აქვს, ხოლო შიგნით შერჩენია შიგნითა ნაწილში, განსაკუთრებით საკურთხეველს, დანარჩენი კედლებისა საძირკველიღა ჩანს; საკურთხევლის სამხრეთ კედელს აქვს თახჩა; კარი შერჩენია მარტო ჩრდილოეთით; სარკმელი აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით (უკანასკნელი ნაშთადაა) ნაგები ყოფილა ჩაკირვით. საკურთხეველს ჩრდილო კედელში ჰქონია ღრმა თახჩა, რომელიც ახლა გამონგრეულია, დგას მარტო დუღაბი, რომელსაც პირი მხოლოდ შიგნით შერჩენია, ისიც ნაწილობრივ ზევითა ნაწილში.

ახალციხის უბნები:

I რაბათი:

1. ჯვარის ეკლესია ისტორიული ძეგლი.
2. საყარდის ეკლესია ისტორიული ძეგლი.
3. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. აღმოსავლეთ კედელში ჩატანებულია ძველი ეკლესიის დარჩენილი სამი ქვაჯვარი წითელი ფერისა.

ამავე ეკლესიის სამხრეთით არის სამი ქვა, მოტანილი პოლნისის (მდ. ფოცხოვის გალმით მდებარე) ეკლესიებიდან.

4. ქარვასლა ნაწილობრივ დანგრეულია ქვითკირის, აგურნარევი გრძელი შენობაა.

5. აბანო 5 (?) გუმბათით. ახლა კოლმეურნეობას უჭირავს საჭონლის გამოსაზამთრებლად.

6. ქართველების ყულევის ეკლესიის ნანგრევები მდებარეობს კლდის მწვერვალზე სამ ადგილას (აბანოს სამხრეთით სამიევე), „ორციხის შუა“-ს სამხრეთით.

7. „ორციხის შუა“ (დელეში გაშენებული ორკამარიანი შენობაა) და მის სამხრეთით მდებარეობს რაღაც ოთხკუთხი მაღალი შენობა.

8. ციხე (ზემო და ქვემო).

9. ამავე უბანში სავარდის ეკლესიის ახლო არის დარბაზი სამი: ერთი ყოფილა ყირქისლიანთა (??), რომელიც ახლა ეკუთვნის ბალიაშვილს და მეორე ჰერიქოვისა. ამჟამად იანულოვისა და მესამე მღებრიშვილის დარბაზი (უკანასკნელის პირი წაღებულია მოსკოვის საერთაშორისო მუზეუმში გასამართავად).

II უბანი ახალციხისა არის დარამაჰლა:

10. აწინდელი სომხური სტეფანოსის ეკლესიის ადგილას ძველად ქართველების ეკლესია ყოფილა. სომხური ეკლესია ახალია.

11. ორსართულიანი ძველი სახლი.

12. ჯამედ ყოფილა აწ გრიგოლ განმანათლებელის (სომეხთა) ეკლესია.

13. იქვე ჩრდილო უბნის განაპირას არის ქართული ნაეკლესიები.

14. ციხის ძირას აბანო.

III უბანი ახალი ნაწილი („პლანი“)

15. მოღნისის ორი ნაეკლესიები, ქალაქის განაპირას.

16. მარდის ეკლესიის ახალი შენობა ყოფილა ქართველებისა.

17. აბანო.

18. ლაშიხევის ნაეკლესიები ბაღებში.

1. ახალციხის ქართული, კათოლიკური ჯვრის ეკლესია განახლებულ-გადაკეთებული შენობაა. მისი აღმოსავლეთი ნაწილი ძველია, დასავლეთი ახალი. მთელი ეკლესიის ზომა 22,5×11,5 მ. ახალი ეკლესია ნაშენია სულ თლილი ქვისაგან. ძველი ეკლესია გუმბათიანი შენობაა. ნაწილი თლილი, ნაწილი ნატეხი ქვისგან არის აშენებული. შიგნით იგი საკურთხევლად არის ქცეული და მის დასავლეთით მიშენებული აქვს ახალი შენობა, ზომით (გარედან ძველი ეკლესია დღეს ჩანს) 7×9,25 მ. მის დასავლეთ ნაწილს ფარავს ახალი შენობა, ძველად უნდა ყოფილიყო 10,25×9,25 მ. ნაშენია ნაწილი თლილი, ნაწილი ნატეხი ქვისაგან. იგი დარღვეულია ყოველ მხარეს. გუმბათის ძირის ნახევარი ძველია, ნაგებია თლილი ქვისა და კირისაგან, ზევითა კი ახალი — ხისაა (??) მრავალი სარკმელით, ძველი ნაწილი გარედან გალესილი ყოფილა კირით, რომლის წარწერიანი და ჩუქურთმიანი ქვებიც დაკარგული ყოფილა, ახლა კირი ნაწილობრივ მოცლილია, მოჩანს წარწერა და ჩუქურთმები. ჩრდილო-სამხრეთ მხარეს, მაღლა საქარეზე და მის ოდნავ ქვევით, არის ორი ქანდაკება ცხვრის თავის გამოსახულებით. აღმოსავლეთით კი ზევით ერთი შენახულა, მეორე მოტეხილა. ამ მეორე ქვის მარჯვნივ არის ქვა ჯვრების გამოსახულებით, მის ძირს, ზედ მოდებით ოდნავ მარჯვნივ სამხრეთით არის ქვა 5-სტრიქონიანი სომხური წარწერით. ქვედა სარკმელი ყოფილა, ახლა ამოგებულია. სარკმლის დასწვრივ ძირს გარდიგარდმო დადებული საფლავის ქვაა კაცის თავის გამოსახულებით (იხ. ნახ.) ჩაღრმავებული. ამ ქვის მარჯვნივ, პატარა მანძილზე, ზევით ნაწილობრივ მოჩანს ქვა-ჯვრის(?) გამოსახულებით და სამხრეთით ერთი სტრიქონით წარწერა, ამავე კედელზე სამხრეთისკენ მაღლა უდევს ქვა 5-სტრიქონიანი სომხური წარწერით; მის ძირს სამხრეთ კუთხესთან სხვა წარწერიანი ქვაა, დაფარული კირით, მოჩანს მარტო ერთი სტრიქონი.

გუმბათის გარდა, რომელიც ახლა სულ გადაკეთებულია, ძველ ეკლესიას სარკმლები ჰქონია აღმოსავლეთით 1, სამხრეთით 1, ჩრდილოეთით 1, აღმოსავლეთის სარკმელი ახლა ამოშენებულია.

სამხრეთ კედელი: სარკმლის მაღლა არის ორი ქვა ჯვრის გამოსახულებით, ნაწილობრივ კირით დაფარული. სარკმლის თავზე სხვა ქვა— ნაწილობრივ ჩუქურთმით. სარკმლის ძირს, მარჯვნივ ძველი (??) ადამიანის თავის გამოსახულებით წელამდე, იმგვარივე ჩუქურთმებით. სარკმლისავე ძირს, ოდნავ მარცხნივ, არის ქვა ჯვრის გამოსახულებით. სამხრეთ ნაწილში 6 სტრიქონი წარწერა. ამ ქვების მარცხნივ, 1 ქვის დაშორებით, ჯვრის გამოსახულებით ჩანს ძლიერ დაზიანებული ქვა.

ძველი ეკლესიის სამხრეთით მოჩანს ძველი საძირკველი, ეკლესიის სამხრეთი კარიბჭე. სამრეკლოს იატაკად დაფენილი მაღალი საფლავის ქვაა წარწერით. ასეთივე ქვები მოწყობილია ამავე მხარეს საძირკველთან ერთ პირად. წარწერებიდან ზოგი დაზიანებულია.

1. სამხრეთ კარიბჭის დასავლეთ-ჩრდილოეთით სვეტის ქვეშ არის ქვა დატანებული, ნაწილობრივ მის ქვეშ, ზომით 125×53 სმ.

. . . . . .

. . . . . ე

მკითხველო რომელ არს ამაში მდებარე
ყაუხჩიანთ აკოფას ძე ანტონა მარიობის

7 1790

2. აქვე დასავლეთ-სამხრეთ სვეტის ქვეშ ჩრდილოეთ მხარეს უდევს ქვა წარწერის ნაშთით, დაწერილი ძლიერ დიდი ასოებით. 186×81 სმ

1.
2.

მე-18 ს.

3. ამავე სვეტს სამხრეთ მხარეს ძირსავე უდევს ქვა

1. მდებარი ჳ
2. . . . . .
3. ძვლნი გა
4. გა(სა)წმედი

10 1841 21

4. აქვე, სამხრეთ ორ სვეტს შუა მდებარე საფლავის ქვა 151×53 სმ.

1. ამ საფლავსა შინა მდებარე არ
2. გოკიელი პეტროსას ძე ტირაცუ აკო
3. ფაი და შენდობით მოიხსენეთ, 1811

5. აქვე, აღმოსავლეთ-სამხრეთ სვეტს დასავლეთ მხარეს უდევს ქვა ზომით 164×60 სმ.

სა შინა მდებარე
ცის შვილი ჯან
ნეთ ქკს უმთ ე. ი. 1761

6. აღმოსავლეთ-სამხრეთ და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ სვეტებს შუა არის ქვა დაზიანებული წარწერით 131×44 სმ.

საფლავსა ამას
შინა მდებარე ა
რს ხ . . . . .

ბაღდ(ა სარა შენდობ)
(ით მოიხსენიეთ)

7. აქვე აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით მდებარე სვეტის სამხრეთ მხარესა უდევს ქვა დაზიანებული წარწერით 123×51 სმ.

1. ჭ. მო(იხსენე) უფალი
2. სა . . . . . .
3. . . . . .
4. . . . . .

8. ეკლესიის სამხრეთ კედელთან დევს ქვა ზომით 144×55 სმ.

ჭ. საფლავსა ამასა (შინა) მდებარე არს
ჭაჩხუანთ მათოსას მეუღლე.. ლ.
აღმომკითხველნო შენდობა ბრძანეთ
აღიწერა 1798 იანვრის 20 სა.

9. სამხრეთითვე, აღმოსავლეთ ნაწილში ეკლესიის ახლოს მდებარე საფლავის ქვა ზომით 145×57 სმ.

მოიხსენეთ ავაგ
ერეცი ტერ იოვანე
ლაზარიანი: 1836

10. კარიბჭის სამხრეთით 2 მ-ზე მდებარეობს ქვა ჩაჭდევით კაცის გამოსახულებით, ნატეხი (ზევითა ნაწილი) ზომით 68×53 სმ.

11. ამის სამხრეთით დგას ორი ხაჩქარი (სომხ. ქვაჯვარი) ერთი გზის მარჯვნივ, მეორე მარცხნივ.

გზის მარჯვნივ 180×116 სმ ზომით. ის გადაწვენილია ჩრდილოეთით.

12. გზის მარცხნივ დგას 150 (მიწაში ზის) × 91 სმ (ქვა) სომხური წარწერით.

13. ამის აღმოსავლეთით 4—5 მ-ზე ქვა 163×60 სმ.

1. ჭ ულისა მიერ განსვენებულო მშობელო
   ჩემო მარიამ მიიღე ლოდი
2. ესე სახსოვრად ძისა შენისა სტეფანე
ივანეს ძე (ვარჭის) აღოვისაგან გთხოვთ აღ
3. მომკითხველნო შენდობით მოიხსენოთ

1819 (29) ს ე პ ტ

14. მე-13 აღმოსავლეთით 7—8 მ-ზე მდებარეობს საფლავის ქვა ზომით 157×54 სმ.

1. ჭ. მოიხსენიე უფალო
2. მდებარე არს

3. . . . . .

4. . . (შენდობა ბრძანეთ) მარტის

. . . 1775

15. ამის, ე. ი. 14-ის სამხრეთით 1 მ სომხური წარწერებიანი ქვა ნახევრად მიწაში ჩაფლული.

16. დასავლეთით ხაჩქარის სამხრეთ-დასავლეთით 7—8 მ-ზე არის ქვა ზომით 178×53 სმ.

1815: 1. საფლავსა ამას შორის არს მდებარე

2. გრიქორ თოქმაჯი (დ)ა გევედრებით (მკითხავ)

3. თა რათა მხურვალებით (მოიხსენეთ)

17. აქვე აღმოსავლეთ მხარეს მდებარე საფლავის ქვა ზომით 159×60 სმ.

1. მოულოდნელმან . . . . . ჭ

2. . . . . ვინი . .

3. . . . . ძირთაგან.

მე-18—19 ს.

18. მეორე ხაჩქარის სამხრეთით 3 მ-ზე მდებარე საფლავის ქვა ზომით 128×59 სმ.

ჭ. საფლავსა (ამას შინა მდებარე)

(ზალინათ პოღოსას-ძე ტირაც (ოა)

ოსეფა მამაო ჩვენოთი მოიხსენეთ:

მე-18—19 ს 1 (7) 81 გიორგო . . .

19. მე-18 საფლავის ქვის სამხრეთით 0,5 მ დაშორებით მდებარე საფლავის ქვა ზომით 125×47 სმ.

(თათულა) . . . ამ საფლავსა ვ. . . .

. (თს) . . . ლს . . ყაე იოვანესა წოდებით

ულს ლოცვით შემავედრეთ უმალ მყოს ზეცას ...

მე-18—19 ს.

20. მე-19-ის აღმოსავლეთით 6—7 მ-ზე მდებარე საფლავის ქვა ზომით 163×57 სმ.

1. ჭ. უფლის მხევალი ელენე ქურქჩი მოსესას ასული

2. ნარიბეგათ პოპოსასთვინ მეცხედრედ სოფლად მოსული

3. სამოცდა ათ წლის ჰასაკით საუკუნოს ვარ წასული

4. შენდობით მომიხსენიეთ

5. რომ ვიყო ნათლით მოსვილი

1822: კათათვის 15

21. მე-20-ის აღმოსავლეთ-სამხრეთით მდებარე საფლავის ქვა ზომით 91×31 სმ.

გასპარანთ პოღოსას ძე ამ საფლავსა ვარ მდებარე

(თ)უთხმეტ წლის დედისერთა უცნობ სენს შევეყარე მწარე სალმობით ჩემს მშობელს გავეყარე

. . . ა ლოცვის მომსურნე ჯვარცმულს მივებარე

მე-19 ს. დასაწყისი

22 21-ის აღმოსავლეთ-სამხრეთით 3 მ მანძილზე მდებარე საფლავის ქვა ზომით 144×49 სმ.

ჭ. მოიხსენე... უფ˝ლო, ესე. საფლა

ვი ბასტამანთ, გასპარასი.

ვინც. წაიკითხოს, შენდობა ბძანოს:. ქს:. უმდ: ე. ი. 1756

23. ცალკე გზაზე გდია ქვის ნატეხი 54×32 სმ.

ჭ. საფლავ

არს ო

24. 23-ის სამხრეთით მდებარე საფლავის ქვა ზომით 134×58 სმ.

საფლავსა ამასა შინა მდებარე არს

კრუხიჭამათ ყაზარას ჭალი და თ(როოთ)

პეტროზას მეუღლე სარრაი ჰოი მის

ნო აღმომკითხველნო შენდობა ბძანეთ 1805

25. 24-ის სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხვარი წარწერითი 185×41 სმ.

დედებოთ ანტონას საყნოსელი ვარდი

პეტრე ყვავილისა სენით დავარდი

და მსწრაფლ მის მეოხედ უ˝ლს მივბარდი 1819 თიბ...[47]

26. 25-ის აღმოსავლეთით 165×55 სმ.

ჭ. საფლავსა ამასა შინა მდებარე

ა(რს) შენდობილი ტასნაკი (სამტკიცის რკალი) ოვანესაი

ჰოი, ძმანო აღმომკითხველნო შენდობა ბრძანეთ

1808 აპრილის 8-სა

27. 26-ის აღმოსავლეთით მდებარე საფლავის ქვა ზომით 177×57 სმ.

1. ჭ˝ტს . . მოიხსენიე უ˝ო მონის სული ანნაი-სა

2. 18(05) მიუნიჭე. განსვენება ძე გახადე სუფეევისა.

3. ბაინდუროვანის მეუღლე მთხოველი

4. მარ. 1. თქვენგან შენდობისა

28. ეზოს გზა სამხრეთ მხარეს ყორესთან, მარცხნივ გდია ცხვრის გამოსახულება წარწერით, ქვა ზომით არის 150×30×49 სმ.

1. ვარ დედებოთ ანტონას ძე იოვან (?)
2. ყვავილით (სას)უფეე...რ წარვედ გვიან
3. . . . . ვიან

1819 ენკ. 6

1. ეზოს გარეთ, სამხრეთ მხარეს, დასავლეთით კერძოდ, გდია ცხვარი, საშუალო ზომისა.

2. ამის ჩრდილო-დასავლეთით 3 მ დგას აკვნისებრი ქვის ნაწილი (ვიღაც პირის ყორეშია დატანებული).

3. ამის აღმოსავლეთით 1,5 მ დაშორებით არის ჯვარი წაჭეული.

4. ამის აღმოსავლეთით ახლოსავე არის ქვა აკვნისებრი.

5. ეზოს გარეთ, სამხრეთ მხარეს, ყორესთან, მარჯვნივ გდია ცხვარი, დიდი ზომისა.

29. 28-ის ჩრდილოეთით მე-6-ის ჩრდილოეთით გვერდითვე არის ყორეზე ნადები ქვა. 117×48 სმ.

1. ქ უ˘ო მოიხსენიე წყრ
2. უთელი დურგარი სარქისას შვილი
3. ყალ(აი)ჯი პეტრე 1806. . რ . .

30. ყორეში სამხრეთ მხარეს, შუა ნაწილში, ქვა ზომით 150×50 სმ.

1. საფლავსა ამას მდებარე ვარ შაჰყულიანთ ალე
2. ქსანდრეს ასული ელენე აღმომკითხველნო ვით
3. ხოვ თქვენგან თითო გიხაროდენის თქმას. ოვინ. 8

31. აქვე ყორეზე, სამხრეთ მხარეს, მე-30 საფლავის ქვის აღმოსავლეთით დევს ჩუქურთმიანი ჯვრის ნატეხი სომხური წარწერით.

62×70×20 სმ.

32. აღმოსავლეთ-სამხრეთი გზის მარჯვნივ მდებარე ქვის ნატეხი ზომით 55×36 სმ.

ათ სძალი ალ (ვ)ა
ზე დანდობილი ამ სოფლის
მოველი მის წყალ

33. აქვე ძირს ამ გზაზე მიწაში ჩაფლულია ქვა ზომით 104×43 სმ.

1. სადედოფლოთ მომზადებულს ვა მე ეს რა მომივიდა
2. რასაც რომ ვამზადებდი სულ გულ(ი) დამბა მოვიდა

3. ჩემიანები ვატირე ხმა სულ ყველგან გამივიდა
4. 180(9) 5 10 :

34. ეკლესიის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით არის საფლავის ქვა 150×55 სმ.

ქ. საფლავსა . . . . .
ს ჩინ . . . . . ეზ
ინა შენდობით მოიხსენიეთ
ენკე: 1 . . . ქ˘კს 17(8)4

35. ეკლესიის დასავლეთით კარის წინ ქვა 123×41 სმ დაზიანებული ზევითა ნაწილში.

ქ. საფლავსა ამას შ˘ა მდებარე არს მაქან
დ(ა)რათ პოლოსას მეუღლე ელენაი, აღმ
ომკითხველნო მოიხსენეთ: 1811: 12.1:

36. აქვე პაპერტზე, დასავლეთ კიდურზე დევს ქვა 133×59 სმ.

1. ქ. უფალს ლოცვით შემაევედრეთ საფლავსა ამასა მდებ
2. არე რომელ ვიყავ ყაუხჩიანთ სტეფანეს მეცხ
3. ედრე მაგთაღინა. სურის სენით მიცვლილი გიორგობის 15
1810:

37. ეკლესიის სამხრეთ მხარეს, სამრეკლოს (ასე უნდა შეიცვალოს ქვების აღწერილობაში) დასავლეთ კედელზე მიდებული ქვა 143,5×50 სმ.

1. საფლავსა ამასა შინა მდებარე არს ელისაბედ ასული (მდი)
2. ვანოვისა მეცხედრე იოვანე აზნაურთოვისა რომელმან(ცა)
3. აღშენებისათვის ამას სამრეკლოისა შესწირა ათასი მანეთი
4. აღმომკითხველნო შენდობა უბრძანეთ
5. 1881 წელს მარიობ 30

38. ეკლესიის კარიბჭის დასავლეთით დგას ხაჩქარი 150 (?) ×94 სმ.

39. ეკლესიის დასავლეთით ძირფასად შემკული ძეგლი ზევიდან მარმარილოს დაფით 152×75 სმ.

1. მიეცი ხარკი ბუნებას ვით დაარსებით წესია
2. ვაგლოვნე მოყვასნი ჩემნი ვითარ მე დამითესია
3. მზე და მთვარე დამიბნელდა სამარეს ჩავეთესეა
4. არუთუნ მურვანოვის ძის საფლავი სტეფანესია
5. წამკითხველნო ღ˘ს მაევედრეთ როგორც ქრისტიანთ წესია
6. ექვსა ივნისისა

7. 1860 სა

8. წელსა

40. აქვე ეზოზე დასავლეთით ძეგლი ზევიდან მარმარილოს დაფით 115×42 სმ.

ესე არს სამარე კათოლიკეთ
წ̄ა ი̄ე ეკლესიის ბარონი მღ̄უდ
ლის აბინათ იესას ძის ტერ სტე

ფანისა შობ. 1771 $\frac{14}{11}$ და 1842 $\frac{6}{9}$ გარდ.

41. აქვე. დასავლეთით საფლავის ქვა ზომით 152×54 სმ.

ქ̄ქს 1811 ქ(ს)სა ამ ქვის ქვეშ ვარ მწოლიერე კრუხიჭამათ
სტეფანს ქა-ლი
ანნა მელქონის მეცხედრე მუდამ მჭონდა
გზისკენ თვალ-ლი

მკათა თვის (8?) რა მოვიდა სრვამ შემიპყრა მომი-
ვიდა
ცეცხლის ა-ლი
წამკითხველნო ღ̄თს მაეედრეთ
რომ გამიღოს
ედემს კა-რი

42. ეკლესიის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით ეზოს გარეთ, გზის აღმოსავლეთით არის საფლავის ქვის ნატეხი 66×46 სმ.

ამ მდებარე არს ქა
(ე) რესინაი ამომკით
უბრძანეთ იანვრის 7 18(00)

43. ამავე ეკლესიის ჩრდილოეთით ეზოს გარეთ გზის დასავლეთით არის ქვა 149×53 სმ.

ქ: საფლავსა ამას შინა მდებარე
არს გოგინათ სტეფანეს ძე მელ
ქონაი წამკითხველო შენდ.ბა
ბრძანეთ ქ̄ქს ქ̄ტს 1799 თიბათვის 1(4)

44. 43-ის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე საფლავის ქვა ზომით 149×65 სმ

მოიხსენე უფალო და შეიწყალე
გოგინათ სტეფანეს ძის გრი
გოლის სული და განასვენე 1839 იანვრის 16

45. 44-ის ჩრდილოეთით მდებარე საფლავის ქვა ზომით 177×61 სმ.

განასვენე უფალო სული მიცვალე
ბულისა ამის გოგინათ სტეფანესი
რომლი განვიდა ამ სოფლიდგან 1813 ღვინობ.

46. 45-ის ჩრდილოეთით მდებარე საფლავის ქვა. ზომით 123×47 სმ.

1. ქ. საფლავსა ამას შიგა
2. მდებარე არს პეტრეს მეუ
3. ღლე მარიამი ვინც ამო
4. იკითხოს შენდობა
მე-18—19 ს.
მეტი აღარ არის.

47. 46-ის ჩრდილოეთით მდებარე საფლავის ქვა ზომით 136×47 სმ.

1. ქ. საფლავსა ამას შ̄ა მდება
2. რე არს მეწ̄ . . . ლე . .
3. აღმომკით/ხ . . . . .

48. ეკლესიის ჩრდილოეთ მხარეს ყორეში არის ქვის ნატეხი. ზომით 52×50 სმ.

. . . . . .

ე გვარითა
ლის ალითა
. . . . ძალითა 1810 მაისის 18

49. ჩრდილოეთ მხარეს ყორესთან ახლოს მდებარე ქვა ზომით. 146×50 სმ.

საფლავსა ამას შინა მდებარე არს
შენდობილი არლელი ოსეფას მე
უღლე კატარინე აღმომკითხველნო შენდობა ბ
ძანეთ 1812 მარტის 29

50. 49-ის დასავლეთით მდებარე საფლავის ქვა ზომით 145×52 სმ.

. . . . . სახელად ოსეფას ძე-სა
რომელიც ამა წერილი საფლავისა ქვის ქვეშ წევ-სა
(ნუ უმე) განსაწმედელში მწარესგან ტკბილს სწევ-სა
და (ლოდ) . . . (ამა) აცხონოს მისთვის (მთქმელსა) 1811
კათათვის 28

51. 50-ის დასავლეთ-ჩრდილოეთით ქვა მიწაში მდებარე ნაწილით 156×55 სმ.

ქ. საფლავსა ამასა შინა მდებარე არს ფეიქარი სარქისას ქალი
მაგთაღინაი: აღმომკითხველო შენდობა ბრძანეთ
მიწაში ჩაფლულ ნაწილს შესაძლებელია თარიღი ეწეროს.

52. 51-ის დასავლეთით მდებარე საფლავის ქვა ზომით 123×47 სმ.

ქ. საფლავსა ამასა შინა მდებარე
არს ვაჭრამათ გრიქორის ას
ული ელენე შენდობა უბძანეთ 1790
იხ. ქვევით:

შენიშვნა: ჯვრის ეკლესიისა ჯერ უნდა აიწეროს სამხრეთი მერე აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და დასავლეთი

შენიშვნა: ყორეებში მრავლად არის აკვნების, ცხვრების და სხვა ფორმის ქვები დატანებული.

სამოსელი მე-19 ს-ისაა სულ ყველა.

1. აღმოსავლეთ-ჩრდილო მხარეს მდებარე ქვა 140×56 სმ.
მოიხსენიე უფალო
განსვენებული ანტონ
მაისურაძის სული

შობილი 1772 და მიცვლილი 18 $\frac{8}{1}$ 47

2. პირველის სამხრეთით მდებარე საფლავის ქვა ზომით 128×56 სმ.
მოიხსენიე უფალო
განსვენებული ანტო
ნ მაისურაძის მეცხედ
რე ანას სული

1767-სა შობილი მიცვლილი 18 $\frac{11}{—}$ 54

1. მეორის სამხრეთით (მდებარე საფლავის ქვა ზომით) 131×40 სმ.
შობილი 1814 მოიხსენიე უფალო
განსვენებული სვმონ
მაისურაძის მეცხედრის

ელენას სული მიცვლილი 18 ^{2} 56

ახალციხის მცხოვრებ ვანო და არუთენას დას სონას აქვს
1. ხელნაწერი ლოცვანი, მხედრული, მე-19 ს. 17×11×4 სმ.
2. ახალციხეს დაბეჭდილი ლოცვანი მე-19 ს-ისა.
გაგრძელება ჯვრის ეკლესიის ქვებისა.

53. 52-ის დასავლეთით ქვა 126×56 სმ ძლიერ დაზიანებული წარწერით.

1. . . . . .სენმა სვრისა მყო . . .
2. . . . . .
3. . . . . .შემავედრეთ ზეცას ვიყო საქებლად
4. . . . . .1 1(8) 1(0)

54. 53-ის დასავლეთით ქვა ძლიერ დაზიანებული წარწერითვე 120×48 სმ.

1. [ქ.] საფლავსა ამას შ[ა მდებარე არს
2. . . . . ლანთ ყაზარას მეუღლე . . .
3. აწ ძმანო შენდობით მოიხსენეთ
4. . . . . ენკენის 21

II ჯვრის ეკლესიის სიძველენი:

I. ბარძიმი ვერცხლისა, წარწერით ძირზე:

1. ქ:. ღმერთმა შეიწყალოს ვარამათ ყაზარას ჯალაბი თურვანდაი და უდელი დოვლათიერას დედა ფერიხანაი რომ ეს ბარძიმი ახალციხის სურბნიშანს შესწირეს (1 სტრიქონი) მე-18 საუკუნე.

2. ბარძიმიდან დარჩენილი ძირი ვერცხლისა მხედრული წარწერით, დაზიანებული:

1. ქ:. შენ. მღთებასა. და. უბიწოთ. მშობელსა. შემოგწირე. ბარძიმი. ესე. თავისის. ფეშხუმითა. კოვზითა. და. კამარითა. მე არაგვის. ერისთვის.

2. ოთარის. ასულმა. თინათინ. ძისა. ჩემისა. ედიშერის. სადღეგრძელოთ. ცოდვათა. ჩემთა. შესანდობლათ:.

3. საცეცხლური ვერცხლისა, გუმბათიანი ეკლესიის ფორმისა, დიდი ზომისა.

4. ჯვარი ვერცხლისა უტაროდ 14×13,5 სმ. შემკული წინა მხარეს ჯვარცმით და ოთხი მოზრდილი თვლით და წარწერებით. უკანა მხარეს:

ჯვრის შუა გულში
1. ეს
2. ჯუარი ფალო

3. მათ ბატონ ჯ
4. ანას ქალი მარი
5. ამასთვის შეწირულია
6. სურბნიშანში
7. მაის 7 (?)
8. 1803 (?)

ქვედა ნაწილში

1. მამაგენას (?)
2. საქმე

III. ახალციხის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია ახალი შენობაა, მის სამხრეთით აწყვია ამავე უბნის მოღნისის ნაეკლესიარიდან მოტანილი ქვები სამი ცალი:

1. წარწერიანი ქვა 64×64×71 სმ.

იგი იქნებ სვეტის ნაწილი იყოს, მას ერთი კუთხე შეჭრილი აქვს და სახეები აქვს გამოყვანილი. წარწერა ასომთავრულად არის:

ე. ი. „სახელით(ა)

1. ᲡᲫᲖᲝ ღმრთ(ისა თა)

3 ᲘᲝ

შეაბ“

6. ᲧᲘᲨᲛ

ამ ქვის მეორე გვერდზე, წარწერის მეზობლად, გამოსახულია ჯვარი.

2. ქვა ჯვრის გამოსახულებით 2 მ, 5 სმ × 91 სმ × 25 სმ.
3. ქვა 150×80×34 სმ ასევე ჯვრის გამოსახულებით.

იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სიძველენი.

1. თაქი (მიტრა) ვერცხლისა, ნაჭედი, შემკული ხატებით მოციქულებისა და ანგელოზებისა. თავზე ჯვარი, რომელსაც უზის 7 თვალი (აკლია 1) მე-18—19 სს. ხატები დაფერილია ოქროს წყალში.

2. ბარძიმი ვერცხლის, შიგნითა პირი დაფერილია ოქროში. ძირზე აქვს წარწერა:

1. ქ. ღმერთო შეიწყალე ქვიანთ (?)
საქანდარას ქალი ხანბეგაი რომ ეს
ბარძიმი შესწირა ახალციხის სურბ
ოანესის საყდარს არის ამისი წონა
127 დრამი ქკ'ს 1730 (ერთი სტრიქონია).

3. დროშის (?) ჯვარი ვერცხლისა. შემკულია წინა მხარეს ჯვრებით და თვლებით. წინა მხარეს 3-ით, უკანა მხარეს 4, სულ 7 თვალი. 24,5×11,5 სმ.

4. ვაკასი (საყვლო) ვერცხლზე ნაჭედი. ოქროს წყალი გადასულია. შემკული 13 ხატით მოციქულებისა და მაცხოვრისა.

5. სამკლავე — ორი ცალი ვერცხლზე ნაჭედი, შემკული ორნამენტიანი სახეებით, ანგელოზებით, ცისფერი მინანქრის ზოლით.

6. საეცხლური ვერცხლისა, გუმბათიანი ეკლესიის ფორმისა, მოზრდილი.

7. ჭაშრის თავი (ჩაფრასტები) ვერცხლის შემკული სახეებით — 1 წყვილი.

8. ჭაშრის თავი (ჩაფრასტები). ერთი წყვილი ნაწილობრივ ვერცხლისა, შემკული თითოეული ხუთ-ხუთი თვლით (სულ ათი), თითეულს აკლია შვიდ-შვიდი თვალი (სულ. 14).

9. მანდილოსნების ტანისამოსის გულთან შესაბნევი ვერცხლისა, ოქროს წყალში დაფერილი, კვერცხის მსგავსი.

10. საყურე ვერცხლის ერთი წყვილი.

11. საყურე ვერცხლის ერთი წყვილი, შემკული მინანქრით და 1 ცალი 4 თვლით, მეორე ცალი 2 თვლით (აკლია 2).

12. გულსაკიდი ჯვარი ვერცხლისა ოქროს წყალში დაფერილი 6×4,2 სმ. შემკული 9 მცირე და 3 სულ წვნიკი თვლით (აკლია 1 წვნიკი თვალი). ძეწკვი დაზიანებულია.

13. დაბალი ოქროს ბეჭედი ქალისა, შემკული 2 თვლით (მესამე აკლია).

14. მცირე გულსაკიდი ჯვარი ვერცხლისა, შემკული 6 ფერადი თვლით, ძაფზე 3 მარგალიტი აბია.

15. დაბალი ოქროს ბეჭდები ქალისა ცალი თვლით — 2 ცალი.

16. დაბალი ოქროს ბეჭედი ქალისა, 2 ცალი, ერთი 3 თვლით, მეორე 2 თვლით, აკლია 1 თვალი.

17. ოსმალური ძველი ფული.

18. ეტრატზე ნაწერი სახარება 13,5×11×6 სმ.

ახალციხის ქართველ კათოლიკეთა იოანე ნათლისმცემლის და წმინდა ჯვარის ეკლესიების ხელნაწერი წიგნები 4 ცალი: კონდაკი, შემოსავალ-გასავლის დავთარი, ძმობის დავთარი და მეტრიკული წიგნი მე-18—19 სს. ჩავიბარე 12 აგვისტოს.

1. ტილოზე ნახატი ხატი ნათლისღებისა გადაკრული ჩარჩოზე 265×195 სმ, დაზიანებულია (ძირა მარჯვენა კუთხე დამწვარი აქვს).

2. ღვთისმშობელი ჩვილედი ხატი; რაფაელის სურათის პირი 1754 წ. გადაღებული 26,7×20,5 სმ. ნიგოზის ჩარჩოში (ნახ. 76).

ახალციხის ჯვრის ეკლესიის სიძველენი, დაცული ნათლისმცემლის ეკლესიაში:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი, ღვთისმშობლის, დაფერილი ოქროს წყალში გარდა არშიებისა და შემკული 16 თვლით 31×24×2 სმ. გადაკრულ ფიცარზე, უკანა მხარეს აქვს სანაწილე. ხატს ჭკედა არშიაზე აქვს წარწერა მხედრულად:

1. ქ:. ჩვენ:. ციც: შვილის: ქალმა: ანამა:
მოვაჭედინეთ: ხატი: ესე: ყაოვალად:
2. წმინდისა: ჯვრა: სულისა: ჩვენისა:
სოხად: და: მერმე: ძეთა: ჩვენთა: გასაჩენ:
3. ათ: ამინ: ქ˘კსა: ტჟბ.

მაღლითა და გვერდის აშიებზე დღესასწაულებია გამოსახული. მაღლითაზე: 1. „ხარ/ება 2. აღდ/გომა 3. ბზობა 4. ლაზარეს/აღდ/გინებ/ა“.

მარჯვენა მხარეს: 1. „მირქმა. 2. ნათლის ღება. 3. ჯვარცმა. 4. მიცვალება“.

მარცხენა მხარეს: 1, „შობა. 2. ფერის ცვა/ლება. 3. ამაღლება. 4. სულის წმნდ(ის მოფენა)“.

ასოები აკლია ზოგან.

2 სასანთლე დაბალი, ვერცხლზე ნაჭედი, ანგელოზის გამოსახულებით, ორი ცალი. 25×12 სმ. თვითოეულის ზომა. წარწერა არა აქვთ.

3. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლის, გამართული ჩარჩოში 74×55 სმ. სომხური ხელნაწერი.

4. ჩვილედი ღვთისმშობელი ხატი ტილოზე (?) ნახატი 75×55 სმ. ეკუთვნის ნათლისმცემლის ეკლესიას.

5. შვიდლახვრიანი ღვთისმშობელი ტილოზე ნახატი. ჩარჩოში, შემკული ვერცხლის შარაავანდედით. ღვთისმშობელიც და მაცხოვარიც 96×70 სმ.

6. შვიდლახვრიანი ღვთისმშობელი ტილოზე ნახატი. 95×76 სმ.

7. ტილოზე ნახატი ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი გადაკრული ფიცარზე 62×51 სმ.

8. ახალციხის ნათლისმცემლის ეკლესიის სპილენძის თასი ძველი ხელოვნების ნიმუში, გარშემო დაჭრელებული.

4. სავარდოს ეკლესიის წიგნები:

1. წინამძღვარი ზეცისა 3 ცალი
2. საქრისტიანო მოძღვრება 3 ცალი
3. გზა ცხოვრებისა 3 ცალი
4. სომხურ-იტალიურ-თათრული გრამატიკა, დაბეჭდილი 1774 წ. 1 ცალი.
5. წმიდანების ცხოვრება 3 ცალი.
6. ზურაბიანის ისტორია 2 ცალი.
7. ლექსიკონი ენციკლოპედია პარიზი 1 ცალი.

სულ 16 დაბეჭდილი წიგნი.

ხელნაწერები:

1. მწემსის ლოცვა და სხვა ფურცლები 1 ცალი.
2. ჟამის ლოცვა.
3. კურთხევანი.
4. ლათინური ხელნაწერის ნაშთი
5. გოდება
6. სადღესასწაულო
7. მაშტოც (კურთხევანი) 1728 წ.
8. დავითნი
9. ლოცვანი
10. სადღესასწაულო
11. სწავლება მღდელთათვის
12. ჟამნის ნაწილი
13. ლოცვანი
14. ლოცვანი
15. ჟამნი და ლოცვანი და გალობანი 5 ცალი
16. დღესასწაული ყოველთა წმიდათა
17. ჟამის ლოცვა
18. დღესასწაულებისა
19. მანასეს ლოცვა

20. საღვთო ისტორია 1 ცალი (20 ც. სულ 36 ცალი წიგნებიანად) 5. წმიდა ჯვრის ეკლესია.

ტილოზე ნახატი ხატი ჩვილედი ღვთისმშობლის 82×60 სმ.

ახალციხის ქართული კათოლიკური სავარდოს ეკლესია (მას პატრებიანთ ეკლესიასაც უწოდებენ) ერთნავიანი მცირე შენობაა 6,5×5 მ, რომელიც განახლებულ-გადაკეთებულა. მას დასავლეთით ნახევარი შენობა აქვს მიშენებული, რომელსაც სამხრეთ კედელში დატანებული აქვს შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვები სამი ცალი და მეოთხე ჯვარი სომხური წარწერით, ბოლოზე (??) დაზიანებულია, უკანასკნელი გვერდზე დაწვენით არის დადებული კედელში, ფორმა ასეთი აქვს (იხ. ნახ. 77).

ამავე ეკლესიას აქვს დატანებული მრავალი საფლავის ქვა. მთელი ეკლესიის ახალის და ძველის ზომაა 17×5 მ. ჩრდილოეთით ერთი ოთახის მაგვარი აქვს მიდგმული განახლებისას.

ეკლესიას ჰხურავს თუნუქი. კარი აქვს დასაყლეთით, სარკმლები სამხრეთით ძველს 1, ახალს 3 (სულ 4) დასავლეთით 1, ჩრდილოეთით კარი მაღლითა 1 (სარკმელი არა აქვს) და აღმოსავლეთით სარკმელი ერთი (ჩრდილოეთ ოთახს აქვს).

ძველ ეკლესიას აქვს კარნიზები, ახალს არა, აღმოსავლეთით ძველ ეკლესიას აქვს: 1. ერთი პატარა ქვა სომხური წარწერით. 2. მეორე დიდი ქვა წარწერით, რომლის მარჯვენა მხარე სულ მოსპობილა და ჯვრიანი ქვები 4 ცალი (ორი გრძელია, ორი ოთხკუთხედი).

სამხრეთით ძველ ეკლესიას არაფერი აქვს შესანიშნავი. ახალს:

1. სამი ჩუქურთმიანი ქვა, ერთი ჯვრიანი; უდევს აგრეთვე მე-19 ს. წარწერებიანი ქვები ფანჯრებთან.

ახალციხის სავარდის ეკლესიის საფლავის ქვები

1. სამხრეთ მხარეს ეზოზე ქვა 132×54,5 სმ.

ქ ნ(ი). წელსა უფ
ლისასა 18(3)8 სა
ივნისის 7სა
მოიხსენეთ პ-ტ
რი თომა თე
მფიელი ქაფ
უჩინი

2. თვით ეკლესიაზე სამხრეთ მხარეს შუა სარკმლის მარცხენა აღმოსავლეთის სვეტად (ქვად) უდევს საფლავის ქვა თავდაყირა წარწერით:

მოიხსენიე უო და თქ(ვე)ნ აღ(მომ)
კითხველნო (sic) გ(ე)ათ აივაზა(ს)
ძე არუთენა წ-სა უ˝ისა 1807
9—1.

3. ეკლესიაზე ჩრდილოეთ მხარეს მიშენებული ნაწილის აღმოსავლეთ სარკმლის ქვედა ქვა საფლავისა დადებული თავდაყირა.

მოიხსენე უ˝ლო და შეიწყალე
მირაქათ სტეფანას მეუღლე
მაქთაღინაი 1820 ღვინობის 15

4. თვით ეკლესიაზე ჩრდილოეთ მხარეს, შუა ნაწილში, საფლავის ქვა დაზიანებული, ლათინური წარწერით.

. . . unarus (c)arnia. Jis Venetę..
obiit in Domino dic 18 . .

5. მე-4-ის დასავლეთით ქვის ნატეხი ლათინური წარწერითვე თავდაყირა მდებარე.

F Bernardus ă
S Joseph ă Leonª

6. მე-5-ის ქვევით მდებარე საფლავის ქვა

ქ: საფლავსა ამასა ში ნა მდებარე არს გ— რძელი ბაღდოს ქალი

ქვა მთელია, დაწერილი ეს არის მარტო.

7. ამავე მხარეს დასავლეთით კუთხესთან მდებარე საფლავის ქვა.

ქ: მოიხსენე: უფალო: შირაზათ: ოჰ
ანნესას: ასული: ელენა: აღმომკი:
თხველნო: შენდობა: ბრძანეთ: მაისობის 10 1790

8. აქვე ძირს კუთხეში საფლავის ქვის ნატეხი.

. . . . ქა-ლი
. . . . დამწვა-რი
. . . . საწყა-ლი
-ლი

ნატეხის წინა მხარე მიწით არის დაფარული.

9. ეკლესიის დასავლეთ კედელზე, ძირს, კარის მარცხნივ, სამხრეთით თავდაყირა მდებარე ქვაზე (საფლავისა):

უ˘ლო მოიხსენიე . . .* ამასა შ˘ა
მდებარე არსყალ . . . * ანტონას მე
უღლე მარიამაი აღმომკითხველნო შენდობა
[ბრძა]ნთ (sic) 10.1822.8

*. ამ ნაწილებს ხის სვეტი აქვს აფარებული.

10. აქვე, სამხრეთ კუთხესთან საფლავის ქვის ნატეხია წარწერის ნაშთით.

11. სამხრეთ მხარეს დასავლეთ კუთხესთან მაღლა საფლავის ქვის ნატეხია.

1. : . . . . .
2. შვილი ელენე ფდ . . . .
3. (ლი)ს სიმწარისაგან და . . .
4. ილი შენობა (sic) ბძანეთ
5. 1803 მაის 1:

12. აქვე ძირს კუთხეშივე

ქ საფლავსა ალათ რიამა შენდობა — ამ ადგილას ყორე ჰფარავს — გოზ ლე მა ნოთ 1799

13. სამრეკლოს კიბეს მეორე საფეხურად უდევს ქვა საფლავისა 71×32 სმ.

მელეშიანთ პე(ტ)
რეს ძე პოლოსა

14. ეზოს სამხრეთ მხარეს კიბეს მარჯვნივ, დასავლეთით უდევს საფლავის ქვის ნატეხი 65×49 სმ.

[ა]მას შინა გ.
(აქავ) დრიანთ მა
შნდბა (sic) ბრძანთ (sic)

№ 31 მთა წ˘ით წასვლისათვის ჩვენისა წმიდად

ქალაქად იერუსალიმად.
და დავათიეთრა მონასტერსა ჩვენსა ჯამნი
რაოდენიმე წარეედით მუნით შჯოლად კეთილ

მეგობრისა ჩვენისა ეგეგნიას დასკლისთანა
და ვიყოფოდეთ მუნ მრავალ დღე საწადსა
მას სვანესა ჩვნთვის. . . .
დღიურების № 23,4,3
ტფილისისა, გორისა, ბათომისა, ჭუთაისისა,
კათოლიკენი, ყველანი ახალციხიდან არიან გადასულნი.

იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ქვები

1. წარწერიანი 65×66×73 სმ.
2. ჯვრიანი 2 მ ×91 სმ ×24 სმ.
3. „ 150×80×24 სმ.

1. ახალციხის რაბათის უბანში ციხის ჩრდილო-დასავლეთით არის აბანოს 5 გუმბათი. ნაშენია ქვითკირისაგან. წინა მხარეს თლილი ქვაა. იგი დღეს კოლმეურნეობის ხელშია; შიგ ბოსელია გამართული. მთავარ გუმბათს ზედ ადგას „კოკოშაკი“ (კოკოშაკი ეწოდება დარბაზის გვირგვინის ზეითა ნაწილს გარედან). აღმოსავლეთ მხარეს აბანოს აქვს კედელზე ძველი ეკლესიიდან დარჩენილი ჩუქურთმიანი ქვები. კარის თავზე ორნამენტიანი ჯვრის ნაწილი; მაღლა ორი ქვა ფანჯრის ნაპირებია, კუთხეში ოთხი ქვაა. ერთი მათგანი ყურძნის მტევნების გამოსახულებით. პირველ ნაწილს აქვს 7 ქვა. მეორე, სამხრეთ ნაწილსაც, აქვს ორი ჩუქურთმიანი ქვა. ორივე ნაწილს აქვს სულ 9 ქვა. შიგნით გუმბათები თაღებისავე ბოლო არის.

2. რაბათის მართლმადიდებელი წმ. მარინეს სახელობის ეკლესია ახალი შენობაა, აგებულია საფარის გეგმაზე, თლილი ქვისაგან. გალავანს ჩრდილო-აღმოსავლეთით კარის მარცხნივ უდევს ძველი ქვა რომბი, გამოსახულებით.

ბედენი-ფორტი
თამალი-საძირკველი შენობის და სხვ.
გრიჭა-ძირა მაგარი მიწა

ისტორიული ნივთები

1. ფიცარზე ნახატი ფერისცვალების ხატი 36×27 ჩარჩოთი 38,5×30 სმ აწერია ასომთავრულად:

ი. ი. „ფერის ცვალება“.

2. წმ. მარინეს ხატი, ფიცარზე ნახატი 82×50,5×3 სმ. შემკული ვერცხლის შარაგანდედით. დაფერილია ოქროს წყალში. ხელშიც ვერცხლის ჯვარი უჭირავს. დაფერილია ოქროს წყალში. აწერია

ჩვ: ᲐᲮᲐᲜᲒ: ე. ი. „წმიდაჲ მარინე“.

ხატის მარჯვენა კუთხეში გამოსახულია იესო ქრისტე მუხლამდე. ორივე ხელით აკურთხებს მარინეს. აწერია ⟨illegible⟩ ე. ი. „იესუ ქრისტე“. მარინე მდგომარეა. მის ფეხებთან განრთხმულია ვეშაპი. მარინეს მარცხნივ არის შვიდი ხატი წმ. მარინეს ცხოვრებიდან.

თვითეული სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი.

1 a აქა: (წმინდა:) მარინე: დაიჭირეს და მეფესთან მიიყვანეს:
b აქა: გაშიშვლეს და ეკლიანი ჯოხით/სცემენ
2 a აქა: წ˘ა: მარინე: (საპყრობი)ლეში: არის
b აქა: სვეტზე მიაკრეს და ხორცს აგლეჯენ: მეფის: წინ:
3 a აქა: წ˘ა: მარინე საპყრობილე(ში არი)ს
b აქა: წმიდა მარინე ხეზე დაკიდეს და სანთლით/დაწვეს მეფის წინ
4 a აქა: წ˘ა: მარინე ეშმაკმა ჩაყლაპა და/მუცელი გაუსკდა ეშმაკსა და გამოვიდა
b აქა ეშმაკი გალახა წ˘ა მარინემ
5 a აქა წ˘ა მარინეს საპყრობილეში ჯვარი გამოეცხადა და სულიწმიდამ გვირგ(ვინი) მოუტანა
b აქა წ˘ა მარინე: დ? (თავდაღმა ქვაბში ჩადეს) დ[ა]არჩობლათ: არ ...(ი . . .) ლოცვა თ და(დგა და სული) წმინდამ გვირგვინი მო[უ]ტანა
6 a აქა წ˘ა მარინე ლოცვათ დგას
b აქა წ˘ა მარინ(ეს თავი მოკვეთ)ეს
7 a აქა წ˘ა მარინე ამოიღეს სამარე˘ში ეკუთვნის მე-18 ს.

3. შობისა ტაძრად მიყვანებისა და მიძინების ხატი ფიცარზე ნახატი 34,5×26,5 სმ.

აწერია პირველ ხატს მხედრულად: ყ˘დ: წ ი˘ს: შობა:
მეორეს: ყ˘დ: წი˘ს: ტაძრად: მი/ყვანება:
მესამეს: ყ˘დ: წი˘ს: მიცვალება:

4. ხელით ნაჭარგი ოქრომკერდით ხარების ხატი 30×22,5 სმ წარწერით მხედრულად:

დედაო ყოველთა მხ(სნელისაო მიიღე)
უნდო ესე ძღვენი (კეთილ შეწყნარებ)
ულად მხევლისა შე/წის მარინასაგან
1877 (?) / სეკ. 20 (?)

5. ხარების ხატი ფიცარზე ნახატი 33×26,5 სმ, ე. ი. „ხარება“.

ᲔᲪᲐᲕ ᲙᲔ

6. ნათლისღება 34×26,5 სმ. ფიცარზე ნახატი,

ე. ი. „ნათლისღება“. ᲩᲕᲣᲖᲔᲡ ᲘᲧᲘᲔ

7. ნათლისმცემლის ხატი ფიცარზე ნახატი 34×26,5 სმ წარწერებით:

1. ნათლის: მცემლის შობა:
2. წ˘ა სბა
3. წ˘ა სტეფანეს ჩაქოლვა
4. ნათლის მცემლის თავის კვეთა
5. ნათლის მცემლის თავის პოვნა

8. ტრიპტიხი სპილენძისა. ღვთისმშობელია გამოსახული.

9. წმ. გიორგის ხატი ფიცარზე ნახატი, შუაში წმ. გიორგი ცხენზე, გარშემო მისი სცენები. ბერძნული ნახატი, წარწერები ბერძნული აქვს. იგი ზის ჩარჩოში, რომელიც სადაფით და სხვ. შემკულია. ზომა ჩარჩოსი 55×44×6 სმ. თვით ხატი 49×37,5×21,5 სმ.

10. ტილოზე ნახატი ჯვარცმის ხატი. გადაკრულია ჩარჩოზე 99×179 სმ.

11. ფიცარზე ნახატი ხატი ჯვარის ამაღლებისა (1) და ხატიკისა (2). 38×30,2 სმ. წარწერით ასომთაერულად:

ᲯᲕᲠᲘᲡᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲮᲐᲢᲘᲙᲘ ე. ი. „ჯვარის ამაღლება, ხატიკი“

ხატები ასეა: $\frac{1}{2}$

ახალციხის სავარდოს ეკლესიას აქვს ჟამნი გადაწერილი პეტრე სტეფანეს ძე ნებიეროვის მიერ. 587 გვ. დღეს აბარია პავლე თათუნაშვილს. დაწერილია ქართულად.

6. ახალციხის სურბ-სტეფანეს ეკლესია. გაკეთებულია ძველი ეკლესიის ადგილას. იგი ახალი შენობაა, გადაკეთებული 1887 წელს. სიძველეები:

1. კანდელი ვერცხლისა, წარწერა სომხური. დიდი ზომისა.
2. ჯვარი ვერცხლისა 26,5×26,5×1 სმ, წინა მხარეს დაფერილი ოქროს წყალში. შემკული 11 დიდი (ერთი აკლია) და 12 წვრილი ქვით. სომხური წარწერით მეორე მხარეს.
3. ჯვარი ვერცხლისა, რომლის ზევითა ნაწილი ოქროშია დაფერილი, შემკული 38 დიდ-პატარა თელით (აკლია მრავალი). 27×12×0,7 სმ.
4. თუნუქზე ნახატი ხატი, ერთ მხარეს მაცხოვარი ეკლის გვირგვინით, მეორეზე — ჯვარცმა. 26,5×21,3 სმ. გაკეთებულია ჩარჩოში.

7. ახალციხის დარამალა (ებრაელთ უბანში)-ში (ღელის პირი, ახალი სახელი კ. გვარამაძისა) არის ეფრემ მიხეილის ძე მოშანაშვილის სახლი ორსართულიანი.

მეორე სართულში არის ერთი მოზრდილი ოთახი, ჩარდახი, მცირე სამზარეულო, ორივეს აქვს ჩრდილოეთ კედელში ბუხრები და ორ-ორი დოლაბი. ბუხრის მარცხნივ და მარჯვნივ შუა გამყოფ კედელს აქვს მესანდარა (ხალია). ეს არის დასავლეთი კედელი. სამხრეთით არის გამართული ტახტი. ჭერი თავანი შუაში შემკულია წახნაგოვანი წრით. სარკმლები აქვს აღმოსავლეთით სამი და ჩრდილოეთით მცირე სანათური სამზარეულოში. სამხრეთ მხარეს გამართულია აჯილაკი (ტახტი), სადაც პატარძალს აწვენდნენ ახალ ჯვარდაწერილს; ორივე ნაწილის კედლებს გარშემო 1 არშინის სიმაღლეზე (იატაკიდან) შემოსდევს ასიბა (სიმები) — არხატახტა, ანუ ზურგის მისაყუდებელი. ეს სახლი თათრის შენობა ყოფილა უწინ. სახლში ასასვლელი არის აღმოსავლეთ მხრიდან კიბით დერეფანში შესვლით. ორივე ნაწილში გამართულია თაროები, რომელზედაც მომწკრივებულია ჭურჭელი სპილენძის, თიხის და ფარფორისა. ბუხრის ქვა დიდ ოთახში შემკულია ორნამენტით. ტახტზე ხალიჩა და ბალიშებია გამწკრივებული. დიდი ოთახის კარი შემკულია სახით და ფერადით ყოფილა მოხმიადებული (ხმიადის მაგვარი ფორმით).

7. სურპნიშანის ეკლესია ახალი შენობაა აშენებული ქართული ეკლესიის ადგილას. იგი გუმბათიანი შენობაა. 1863—1868 წწ. სიძველენი:

1. შელოცვის გრაგნილები 4 ცალი მე-19 ს.

8. ახალციხის სურპფრიგიჩ (მაცხოვრისა) ახალი ეკლესია.

1. ავეტარან (სახარება) 28,5×21×3,5 სმ. 1741 წ.
2. ჰაისმაურქ წმინდანების ცხოვრება. თავი და ბოლო აკლია. 49×32,5×14 სმ.
3. ავეტარან 17×13×6 სმ. 1795 წ.

9. ახალციხის კათოლიკეთა ღვთისმშობელი მარიამის ეკლესია ახალი შენობაა. სიძველენი: 1. ორი ხელნაწერი პატარა წიგნი სომხურ ენაზე.

* * *

შუა ციხეში, ყოფილი ეკლესიის სამხრეთ მხარეს აღმოსავლეთ კუთხეში, პირით აღმოსავლეთით არის ძველი სარკმელი(?), რომელსაც მარცხენა მხარეს უდევს ქვა ჯვრის გამოსახულება სომხური ფორმისა.

ამავე ხაზზე, ჩამოსავალზე (??) ამის მარცხნივ, პირით აღმოსავლეთით არის ქვა ჯვრით. გამოსახულების მარცხნივ (ჩამოსასვლელ) კოშკზე პირით აღმოსავლეთით არის ისეთივე მეორე ქვა და მცირე ქვა ცხერის გამოსახულებით.

(აქვეა ავტორისეული მინაწერი) „საცა თავი შევყავი სულ სომხებია, რა ღმერთი გაგიწყრათ, გაწყდით ქართველებო? შემოდი, არქივი დაათვალიერე, —არა მანდ აღარ შემოვალო“.

მილიციის უფროსი ჩახალოვი — „აქ საზღვრის ხაზიაო, იქაური კანონები აქ არ სრულდებაო“.

* * *

ჭ. ახალციხეში მღვდელ პავლე თათენაშვილს აქვს:

1. შაჰყულიანის სომხურ-ქართული ლექსიკონის პირი. 22×18×4,5 სმ. მე-19 ს.
2. ღვთისმეტყველება სომხურ ენაზე. 27×18,3×5 სმ. მე-18 ს.
3. ქადაგებანი სომხურ ენაზე. 23×19,5×3,5 სმ. მე-19 ს. ნაწილი I მე-18—19 სს.
4. იმავე წიგნის მეორე ნაწილი 22,5×18,5×3 სმ. მე-18—19 სს.
5. ქადაგებანი სომხურ ენაზე. 1793 წ. 22×16×6,5 სმ.

6. სადღესასწაულო ქართულად 21,5×16,5×4,5 სმ (ეს წიგნი ზევით დაწერილი მაქვს. ზომა არ უწერია). მე-19 ს. დასაწყისი.

7. ქადაგებანი ქართულ ენაზე, გადაწერილი აშტარხანს 1802 წ. ზომა 30,3×21.2×2,5 სმ.

მეორე ფურცლის წინა გვერდზე ბოლოს აქვს მინაწერი:

1. დაიწერა აშტარხანს რუსეთშიდ წელსა ქ˜ეს 1802.
2. ქ˜ეს შობის თვის პ˜ლსა
1. პეტროს ერთ˜პტი ხუციძიანთი ახალციხელი პრომის
2. წ˜ა ეკლესიის კრების შვილი.

8. ქადაგებანი ქართულ ენაზე, გადაწერილი 1798 წ. 17×11,5×3,5 სმ.

9. ქადაგებანი ქართულ ენაზე მე-18—19 ს. 18,5×12,2×1,3 სმ.

10. ქადაგებანი ქართულ ენაზე 1838 წ. 18×11×1 სმ.

11. ქადაგების რვეული 16,2×11 სმ.

ავტორისეული მინაწერი: № 7 აწერილი წიგნის მაგიერ უნდა გადავცე მღვდელ ვარდიძეს, გაბრიელის ქადაგებანი 2 ცალი და ლეონიდეს წიგნები I და II. სამაგიეროდ ეს წიგნი უნდა გამომიგზავნოს.

მე-8—11 ნომრებით აღწერილი წიგნები ჩაიბარე მუზეუმში გადასატანად.

მ ო ღ ნ ი ს ი ს ე კ ლ ე ს ი ა ერთნავიანი შენობაა, 4,6×2,7 მ. იგი ნანგრევია. დგას მარტო კედლები, ისიც გარეთა პირის ქვა შემოცლილი. თაღიდან შენახულია ჩრდილოეთის ნახევარი. კარი ჰქონია დასავლეთით, დღეს ეს ნაწილი გაგლეჯილია; სარკმელი აღმოსავლეთით, დასავლეთით და ვგონებ სამხრეთით —1, შიგნით ჩრდილოეთ კედელს ძირს აქვს სანათლავი. ტრაპეზი აღარ არის. ნაგებია ქვიტკირისაგან. გარეთა პირი უბრალო თლილი ქვა ყოფილა. ეკლესიის დასავლეთ მხარეს კარის მარჯვნივ მაღლა შერჩენია რაღაც გამოსახულების (ცხვრისა?) ნაშთი (თავი?). პირის ქვა გარედან მოწითალო არის: ის შერჩენია აღმოსავლეთ კედელს და სამხრეთ კედელს აღმოსავლეთ ნახევარში, ქვების წყობა სწორხაზოვანია. ნაგებია ჩაკირვით; სამხრეთი სარკმლის ადგილი გაფანგრეულია; ეკლესიას სამხრეთით, აღმოსავლეთ ნაწილში მიშენებული აქვს ეგეტერი; იგი ნანგრევად არის, დგას მარტო სამხრეთ კედელი.

მეორე ეკლესია დგას პირველის ქვემოთ, ჩრდილოეთით, რამდენიმე (10) მ-ზე, ისიც ერთნავიანი შენობაა 4,8×2,8 მ. ნაგებია ქვიტკირისაგან. მისი დასავლეთი კედელი განახლებულია აგურით; კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი დასავლეთით —1. ეკლესია სომხურ ყაიდაზეა

გამართული; საკურთხეველი 1 მ-ზე ამაღლებულია; ტრაპეზის ადგილას დგას სვეტი ოთხკუთხი, ჯვრის გამოსახულებით, სიმაღლით 1,2 მ (დაახლ.). საკურთხეველში არის ორი მცირე თახჩა. შუა ეკლესიაში საკურთხევლის ხაზთან ახლოს ჩრდილოეთ კედელში გამართულია სანათლავი. ეკლესია შიგნით გალესილია კირით, ეკლესიას თაღი აქვს, მაგრამ სახურავი აღარა ჰხურავს.

ორივე ეკლესია დგას ფოცხოვის მარჯვენა მხარეს, ახალციხიდან 2—3 ვერსზე, მცირე ღელის მარჯვენა, აღმოსავლეთ მხარეს, კლდოვანი გორაკების ძირში.

მეორე ეკლესიის დასავლეთით, ეზოზე, გდია დიდი ოთხკუთხი ქვა, ოთხკუთხად ამოჭრილი შუაში; იქნებ ზეთის სახდელი იყოს; ზომით არის 173×125×14 სმ. ამ ქვას ერთი გვერდის მხარესაც შეჭრილები უჩანს, ამ მხარეს ის მიწით არის დაფარული.

ახალციხიდან ქვების წაღებას აპირებდა მოსკოვის მუზეუმის წარმომადგენელი კუპჩინი: Международный Музей, проф. Купчин. მას წაუღია ერთი დარბაზი ახალციხიდან და აპირებდა თურმე მოღნისის ქვების წაღებას რაბათში რომ აწყვია: ორი ჯვრიანისა და ერთი წარწერიანის.

„თავს გაუფრთხილდი, ეს ქვეყანა შენს თავზე უკეთესი ხომ არ/გვონია"? (ხალის ვაჩნაძე, ხერთვისი, 1932 წ. სექტ.).

წ ყ უ რ თ ი ს ე კ ლ ე ს ი ა[48] ერთნავიანი შენობაა, 3,7×2,2 მ. ნაგები ქვიტკირისაგან. თაღი ნაწილობრივ დაზიანებულია, კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი აღმოსავლეთით — 1, დასავლეთით —1, და სამხრეთით სანათური —1. შიგნით არის:

1. ცხვრის თავი —1.
2. ქვაჯვარა 76×46 სმ.
3. ქვაჯვრის გამოსახულებით 42×38 სმ.
4. ქვა თათრული წარწერის ნაშთით, ნატეხი 46×49 სმ.
5. საქაჯავი ქვა, 43×56×32 სმ.

საკურთხეველს მაღლა დატანებული აქვს ორი ქოცო: ერთი (ჩრდ.) აღარ არის, მოცილებულია. საკურთხეველს აქვს ორი თახჩა. შუა ეკლესიაში ჩრდილოეთ კედელში არის სანათლავი, საკურთხეველში კლდეებია ამოშვერილი. წყურთში სომხები ცხოვრობენ.

უ კ ა ნ ა წ ყ უ რ თ ი ს ეკლესია დგას სოფლის ზემოთ, ჩრდილოეთით პატარა გორაკზე. ის ერთნავიანი შენობა ყოფილა, 5,5×2,3 მ. ნაგები ქვითკირისაგან; ახლა ნანგრევად არის. ძველი შენობიდან შე-

ნახულია მხოლოდ ნაშთი: კედლები 0,5 მ სიმაღლისა (უფრო შენახულია საკურთხევლის ნაწილი). ძველ საძირკველსა და კედლებზე ახალ ხანში ქვებისაგან ყორე დაუშენებიათ და ყორიანათ შენობას 1,5 მ ექნება სიმაღლით.

კარი აქვს სამხრეთით, სარკმლები არ შერჩენია. ტრაპეზის ქვა კედელზე მიდგმულია. მას უკანა მხარეს ჩაჭრილი აქვს (ნახ. 78). ტრაპეზზე დევს ფიქალი. 76×113×20 სმ. მის შუა ნაწილში გამოსახულია ჯვარი ქვეშ წარწერით: ⴑⴀⴂⴄⵖⵅ(ⵚ) (ⵏ)ⴍⵆⵚ

ე. ი. „დიდება ღმრთისა“; მაღლა, მარჯვნივ, ჩრდილოეთით, ხელაპყრობილი წმიდანი: ⵔⵆ ⵙⵅⵚ ე. ი. „წმიდაი საბა“. ქვემოთ, ძირს ცხენზე მჯდომარე წმ. გიორგი შუბით ჰგმირავს ვეშაპს (?). აწერია: ⵒⵆ ⵟⵆ

ე. ი. „წმიდაი გიორგი“. მარცხნივ, სამხრ. ხელაპყრობილი წმიდანი წარწერით: ⵙⴰⵎ ⵙⴰⵏ(ⵄⵖ)ანე ⵙⵃⵎ ⵃⵆⵏⴻⵖ ე. ი. „სიმონ მესვეტე“.

ეს ფიქალი სარკმლის თავია, ქვედა ნაწილში ქვეშ გამოჭრილი აქვს. ფიქალის ზევით არის დაყუდებული ქვაჯვარა 45×46×12 სმ.

ეკლესიის სამხრეთით ძველი სასაფლაოა. აქ საფლავის ქვებში არის ცხვრების გამოსახულება 5 ცალამდე: მათში მთელი —1, თავმოტეხილი —4, ყველა უფორმოა; ტანი ოთხკუთხედი აქვთ და სხვა.

ფიქალის მარცხნივ არის სხვა ქვაჯვარა, დაზიანებული. 36×21×7 სმ. აქვეა სხვა ქვაჯვარა — 31×34×11 სმ; აქვეა ცხვრისგან მოტეხილი თავი.

უკანა წყურთაში ცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები 2—3 კომლი (ძმები არიან).

ვ ა რ ძ ი ა[49].

1. აღმოსავლეთ ნაწილში, კლდეში, არის „თამარის“ ეკლესია, ერთნავიანი შენობა 4,3×2,2 მ. ტრაპეზის ქვა კედელზეა მიდგმული. ეკლესიას და საკურთხეველს გარშემო აქვს საჯდომები. საკურთხეველს აქვს ერთი საფეხური და მეორე ამაღლებული თვით საკურთხეველია. კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი ძლიერ დიდი სამხრეთით. კათოლიკონს ჩრდილოეთით აქვს ძლიერ დიდი თახჩა. საჯდომები აქვს კათოლიკონში ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებს. იგი გალესილია კირით. ამ ეკლესიის ჩრდილოეთით არის სასამართლო. იგი დიდი დარბაზია 9,5 მ სიგრძით, სიგანით 6,7 მ. მის ჩრდილოეთით არის სატუსაღო; სასამართლოს კარი და სარკმელი აქვს სამხრეთით. სასამართლოს სიგანე კარებთან 6 მ, ბოლოში 6,5 მ (ნახ. 79, № 1 თამარის ეკლესია, № 2 სასამართლო და სატუსაღო).

2. გამოქვაბულთა დასავლეთ ნაწილში არის „ა ნ ა ნ ა უ რ ი ს“ ეკლესია. იგი ერთნავიანი შენობაა 4,2×2,2 მ. ნაგები სწორედ თამარის ეკლესიის გეგმით; კარი აქვს დასავლეთით, სარკმელი სამხრეთით 2. ჩრდილოეთ კედელში კათოლიკონში არის ნიში — საძვალე. ტრაპეზი კედელზეა მიკრული. ჩრდილოეთ მხარეს საკურთხეველს აქვს თახჩა (ფანჯრები ერთი საკურთხევლის ნაწილშია. მეორე კათოლიკონისა); ჩრდილოეთ კედელში გამართულ ნიშ-საძვალეს სდებია ქვა, რომელიც ახლა შუა ეკლესიაშია გადმოგდებული. ეკლესია მოხატულია.

1. ს ა კ უ რ თ ხ ე ვ ლ ი ს კონქში დახატულია ჩვილედი ღვთისმშობელი წელამდე; მის მარჯვნივ და მარცხნივ ორი მდგომარე ანგელოზი მუხლებამდე თვითეული. ღვთისმშობელს აწერია: M͞P ΘV ე. ი. ღმრთისმშობელი, ყრმას I͞C X͞C ე. ი. იესო ქრისტე. საერთოდ წარწერები სულ ბერძნულად არის.

ძ ი რ ა რ ი გ ი. ტრაპეზის აღმოსავლეთით აწერია ΦIOC იგი თითქმის სულ მოსპობილია. შენახულია მხოლოდ ნიმბისა და კუბოს მახლობელი ნაწილი, იესო კუბოშია, დახატული ყოფილა წელს ზევით. მის მარჯვნივ და მარცხნივ მღვდელმთავარნი გაშლილი გრაგნილებით; გრაგნილებიც ბერძნულად არის დაწერილი. მარჯვნივ, ჩრდილოეთით პირველი არის წმ. იოანე? მას პირისახე სულ მოსპობილი აქვს. ზევით აღწერილ კონქში დახატულ ღვთისმშობელს და ყრმას პირისახე დაზიანებული აქვთ, განსაკუთრებით უკანასკნელს.

მეორე დახატულია წმ. ნიკოლოზი. მას პირისახე და მუხლს ქვევითა მხარე დაზიანებული აქვს. მესამე — თახჩაში ჯვარტვირთული იესო. დაზიანებულია პირისახის ნაწილში. მარცხნივ, სამხრეთით პირველი (ტრაპეზთან ახლოს) — წმ. ბასილი, პირისახე სულ მოსპობილია. მეორე წმ. გრიგოლი. მას პირისახე და ფეხის ნაწილი სულ მოსპობილი აქვს, მის დასავლეთით არის სარკმელი, რომელშიც ყვავილებია, ხოლო სარკმლის ძირა ნაწილი დაზიანებულია.

II. კ ა თ ო ლ ი კ ო ნ ი: მაღლა ზოლად 9 წრე ყვავილებისა თაღზე. ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი მ ხ ა რ ე: (იწერება აღმოსავლეთიდან დასავლეთი-

საკენ: გვერდზე 1. ღვთისმშობლის სასწაული(?). 2. აღდგომა(?), იესო დგას ჯვარზე, აქეთ-იქით საფლავია ორი, რომელზედაც დგანან სამ-სამი პირი. 3. ჯვარცმა; ამის ქვევით ნიშა-საძვალეში ერთი რიგია მარტო ისე ორ-ორი: 1. საკურთხეველთან: ზედა რიგში — ფერისცვალება, ქვედა დაზიანებულია; 2. ნიშ-საძვალეში — აღმოსავლეთ კედელზე ზედა რიგში ხარება, ქვედა დაზიანებულია, მოჩანს მხოლოდ ორი პირის ნაშთი თავიდან გულმკერდამდე. 3. ამავე ნიშის ჩრდილოეთ კედელზე იესო ტახტზე მჯდომარე აქეთ-იქით ორი ანგელოზით. 4. ამავე ნიშის დასავლეთ კედელზე, პირით აღმოსავლეთით ზედა რიგში მიცვალება ღვთისმშობლისა, ქვედაში ტაძრად მიყვანება? დაზიანებულია, შენახულა მხოლოდ სიუჟეტის ზედა ნაწილი. 5. დასავლეთ კუთხესთან ზედა რიგში რომელიღაც წმიდანი — Ὁαγιος cιεος ძირა რიგი დაზიანებულია.


სამხრეთი მხარე: გვერდზე 1. იერუსალიმში შესვლა. 2. მერმე ფანჯარაა, რომლის მარჯვენა, აღმოსავლეთ მხარეს დახატულია წმ. ლავრენტი; მარცხენა დასავლეთ მხარეს წმ. რომანოზი; 3. ლაზარეს აღდგინება. ამის ქვევით: 1. ნათლისღება, ძირი დაზიანებულია. 2. რაღაც სიუჟეტი ნახევარწრედ მდგომ ტახტზე სხედან 10(?) პირი, ხუთ-ხუთნი ერთმანეთისკენ არიან მიქცეულნი; მათ ქვეშ, ნახევარ წრეში ვინც იყო დახატული, დაზიანებულია, აბრაამის წიაღი ხომ არ არის (იხ. ნახ. 80).

დასავლეთი კედელი: 1. კარის მარჯვნივ სამხრეთით მიქელ მთავარანგელოზი, მარცხნივ გაბრიელ მთავარანგელოზი.

თვით კარებში მხატვრობა დაზიანებულია.

III. ეკლესიის გარეთ, სტოაში:

აღმოსავლეთ კედელზე, პირით დასავლეთისაკენ, კარის ზევით 12-ნი მსხდომარენი ნახევარწრედ; მათ მარჯვნივ, ჩრდილოეთით ექვსფრთოსანი საბწყრობელით ხელში, მარცხნივ, სამხრეთით წმიდანი მჯდომარე წარწერით:



ე. ი. „წმიდაჲ იელიტა“

ამ სურათის ქვეშ, პატარა ნახევარწრეში, თვით კარის თავზე დეისუსი: იესო ზის ტახტზე. მარჯვენით აკურთხებს, მარცხენით წიგნი უჭირავს მუხლზე; მარჯვნივ დგას ღვთისმშობელი, მარცხნივ ნათლისმცემელი(?); სახეები პირველთაც და მეორეთაც დაზიანებული აქვთ.


პირველში და მეორე ხატების მდებარეობა ასეთია (ნახ. 81). კარის მარჯვნივ, ჩრდილოეთით დგას ვინმე პირი, ხელებაპყრობილი, მას პირისახის წინა ნაწილი, მარჯვენა გვერდი, მუხლს ქვევით მარცხენა მხარე და ფეხების ნაწილი დაზიანებული აქვს. კარის მარცხნივ, სამხრეთით მოჩანს ნაშთი ვიღაც სამი პირისა, შენახულია მხოლოდ თავის მოხაზულობის ნაწილი. ჩრდილოეთი მხარე. 1. მაღლა, გვერდზე — ღვთისმშობელი ტაძარში (?), დაზიანებულია. 2. ქვევით ორი მთავარანგელოზი ემანუილის ხატით ხელში, ისინი მდგომარენი არიან. 3. ძირს პატარა ნიშაში, რაღაც სიუჟეტი: სამი პირი თავზე ფრთოსანი ანგელოზით.

სამხრეთი მხარე. გვერდი მოსპობილია, ქვევით შენახულა ვიღაც პირის ტანისამოსი წელიდან ფეხამდე.

ბოლოს, ჩრდილოეთ კედელზე, პირით დასავლეთისკენ ოთხი პირი მდგომარე, ძლიერ დაზიანებული, მდგომარენი პირით სამხრეთით, მათ წინ პატარა ხატი მაცხოვრისა წრეში. ამის ქვევით შენახულა მხატვრობის მცირე ნაშთი.

სტოას წარწერება ასომთავრულად ჰქონია. ეკლესიას კი სულ ბერძნულად აქვს. ქართული თითქმის სულ დაზიანებულია.

დასავლეთ კარის ზევით (სტოაში) ნახევარწრედ ყოფილა წარწერა, რომელიც დაზიანებულია, ქარაგმები არ უჩანს:



ე. ი. „ქრისტე, ესე არს ბჭე უფლისა და მართალნი (შევლენ ამას შინა“)

ეკლესიის (გეგმა იხ. ნახ. 82) დასავლეთით არის რაღაც დიდი შენობა, რომელსაც ტეხილი კამარა აქვს ჩრდილოეთ მხარეს გაკეთებულ ნიშაზე (იხ. ნახ. 83); მისი სამხრეთი ნაწილი დაზიანებულია. ზომით არის 6×4 მ.

ამ ეკლესიაში ტრაპეზის ქვა ზევიდან ამ ფორმისაა (ნახ. 84).

თაღები ყველა ოთახს მრგვალი აქვს.

3. „ნიტოლიის“ (ანატოლიის?) ეკლესია დგას სამრეკლოს დასავლეთ-ჩრდილოეთით. იგი მცირე ერთნავიანი შენობაა 3,5×2,5 მ. კარი აქვს დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, მის დასავლეთი ნაწი-

ლი და სამხრეთი მხარის დასავლეთი ნაწილი დაზიანებულია. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული.

4. აქვე არის დიდი დარბაზები, კიბეები, ქვევრები და სხვა. მთელი ქალაქია. ოთახებს, ნიშებს, იარუსებს და სხვას აქვს შესანიშნავი კამარები.

5. მონასტრის შუა ნაწილში ოდნავ სამხრეთით გამოწეულ ადგილზე დგას თლილი ქვისაგან ნაშენი ქვითკირის სამრეკლო. მაღლითა ნაწილი დაქცეულია. ძირა სართულს აქვს სამი კამარა. აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით. ზომით არის 6×6 მ. აღმოსავლეთი და დასავლეთი კამარები (გარედან) შემკულია შესანიშნავი ჩუქურთმით. სამხრეთი კამარა ნაწილობრივ დაქცეულია. ჩრდილოეთ კედელს შიგნით პირის ქვა მოცილებული აქვს, კამარის ქვემოთ სულ.

6. სამრეკლოს ქვევით არის მარანი 8,5×5 მ, რომელსაც დასავლეთის კედელში სამხრეთი კუთხისაკენ აქვს საწნახელი ღარით და გალესილია სუფთად (ნახ. 85).

7. მთავარი ეკლესიის დასავლეთით არის წყარო, რომელშიც გზა შედის დერეფნებით. მას აუზი აქვს.

8. მთავარი ეკლესია ერთნავიანი შენობაა 13,8×7,5 მ, რომელსაც სამხრეთით აქვს ცალკე ნავი. იგი სულ კლდისაა, გარდა სამხრეთის ნავის სამხრეთი კედლისა, რომელიც განახლების დროს შემდეგ ხანში არის აშენებული. კარი ეკლესიას აქვს დასავლეთით —1, სამხრეთით—1, ჩრდილოეთით —2, სულ 4. ეკლესიის დასავლეთით კლდეში არის აკლდამები. კლდეშივეა ეკლესიის ჩრდილოეთით სამწირველოები (ნახ. 86). სარკმელი სამხრეთით —8 (4 დიდი, 1 საშუალო, 3 პატარა). ჩრდილოეთით —5 (1 საშუალო, 4 პატარა). სულ 13.

ტრაპეზი საკურთხეველის შუაში დგას, სამკვეთლო კედელზე ძიდგმული: ტრაპეზი რვაწახნაგოვანი ქვაა. ძირს და ზევით ადევს ოთხკუთხი ქვა. აღმოსავლეთ კედელში გამართული. მღვდელმთავრის საჯდომი. საკურთხეველს და შუა ეკლესიას აქვს საჯდომები კედელთან. ეკლესია მოხატულია.

საკურთხეველის კონქში დახატულია ჩვილედი ღვთისმშობელი. იგი ზის ტახტზე. ღვთისმშობელს შუბლი, მარცხენა თვალი, მარჯვენა მხარეს ყურიდან მხრამდე და ფეხების ადგილი დაზიანებული აქვს. ღვთისმშობლის აქეთ-იქით დგანან მთავარანგელოზნი; მარჯვნივ მდგომარეს მარცხენა მხარე აქვს დაზიანებული, მარცხნივ მდგომარეს მარცხენა ფეხის მხარე. ძირს (I რიგი) დახატული არიან მღვდელთმოძღვარნი მარჯვნივ, ჩრდილოეთით, მარცხნივ, სამხრეთით —8 (?). მათგან 4 კედელზე პირით ჩრდილოეთისკენ, 4 — ფანჯრებში. წარწერები თავებთან მათ ბერძნულად აქვთ, გრაგნილებზე კი ზოგიერთს ბერძნულად, ზოგიერთს ასომთავრულად. მღვდელმთავრის საჯდომის ახლოს ოთხი მღვდელმოძღვრის მუხლს ქვედა ნაწილი მოსპობილია. საერთოდ მხატვრობა ყველგან გაშავებული და დაზიანებულია.

კათოლიკონი.

ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი მ ხ ა რ ე. გვერდზე (აღმოსავლეთიდან დასავლეთით არის აწერილი) 1. ლაზარეს აღდგინება. 2. ფერისცვალება.

ს ა მ ხ რ ე თ ი მ ხ ა რ ე. 1. გვერდზე სახარება. 2. შობა ქრისტესი; ორივე დაზიანებულია.

ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი კ ე დ ე ლ ი. ზედა რიგი: 1. ფერხთბანა, დაზიანებული. 2. რაღაც სიუჟეტი — იესო? გვერდზე წევს, თავი ღვთისმშობელთან უდევს და ზევით შემოხვევიან 11 მოციქული? დაზიანებული.

ს ა მ ხ რ ე თ ი კ ე დ ე ლ ი, ზედა რიგი: 1. რაღაც სიუჟეტი დაზიანებული. 2. რაღაც სიუჟეტი დაზიანებული.

ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი კ ე დ ე ლ ი. ძირა რიგი: 1. აღმოსავლეთ ყალბ კამარაში — აღმოსავლეთ ნაწილში ზის ღვთისმშობელი, ხელები გაუშვერია დასავლეთისკენ, ხოლო დასავლეთ ნაწილში დგას ორი პირი ღვთისმშობლისაკენ ხელებგაპყრობილი (გიორგი III? და თამარი). ამ უკანასკნელთ თავზე გამოსახულია მცურავი ანგელოზი. ღვთისმშობლის მარცხნივ, რაოდენიმედ ძირს დგას რომელიღაც წმ. მხედარი. 2. დასავლეთის ყალბ კამარაში — შუა ნაწილში დგას ღვთისმშობელი ყრმით მარცხენა ხელში, მარჯვენა კი გაწვდილი აქვს დასავლეთისკენ. დასავლეთ ნაწილში კი დგას ვინმე დიდებული მისკენ (ღვთისმშობლისკენ) ხელებგაპყრობილი. ღვთისმშობლის მარცხნივ ვინმე წმიდანი? ღვთისმშობლისა და მის მარცხნივ მდგომის ქვეშ 4 წმიდანი? რიგზე მდგომნი, მუხლს ქვემოთ დაზიანებულნი.

ს ა მ ხ რ ე თ ი კ ე დ ე ლ ი ზევიდან მეორე რიგი — აღმოსავლეთი ყალბი კამარა 1, ჯვარცმა. ქვედა რიგი—წმიდანები მდგომარენი, სამი კედელზე პირით ჩრდილოეთისკენ. ოთხი ფანჯრებში, პირველი ფანჯრის თავზე თვითმპყრობელი(?), მეორისა იესო(?). დასავლეთ ყალბ კამარაში რაღაც დიდ სიუჟეტს მთელი ადგილი უჭირავს. ფანჯარაში ორი წმიდანი.

პ ი ლ ი ა ს ტ რ ზ ე 8 წმიდანი (4 ჩრდ., 4 სამხრ.), ისინი მდგომარენი არიან, ზოგი ძლიერ დაზიანებულია.

დასავლეთი კედელი. მაღლა: 1. მხატვრობა გამურული და მისი ქვედა ნაწილი სულ მოსპობილია. ქვევით: (ჩრდილოეთი მხრისაკენ): 1. გარდამოხსნა. 2. შუა ნაწილში კედლისა, კარის ზევით — საშინელი განკითხვა. სამხრეთი მხრისაკენ 3. ამაღლება?. სამხრეთი კარების თაღის გვერდებზე — ორი მდგომარე პირი, დაზიანებული. კარის თავზე — ხელთუქმნელი ხატი — იესოს თავი.

სამხრეთი ნავი.

ჩრდილოეთი კედელი. აქ სამ რიგად დახატულია საშინელი განკითხვის სცენები: მართალნი ტახტებზე, ცოდვა-მადლის აწონა და სხვა.

თაღი. შუაში. ჯვარი, ძვირფასად შემკული, უჭირავს ოთხს ანგელოზს.

აღმოსავლეთ გვერდზე — ანგელოზი მდგომარე; მის ქვევით — ვიღაც პირნი დაზიანებულნი. უკანასკნელის ქვევით — აფსიდაში — ვედრება შუაში.

ვარძიის წარწერები:

1. კარის მარცხნივ, აღმოსავლეთით, ზევითა ნაწილში, მე-12—14 სს. მხედრულით:

1. ქ: ვარძისა. ღთისმშობელო: მიშულე: შენს
2. ძისა: სიყარულისა: ორთავე: შინა: [ცხორე](ბ)ათა:
3. ცუდვილსა: მახარებელ(ს) [ა]. . . (კირი აგლეჯილია).

2. პირველის მარცხნივ, აღმოსავლეთით, მე-16—17 სს. მხედრულით:

1. პც: ხატი: მიპ ა (რა): პამაჯ(ე). ყ.ო:
2. მ(გ) მ (ობა)რთა: თანა: . . .
3. . ბ . . .(მა: სუფ) . . .


3. მეორის დასწვრივ, ძირს, მე-14—15 სს.:

1. ქ: ნუ: გშურს: შე[ნდობ]ა: შენდობილო: ცოდვილისა:
2. . . . ბა კლ . . . თქუენსა: მადლსა შემე(წიენით) სა-(ცოდავსა) [მახა].
3. რობელსა:

4. მე-2-ისა და მე-3-ის აღმოსავლეთით მხედრულად, მე-14—16 სს. ხელით:

1. ქ ორმოცნო მამ[ანო]: . . .
2. დიდად ცოდ
3. ვილსა ამას . . .


5. მე-4 წარწერის ქვემოთ ძლიერ დიდი ასოებით, ასომთავრულით, ნაწილობრივ ხუცურით. წერტილები ამ წარწერას წრეების სახით უწერია:



ე. ი. „ქრისტე, ვარძიისა ღმრთის მშობელო შემიწყალე მე წინაშე ძისა შენისა ფრიად ცოდვილი ბლო(რძე)ლი ბრ´ა. ვინცა შენდობა მიბრძანოთ, თქვენცა შეგინდვნეს ღმერთმან. ნუ გშურს შენდობ[ა]...“

1, 2 ადგილის დაზიანების გამო ადგილებია დატოვებული. მე-3—4 ადგილის დაზიანების გამო დიდი ადგილებია დატოვებული).


6. მე-5-ის აღმოსავლეთით, ოდნავ ზევით, მსხვილი ხელით ასომთავრულით:



ე. ი. „ვარძიისა ღმრთის (მშო)-(ბე)ლ(ო) შემიწყალე შავთელ ჴოვან(ე)..“

მეორე სტრიქონის პირველი 4 ასო პირველი სტრიქონის ხაზს უახლოვდება.

7. მე-6-ის ძირს, უფრო წვრილი ხელით; მე-13—14 სს.:



ე. ი. „ვარძიისა ღმრთის მშობელო მეოხ...“

8. მე-6 აღმოსავლეთით: მე-18 ს.


1 : ღმერთო მი შერ

9. მე-8 აღმოსავლეთით, ახლოს, მე-13—14 სს.:

1 ქ: ყოლად: წმიდაო. . .

ეს წარწერა გადასულია, ყოფილა 5 თუ 6 სტრ.

10. მე-9 ქვემოთ მსხვილი ხელით ასომთავრულად:



ე. ი. „ქრისტე, ყოველად წმიდაო ვარძიისა ღმრთის მშობელო . . . ცოდვილი, (მ)ე გერმა(ნო)ზის შვილი, შენდობა ბრძანეთ მდ-(ლ)...“

11. მე-9 აღმოსავლეთით მე-14—15 სს:

1 ფარიად ცო

2 დავილასა . . .

12. მე-11 ძირს, ოდნავ აღმოსავლეთით


1 ქ ვარძისა ღ˙თის მშ(ობელო)

2.. ფრიად ცოდვილი . . .

3. უნაყოფო . . . .

4,5 და 6 სტროფები არ იკითხება

13. მე-12 აღმოსავლეთით:



ე. ი. „ბითა წყბითა“.

3—7 დაზიანებულია ყველა.


14. მე-13 აღმოსავლეთით

1. ქ(ვაი მე) . . . აგა: მ(ე)ორედ(ა): (მო)

სლვასა:. (სიიაც) ზედა:. იხილე რა ვაქნ[ა]

მე-6 ნომრით გადმოღებული შაითელის წარწერა ახლა სინამდვილით მაქვს გადმოღებული.

15. სამხროში შემავალ კარს შიგნით აქვს ასომთავრული წარწერა (სასვენი ნიშნები ზოგან არ ჩანს):




ე. ი. „ქრისტე, ყოველად წმიდაო ვარძიისა ღმრთისმშობელო, ადიდე ორთავე შინა სუფევათა დიდისა ამის ტრაპეზისა აღმაშენებელი პატრონი ივანე, ასუფევე და ცოდვანი მათნი შეუნდოს ღმერთმან, ამენ“.

სამხროს აღმოსავლეთ ნაწილში ზედა სართულში გამართულია სამწირველო, რომლის კონქშიაც დახატულია ვედრება (ქრისტე, ღვთისმშობელი, ნათლისმცემელი).

16. სამხროში კარს მაღლა მარჯვენა ნაწილში არის მინაწერი მხედრულად:

1:. ქ: ღმერთო: ამა: მეორედა: მოსლვსა: ნიშულე:

17. ამის ქვემოთ, აქვე ასომთავრულით:



ე. ი. „გერმანოზის შვილსა ნიკოლოზს შეუნდოს ღმერთმან“.

წარწერები № 10, 13 და 17 ხელით, მელნით ასოების სიდიდით ძლიერ ემსგავსებიან ერთმანეთს.

სამხროში, დასავლეთ მხარეს, მე-2 რიგში დახატული მღვდელ-მთავრების და მათ უკან ეკლესიის გამოსახულების გასწვრივ, სამხრეთ კედელზე, ლურჯ ფონზე არის რაღაც სიუჟეტის წარწერის ნაშთი:

·(ᲠᲖᲮᲜᲡ)··· ე. ი. (წლნეს) . . .
···(ᲡᲔᲪᲮᲡ)··· . . . (სტეფანეს) . . .

1. დასავლეთით დახატული პირის მარცხნივ:

1 . ᲐᲮᲢᲔᲒᲜᲔᲑᲡ ᲐᲖ ე. . . ჩქიადედს ძო
2 . . . ᲐᲡ ᲐᲮ(ᲣᲐᲮ) . .ᲐᲮ . . მს ორ (თმრ) . . ონ
3 . . . ᲩᲐᲒ . . ᲢᲮ 8 ᲮᲢ . . . წოდ . . .ერ 8 ვი..
Ა . . Ა ო..ო
4 . . ᲯᲐ 25 ᲡᲔ ... დო 25 სა
5 . . ᲐᲘ 20 Ი .. მღ 20 ... ღ
6 20 20
7 ᲒᲔᲐ ᲖᲢ 15 დამ ლი 15
8 ᲩᲐᲣᲔ 20 წმთა 20
9 20 20

(ციფრები ტექსტში აღნიშნავენ დაკარგული ასო-ნიშნების რაოდენობას).

2. თამარის მარცხნივ, აღმოსავლეთით:

1. (☼) ᲙᲔᲜᲔᲡ : ᲔᲘᲐᲐᲡᲔᲮᲖᲣᲔᲡᲔ :
2. ᲐᲣᲤᲣᲔ : ᲐᲣᲤᲣ : ᲧᲮᲢ
3. (ᲔᲢ : ᲔᲜᲡ) : ᲣᲔᲐᲔ : ᲧᲐ . . ს
4. ᲐᲣᲘᲘᲖᲔᲡ : ᲐᲘᲩ
5. Ა .

ე. ი. „ყოვლისა აღმოსავლეთისა (ლი გ˘ისა) თამარ რმ . . ს
მეფეთა მეფე, შვი მეო(ღ)ლის მონ . . . ო

3. გიორგი მეფის მარცხნივ, აღმოსავლეთით:

1 ☼ ᲙᲔᲜᲔᲡ : ᲔᲘᲐᲐᲡᲔ ᲮᲔᲣᲔᲡᲔ : ᲐᲣᲤᲣᲔ :
2. ᲐᲣᲤᲣ : ᲔᲜ (ᲐᲣ ᲒᲣᲐᲘᲔᲧᲣᲡ)
3 . . . . ᲔᲐ . . .

ე. ი. „ყოვლისა აღმოსავლეთისა
მეფეთა მეფე გიორგი (ძე დემეტრესი)
... მ..

დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს გ ე ე რ დ ზ ე — რაღაც სცენა: წმიდა გიორგის წამება? მარჯვნივ ჩაცუცქულია ვიღაც პირი, რომელიც ტირის. მას შემდეგ, მარჯვნივ, სამხრეთით დგას ხელაპყრობილი ქალწული (ღვთისმშობელი თუ სხვა ვინმე), მის თავზე ურემია დახატული. ქალწულის მარჯვნივ დაჩოქილი ქალწული, რომელსაც ორივე ხელი გაპყრობილი აქვს ვიღაც მდგომარე კაცისაკენ, რომელსაც მარჯვენა ხელი წაუელია ქალწულის მარჯვენა ხელზე. ქვევით მრავალი ერთად მდგომარე პირი. მათ თავზე და წინ ყურძნების მტევნებია, უკან უგუმბათო ეკლესია. ეს სამოთხეაო (მოსე ბერიძე). ქვევით — ღმერთი ტახტზე მჯდომარე ყრმით კალთაში და ალბათ თავზე მტრედიც ექნებოდა, მის აქეთ-იქით ხეებია, თითო-თითო მხარეს, მარცხნივ ხესთან დგანან მრავალი პირი. მარჯვნივ ესეთი ადგილი დაზიანებულია. იქნებ ესეც სამოთხის ნაწილი იყოს ან იქნებ ეს იყოს სამოთხე.

ეკლესიის სამხრეთ ნავში კარი შედის სამხრეთი მხრიდან. კარი არის ხისა, წინა პირზე გადაკრული აქვს რკინის სალტეები და დაჭედილია ბრტყელი თავიანი ლურსმნებით. იგი იკეტება დიდი კლიტით და კიდევ ხის ურდულით. ვარძიაში არის რკინის კეტი სიგრძით 2,17 მ, გარშემო 16 სმ. წონით ნამდვილად 3 ფუთი და 20 გირვანქაა. ამბობენ თამარ მეფის დროისააო.

ზ ე დ ა ვ ა რ ძ ი ი ს[50] ეკლესია (იხ. გეგმა ნახ. 87) მთელი ეკლესიის ზომა 13,5×9,5 მ. თაღი შენახულია მარტო საკურთხევლისა, შუა ეკლესიის შუა ნაწილისა, ჩრდილოეთ ნავისა (მთლად) და სამხროს დასავლეთი ნაწილისა. ეკლესია მოხატული ყოფილა. აქა-იქ შენახულია

წითელი საღებავის ნაშთი, მაგ, შუა ეკლესიაში დასავლეთი სვეტის აღმოსავლეთ კუთხეში, პირით აღმოსავლეთით.

ქ ვ ე მ ო დ ა რ ა ნ ე თ შ ი[51] წყლის მარჯვენა მხარეს არის გამოქვაბულები.

შუა დარანეთში სოფლის თავზე კლდის ძირას არის ეკლესია 5,6×2,5 მ. შენახულია მარტო აღმოსავლეთი კედელი თაღის ნაწილით და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნახევარი. ნაგებია ნაწილი თლილი და ნაწილი სწორპირიანი ქვით და კირით, ჩაკირვის წესით; დასავლეთ კედლად კლდე ჰქონია; ჩრდილოეთიდან ჩამოზვავებულ კლდეს ეკლესია მთლად ქვა-ღორღით გაუვსია. შენახულია აღმოსავლეთი სარკმელი. კარი სამხრეთით ექნებოდა. იგი ერთნავიანი შენობაა, კარის ქვა ეკლესიის ქვემოთ არის. ზედა დარანეთის ეკლესია დგას იაილებში სახლების სამხრეთით. იგი ერთნავიანი შენობაა 7,5×4,1 მ. შენახულია მხოლოდ საძირკველი; ნაგებია თლილი ქვისაგან; შენახულია მხოლოდ ქვების პირველი წყობა, ისიც ნაწილობრივ, ნაწილობრივ საძირკვლის ქვებია. ტრაპეზის ქვა ერთი დიდი ოთხკუთხი ქვაა, დღეს გადმოგორებულია და ნაწილობრივ მიწითაა დაფარული; ის საკურთხეველის კედლიდან ოდნავ დაცილებული ყოფილა. კედლის სისქე 90 სმ-ია. კარი არ უჩანს; აქვე ყრია რამდენიმე მისი თლილი ქვა.

ვ ა ნ ი ს ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 9,9×4 მ, რომელსაც სამხრეთით ჰქონია საძხრო (მისი განუყრელი ნაწილი მასთანავეა აშენებული). უკანასკნელი ახლა აღარ არსებობს (იხ. გეგმა ნახ. 88). მთელ შენობას გარედან სუფთა დიდრონი თლილი ქვა ჰქონია და აქვს, ხოლო შიგნით კი ეკლესიას აქვს ისევ თლილი ქვა, სამხროს კი გაუთლელი ქვა ჰქონია (ნაშთის მიხედვით). ეკლესია ნანგრევად არის ქცეული. დგას მარტო კედლები, კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი შერჩენია აღმოსავლეთით, სამხრეთით (სამხრეთით მეორეც უნდა ჰქონოდა). საკურთხეველს სამხრეთ კედელში აქვს ოთხკუთხი პატარა თახჩა, ჩრდილოეთ მხარეს ეს ადგილი დანგრეულია. ჩრდილოეთ კედელს შიგნითა პირი მოცილებული აქვს. დასავლეთი კედელი თვით ეკლესიისა, ერთი პირი ქვის მაღლა დაქცეულია; აღმოსავლეთი კედელი სარკმლის ადგილას გაგლეჯილია; სამხრეთი კედლის დასავლეთი ნახევარი, ქვების 3—4 წყობის მაღლა დაქცეულია, ჩრდილოეთი კედლის შიგნით შერჩენია მხოლოდ პილიასტრი. სამხროდან შენახულია მხოლოდ დასავლეთი კედელი (გარეთ თლილი ქვით, შიგნით უბრალოთი, უკანასკნელი ზევითა ნაწილში მოცილებული აქვს). მისი აღმოსავლეთი ნაწილი დაზიანებს გამო გამოურკვეველია.

ეკლესიის კარის თავის ქვა შემკულია შუაში ჯვრით და აქეთ-იქით ორი ვარსკვლავით (?). სამხროს ყოფილ კართან გდია მრგვალი სვეტი მაღლა აწოღრმავებული. ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე ძირა ნაწილში (საძირკვლიდან მეორე წყების) დიდ ქვაზე ჯამოსახულია ჯვარი.

სვეტის ზომა: სიმაღლით 1მ, სისქით 60 სმ. სამხროს ზომა 8×7 მ. გარეთ ყრია რამდენიმე თლილი ქვა.

ამ ეკლესიაზე, სამხრეთ მხარეს, წარწერების მარჯვნივ, მაღლითა პირზე დევს ქვა ჯვრის გამოსახულებით.

ვანის თავზე დანგრეული ეკლესიის ადგილს (რომელიც მე წინა წელს ავწერე), ბ ე ზ ი რ ხ ა ნ ა (ზეთის სახდელი სახლი) ჰქვიან. იქნებ აქ მართლა ზეთის სახდელი სახლი იყო და არა ეკლესია. ძველი აღწერა უნდა ვნახო, თუ მას ეკლესიის რაიმე ნაშთი აქვს ხომ ეკლესია იქნება, თუ არადა მაშინ ზეთის სახდელი სახლი.

შ ო ლ ო ს შ უ ა ტ ყ ი ს[52] ეკლესია დგას განისბელას ველზე, ოდნავ ამაღლებულ ადგილას. იგი ერთნავიანი შენობაა, რომელსაც სამხრეთით აქვს სამწირველო ორ ბურჯზე. კედლები შიგნით სულ მთელია, გარეთ კი დასავლეთ მხარეს ზედა ნაწილში დანგრევის გამო მოცილებულია, სამხრეთ მხარეს 7 ქვის გარდა (ძირს საძირკველთან, პირველ რიგში, შუა ნაწილში) აღმოსავლეთ მარჯვენა მხარე ძირამდე, სარკმლის ზედა ნაწილი და ჩრდილოეთ მხარეს შუა ნაწილი მაღლა მოცილებულია. სამხროს აღმოსავლეთი ნაწილი სწორკუთხედი აქვს. სარკმლის თავზე აქვს ჭანდაკება ელიას ატაცება (?). აქ ქვის მარცხენა მხარეს შენახულია ორი მოხუცი პირი, დანარჩენი ნაწილი დაზიანებულია.

შოლოს ეკლესია დგას ვანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 3 ვერსზე. მისი ზომაა: 6,6×3,2 მ, რომელსაც სამხრეთით აქვს სამხრო 6,1×2 მ. თავიდანვე აშენებული ეკლესიასთან, ხოლო დასავლეთით მიშენებული აქვს ნართექსი 2,65×6,5 მ. ძეგლი ნაგებია ნაწილობრივ თლილი, ნაწილობრივ სწორპირიანი ქვისაგან კირით ჩაკირვით. დგას მარტო კედელი 1—2 მ სიმაღლით. ტრაპეზად ერთიანი ქვაა კედელზე მიბჯენილი. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. სამხროს — სამხრეთით, ნართექსსაც სამხრეთით და აღმოსავლეთით (ეკლესიაში შედის უკან). კედლის სისქე 90 სმ. ძეგლის გარშემო არის ფეგები (იხ. გეგმა, ნახ. 89).

ნ ი ა ლ ი ს ეკლესია სამნავიანი (?) შენობა უნდა ყოფილიყო. იგი შიგნით და გარეთ ძლიერ დაზიანებულია; ის დღეს აღმასკომის თივის საწყობად არის ქცეული (გამოყენებული). კედლები შიგნით და გარეთ ძლიერ დაზიანებულია. შიგნითა პირი გაუთლელი ქვაა, გარეთა პირი

განახლებულია უბრალო თლილი ქვით. ზომა მთელი ეკლესიის 14,3×6,5 მ. სიმაღლე შენახული კედლისა (სადაც მაღალი შენახულა) 3,5 მ. შიგნით რა გეგმისა იყო არ ჩანს. მხოლოდ დარჩენილი სვეტის ძირი და მისი თაღი გვიჩვენებს, რომ ეკლესიას ნავები უნდა ჰქონოდა, გაყოფილი სვეტებით. სვეტის ძირი, რომელიც ახლა სახურავის ბოძს უდგას დასავლეთ-ჩრდილოეთ ნაწილში, მრგვალი ფორმისაა. მისი ირგვლივი ზომა ძირს 3 მ-ია, მაღლა—2,3 მ, სიმაღლე —67 სმ. სვეტის-თავი, რომელიც იმავე სახურავის სხვა ბოძს უდგას სვეტის ძირის გასწვრივ, ე. ი. დასავლეთ-სამხრეთით, ოთხკუთხაა, თითო მხარე ძირისაკენ შეეიწროებული და ბოლოს დამრგვალებული, ზომით 1 მ×90 სმ × 55 სმ. თვით არც ამ სვეტის ძირისა და ამ სვეტის თავის სვეტი და არც სხვა სვეტები და მისი ნაწილები არა ჩანს რა იქნა. ეკლესია მეტრნახევარზე მიწაში ზის. დღეს კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით კიბეებით ჩასასვლელი. გარეშემო ადგილი ფეხლად ნანგრევებისაგან უნდა იყოს ამაღლებული. ტრაპეზი ერთიანი ოთხკუთხა ქვაა მიდგმული კედელზე, ზომით 1 მ 5 სმ ×65 სმ ×62 სმ. აღმოსავლეთი სარკმლის ადგილი გაგლეჯილია, გეგმა რაც ნაწილები დარჩენილა ის არის (იხ. გეგმა, ნახ. 90). ჩრდილოეთ ნავის აღმოსავლეთი ნაწილი ქვით არის სავსე; სარკმლები არ შენახულა აღმოსავლეთით 2 სარკმლის გარდა (ე. ი. საკურთხევლისა 1 და სამხრეთ ნავისა —1). რამდენი სვეტი ჰქონია ეკლესიას არა ჩანს. ეკლესიის კედლები ნაწილი ძველია, ნაწილი განახლებულია უკიროდ. ძველი კი კირით არის ნაგები. ძველი კედლები შიგნით კარგად ჩანს და გამოირჩევა ახალი კედლიდან; გარეთა პირი კი უმეტეს ნაწილად ახალია, უკიროდ ნაგები. ეკლესიის ქვა უბრალოდ თლილი არის შიგნით და გარეთაც. ასეთივე იქნებოდა გარდა კარ-სარკმელ-სვეტებისა, როგორც ეს არის ვერანა ნიალაში.

ინჯა სუ (თათ.)=წმინდა წყალი (ქართ.)

ქუმბათი ადგილსა და წყალს ჰქვიან.

დარანეთს კიდევ დარინ-დაოა-სუს ეძახიანო.

ვ ე რ ა ნ ა ნ ი ა ლ ა მდებარეობს სოფ. ნიალის ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ. აქ არის ორი ეკლესია: ერთი ზემოთ, მეორე ცოტა ქვემოთ.

ზემო ეკლესია ჩვეულებრივი ერთნავიანი შენობაა, 7,5×4 მ. ნაგებია უბრალოდ თლილი ქვისა და კირისაგან ჩაკირვით. მხოლოდ ადგილ-ადგილ აქვს სწორი თლილი ქვა (კუთხეების და სხვ.). დღეს ნანგრევად არის; დგას მარტო კედლები, ისიც ნაწილობრივ დაქცეული. აღმოსავლეთი კედელი შუა ნაწილში თავიდან ბოლომდე დიდად 4×1,5—2 მ-ზე არის გაგლეჯილი; სამხრეთი კედელი შუა ნაწილში, ძირს,

2×3 მ-ზე აგრეთვე გაგლეჯილია, დასავლეთ კედლიდან შენახულია მხოლოდ ჩრდილოეთის ძირა ნაწილი, ისიც შიგნით პირმოცილებული. ჩრდილოეთით კედელი შედარებით მთელია. კედლების სიმაღლე საერთოდ 3,3 მ. საკურთხეველს აქვს ორი მცირე ოთხკუთხი თახჩა, კარი ჰქონია სამხრეთით. ამ კარის თავზე შიგნით უდევს მცირე ოთხკუთხი ქვა ჯვრის გამოსახულებით. ეკლესიას შიგნითი პირი თითქმის სულ შენახული აქვს (დასავლეთი კედლის გარდა), გარეთა კი მცირედღა შერჩენია და თითქმის სულ შემოცლილი აქვს; გარეთა პირის ქვა სულ მოწითალო ჩანს (შერჩენილის მიხედვით), შიგნითი კი ნაწილობრივ მოწითალო, ნაწილობრივ — რუხი. სარკმლები არ შერჩენია. კარი დასავლეთითაც იყო თუ არა, არა ჩანს, სამხრეთისა კი, ცხადია, შენახული ჯვრის გამოსახულების მიხედვით.

მეორე ქვემო ეკლესია დგას ზემოს აღმოსავლეთ-სამხრეთით 1/2 კმ. მას დასავლეთით სარკმლის მარჯვნივ (ჩრდილოეთის კუთხიდან მეოთხე ადგილას) უდევს დიდი გრძელი ქვა. შიგნით შუა ეკლესიას მაღლა აქვს კედლიდან გამოწეული ქვები კამარის დასაყრდენად.

ეკლესია ჩვეულებრივი ერთნავიანი შენობაა 6,8×3,3×6 მ. ნაგებია გარედან დიდი სუფთად თლილი ქვებისაგან, შიგნით კი უბრალოდ თლილისაგან კირით (ჩაკირვით). გარეთა პირის ქვა მოწითალო-მოყვითალო და რუხი ფერისაა, ქვების წყობა სწორსახაოვანია, ქვები შესანიშნავად არის გაწყობილი ერთმანეთთან. შენობა მთელია, მარტო სახურავი (თაღის ზევითა) არა აქვს. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი აღმოსავლეთით, დასავლეთით (ასეთივე იქნებოდა ზემო, პირველ ეკლესიაშიაც). შუა ეკლესიას მაღლა კედელში გამოწეული აქვს ქვები, რომლებზედაც ებჯინება კამარა, შენობა გარედან ლამაზი გაწყობილი და მოხდენილია, კარი (სამხრეთით) შემკულია ჯვრის გამოსახულებით, სარკმლები კი შესანიშნავი ჩუქურთმით, რომელიც მზე-წვიმისაგან არის დაზიანებული, ტრაპეზის (?) ერთიანი ოთხკუთხა ქვა კართან გდია. საკურთხეველი კანკელის ხაზთან გათხრილია. ტრაპეზის ქვის ზომა 106×49×44 სმ. საკურთხეველს მარჯვნივ და მარცხნივ აქვს ორი მაღალი და ვიწრო თახჩა, ქვების წყობა სწორხაზოვანია. საკურთხევლის თაღი მთლად სულ თლილი ქვისაგან არის შესანიშნავად აწყობილ-გამოყვანილი.

ნ ი ა ლ ი ს ჯ ა მ ე ს კარს (ჩრდილოეთით) აქვს ძველი ეკლესიიდან გადმოტანილი ქვები, ხაზებით შემკული. ძირს უდევს ორი მოწითალო ქვა (ერთი მარჯვნივ, მცირე მარცხნივ), სწორი იარაღის გამოსახულებით (იხ. ნახ. 91); ეკლესიის გარეთა პირის მასალა სულ ჯამესათვის

შეუხმარებიათ. კარის თავზე მდებარე ქვას აქვს ჩუქურთმა (იხ. ნახ. 92), სიმაღლეზე კი (კარს) მარტო ხაზები ჩამოსდევს. დიდ ეკლესიას კარი დანამდვილებით სამხრეთით და დასავლეთით აქვს. ისინი ძირს არის და ძველი ეკლესიის ეზოც დაბალი იქნებოდა.

გავეთის ეკლესია[53] დგას სოფლის სამხრეთით, პატარა წყლის მარჯვენა მხარეს. მას აღმოსავლეთი სარკმლის მარცხნივ და არა მარჯვნივ, როგორც მას ექ. თაყაიშვილი წერს, აქვს წარწერა:

1. ⴔⴁⴙⴚⴀⵀⴀⵀⴔⵀⴁⵀⴙⵀⴁⵀⵅⵀⴑⴑ
2. ⴚⴙⵖⵔ ⴁⵀⴀⵀⵔⵀⴀⵀⵖ
3. ⵖⵑⵀⵗⵔⵀⵀⵚⵀⴙⴁⵀⴀⵀⴖⴁⵀⴖⵀⵙ

ე. ი. „წმიდაო გიორგი მთავარმოწამეო,
მეოხ ეყავ ორთავე
შინა ცხორებათა ფოფხს“.

იხ. გეგმა (ნახ. 93).

ეკლესია ერთნავიანი შენობაა 12,15×6,7×10—11 მ. ნაგებია უზარმაზარი, სუფთად თლილი მოწითალო ფერის ქვისაგან ჩაკირვით. ქვა შიგნით და გარეთ თლილია. შენობა მთლიანად არის დაცული. სახურავად ფიქალი ჰხურავს. კარ-სარკმელი შემკულია შესანიშნავი ხვეული ჩუქურთმით. სამხრეთი სარკმლის ქვედა პირის ქვა ჩამოვარდნილია და სამხრეთის კართან არის. კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით, სარკმელი აღმოსავლეთით, დასავლეთით —1, სამხრეთით —1. დასავლეთი კარი ძველად ამოგებული ყოფილა და ახლა მისი ზემო ნაწილი დაზიანებულია. შუა ეკლესიაში, პილიასტრის აღმოსავლეთით, შენობის გარდიგარდმო გაყრილია ხის კოჭი. ეკლესია თვით არის სავსე. ტრაპეზი არ ჩანდა (თივის გამო). საკურთხეველს აქვს ორი დიდი თახჩა: ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ; აღმოსავლეთ მხარეს საქარეზე არის ცხვრის გამოსახულება; დასავლეთ სარკმლის ზემოთ არის შესანიშნავი ჩუქურთმიანი ჯვარი. აღმოსავლეთ სარკმლის ზემოთ კი უბრალო ხაზოვანი ჯვარია; დასავლეთ კედელს კარის მაღლა აქვს ორი გამოშვერილი ქვა; ჩრდილოეთ კარს კი მხოლოდ ერთი. ეკლესიაში თივა უყრია ადგილობრივ მცხოვრებს ბაირამ ისმაილ ოღლის. ტრაპეზის ქვა ძირს ყოფილა თივაში; ის ნახიშლიანიაო. ეკლესიის სამხრეთით მოჩანს რაღაც შენობის (ეკლესიაზე მიდგმულის) ნაშთი — საძირკველი. ეკლესიის სამხრეთით დგას ოთხკუთხა ემბაზი, ოთხკუთხად ამოჭრილი, ზომით 58×82×65 სმ. სამხრეთი კედელი შუაზე გახეთქილა ზევიდან ქვევით; სამხრეთი კედლის საძირკველი აღმოსავლეთ კუთხესთან დაზიანებულია.

ჭარზამეთი[54]

1. ⵖⵗ ⵜⵖⵔ ⵒⵀⵁⵔ ⵖⵖⵔ ⵖⵖⵚⵔ ⵃⵒⵚⵔ ⵖ
2. ⵃⵖⵏⵔ ⵃⵔⵖⵏⵚⵔ ⵔ ⵔⵖⵖⵗⵚⵔ ⵔⵚⵏⵖⵖ
3. ⵏⵚⵔ ⵒⵏⵔ ⵖⵏⵖ ⵔⵖⵚⵏⵚⵔ ⵔ

ე. ი. „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე გრიგოლ მ̄წლ მ̄სი, რომლისა ბრძანებითა აღეშენა წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ“.

ჭარზამეთის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 16×7,8 მ. ნაგებია შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვით და კირით. საძირკველი აღმოსავლეთ, სამხრეთ და ნაწილობრივ დასავლეთით თითქმის სულ გამოცლილი აქვს. გარეშემო და შიგნით ყრია თლილი ქვები. ქვები უზარმაზარია, სწორი, თლილი, წყობა — სწორხაზოვანი ჩაკირვით. დგას სოფლის თავზე კლდოვან ადგილას. პირის ქვა შიგნით და გარეთ ნაწილობრივ მოცილებულია. კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. საკურთხეველს აქვს ორი ღრმა მაღალი თახჩა (მაღლა დაუსრულებელი). სამხრეთი და დასავლეთი კარები შემკულია ჩუქურთმით, სამხრეთ კარზე არის წარწერა (იხ. ზევით). კედლის სისქე — 1,24 მ. კედლები სიმაღლით (შიგნით) 1,5 მ. შუა ეკლესიაში გდია ქვა, მაღლა ამოღრმავებული; იგი ემბაზი უნდა იყოს; ეკლესიის სამხრეთით არის ოთხკუთხი ქვა მაღლა ამოღრმავებული.

ძეგლი (როგორც თაყაიშვილიც წერს) დაუსრულებელია.

ჭარზამეთის მეორე ეკლესია მდგარა სოფლის ქვევითა ნაწილში. იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა 11,5×4,7 მ. შენახულია მარტო დაბალი 0,5 მ სიმაღლისა; ქვა სულ მოუცლიათ და აქვე მახლობლად, დასავლეთით სკოლა აუშენებიათ — 1928 წელს.


ჭარზამეთის ზევით, ხევის მარცხენა მხარეს, 1,5 კმ ჩრდილო-დასავლეთით კლდეში არის გამოჭვაბული, რომელსაც ყალას უწოდებენ.

ჭარზამეთის ჩრდილო-დასავლეთით მაღალ მთაზე, ჭარზამეთიდან 7 კმ-ზე ყოფილა ფეგები. ამას ჰქვიან ქიუმბეთი.

არტახში სოფელში არის ეკლესია; ის ერთნავიანი, ნანგრევად ქცეული შენობაა 8,2×3,1 მ. დგას მარტო ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის, სამხრეთის კედლის აღმოსავლეთი ნახევარი, ისიც ნაწილობრივ დანგრეულ-დაზიანებული. ჩრდილოეთი კედლის შიგნითი პირი აღმოსავლეთ და დასავლეთ ძირა ნაწილში მოცილებული აქვს; აღმოსავლეთი კედელი სარკმლის ადგილას გაგლეჯილია; ნაგებია უბრალო ნა-

ტეხი ქვისაგან კირით, მხოლოდ პილიასტრებს და კუთხეებს აქვს თლილი ქვა, კარი და სარკმელი არ შერჩენია. კარი უნდა ჰქონოდა სამხრეთით, სარკმელი ექნებოდა აღმოსავლეთით და სხვ. ძეგლი შიგნით გაღესილი ყოფილა კირით; ნაშთი შერჩენილა ჩრდილოეთ კედელზე. ეზოს ეკლესიის დასავლეთ-ჩრდილოეთ კუთხიდან მოკიდებული დასავლეთისაკენ გაყოლებული აქვს დიდი ლოდები დაყუდებით, სიმაღლე-სიბრტყით. ეკლესიაში გდია დუღაბის დიდი ნატეხი. ეკლესიის აღმოსავლეთით 10 მ-ზე დევს ოთხკუთხი ქვა, მაღლა ოთხკუთხად ამოღრმავებული ორ მხარეს ჯვრის გამოსახულებით 70×80×73 სმ. ჯვარი ერთ მხარეს დაზიანებულია. რა იყო ეს არ ვიცი.

ვ ა რ ნ ე თ ი ს ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე, სარკმლის მარცხნივ, ჩრდილოეთით დევს მოწითალო ფერის ოთხკუთხი ქვა 37×37 სმ წარწერით. წარწერა წვრილი ნაწერია: მეორე სტრიქონის ზოგიერთი ასო უცნობია; წარწერიან ქვას ძირა ნაწილში (უმეტესი ნაწილი) რაღაც უბრალო ხაზები აქვს.



ე. ი. „ქრისტე
ქრისტე (შ)ეიწყალე კაკა
წმიდაჲ ნაწ...
ა ხ ბ“

ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 7,6×3,9 მ. ნაგები ყოფილა ნაწილი თლილი და ნაწილობრივ უბრალო ნატეხი ქვისაგან კირით; ის დღეს ნანგრევად არის; შენახულია აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ კუთხის ნაგებობა, სამხრეთი კედლის თითო-ოროლა ქვა ძირს და ერთი ქვა აღმოსავლეთ კედლის სამხრეთ ნახევარში, დანარჩენი დაქცეულია. ქვები ზოგი აქვე ყრია. ტრაპეზი კედელზე არის მიდგმული, იგი ერთიანი ქვაა, შემკული წინა (დასავლეთ) მხარეს ჯვრის გამოსახულებით. ეკლესიაში თივა ყრია. ეკლესიის დასავლეთ და სამხრეთ კედლების ნაშთები 1 მ სიმაღლისა გარედან მიწით არის სავსე; კარი აქვს სამხრეთით.

ფ ა ნ ა კ ე თ ი ს[55] ეკლესია დგას სოფლის თავში. იგი ერთნავიანი შენობა ყოფილა 12,5×6,5 მ. ნაგები უბრალოდ თლილი ქვისა (კუთხე-კამარები ალბათ თლილი იქნებოდა) და კირისაგან ჩაკირვით. დღეს ნაშთია არის. დგას მარტო საკურთხევლის ნაწილის დუღაბი შიგნით და გარეთ გატრუსლებული, დანარჩენისა მარტო საძირკველი მოჩანს; აღმოსავლეთ სარკმლის ადგილი გაგლეჯილია. ქვების წყობა დუღაბზე შენახული, ქვების ნაღები ადგილების მიხედვით სწორხაზოვანია. აქაიქ თითო-ოროლა ქვა შერჩენია, უბრალო თლილი, ნატეხი და სხვა. კედლების დუღაბი სიმაღლით არის 5—5,5 მ.

აქვე, ამ ეკლესიის სამხრეთით 4 მ-ზე დგას ასეთივე მასალისაგან ნაგები ეკლესიის ნაშთი. იგი ერთნავიანი ეკლესია ყოფილა 6×3,2 მ. ამისიც შენახულია მარტო საკურთხევლის ნაწილის დუღაბი, რომელსაც შიგნით, ძირს შერჩენია ქვების ორი რიგის წყობა. იგი ჩაკირვით ყოფილა ნაგები, სიმაღლით შენობა იქნება 4 მ. მასალა სწორედ იგივეა, რაც დიდი ეკლესიისა.

ეკლესიის სამხრეთით ეკლესიიდან 70—100 მ-ზე, გზის პირას, არის დარანი, ანუ გზა, მიმავალი მიწაში სამხრეთისაკენ; მასში გზადაგზა შიგნით ოთხგება არისო; მისი პირი ახლა ნახევრად მიწით არის აკრეფილი.

ა ხ ო ს მ ა ნ ი ს[56] (დგილის სახელია) ეკლესია მდებარეობს ბაღებში არტანულას მარცხენა მხარეს, მისი შემდინარის მარცხნივე კლდის ძირში. იგი ერთნავიანი შენობაა (?), 9,2×3,85×5 მ, რომელსაც სამხრეთით აქვს სამხრო 8,5×1,1 მ. მთელი ეკლესიის ზომა 9,2×5,5 მ. ეკლესიას ჩრდილოეთით აქვს გამოქვაბული კლდეში, რომელ მხარესაც კედელს ძირს აქვს სამი კამარა ოთხკუთხ სვეტებზე დაბჯენილი. გამოქვაბულის ზომა 7,5×5 მ. ძეგლი ნაგებია უმეტეს ნაწილად სუფთად, თლილი ქვისა და კირისაგან, აქვს უბრალო თლილი ქვაც ადგილ-ადგილ შეხმარებული (იხ. გეგმა, ნახ. 94). ძეგლი დღეს ნანგრევად არის, დგას მარტო კედლები, ისიც ნაწილობრივ დაქცეული. აღმოსავლეთ კედელი მთელია, მხოლოდ შიგნით, ძირა ნაწილში პირის ქვა აქვს მოცილებული, სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ ნახევრის ძირა ნაწილი განგრეულია, ზევითა კი ჰაერშია გადაკიდული, დასავლეთ ნახევარსაც ძირა ნაწილი სულ დანგრეული აქვს, ზევითა ნაწილი კი მთლიანად (ერთიანად) მოგლეჯილია და აქვე გვერდზე, სწორე ხაზით ჩამოწოლილია; დასავლეთ კედელი მთელია, ჩრდილოეთი კედელიც მთელია. სამხრეთ აღმოსავლეთ-სამხრეთი, დასავლეთი კედლები დგას უთაღოდ. საკურთხეველს გარედან აფსიდა ნახევრად მრგვალი აქვს (შიგნით ჩვეულებრივია). ეკლესია შესანიშნავი შენობა ყოფილა. სარ-

კმლები შერჩენია მხოლოდ აღმოსავლეთით. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით გზაზე დევს ოთხკუთხა ქვა ოთხკუთხადვე ამოჭრილი.

აღწერილი ეკლესიის აღმოსავლეთით მცირე მანძილზე დგას მეორე ეკლესია. იგი ერთნავიანი შენობაა, 4,3×2,35 მ. ნაგებია ნაწილობრივ სუფთად და ნაწილობრივ უბრალოდ თლილი ქვისაგან კირით. ის ნანგრევად არის. დგას მარტო ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლები და სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნახევარი. გარეთა პირი სულ შემოცლილია, შიგნით კი შენახულია. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი აღმოსავლეთით.

ამ ეკლესიების აღმოსავლეთ-სამხრეთით, მცირე მანძილზედვე არის ორსართულიანი სახლის ნანგრევი; მისი მასალა უმეტეს ნაწილად ეკლესიის ქვა არის (თლილი). კარი ორივე სართულს სამხრეთით აქვს, სარკმელიც ორივე სართულს სამხრეთით აქვს; თითოს ორ-ორი სარკმელი. შენობა ზომით არის 4,15×4,25 მ. ამ შენობის გვერდზე, აღმოსავლეთით ყოფილა რაღაც შენობა. შენახულია მისი ნანგრევი.

ამ შენობათა აღმოსავლეთით არტანულას მარცხენა მხარეს 1—2 კმ-ზე არის ციხე, შენახულია აღმოსავლეთ-სამხრეთის და დასავლეთ-ჩრდილოეთის კუთხეების კედლები.

ფ ა ნ ა კ ე თ ი ს აღმოსავლეთით 2 ვერსზე, ზეგანის სამხრეთ კიდეზე არის გ უ გ ა თ ა ს[56] (ადგილის სახელია) ეკლესია. იგი ერთნავიანი შენობაა, 8,4×4×5 მ. დღეს ნანგრევად არის. თაღი შერჩენია მხოლოდ აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ კუთხის ნაწილს. ნაგებია გარეთ სულ თლილი ქვისაგან, შიგნით კი უმეტეს ნაწილად უბრალოდ თლილი და მცირედ (კუთხეებს) კარგად თლილი ქვაც: შიგნით პილიასტრები მოცილებულია, დანარჩენი პირის ქვა შენახულია, გარეთ კი დასავლეთ მხარეს სულ მოცილებულია, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ნაწილობრივ, ხოლო სამხრეთით მცირედ. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი — აღმოსავლეთით —1, დასავლეთით —1; ჩრდილოეთით და სამხრეთით (სარკმლების ადგილას კედლების დაზიანების გამო) არა ჩანს (იყო თუ არა სარკმლები).

ეკლესიის ქვების წყობა სწორხაზოვანია; ნაგებია ჩაკირვით; ძეგლი შესანიშნავი შენობა ყოფილა; აღმოსავლეთ სარკმლის თავზე მდებარე ქვაზე გამოსახულია ჯვარი; საკურთხეველს აქვს ორი ვიწრო და მაღალი თახჩა. ეკლესიის გარშემო არის უდიდესი ნასოფლარი.

დ უ მ ე ლ ა ს[57] (ადგილის სახელია) წისქვილი დგას პატარა წყლის მარცხენა მხარეს. იგი ოთხკუთხა შენობაა. 7,15×6,8×2,5 მ. ნაგებია ქვითკირისაგან. ის შეკეთებულია ახლო ხანში.

დ უ შ ე ლ ას ეკლესია დგას წისქვილის აღმოსავლეთით მცირე მანძილზე, ხევის მარცხენა მხარესვე. ის ერთნავიანი შენობაა, 7,6×4,2×5 მ. ნაგებია უბრალოდ თლილი ქვისა და კირისაგან, კუთხე — პილიასტრებს კი ნათალი ქვა აქვს. კარი აქვს სამხრეთით —1, სარკმელი აღმოსავლეთით —1, დასავლეთით —1. ტრაპეზი კედელზე ყოფილა მიდგმული. ის ერთიანი ოთხკუთხი ქვაა. ის გადაგორებულია და იქვე გდია. საკურთხეველს აქვს ორი თახჩა. თაღი შენახულია, მხოლოდ მისი დასავლეთი ნაწილია ჩამოქცეული.

დუშელას მეორე ეკლესია დგას პირველი ეკლესიის ჩრდილოეთით შემაღლებულ ადგილას. იგიც ერთნავიანი შენობაა, 5,15×2,4 მ. ნაგებია უბრალო ნატეხი ქვისაგან ჩაკირვით; დღეს ნანგრევად არის ქცეული, დგას მარტო ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლები და სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნახევარი 1,5 მ. სიმაღლისა, დანარჩენი დაქცეულია. აღმოსავლეთი სარკმლის ადგილი გაგლეჯილია. კარი აქვს სამხრეთით. სარკმლები არ შენახულა.

ა გ ა რ ი ს[58] ჩრდილოეთით 2—3 ვერსზე, ღელეში არის გ ი ო რ გ ი წ მ ი ნ დ ის ეკლესია. იგი ერთნავიანი შენობაა მცირე ზომისა. თაღი აღარა აქვს. ჩრდილოეთი კედელი მაღლა დაზიანებულია. დანარჩენი კედლები დგას. კარი აქვს სამხრეთით.

აქ ცხოვრობენ ქურთები.

ნიალაში და აგარაში — ქართველი მაჰმადიანები და აგარაში კი— ქართველი ქრისტიანები. დანარჩენი მოსახლეები თარაქამებია, სახელდობრ, თარაქამა არის: ვარნეთი, ფანაკეთი, არტახი, ქარზამეთი, გაევთი.

ა გ ა რ ი ს წ მ. გიორგის ეკლესია ერთნავიანი შენობაა 12,3×5,2 მ. ნაგებია უბრალო თლილი ქვისაგან კირით; იგი განახლებულია 1880 წელს. ძველიდან დარჩენილია მარტო კედლები, თაღის ადგილას ახალ ხანაში ფიცარი გადაუხურავთ და ზევიდან თუნუქი დაუხურავთ. შუა ეკლესიას აქვს სამი პილიასტრი; დასავლეთ კუთხესა და საკურთხევლის დასაწყისში ნახევარი სვეტი (?). ასე, რომ, თითო მხარეს შუა ეკლესია იქეთებს ოთხ-ოთხ ყალბ კამარას. შიგნით ეკლესია გალესილია კირით; კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი აღმოსავლეთით —1, დასავლეთით 1, სამხრეთით —2. იატაკი დაფენილია ქვით.

ეკლესიაში არის ქვა ჯვრის გამოსახულებით, დაზიანებული, 34×36×15 სმ.

ეკლესიის სამხრეთით, აღმოსავლეთ ნაწილში, დგას სვეტი აღმართული კვარცხლბეკზე. კვარცხლბეკი ზომით არის 1 მ 5 სმ ×80×

75 სმ. კვარცხლბეკზე დასავლეთ მხარეს გამოსახულია ჯვარი. სვეტი სიმაღლით არის 2,7 მ. სისქით 43 სმ. ის ოთხკუთხია, თავზე ახლად გაკეთებული აქვს ქვის ჯვარი.

აგარაში ადგილობრივი მცხოვრების მაჰმად აჰმად ოღლის ეზოზე არის ძველი ციხის ნანგრევი. შენახულია მარტო დასავლეთი და სამხრეთი კედლები 2,5 მ სიმაღლით; ზომით არის 5,6×4 მ. ნაგებია ქვიტკირისაგან, კარი აქვს დასავლეთით.

გიორგიწმინდის[59] ეკლესია ერთნავიანი შენობაა 7×3,8 მ, რომელსაც სამხრეთით აქვს სამხრო 6,8×1,7 მ. აშენებულია მასთან ერთად. მთელი ეკლესიის ზომა 7×6,5 მ-ია. ეკლესია სამხროთი ნაგებია გარედან სუფთად თლილი ქვით, შიგნით კი უბრალოდ თლილი ქვით, ჩაკირვით. ეკლესია ნანგრევად არის: თაღი სულ დაქცეულია. კედლებიდან აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლები შენახულია, დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლის ზედითა ნაწილი კი დაქცეულია. ეკლესიის აღმოსავლეთ კედელს გარეთა პირი თითქმის სულ მოცილებული აქვს, დანარჩენი კედლებისა კი როგორც გარეთა, ისე შიგნითა პირი შენახულია.

შუა ეკლესიას აქვს (შუაზე) პილიასტრი, რომელიც აქეთ-იქით ორ უალბ კამარას აკეთებს (თითო მხარეს). კარი აქვს სამხრეთით. სარკმელი შერჩენია მხოლოდ აღმოსავლეთით —1. ეკლესიის დასავლეთი კედლის ნანგრევიც იქვე გდია. კანკელის ადგილას (სამხრეთის ნაწილში) გდია ქვა, რომელიც ტრაპეზის ქვა უნდა იყოს. სამხროს აღმოსავლეთ ნაწილი სწორკუთხედია; კედლებიდან დასავლეთი კედელი და სამხრეთი კედლის დასავლეთი ნახევარი დაქცეულია; აღმოსავლეთი კედლის ძირა ნაწილი განგრეულია. კარი ექნებოდა სამხრეთით; აქ მას უდგას მრგვალი სვეტის ნაშთი (ე. ი. ძირა ნაწილი, მაღლითა კი მოცილებულია); ამ სვეტზე მაღლა აქეთ-იქით ორი კამარა იქნებოდა გადაკიდული და ეს იქნებოდა სამხროს ორკამარიანი კარი. სამხროს დასავლეთ ნაწილში გდია შენობის ორი დიდი ნატეხი. ეკლესიის სამხრეთით აღმოსავლეთ ნაწილში არის რაღაც შენობის საძირკველი 2,2×2,2 მ.

ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით დგას სვეტი, აღმართული კვარცხლბეკზე. ზომა კვარცხლბეკითვე 3,2 მ. სვეტი ოთხკუთხია და ზის ოთხკუთ ქვაში; სვეტი სიგანით არის 45 სმ. კვარცხლბეკიც და სვეტიც შემკულია ჩუქურთმით და ჯვრით, რომელიც დაზიანებულია, ოდნავღა მოჩანს, გადასულია.

ზედა თმოგვი. წარწერები[60]:

1. სამხრეთით კარის თავზე მდებარე ქვაზე, ნახევარწრეში, შუა ნაწილში გამოსახულია ჯვარცმა, წარწერით თავზე:

1. ⵁⵔⵙ „ესო
2. ⵜⵔⵗ ქრისტე“

იესოს ჯვარის (რომელზედაც იესოა გამოსახული) მარჯვნივ არის მცირე ჯვარი თუ ვარსკვლავი? და რაღაც ფრინველი. იმავე ჯვრის მარჯვნივ; დასავლეთით ორი მრგვალი რაღაც ფიგურა მტრედის(?) შტოთი პირში. იმავე ჯვრის მარცხენა მხრის მარცხნივ, აღმოსავლეთით თავისუფალ არეზე არის წარწერა ასომთავრულად:

1 ⵜⵗⵄⵗ ⵙⵛⵖ. ⵒ
2 ⵀⵔ ⵗⵗⵙⵀ ⵀⵗⵙ
3 ⵀⵙⵀ ⵏⵀ ⵏⵀⵙⵀ

ე. ი. „ქრისტე შეიწყალე სული ფარსმან ერისთავთ-ერისთავისაჲ დოვანეს ძისაჲ ჴიმჭიმელისაჲ“

2. ამავე კარის მაღლა სწორ ხაზად ეყოლებულ 6 ქვაზე ყოფილა წარწერა, რომელიც ახლა დაზიანებულია; შენახულია მარტო პირველზე მე-5 და მე-6-ზე (ეს ასო

2 ⵓⵔⵍⵙⵁⵒ ⵒ ⵀ ⵋ ⵒ

1. ⵜⵗⵀⵙⵁ ⵗ ⵓⵓⵀⵏⵒⵀ(ⵒ)ⵓ(ⵒ) 5 ⵃⵃⵓⵓⵋⵗ

6 ⵒⵜⵃⵖⵙⵀ'ⵒ.

ე. ი. „ქრისტე ჲესო დიდებისაო(?) ადიდე ბაგრატ მეფე და მარიამ დედოფალი“..

ავტორისეული შენიშვნები:

1. აღმოსავლეთ კუთხესთან მიმწერელ მღვდელს დაუბურავსო და ქვები უწესრიგოდ იმათ დაუდვიათ: ერთი ნაწილი (ორი ქვა) მაღლითა მწკრივშია მოთავსებული; მეორე (სამი ქვა) ძირა ნაწილში. წარწერას აკლია ერთი ქვა, ზევითა ორი ქვა შუა ნაწილში აკლია ძირა ხაზს. თავანდელი ხაზი ძირა ხაზია, ზევითა განახლებისას არის ატანილი მაღლა შეცდომით.


2. ეს ქვა თავდაყირა დაუდვიათ განახლებისას.

3. წარწერის ბოლო გადატანილია კარის ოთხკუთხედის (П) მარცხნივ (აღმოსავლეთით) ცალკე ქვაზე.

აქ ასოები შედარებით პატარებია, მაგრამ ასოების მოყვანილობა სწორედ ისეთივეა (მაგ., ⴕ, ⴖ და სხვ.).

აქმზსჲ


3. აღმოსავლეთ მხარეს, ძირს, სამხრეთ კუთხეში მდებარე ქვაზე:



ე. ი. „ქრისტე შეიწყალე მონა შენი გიორგი საფარელი მღვდელი. დაიწერა ქრონიკონსა ჩღპგ“


შენიშვნა: 1. ეს ასო ესეა სწორედ დაწერილი და „U“ უნდა იყოს.

4. ამის მაღლა ერთი ქვის დაშორებით, ისევ კუთხეებშივე მდებარე ქვაზე (ჯერ მე-4 ნომერი უნდა დაიწეროს და მერმე მე-3):




ე. ი. „ქრისტე შეიწყალე სული ანტონისი“

5. ამავე (აღმოსავლეთ) მხარეს, ძირს, ჩრდილოეთ კუთხესთან მდებარე ქვაზე:




ე. ი. „ქრისტე შეიწყალე სული ნიშისაჲ ესე კუთხე მისია“

6. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი კუთხის სამხრეთით 3,5 მ-ზე დევს საფლავის ქვა წარწერით. ზომით არის 150×46 სმ. მე-18 ს. უნდა იყოს. ქარაგმები არა აქვს:



ე. ი. „ქრისტე შეიწყალე სული ზორაბ ქთ“...


7. ხსენებული ქვის მარცხნივ, სამხრეთით დევს სხვა საფლავის ქვა წარწერით. წარწერის შუაში ჯვარია გამოსახული; ზომით არის 136×50 სმ. ქარაგმები არა აქვს. ესეც მე-18 ს. უნდა იყოს:



ე. ი. „ქრისტე შეიწყალე სულითა ოქრა ოქა(ე)ლი. ქ..“

3,6 და 7 წარწერები ხელის მხრივ (ასოების მოხაზულობით) ემსგავსებიან ერთმანეთს. ეკლესიის სამხრეთით დგას „საკანთლე“ ქვა მრგვალი ფორმისა, მაღლა ოთხკუთხად ამოღრმავებული. სიმაღლით დედამიწის ზევით არის 1 მ; სისქე-სიგანე —0,5 მ.


8. ეკლესიის სამხრეთი ნავის აღმოსავლეთ სარკმლის თავზე, შუაში, გამოსახულია ჯვარი და აქეთ-იქით დგას ორი პირი. თვითეულს ხელში ჯვარი უჭირავს: პირველს მარჯვენას (სამხრეთით მდებარეს) მარცხენაში, მარჯვენა ხელი გულთან აქვს. მეორეს მარჯვენაში, მარცხენა კი გულთან აქვს; ორივეს ჯვრები გაწვდილი უჭირავთ; თავზე არის წარწერა დაზიანებული:



ე. ი. „ქრისტე შეიწყალე ქართლისა კათალიკოზი არსენი“...

9. ეკლესიის სამხრეთ კედელზე, კარნიზის ძირს მდებარე ქვაზე გამოსახულია მზის საათი (იხ. ნახ. 95).


10. სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ კუთხეში კარნიზის ძირს უდევს ქვა წარწერით:



ე. ი. „ქრისტე შეიწყალე სული გიორგი აფხ ზს“...

ავტორისეული შენიშვნა: 1. ქარაგმა არ უჩანს.

11. აღმოსავლეთ მხარეს, შუა (დიდი) ნავის სარკმლის თავზე მდებარე ქვაზე წერია:



„ქრისტე შეიწყალე სული კარიჰისაჲ“.

ზ ე დ ა თ მ ო გ ვ ი ს თავზე, ჩრდილოეთით, პატარა სერზე დგას ჯვარი-სვეტი სიმაღლით 3,35 მ (კვარცხლბეკითვე), სისქით 27 სმ. სვეტი ოთხკუთხია; კვარცხლბეკზე აღმოსავლეთ-სამხრეთ მხარეს გამოსახულია ჯვარი; სამხრეთ-დასავლეთ მხარეს ძირს აქვს ოთხკუთხი პატარა ხვრელი, შემურული ალბათ სანთლის ნთებისაგან. სვეტს სამ მხარეს მაღლა აქვს ოთხ-ოთხი იარაღი (ნახ. 96). ერთ ჩრდილო-დასავლეთ მხარეს კი მხოლოდ ერთი ამისთანავე იარაღი. სვეტებს თავი დაზიანებული აქვს (თავი მოტეხილია).

ამისთანავე ჯვრიანი სვეტია სწორედ აგარაში და გიორგიწმიდაში.

ზ ე დ ა თ მ ო გ ვ ი ს აღმოსავლეთით, ბაღებისკენ მიმავალი გზის თავზე არის ჯვარი, რომელიც შედგება კვარცხლბეკისა და ორი ნატეხიანი სვეტისაგან, ზომით სამივე ნაწილი სიმაღლით 2,45 მ. სიგანე სვეტისა 30 სმ. ის შემკულია ერთ მხარეს ყურძნის მტევნებით და სხვა ორნამენტებით. მეორე მხარეს მაღლა რაღაც იარაღი და ძირს ადამიანის გამოსახულება. სვეტის ზევითა ნაწილი ცალკეა ჩარჭობილი აქვე გვერდით მიწაში.

ასეთივე ჯვრები დგას სოფლის დასავლეთ მაღლობზე: 1. გუგულის(?) ჯვარზე, 2. ნასაყდრევზე და 3. ქვის წყაროს თავზე.

ზედა თმოგველი ლავრენტი მიხეილის ძე მაღრაძე; ამან გადამარჩინა ვანის ქვაბში აგვისტოს 31-ს.

ქ ვ ე დ ა თ მ ო გ ვ ი. ციხის[61] აღმოსავლეთით, ოდნაე ძირს, კლდის ძირას დგას გუმბათიანი ეკლესიის ნანგრევი, ზომით 4,8×3,2 მ. მას დასავლეთით აქვს ღია სტოა კამარებიანი 4×3 მ. ეკლესია ნანგრევად არის. შენახულია მხოლოდ აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლები, დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლები კი დანგრეულია სულ. გუმბათიდან შენახულია მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე 1,7 მ სიმაღლით და 1,7 მ სიგანით. ეკლესია დგას კლდეზე. კარი უნდა ყოფილიყო დასავლეთით, სარკმელი აქვს აღმოსავლეთით —1, სამხრეთით —1, სხვა მხარეს არ შერჩენია. საკურთხეველს აქვს ორი ღრმა და მაღალი თახჩა. ტრაპეზი აღარ არსებობს, ჩრდილოეთი მხარის კედელი მოგლეჯილია იატაკიანად.

ღია სტოაც ნანგრევად არის. იგი ცალკეა მიშენებული ეკლესიაზე, ე. ი. ორგანულად არ არის მასთან დაკავშირებული. ეკლესიიდან დასავლეთით კლდეზე გადაყვანილი ყოფილა კამარები, მისი დასავლეთი კედელი ძირს კლდეა, მაღლა ქვითკირი. იგი სულ თლილი ქვისაა, კლდის ნაწილის გარდა. იგიც ნანგრევად არის, შენახულია მხოლოდ სამხრეთით კამარა. დანარჩენი ჩრდილოეთის კამარა და თაღი სულ დაშლილია. დასავლეთ მხარეს კლდეში ჰქონია დიდი თახჩის მაგვარი, ახლა ნაწილობრივ დანგრეულია.

ეკლესია გარედან ნაგებია სულ თლილი ქვისაგან, შიგნით მოხატული ყოფილა. მხატვრობა ნაშთად არის შენახული. საკურთხევლის კონქში დახატულია ვედრება (იესო, ღვთისმშობელი და ნათლისმცემელი). იესო დახატულია მხრებამდე და აწერია I˙C (X˙C) ღვთისმშობელი და ნათლისმცემელი დახატული არიან წელამდე, წარწერები არ შერჩენიათ. საერთოდ ყველა მხატვრობა დაზიანებულია. ძირა რიგი, სარკმელში მარჯვნივ და მარცხნივ ორი პირი, მკრთალად, დაზიანებული. სარკმლის მარჯვნივ და მარცხნივ მღვდელთმოძღვარნი გაშლილი გრაგნილებით, რომლებზეც დაწერილია ასომთაერულად. წარწერები მათ არ შერჩენიათ. სარკმლის მარჯვნივ ჩრდილოეთით პირველს გრაგნილზე უწერია:

1 ⰒⰀ . . .
2 ⰑⰀⰂ ⰔⰔⰔ
3 ⰐⰀ . . . .
4 ⰔⰀ ⰖⰀ . . .
5 Ⱅ . . . . . .

ძ...
თოი ...
მ...
რლ...
ა...

6 სტროფი არ იკითხება.


მეორე დაზიანებულია. მისგან შენახულია მხოლოდ შუბლის მარჯვენა მხარე, ნიმბი და გრაგნილი. ძირა ნაწილი დაზიანებულია, წარწერით:

1 ⰀⰀ : ⰔⰀ : ⰈⰀ
2 ⰀⰂⰐⰀ : ⰖⰀ
3 ⰔⰈⰅⰔⰐⰀ
4 ⰀⰖⰄⰂⰖⰂ
5 . . . Ⰰ
6 . . . . .

ე. ი. „უფალო ღმერთო ჩუენო ვაღდმოგ ვლი(ნე)“...

სარკმლის მარცხნივ, სამხრეთით დახატულს მარცხენა გვერდის ნაწილი დაზიანებული აქვს, მისი გრაგნილიც დაზიანებულია და არ იკი-

თხება. მეორე შენახულია, მაგრამ გრაგნილი დაზიანებული აქვს ბოლოში:




ე. ი. „ღმერთო
... ო
ვო...“

4 და 5 სტროფები არ იკითხება.

საკურთხევლის კამარაზე მხატვრობა დაზიანებულია, შენახულია მხოლოდ სამხრეთის გვერდზე მოხუცებული პირი წიგნით ხელში. მას თავიდან მუხლამდე მარჯვენა მხრის უმეტესი ნაწილი სულ მოსპობილი აქვს.

გუმბათის ძირს, სამხრეთ-აღმოსავლეთ იალქანში დახატულია მახარობელი წიგნით ხელში, დაზიანებულია, დახატულია წელამდე.

შუა ეკლესია. სამხრეთი კედელი, ყალბი კამარის აღმოსავლეთ გვერდზე, პირით დასავლეთისკენ დახატულია ვიღაც პირი, რომელსაც თავის მარჯვენა მხრის უმეტესი ნაწილი და მარჯვენა მხარი სულ მოცილებული აქვს. მას ხელში უჭირავს გრაგნილი წარწერით:



ი ...
.. ინ
ეას
ოლოდ
ა ...
.. მოყ
ავ: ყუ
რი: შენი

ამავე კამარის დასავლეთ გვერდზე შენახულია დახატული პირის მხოლოდ თავის მარჯვენა ნაწილი შუბლ ზევით და მარჯვენა თვალით.

ამავე, სამხრეთ მხარეს, აქვე ყალბ კამარაში, სარკმლის მარჯვნივ და მარცხნივ დახატულია რალაც სიუჟეტი: სარკმლის მარჯვნივ ანგელოზი (მთელი ტანით) აკურთხებს სარკმლის მარცხნივ მდგომ პირს. უკანასკნელი წელს ქვევით მოსპობილია და ისეც მკრთალად ჩანს, მის მარჯვნივ და მარცხნივ რალაც შენობის თუ ნიშების ნაწილებია შენახული. ფანჯარაში ისე სახეებია დახატული. ძირა რიგი. ანგელოზის ძირს მოჩანს ვიღაც პირის მკრთალი სურათი (ნიმბით). იგი წელამდე ყოფილა დახატული. დანარჩენ ნაწილში მხატვრობა მოსპობილია.

ციხეში არის ორი დიდი აუზი(?), მესამე ამოვსებულია, შუალა თეთრად არის გალესილი.

ციხის აღმოსავლეთით, ძირს არის ნაეკლესიარი; ქიმზე, აქ აღმოსავლეთ ნაწილში დგას ქვაჯვრის გამოსახულებით და სხვა ჩუქურთმით (მტევნები და სხვ.) და სომხური წარწერით. მეორე ქვა თავმოტეხილი ისეთივე ჯვრის ნაშთით დგას ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. ამავე ნაეკლესიისა. ზომით პირველი 1×0,7 მ.

2. უკანასკნელის ჩრდილოეთით არის სხვა ნაეკლესიარი. აქ აღმოსავლეთ ნაწილში არის დიდი ქვა ჯვრის გამოსახულებით და წარწერით სომხურად თვით ამ ქვაზე და მის ძირზედაც. ამავე ნაეკლესიარის დასავლეთ ნაწილში გდია ქვა ჯვრით და წარწერითვე. სამხრეთით არის ქვა კაცის გამოსახულებით. აღმოსავლეთით არის სამი ქვა წარწერით. ჩრდილოეთით არის ორი ქვა ჯვრით და წარწერით და 1 ქვა ადამიანის გამოსახულებით.

3. უკანასკნელის ჩრდილოეთით, ცოტა ძირს, პატარა ხევის მარჯვენა მხარეს, ლურჯი კლდის გაღმა არის სასაფლაო. აქ დგას ქვა ჯვრის გამოსახულებით და სომხური წარწერით.

4. უკანასკნელის ჩრდილოეთით, ლურჯი კლდის ძირას, ხევის მარცხენა მხარეს არის სასაფლაო. აქ გდია ქვა ჯვრით და წარწერით სომხურად.


5. იმავე ლურჯი კლდის ქვევით, სერზე, არის სასაფლაო. ამ სასაფლაოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კიდურზე არის საფლავის ქვა ადამიანის გამოსახულებით — ჩაჭდევით. სამხრეთ-დასავლეთით გვერდზე არის ქვა ჯვრის გამოსახულებით (გდია). დასავლეთ ნაწილში არის ქვა ადამიანის გამოსახულებით (ჩაჭდევით სურით).

თ მ ო გ ვ ი ს ნაქალაქარის ძირს არტანულაზე არის ხიდი. აქ შუა ქვაზე და მარჯვენა მხარეს შენახულია ძველი ხიდის ნაშთები.

წ უ ნ დ ი ს ეკლესია ერთნავიანი შენობაა 9,5×4,9 მ, რომელსაც სამხრეთით აქვს კარიბჭე თუ სამრეკლო და კიდევ სამხრეთით ეგვტერი. ნაშენია კლდეზე (მაღალი კლდე აზიდული ვაკე ადგილას), სამხრეთის შენობები ორგანულად არ არიან დაკავშირებული მთავარ შენო-


ბასთან. კარიბჭე და თვით ეკლესია შემკულია შესანიშნავი ჩუქურთმებით. ჩუქურთმები აქვს ეკლესიას: აღმოსავლეთის სარკმელზე, დასავლეთის სარკმელზე, დასავლეთის კარზე, კარნიზებზე ოთხივე მხარეს და კარიბჭის სამხრეთი მხარის კამარაზე. ნაშენია სულ თლილი ქვისაგან. ეკლესია ორსართულიანია. ქვედა სართულში ჩანგრეულია იატაკი. კარი ეკლესიას აქვს დასავლეთით 1 (ეს ძველადვე ამოუგიათ), სამხრეთით 1. სარკმელი აღმოსავლეთით 1, დასავლეთით 1, სამხრეთით სანათურები 2 (იგინიც ჩუქურთმებით არის შემკული). აღმოსავლეთით ძირა სართულსაც აქვს 1 სარკმელი. იატაკი ეკლესიისა სულ ჩანგრეულია ძირა სართულში ტრაპეზი აღარა ჩანს. საკურთხეველს მარჯვნივ და მარცხნივ აქვს თითო მაღალი, განიერი და ღრმა თახჩები. ძირა სართულიდან გასასვლელი კარი აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. ეკლესია მშვენიერი შენობაა, ჰხურავს ფიქალი. სამხრეთის შენობებს სამხრეთ-დასავლეთი კუთხის გარდა არც ერთს თაღი შეკოხახული არა აქვს. დგანან მარტო კედლები. ეკლესია აშენებულია კლდოვან ადგილას. ძირა სართულს აღმოსავლეთით აქვს ორი სარკმელი. კლდე მარტო სამხრეთით აქვს. აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლები ძირიდანვეა ამენებული (ნახ. 97).

ამ ეკლესიას დასავლეთის კარის (აწ ამოგებული) თავზე (აწ გატეხილი, რის გამოც ვგონებ ამოუგიათ) მდებარე ქვაზე არის ასომთავრული წარწერა[62]:



ე. ი. „სახელითა ღმრთისაჲთა მე იჩქითმან გურგენის ძემან აღვაშენე ეკლესიაჲ ესე, მამული ჩუენი. საბელსა ზედა წმიდისა ნათლისმცემლისსა სალოცავად ჩემთჳს და მშობელთა ჩემთათჳს“

სოფელი ფიია. დიდი ეკლესია დგას პირველის აღმოსავლეთით. 1. მას სამხრეთ მხარეს აღმოსავლეთ კუთხეში საძირკველიდან 1 ქვის დაშორებით უდევს პირისფერი ქვა, ნაწერი გაკრული ხუცურით:



ე. ი. „ესე ეკლეს(იაჲ) წმიდაჲ გიორგისი ესე ქვაჲ მე (დ)ავსვი გრიგოლ ძე ვჰ...“


შენიშვნა: 1. მე-2 და მე-3 სტრიქონს ქარაგმები არ აქვს.

2. ამ ქვის დასავლეთით 1 ქვის დაშორებით დევს ოთხკუთხი მოთეთრო ფერის ქვა ჯვრის გამოსახულებით.

3. სამხრეთი კარის თავზე დევს ქვა მოწითალო ფერისა. მასზე შუაში, წრეში, გამოსახულია მზე, აქეთ-იქით ბალახი.

4. ამაევე კარის მარცხნივ აღმოსავლეთით 1 ქვის დაშორებით, საძირკველთან ძირს, დევს ქვა, გაუხსნელი ყულფების(?) ორნამენტით (თუშეთში რომ ვთამაშობდით ბაწრის გაშატვას? ისეთია) (ნახ. 98). იგი მოთეთრო ქვაა.

5. ამავე მხარეს დასავლეთის კუთხის მახლობლად დევს კარნიზის მოშავო ფერის ქვა წარწერით:




აეხნონსფც

ეთ

6. ამავე მხარეს დასავლეთ კუთხეში, მაღლა, კარნიზიდან 2 ქვის დაცილებით ძირს უდევს წითელი ქვა მგლის(?) გამოსახულებით.

7. ამავე მხარეს დასავლეთ კუთხეშივე, საძირკველიდან 1 ქვით მაღლა უდევს მოშავო ფერის ქვა წრის გამოსახულებით და შიგ წარწერით. იგი მზის საათს უნდა აღნიშნავდეს და წარწერაც მასზე უნდა ლაპარაკობდეს. პირამიდები სწორედ იმდენია, რამდენიც ნახატზეა აღნიშნული (ნახ. 99).



იკითხება:

1 ესე...

2 თჳს

შენიშვნა: 1. იქ ეს ნიშანი ასეც იყო თავზე რომ კბილებია, მე ეს ქვის უბრალო ხაზებად მივიჩნიე, ამიტომ არ დავწერე.

8. დასავლეთის მხარეს ჩრდილოეთ კუთხეში კარნიზის ძირს უდევს მოშავო ქვა წარწერით:

„კრაეაჲ“?, ქარაგმა არა აქვს.


9. ეკლესიის სამხრეთით 5—6 მ-ზე მიწაში ჩაფლულია ყოჩი, მატყლი მასზე კარგად არის გამოსახული.

10. აქვე ეზოს ყორეში თუ სხვაგან ყოფილა საფლავის ქვა მხედრული წარწერით. აღარა ჩანს.

ტყისმცველი იროდიონ ოთანაძე ზედა თმოგველი.

ფ ი ა. პატარა ეკლესია[63].

1. დასავლეთ მხარეს სარკმლის თავზე უდევს პირისფერი ქვა შემკული ხაზებით და წარწერით (ნახ. 100).




ე. ი. „მჭედლი სა რსგაბლ‹ასას“

2. ამის თავზე კარნიზის ძირს დევს ქვა ჯვრის გამოსახულებით.

3. აღმოსავლეთით საქარეზე კარნიზის ძირს დევს ქვა, რომლის შუაშიც გამოსახულია ჯვარი. მარჯვნივ სამხრეთით რაღაც სახე, მარცხნივ ჩრდილოეთით გრდემლი და ჩაქუჩი (ნახ. 101) შიგნით კონქში შენახულია მარტო იესოს გამოსახულება. მარცხენა ფეხის მხარე დაზიანებული აქვს (ტანისამოსიც). მარცხენა ხელით უჭირავს მუხლზე გადაშლილი წიგნი; დაწერილია ასომთავრულად, ეტყობა მხოლოდ ასოებით ნაშთები (გაშავებულია, როგორც თვით იესოს ხატი).

ს ა რ ო ს კოშკის სამხრეთით ოდნავ ძირს არის ქვა ასომთავრული წარწერით[64]:



ე. ი. „ქრისტე ადიდე(ნ ძ)ლიერი (და უ)ძლეველი მეფეთა მეფე დემეტრე, რომელმან რეკი მამულობით გვიბოძა. მას ჟამსა ესე ციხე ავაგეთ. მე დგაჩე დავწერენ გ..გს‹ნ და მაჭას მამულ‹ა“.

შენიშვნები: „. იქნებ „თ“ იყოს.

„„. აქ ქვაზე ადგილი ძველადვე ატეხილი ყოფილა.

„„„. ეს ესეა დაწერილი და „შ“ უნდა იყოს, იმიტომ რომ აქ „ჩ“ იწერება ასე »T«, ამ ასოს კი წინა კბილი არა აქვს.

„„„„. აქ ადგილი ატეხილია, იგი შესაძლებელია ძველი ატეხილი იყოს. ერთი ასოს ადგილი დატოვებულია ქვის დაზიანების გამო, მგონი ძველადვე ასე იქნებოდა.

ქვის ზომა 74×107×58 სმ.

ს ა რ ო. მთავარანგელოზის ეკლესია 12,8×7,2 მ (ნახ. 102) ნაგებია თლილი ქვისაგან. ახურავს კრამიტი ღარისებური. კარი აქვს დასავლეთით 1, სარკმელი აღმოსავლეთით 3, სამხრეთით სარკმელი 1 და სანათურიც 1, დასავლეთით სარკმელი 1. ეკლესია შიგნით და გარეთ გალესილია კირით. იატაკი თლილი ქვაა. ტრაპეზი სამია, საკურთხევლის ტრაპეზი დაცილებულია კედელს. ეკლესია განახლებულ-გადაკეთებულია. ეკლესიის დასავლეთ მხარეს 4 სვეტზე ადგას (დასავლეთ ნაწილზე) სამრეკლო.

ეკლესიის დასავლეთით არის 2 ციხის ნანგრევი. იგი ნაშენია უზარმაზარი ლოდებისაგან. პირველში არის კირით გალესილი ორმო. ამ შენობებს კარი არა აქვს. ეკლესიის ჩრდილოეთით არის კოშკი ქვითკირით ნაშენი, მასზედ არის 12-ბათმანიანი ქვევრი, ქვის სარქველით. აქედან ჩამოგდებულია წარწერიანი ქვა (იხ. ზემოთ). ეს კოშკი დგას ციცაბო კლდეზე, რომელსაც ჩრდილოეთით და დასავლეთით აქვს ღრმა ხევები. მის ქვემოთ არის მრავალი მაღარო კლდეში. ზოგი ქვითკირით ნაშენი, ზოგში დარჩენილია ხისა და რკინის ნაწილები.

ს ა რ ო ს ბოლოს, შარაგზის ძირას, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არის ძველი კოშკის ნანგრევი და დანგრეული ეკლესია. ჰქვიან „ორმოცის“ კოშკი.

სოფ. ჰაჰკარში[65] სტეფანე ნიკოლოზის ძე ხუციშვილი ცხოვრობს ძველი ხანის დარბაზში, რომელსაც აქვს ორი დედაბოძი შუაში და გვერდებზედაც ორ-ორი, სულ ერთად 6. ზოგი ბოძი და ხე ხაზებით არის შემკული, ზოგი ხრახნილებით. სახლს ძველად გვირგვინი ჰქონია. აქ არის ორი ცხვრის თავი.

შაჰკარშივე, კლდეში არის ეკლესიის ნაშთი. ის ერთნავიანი შენობა ყოფილა, 6,2×4,6 მ. მისი აღმოსავლეთა ნაწილი კლდეა, დასავლეთი — ყორე. ტრაპეზი შენახულია: კლდეში ერთი ქვაა შედებული. საკურთხევლის ხაზზე სამხრეთ კუთხეში დევს სვეტი იარაღის გამოსახულებით თითო, თითო მხარეს. შედგება სამი ნაწილისაგან: კვარ-

ცხლბეკი, სვეტი და თავი; იარაღი გამოსახულია სვეტზე მაღლითა ნაწილში; სვეტის თავი ჩუქურთმიანია, დაზიანებულია; სვეტი ოთხკუთხია. ზომა კვარცხლბეკითვე: 145×16×13 სმ.

ა ხ ჩ ი ი ს ეკლესია დგას არტანელას მარცხენა მხარეს, მაღალი კლდის ძირში, სოფლის ბოლოს ბაღჩებში. ეს ერთნავიანი შენობა 7,3×3,8 მ, ნაგებია თლილი ქვით (შიგნით და გარეთ) ჩაკირვით. დგას მარტო კედლები, თაღი შერჩენია მარტო საკურთხეველს. ტრაპეზი კედელზე არის მიდგმული; სამხრეთ კედელს საკურთხეველის ახლოს აქვს თახჩა. დასავლეთ კედელს აქვს თახჩისებური ადგილი. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი აღმოსავლეთით, სამხრეთით —1. ეკლესია გალესილი ყოფილა კირით, რომელიც ნაშთადღა შერჩენია საკურთხეველში.

ეკლესიაზე დასავლეთიდან გადმოკიდულია კლდე.

მ გ ე ლ ი ს უ ნ დ ი ს[66] გამოქვაბულის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, ზომით 6×3 მ. ნაკვეთი სულ კლდისაგან. მას აღმოსავლეთი ნაწილი 2 მ-ს ზევით დანგრეული აქვს. სამკვეთლო შენახულია; ტრაპეზი მოშლილია, იგი კლდეზე ყოფილა მიდგმული. ეკლესია შიგნით გალესილი ყოფილა კირით, რომელიც შერჩენია მხოლოდ აღმოსავლეთ კედლის ძირს. კარი აქვს სამხრეთით; ეს კარი გადის დიდ მაღაროში, სარკმელი არ შერჩენია. სამხრეთ კედელს საკურთხევლის ახლოს აქვს თახჩა. საკურთხეველს ზევითა ნაწილი, რომელიც ახლა დანგრეულია, ქვითკირით ყოფილა ნაგები. ეკლესიაში და მის მეზობელ სამხრეთ მაღაროში გდია ქვა, რაღაც გამოჭრილებით. ეს მაღაროები ორსართულიანია. ძირა მაღარო დანგრეულია. შესასვლელი აქვს აღმოსავლეთიდან.

მგელისუნდაში შაბან ჰამიდ ოღლის ეზოს ქვემოთ არის თუთის საწურავი ქვა 75×64×24 სმ. მას ახლა აღარ ხმარობენ. ახლა სხვანაირად სწურაენო (ფორმა იხ. ნახ. 103).

მგელისუნდის მცხოვრებ აბდულა გეგიძეს აქვს ღანგარი სპილენძისა წარწერით: ფლენდიშვილი. ფენდი. შვილი:. ეკუთვნის მე-18 საუკუნეს.

ხ ე რ თ ვ ი ს ი ს ც ი ხ ი ს[67] ეკლესია ერთნავიანი შენობაა 6×2,9 მ, ნაგები ქვითკირისაგან. შენახულია მხოლოდ საკურთხევლის ნაწილი თავისი თაღით, სარკმლის ადგილი გაგლეჯილია. შიგნით გალესილი ყოფილა კირით. გარეთა პირი სულ მოცილებული აქვს.

ხერთვისის ციხე დგას არტანულას და ახალქალაქის წყაღს შორის აწვდილ კლდეზე, ნაგებია ნაწილობრივ თლილი (სოგიერთი შენობები) ნაწილობრივ უბრალო ნატეხი ქვისაგან ჩაკირვით.

ხერთვისის ბოლოს ციხესთან რომ ეკლესია არის, ის ერთნავიანი შენობაა 6,2×3,6 მ. შენახულია მარტო აღმოსავლეთი ნახევარი უთაღოდ. ნაგებია ქვითკირისაგან.

ეკლესიის ჩრდილოეთით მაღლობზე დგას ციხის ნანგრევი; შენახულია მარტო ძირა ნაწილი 2—3 მ სიმაღლისა; ნაგებია ქვითკირისაგან.

ხერთვისთან არის ნავარძიების გამოქვაბულები.

ბ ნ ე ლ ა[68] არის ხიზაბავრას ბაღების გასწვრივ, მტკვრის მარცხენა მხარეს. აქ ცხოვრობენ ქართველი კათოლიკენი 11 კომლი. აქ პატარა გორაზე მოჩანს ძველი ეკლესიის ნანგრევი. შენახულია მარტო საძირკველი 1 მ სიმაღლისა. იგი მცირე ეკლესიაა.

ც ნ ო ბ ე ბ ი

1. Против Панакети, на прав. стор. Куры, выше сел. Мерешхан имеется пещера, где есть надпись и изображения—Жигалов.

2. ვალეში ნიკო ასპანიძემ იცის წიგნის ამბავი.

3. ვარძიაში კოსტანა ოთანაძეს გავუგზავნე 1 მაკრატელი.

4. სვირში: ყაყუნაშვილი — 15 კომლი (ილია ყაყუნაშვილი), კორკოტაშვილი — 8 კომლი, ქავთელაშვილი —15 კომლი, გოგიაშვილი — 13 კომლი, ხიზანაშვილი — 8 კომლი.

ითხოე, ითხოე, სული აცხონეო", არალი.

თ ი ლ ი ს ი (ადგილი) არის ხ ა რ ა ბ ა შ ე ე რ ი. ეს ადგილი არის მარილის მთაზე, ეილებში.

1. ვ ა ნ ი ს ქ ვ ა ბ ი ს[69] ზედა სართულში არის ეკლესია გუმბათიანი ჯვრისსახედი 3,8×2,41×3,6 მ. ნაგებია ნაწილობრივ ქვისა, ნაწილობრივ ოთხკუთხი აგურისაგან კირით. შიგნით და გარეთ გალესილია. ფორმით ჯვრის სახე არის. კარი აქვს სამხრეთით და ჩრდილოეთით, სარკმელი ძირა ნაწილში დასავლეთით —2, ერთი ერთმანეთზე ძირს და მაღლა. გუმბათის 6 მინაწერებში მიმართავენ მაცხოვარს და ღვთაებას ხატს. მინაწერი არის 50-ზე მეტი. ეკლესია უმეტეს ნაწილად აგურისაგან არის ნაგები.

აგურის ზომა 23×23 სმ. სისქე 4 სმ.

2. გამოქვაბულთა ძირა სართულში, სამხრეთ ნაწილში, არის დიდი ეკლესიის ნაშთი. შენახულია მარტო აღმოსავლეთი ნახევარი, დასავლეთი კი დაქცეულია. საკურთხეველი კლდეშია ნაკვეთი, ის გალესილია კირით. ზომით შენახული ნაწილი არის სიგრძით 5 მ, სიგანით 8 მ. ტრა-

პეზის ქვა შენახული არის. შენახულია აგრეთვე ქვის შანდლები (იხ. ნახ. 104) სამკვეთლოც შენახულია.

3. ქვედა სართულში არის ეკლესია, რომლის დასავლეთი ნახევარი უბრალოდ თლილი ქვისა და კირით არის ნაგები, აღმოსავლეთი ნახევარი კი კლდეშია გამოკვეთილი. ის ერთნავიანი შენობაა. ტრაპეზი კლდეზეა მიდგმული; დასავლეთ ნაწილში არის საფლავები. ამოჭრილი კლდეში. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი დასავლეთით. დასავლეთი კედელი გალესილია კირით.

გამოქვაბულები არის კლდის ორივე მხარეს.

4. ამავე მხრის (აღმოსავლეთ) გამოქვაბულში, სულ ძირს, ჩრდილოეთ მხარეს, არის ეკლესია კლდეში ნაკვეთი. კარი ექნებოდა დასავლეთით, ახლა დასავლეთი ნაწილი, კედელი თუ კლდე ჩაქცეულია და მძიმე ასასვლელია. ეკლესია ერთნავიანი არის, ზომა 3,2×2,4×2 მ. ის შიგნით კირით არის გალესილი (იხ. ნახ. 105). ჭერი სრულებით არ არის წამალწასმული; ჩრდილოეთ კედელზე შენახულია ყვავილის გამოსახულება; სამხრეთი კედლის ძირა დასავლეთ ნაწილშიაც შენახულია ასეთი გამოსახულების ნაშთი; აღმოსავლეთ კედელი კი მოხატული ყოფილა. აქ ტრაპეზის მაღლა დახატულია ტარიგი ბარძიმში. ტარიგი დაზიანებულია, ბარძიმის ნაშთი შენახულია. ბარძიმს მარჯვნივ უდგას ანგელოზი, ძლიერ დაზიანებული: შენახულია თავის და მარცხენა მხრის ნაწილები; ბარძიმს მარცხნივ — ანგელოზი და სვიმეონ, პირველისა შენახულია თავი, დაზიანებული, და მარჯვენა მხარი, მეორისაც თავი დაზიანებული და მარჯვენა მხარი. მეორეს აწერია:

ჩ̃ს სჰ̃ზ ი. ი. „წმიდაჲ სჯმეონ“. ბარძიმის მარჯვნივ დახატული ანგელოზის უკან, ჩრდილოეთით, შენახულია რაღაც სიუჟეტის ნაშთი. შენახულია თავი თეალს ზევით, იქნება მღვიძარე თვალი იყოს. საერთოდ ჩრდილოეთ და სამხრეთის კედლებს მხატვრობა არ ჰქონია. ტრაპეზი კლდისაგანვე არის გამოჭრილი კედელზე მიბჯენით. ეკლესიას გასასვლელი აქვს სამხრეთით, ტარიგის თავში ოთხკუთხედში გამოსახულია ჯვარი.

ვანისქვაბის ეკლესიის წარწერები

1. სამხრეთის კედელი (დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ არის აღწერილი). კუთხეში, დასავლეთის კამარის ძირზე, პირით ჩრდილოეთისკენ: მე-17—18 სს.

1 ქ ყოლაწმიდო: (ეს დაწერილია სტრიქონის თავზე)
შენა: უწყაია: ცხადი: და: დაფარული
2 რა: ვაქანა: მე: შავასა: არა მაქას: საქამე: კეთილა...
3 და: ქანილა: ? შევაზარებივარა: სიკუდილსა: შემაწრ(ა)
4 წუნება (პირველი ასო სტრიქონისა გათხუპნული რაოდენიმედ) გულა: ანასა: უშელე: ცოდავილსა:
5 შენა: ი(ჯსენა): მისი სულა: ყლა წმიდო: დედოფალო: მიშუელე:
6 შენსა: ძისა: სიყარულსა: ღრიბსა: ოცი: ოთხშაფი (sic) მარახავა:
7 შემომიწრაეს: ზაფა(ხ)ულსა: დაღეთა: ჩემად ღჩანა: რა
8 ცა: დაღენი: მესახანესა: ეგაბისა: შენისა: წყალობითა:
9 თავი: ჯელთა: არა: მაქდესა (sic): როდეცა: მაქა (sic) გა
10 გითავება (sic): მიშუელე რაცა მე დამიწრა (sic) მე: რა: ჩეულშავილსა:
11 ანასა: ეკენისათუესა: დამალესა: შ.. (აქ სხვა ხელით): იმედო: მო ჯილ[70].

ამის ქვევით ცალკე სტრიქონებია ორი ნახევრად გადასული.

II. პირველის მარჯვნივ, სამხრეთი კამარის გვერდზე, პირით დასავლეთისკენ, მე-17 ს.:

ღმერთო: მიმაწი
ვისა: მ(ოსა)ესა: მივადე
ვა: ვსათუსას
ბრალო: მასუ
რანო

III. ამავე კამარის ქვეშ, პირით აღმოსავლეთისკენ: მე-18 ს.

1. ქ . . .
2. აიღნა: დულში:
3. აშენი: დ(ხე)...
4. აშენი: მტნ(უ)ველი: ამხლმი
5. სად: სალმობი

ქვეშ რაღაც ცხოველია დახატული.

IV. კარის მარცხნივ, პირით ჩრდილოეთისკენ, 12-სტრიქონიანი წარწერა, მე-18 ს. ცუდი მხედრული.

V. კარის თავზე, პირით ჩრდილოეთისკენ, მე-17—18 სს.:

1 ეი: გარჭილო: ამა სოფს(ლს) მსაყადარ თა: გადმა: აბავაჩია: არა

2 სა: ას-მა: საცა: ღიბობანი (sic) საბარლომ: ანამა: გარდა-
ვიჯდე: ა
3 ნა: გარდასავლი: სამასა: დაღსა: დავაჭდე: ვაბო: ვერა
4 დავალ: ვერაცა: გავიხარე: სამითა: ვერცა: ჭამითა: ვერა-
ცა: ჩაც
5 მითა: ვერაცა: ძამითა: ვერცა: დითა: ვეცა: რძილ: გაუხა-
რელი:
6 მოკუდე: გაუხარელი: მომაუქუთ: მიტრეთ: (ა)ვადა: ვი-
ნარსა: ჩემი: დამატირე
7 ბელი: ვიცა: წიკითხოთ: შედობა: მიბაძანეთა: თქუცა: შე-
გიდანსა: ღმერთამა
8 საბარალოსა: შედობა: უბძნეთ[71]

VI. IV წარწერის მარჯვნივ მე-18 ს.

ქ ღმერთო: უშველე
სუ მიმყმ: თითორითა

VII. VI-ის ძირს 9-სტრიქონიანი ნახევრად გადასული წარწერა მე-18 ს.

8. მე-7 ძირს — მე-16 ს.

ქ გარე შემოუწერელი: სიტყუ: მამისა

ამის გაგრძელება უნდა იყოს ამავე ხელის წარწერა ამავე კარის მარცხნივ, ამისვე გასწვრივ:

IV ძირს, მარცხნივ, მე-16 ს.

ქელ გულო: შენა

9. მე-8 ქვემოთ კარის მარჯვნივ: 11-სტრიქონიანი წარწერა მე-18 ს.
10. მე-9 ქვემოთ 4-სტრიქონიანი წარწერა.
11. მე-10 ქვემოთ 4-სტრიქონიანი წარწერა.
12. სამხრეთი კამარის ქვეშ, პირით დასავლეთისკენ მე-17 ს.

1 ქ: ღამარათისა: მაშობელო: შენა:
2 ცოდვილათა: მეოხი: ხრა: უ
3 შუველი: შეანა: ოცე: ცოდავა
4 ჩემი: უამარავალესი: უთუალავი:
5 მე: სამაოელი: ტანჯავად: მიწა:
6 სიტყვასა: უშიში: დაუგაროწალველი:
7 მოწამეო: ჩემო: შენა: მიშუელე: გამოჯსნა
8 ს: შენაგანა: ველი: მარავალა: თუალიანი:
9 ანგელოზნი: შენაგანა: ძრაწიანა: ძლანი: (sic)
10 დასანი: და ჯოჯოხეთითა: მოციქულანი

11 გმავიდეს: ბევარასა: დასნი[72]:

13. მე-12 ქვემოთ წარწერა მე-18 ს.

1 ქ ღამარათო: და საშინაელო: დიდო:
ბატონო: ღამარათაებისა. . .
2 შენ . . .

14. მე-13 ქვემოთ მე-18 ს.

1 ქ ვიყავაენითა: ჩსმნი: დანი: მაგრა ჩენს: უტურფესი:
2 : ა ...
3 ..... მეშღგნი: სულითათან:
4 რომე: ჩენ: ქალნი: ვაყავაენით
5 ... ელსრემძს: შუდნეს: ღმერთიმნ

15. იალქნის ქვეშ (მე-17—18 ს.)

1 ქ: გუშინა: ამაჟამსა: ლომო
2 გასა: მე ... გარო....რაე
3 ნავე: ლომ...
4—10 სტრიქონებს თითოზე დაახლოებით 20 ასო აკლია
11 ..... მაღლო: უშუელე: მიწას:
12 ..... ვინაც: წკითხოთა: შენადობა: მი
13 ბაძანეთ: (თქნა)ც: შაეგინადეს: ღამერათამა: ამინა: ვაიმე:
იმედო

16. პილიასტრზე ძირს, პირით ჩრდილოეთისაკენ სპარსული 5-სტრიქონიანი წარწერა.

17. პილიასტრის ქვედა ნაწილში, პირით იმავე მხარეს მე-17 ს.:

1 ქ ღმერთო უშველე
2 მიწას . . . შ . .
3 , 4 . . . .

18. მე-17 ქვემოთ 4-სტრიქონიანი მე-17 ს. წარწერა ცუდი ხელით.

19. საკურთხეველის სამხრეთ კედელზე მე-17 ს.:

1 ქ ქალო: მარიამა: ამაზე
2 დ: სწერდი: გან რომ:
3 ავია:
1 ჩვნე ორნი
2 დანი: ერათ გუე
1 ქ ვიყვენით: ჩვენ::
2 -რნი:: დანი: : ერათის:: გერქვ::

3 სრი: : ერთის:: მრიამ: : ორნი
4 დანი:: სხვნი:: იყვნ ამის ქვემოთ: ქ ესე წიგნთ

20. ამის ქვემოთ მე-17 ს.
ქ. ვიყვენით:: ჩვენ::
ორნი:: დანი:: ერ

21. 20-ს ქვემოთ მე-17 ? ს.
ქ: ვყვენით: ჩვენ
ორნი: დანი: ერთის: გერქვ:
სრი: ერთის: მრიამ: ორნი
დანი: სხვნი: იყვნ

22. მე-19 მარჯვნივ აღმოსავლეთით მე-18 ს.:

1 ქ ამ წიგნისა	2 მწერლისა
3 რჩეულიშვი	4 ლი ზერდი
5 ღმერთო უშველე	6 საბრლოსა ზვ
7 ზრდსა: ნუზამ მ..რ	8 თიგუ

23. 19—22 წარწერების აღმოსავლეთით არის 6-სტრიქონიანი წარწერა დახიანებული (მიმჭრალა ნაწერი).

II. ჩრდილოეთის კედელი (დასავლეთიდან — აღმოსავლეთისაკენ)

24. დასავლეთი კამარის ქვეშ, პირით სამხრეთისაკენ მე-17—18 სს.
1 ქ. ღმარათაბისა: ხატო: ფარად: ცოდაელსა: ანასა
2 შეუდანესა: ღმერათათამა: იმასა: დედამამათაცა ;შეუნდე)
3 ნა: ღმერთამა: ვიც წკითხოსა: შედობა: უბაძანო
4 თქეცა: შეგი(დო)ს: ღმერთმა

25. 24-ის ძირს მშვენიერი ხელით მე-15—16 სს:
1 ქ ფრიდა: ცოდვილსა: ოძარ ელელსა
2 დეკანოზისა შვილსა: ლუკასა: შენ: ღთ მნ
3 და: ვნც: ბრძანოთ: თქვეხც: შეგივნეს: ღთმნ
4 ამნ იყავნ:

26. 25-ის ძირს (მე-17—18 სს.)
1 ქ ღმერათო სბრალოთა: შემახვეწო: მაწყლ
2 ბელო: თულფარათო: ზაღუმადაი გათქამულო: (შ) [ე]
3 ნი: სახე: ზაღმადი გათქამულო: ღმართბსა: ხატო [შე]
4 ნი ჰირიმე: ბატონო: ღმარათბისა: ხატო: მე: შენასა: სახელ
5 ხსენებასა: სადაღრასავარა: კურათხულხარ: დიდებულ: [ღმრ]

6 თაბისა: ხატო: ქარასატიანრ(ბისა): გიღსება: საბარალო...
7 საუფინო: მიშელე: ნა. ჭოსა: შემახე: საბრალვარა: რასაცა:
8 გეხეწებისა: დიდსა: არაცა: მე მოგიდება:: რომე: დაღოდე: თუ: ამასა
9 მაძაევსო: მე: რე: გეუდბი: ისი: და: ადავალა თქუგანა

27. 26-ის ქვევით მე-17—18 სს:
1 ქ ღმარათობისა: ხატო: შენისა მარავალ
2 მოწყალებისა: მადალსა: შემიხუწე
3 მონა: შენი: ანი: უშელე: ა...[73]

28. 27 წარწერის ქვემოთ დახატულია ცხოველები. ამათ ქვემოთ კამარის სეეტის ძირს მე-17—18 სს. წარწერა:
1 ქ ღმერთო: დუხწნე
2 ლო: ღრთიბისა: ხატ
3 ო: შეულე: დიდებით(?): მონასა
4 ... თქუენსა: მიწასა:: თემიანსა:
5 და მის: (თა:) ძამთა: დედმამათა:
6 ვინც (წაიკითხეედეთ)...
7 (შენდობასა იტყოდეთ): ვინც: მე:
8 შენდობასა. მეტყოდეთ: თქუენც...
9 და 10 არ იკითხება

29. ჩრდილოეთი კამარის ქვეშ, პირით აღმოსავლეთისკენ მე-17 ს.:
1 ქ ციხისა: ავაზი: ეზო: მაღალსა: თულნ: ძალვა: შემო
2 მაცადება: გაზ: გურაბთა: შემოვალენა: მაცა
3 ველნი: მაზედა: დაგებანა: მაშიგანა: ორნი: გუ
4 შაგანი: ნაბადსა: არადაცადება: მათისა: შემაბმელ
5 სა: და ოცენა: ცეცხლურება: მოედებან
6 ჩემო: ნუმოხულა: ჩემაზედანა: სხუათა
7 მებარძოლთა: წსითა: ნურცა მემომაკალ
8 ვა: ჰირითა: ამისაგანა: უარესითა: დამ
9 (ით)მეთა: დაგათმობ: ჰირთა: ამისაგანა
10 ურასითა[74]

30. ჩრდილოეთ კარის თავზე მე-17—18 სს:
1 ქ მოწყალო: ღმართაებისა: ხატო: ყოვალის: ღარიბისა: მოხო: წმიდან
2 ნო: გაწყობილნო: კარისა: ღმარათის: მაშობელო: ღრიბსა
3 ანას: უშელე: ნუ მა...: გულსს: ღმრათა(ბაო: დიდე)ბულო:

4 შენი: მონა: და ყმა: ანი: რაც: გეხუწბოდეს (უსმი)ნე
5 შახუწე: და უტერო: ღრიბი: არის: შენ: მა
6 ხუწე: ამასოფესა: საუკუნო
7 სცა:[75]

31. ამის ქვემოთ მარცხნივ მშვენიერი ხელით მე-17 ს.:
1 ქ ლუკასა: შენ...
იმავე ხელით ცოტა ქვემოთ:
1 ლუკა: ავდა. საგური

32. კარის მარცხნივ (აქვე) მე-18 ს.:
1 აწერე დანტიდა: მზექ
ალა გეხსნებს შენა თოლშენე
რი და ჩინარა ჰ-

33. იქვე ამის ქვევით წარწერა 20-სტრიქონიანი ცუდი ხელით მე-18 ს.:
1 რედე(ნოტესი)და: მაზევ(ლ)
2 შც: გაგელმა. თაქაენმა
3 მაზედა: ოღონა: ნიფხვები
4 არა: გახ ადა
5 სახუა
6 არა შეარაჩინნარა
7 კაიდეც: კაი: უყევესაქანა(წ...ელი)
8 წესერი: ქალები: იყო:
9 იმისათი: უყო: თურემო: მე:
10 რატმა: არ: მიყო: თულ
11 შენერსა: მარინესა: გეგელასა
12 მოსარ(ჩ)ლე: არერა: დარო
13 ჩ: გაგელასა ჯილდოდა
14 სამი თახისა მანაძილ სარი(ურ)
15 ერთი ბეგასა აბრეშუმი თურა სამი
16 (ჩ)უნაჩხელი: ნიგუზისა ესე: რედენოტესი
17 ძროხა მზექალას: სამი: აჯითი: (თურან)ისა
18 სხა ნიგოზა შეარგოსა ღმერთამა
19. თუ. ბახეი: მოვა: მუკითხვასა
20 ისურვა წაუ და ყალა?
სულ ორ-ორი წერტილი აქვს.

34. პილიასტრზე პირით დასავლეთისკენ მე-17—18 სს.:
ქ სარა: მრიამ:
ულინდელი

35. ზევითის ქვევით სხვა მელნით და ხელით
სრა: მრიამ
ულინდელერ
მ..

36. ზევითის ქვევით სპარსული თუ თურქული წარწერა 3-სტრიქონიანი

37. მათ ქვემოთ რაღაც ცხოველია ფრინველებით თავზე.

38. პილიასტრის ძირს (ამავე მხარეს), წარწერა 7-სტრიქონიანი ძლიერ დაზიანებული მე-18 ს.: ქ ყელი... და სხვ.

39. პილიასტრზე პირით სამხრეთისკენ, ზედა ნაწილში: სპარსული თუ არაბული წარწერა 3 სტრიქონად.

40. მის ქვემოთ (მე-18 ს.);
1 ქ მცხოვრო: უშვე
ლე: ზვრნსა: . . .
დინე: შემოტანილი . . .

41. ზევითის ქვეშ (მე-17—18 სს.), სულ სამ-სამი წერტილით
1 ქ უხარწნელო: ღმართობისა: ხატო: შემიბრალ
2 ე: მიშულ: საუკუნოსა: დამადეგა: ოცი: ოთხ
3 შაფათი: პარასაკევი: მარხავა: შემომი(წრე):
4 სა: სასადამადი (sic): ცოცხალვარა: პურისა: თუ: თავი
5 ელთა: მაქუ: შენსა წყალობითა: დამიწრა: მე: რჩე
6 ულძესა: ანას: სახუა: არასაღისა: ვიყავა: შემეწრა: ასა
7 ვე: თვასავე: მიეაჭირვე: მარახულმა: ორამოცა: ორამოც
8 მუ ალსა: მოგადება: შიწრე ღმარათობის: ხატო: თუ:
9 რამე: მეშულბისა: რაცა: შემწრავსა: ისარე: გუთავე
10 ბა: ამა: მარხვას: გარაეთა[76]:

42. ზევითის ქვეშ(მე-18 ს.):
ქ ღმერთო და საშინელო ღმრთე
მო/გ/რ/ჩინე ს/ესი/ლონი: ვართია

43. ზევითის ქვევით 4-სტრიქონიანი წარწერა მე-18 ს.

44. ქვევით (აქვე) სპარსულით სხვა წარწერა 7-სტრიქონიანი, ამის ქვევით დახატულია ცხოველები და ფრინველები.

45. საკურთხევლის ჩრდილოეთ კედელზე: (წინ ლომის მსგავსი ცხოველია დახატული, მე-17—18 სს.
1 ლ-ომო: განალამაა: მიყარია: შენებარ
ვა: ვერავისა: სადარადია:

2 წაყალა და: სვა ფარო უცადა:
გეტაყიან: გულადა: როსატომის:
3 სადარადა:: ტანია: აზატასა:: საროსა:
ნარინადა: აყავებულასა: მე:
4 გული:: ელათა: არა: მაყავასა:
თუ: არა: შენა: გახალავასა
5 სადარადა: ვიმე: იმედო: ნახავამადაისა:
თუ მონასა: დამიწე
6 რია: აქ მახე: გიშენის: წალაკოტო
ხილითა: დახე (აქ დამწერს დაუწერია „დახენა“, მაგრამ
უკანასკნელი სამი ასო მერე ამოუშლია, ახლაც მოჩანს).
7 ვანართა: უწყალოდა: მოკალვა: მოკალვი
8 მიჯანურისა: დაგულასა: დასევა ნაროთ(?)[77]

46. 45-ის ქვემოთ (მე-17—18 სს.)

1 თუთისა ბაღაბო წიროლათა წა: ეიკამარაება:
მე: დოწვო:
2 სატრფოი: ბაერაზე: სამაშვამარ:
ბ: მა:: ბატონისა
3 ყიროხაბისა: ქალისა: მაშაალივდა (ნა:)
4 რახალასა: მყლამეოე: ბატონისა ამილახორიან
5 თის რძალ: მე . დამე: რომა: ჯ ს: ემა
ითო: საროლა მოძე
6 ც მოვანითომ. უმიო შაიტაყანით

47. 46-ის ქვემოთ (მე-18 ს.):

1 (ქ) მოვვედ: (უ. ე)დ თა:
2 აღრ ეხლერ: (ვი).
3 ე: უშენოთა: რა: გაძლებ
4 ინებსა: შენსა: შაბ(ა)ნასა: აღ
5 რ გებრალებსა და: რატომ
6 გამოი: მეტოს დამან
7 თი

48. 47-ის მარცხნივ აღმოსავლეთით (მე-18 ს.):

ვ შე დი
ი წ ა
ვ ნ გე
ა ყე თი ნ

რ ნ ი დ
ჯ ი ყ
ი თ ო —
ლ :. სა სა
სა .: .:
.: ი
ამა ყ ვ შა
სო ო ი ბ
ფ სა მე ნ
ე ვ .. სა
ლ ი მო მ
სა .:
:: მე ვ
ბ :. დ
რ ბ
ლ რ ა რ
ი
რ ალ რ ე
არ ი რ ო
: ი გ
ვ არ ბ ე
შა არ თ
ბდ ს შე
სა ი ბ
გ (ს) რ
: ლე
ე სე ბო
ლ ვ ვ
ი
სა
(ც)[78].

49. 48-ის მარცხნივ აღმოსავლეთით (მე-18 ს.):

ქ: მე: მ. ლო.
დისა: მოუკე
შენ აგრე დაყოდე
ბასა მ მ შა ნეტვი: ი
მდრსა: გუდეი:: გოდე

რძისა: თმ ნ: ჯითი
ნ: გოდერძი: (აწ ზიარ) იქმნა
ი თუმისა: აღარ: ჰვსა
მის რ: გოჯი შვ
ლ თუმიანსა: სი
ნუ: მოგი(კლ)ს
უ[79]

50. 45-ის მარცხნივ, უფრო აღმოსავლეთით, მაღლა მე-18 ს.
1 ქ: დამიწერია: ივანობისთვეს: მე:
(შოტელიშვილსა: ბერი(ქთა?)
ქალიშვილსა
2 ხვარამზეს: ესე: წიგნი: ვინცა: შეგვიბრალებთ:
მე და: აბატონს: გოზალა
3 ღას: ჩე მასა დაიმის გაუყარელობასა ესეც უნდოდა:
ვიმე: თუ: ერთმანერთი
4 სა საკუდილის და სულთმოსლის: დროსა: არ: დავ ხ უდეთ
5 შ(ე)მიბრალეთ ღმერთმა: გაიგონოს: რამე: როდი(სა)ც
6 მე და გოზალალა აქა მოვედით დაგვენ ტა ბევრი ვიტირეთ
7 ესრე ჩავენ თაქვენ ჩავენ შეგვიბრალეთ
8 ეს ჩიტნი მოწამენი იყუხეს (აქ ფრინველი ხატია)
9 პირველის ბატონების ნაწერისა
10 ჩიტნი... რა მოვიდნი ვიმე გ(უ)ლით
11 გან დამდნარისა
ნიშნებად აქვს ორ-ორი სამ-სამი წერტილი[80].

51. 49-ის მარცხნივ, აღმოსავლეთით, ცოტა მაღლა, მე-18 ს.
ქსრა:: ვი: ვიდარებ:
2 და-: ულუყამოი: მე
3 რმე: დარბზს: ჩემს: დიდას:
4 იმედს: ბევრი: მოკითხვ:
5 მე დასაბიმოე: ეტმიის: შღმოისულთ

52. ეკლესიის სამხრეთ კედელზე, გარეთა პირით სამხრეთისკენ კარის მარცხნივ, აღმოსავლეთით, მე-17 ს.:
1 ქ ღამაერათთ დაყუელა
2 წამიდაო: ღედო: ფალო: ღ
3 მარათაისშობელო და
4 რანიც: წმიდანი: მათავარა ანა
გელოზნი: სუენებისარა: თქუენას:

5 ძალას: დამორწყალებასა: უშუელეთა:
და ულახინაეთა მასამასახურაესა: მიწასა: თაქუნსა:
თულა: პატიოსანასა
6 უებაროსა: გულაქანას: ვაიყავა: ცო(?)დეველ: რომა:
მოიყოვანა: მანაუ
7 ჩარა: ქალად: დაგასათხვარად:
ქმარი: მე: [ეს წინა სიტყვის თავზეა დაწერილი]
ჯაერა: არა მედგა:
8 ღამრათის: მადლამა: და ამაწამი
დათა: მადლამა ჩე
9 მასა: ულამაზესი: სულიერი: დედას: მიწა
ზედა არა: ია
10 რებოდო: და არაც: სახუა: გამ(ოს)ულ[ა]:
არაც თუალადა: არაც(?): ტანადა
11 არაც: ზნითა: არაც: გონაებითა: თუარაემ: ჩემნი: მნა
12 ხავნი: არა გამამტყუვანაებნა: ეს: ხიზანანი: არიანა:
13 ამისნი: მოწამენი: დაეს ღომი:

(აქ ძირს დახატულია ღომი; წარწერის გარშემო დახატულია აგრეთვე სხვადასხვა ცხოველები, ფრინველები და სხვ.).

53. 52-ის ქვემოთ მე-17 ს.:
1 ქ: ქალიო: თამარ-: შენმა მზემან: ავ[აზი] დაუხატავს
ვისც უქნია[81]

54. 53 წარწერის ქვევით ძირს (ნიშნებად ოთხ-ოთხი წერტილია) მე-18 ს.:
1 ქ დავსხედით: ბრჭენი:: [11ასო აკლია] ტი და ხა...
დი:: თომას::: დავატ
2 ...მო... ახჭელისა:: (ცერ)ძოთი:: ე(ღარა) ..ვ..
სრი.....მე:: ვიცოდი:: თქივი
3 .....რბ:: სადაც::: აივდი...ილ:: თ..ვთ:: თომა::
მოხედა:: მოა.თ:: ამბანაგით:: სა...თო::: მირტოდ::
4 ნუ:: მრწმობ:: (მიკბრს):: ნურცა:: ივნი:: ბრალთი:::
სმოზხო მიქს
5 ...მა:: მომაყივნონ:: გართის.... ქალს:: გავატან::
6 .....ილთვარ:: შეე. წყდით:: (შე)ტარბ:: დაიწყეს::

55. ამავე კედელზე კარის მარჯვნივ არის 2-სტრიქონიანი წარწერა ცუდი ხელით, მე-18 ს.

56. 55 წარწერის ქვევით არის 11-სტრიქონიანი წარწერა, დაზიანებული, მიმჭრალი მე-18 ს.

57. ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე, გარეთ, კარის მარცხნივ, დასავლეთით არის 16-სტრიქონიანი წარწერა, ძლიერ დაზიანებული, გადასული, მე-18 ს.

58. ამავე კედელზე, აღმოსავლეთით, კარიდან 1 მეტრის დაშორებით ყოფილა 12-სტრიქონიანი წარწერა, ძლიერ დაზიანებული.

59. ამავე კედელზე, შუა ნაწილში, 58-ის აღმოსავლეთით; მე-16—17 სს.

1 ქ გაყარსა გოარსა ზედა ვი....
2 შუა შიგან ვზი აწ
3 და 4 არ იკითხება

აქვე ქვემოთ, მე-18 ს.:

1 ქ .... ჩ. ვ. იან ვიყვენით

60. აქვე ქვემოთ.

1 ქ დიდება ღმერთის მცხო
ვრის ხტსა ვიყვ მე
2 ჩეულ

სამცხე-ჯავახეთის მეხილეობა-მევენახეობა

(ცნობები მეხილეობაზე მოცემულია ახალციხის ყოფ. მცხოვრების სტეფანე ბესარიონის ძე მესხელის მიერ, ხოლო მევენახეობაზე — ხიზაბავრის მცხოვრები პავლე იაკობის პე ხუციშვილის მიერ).

მესხეთში ხალხი უმთავრესად მეხილეობას მისდევს (მას ნაკლები წრომა სჭირდება და დიდი შემოსავალი აქვს); მევენახეობა კი მხოლოდ ნაშთადღა არის.

აქ არის ხილი: ვაშლი, მსხალი, ქლიავი, გარგარი, ჭერამი, ატამი, ბალი, ალუბალი, თუთა, შეინდი და სხვა.

დავასახელებ ზოგიერთი ხილის ჯიშებს:

ვაშლის ჯიშები:

1. მ ახ არ ა. ზამთრის ხილია, გამძლე, მსხვილი, ყვითელ-მოწითალო ფერისა, მჟავე.

2. შ ახ ალ მ ა (სამეფო ვაშლი). შემოდგომის ხილია, დიდი ხანი ვერა სძლებს, ირჩევა სიძსხოთი, ვარდისფერი და თეთრია.

3. ყ არ აფ ილ ა (ძიხაკიანი ვაშლი). ზამთრის ხილია გამძლე, ყვითელი ფერისა კარგი წითელი ელფერით, გემრიელი, მიხაკის გემო გაჰკრავს.

4. ია ღ ალ მ ა (ერბოიანი ვაშლი). შემოდგომის ხილია, დიდხანს ვერა სძლებს, პატარა ზომისა, წვრილი, წითელი ფერისა.

5. აჭ არ უ ლ ა. ზამთრის ხილია, გამძლე, საშუალო ზომისა, მთლად წითელი, გემოთი მომჟაო.

6. ფ აშ აა ლ მ ა (საფაშო ვაშლი) ზამთრის ხილია, გამძლე, საშუალო ზომისა, ფერად ყვითელი კარგი წითელი ელფერით ნახევარ გვერდზე, რუსეთსა და ევროპაში იგი საუკეთესო ვაშლად ითვლება კამპოტისათვის.

7. ყ ათ ირ ბ უ რ ნ ი (ჯორისცხვირა). ზამთრის ხილია, გამძლე, საშუალო ზომისა, მოგრძო, ფერად თეთრია წითელი ელფერით.

8. ს უ დ ალ მ ა (რძიანი ვაშლი). ზამთრის ხილია, გამძლე, სილამაზით ყველა ვაშლებში განირჩევა. ყვითელი და მოწითალო ხაედრის ფეროვანია.

9. ხანუშალმა (ქალბატონის ვაშლი). ზამთრის ვაშლია, გამძლე, წვეტიანი ბოლო აქვს, ფერად მთლად წითელია, ხან გულიც უწითლდება.

10. სობალმა. შემოდგომის ხილია, მოგრძო ფორმისა, წითელი ფერისა.

11. შაქარვაშლა. ზაფხულის ხილია, საშუალო ზომისა, თეთრი ვარდისფერი ზოლებით.

12. კოპრუწულა. შემოდგომის ხილია, მოპრუწული ფორმისა, პატარა, ფერად თეთრი.

13. უზუნალმა. ზაფხულის ხილია, საშუალო ზომისა, ფერად ყვითელი წითელი ელფერით.

14. შაქარნაბადა. შემოდგომის ხილია, სქელკანიანი, მრგვალი, წითელწითელფერიანი ტკბილი.

15. იაზალმა (ზაფხულის ვაშლი). ზაფხულის ხილია, მოგრძო, წითელი ფერისა.

16. მამულა. ზამთრის ხილია, საშუალო ზომის, წითელი ფერის.

17. ალიალმა. ზამთრის ხილია, მოგრძო ზომისა, მოყვითალო ფერისა.

18. დევრიშბეგი.

მსხლის ჯიშები:

1 ნანაძირი. შემოდგომის ხილია, მოგრძო, გემრიელი, ტკბილი, წვნიანი.

2. თავრეჟული. ზამთრის ხილია. ქართულად მას ხეჭეჭური ჰქვიან; იგი მაგარკანიანია, მოგრძო, ფერად ყვითელი.

3. ყაბაღარმუტი (გოგრა მსხალი). შემოდგომის ხილია, ფერად ყვითელი მოწითალო ელფერით, იგი პირველი საჩირე მსხალია.

4. კვირისტავა (თურქ. ალრიმავა). ზაფხულის ხილია, წვრილი, კარგი საჩირე.

5. ნენემსხალი (თურქ. ნანაპიმუტი. ბებიას ანუ დიდიას მსხალი. საბებრო საჭმელია). ზაფხულის ხილია, წინ უსწრებს ნანაძირს, ფორმით მრგვალია.

6. კაცისთავა. ზაფხულის ხილია, დიდია ძლიერ, გირვანქანახევარი გამოვა; ტკბილია, საჩირე.

7. წითელგვერდა. ზაფხულის ხილია. წითელი გვერდი აქვს, ტკბილია.

8. ბეგარმუტი (ბატონმსხალა). ზამთრის ხილია, ყველა მსხალზე უკეთესია; საშუალო ზომისა არის, გემრიელი, ტკბილი, წვნიანი.

9. მიხრიკი. ზაფხულის ხილია, წვრილი, სანთლის ფერი, მოწითალო ზოლებით, ჯავზის გემოიანი (მუსკატი — ჯავზე).

10. იშიღმაჰმადი (მაჰმადის სინათლე). შემოდგომის ხილია. საშუალო ზომისა, სანთლის ფერი, გემრიელი, წვნიანი.

11. სესელა. ზაფხულის ხილია, ადრეულია, ტკბილი, წვნიანი.

12. აჭარული სესელა. ზაფხულის ხილია, საშუალო ზომისა, მრგვალი, ნახევარგვერდი წითელი აქვს, ტკბილი და წვნიანია.

ქლიავის ჯიშები:

1. ჰანჭური შემოდგომისა, წითელი, საშუალო ზომის, ტკბილი და გემრიელია; მას მესხეთში ყველა კურკიან ხილთან შედარებით პირველი ადგილი უჭირავს. მისგან ამზადებენ ფალვარდას, ახმობენ ჩირად, აკეთებენ ტყლაპს, ხდიან არაყს.

2. თეთრი ჰანჭური შემოდის ადრე ზაფხულში. შემოდგომის ჰანჭურზე უფრო წვრილია. იგი ხელად საჭმელი ხილია.

3. ოტური — ქლიავი წითელი, მოგრძო კვერცხისებურია, ირჩევა სხვა ქლიავებიდან თავის სიმსხოთი. იგი ხელად საჭმელი ხილია.

4. ჩათალარუგი (ტყუპი), თეთრი წვრილი ქლიავია. ხშირად ტყუპი იცის, ცნობილია მისი მურაბა.

5. ხარშანარუგი (კალოობის ქლიავია), შემოდგომას შემოდის, კალოობას, რასაც ადასტურებს სახელიც. იგი საშუალო ზომისაა, მრგვალი, თეთრი ქლიავია.

6. თამაზი — წვრილი, მომრგვალო, მუქი წითელი, ტკბილი ჰანჭურია, განსაკუთრებით მას გასახმობად ხმარობენ. გამხმარს ხმარობენ ფლავშიაც და წვნიან საჭმელშიც, სახელდობრ ყალიაში (ყალია მესხეთში ხორცის წვნიანი საჭმელია), მას გამხმარს უშვრებიან.

7. ალიბუხარი. ყვითელი მსხვილი კვერცხისებრი ქლიავია. მას ახმობენ და ავადმყოფობის დროს ალბობენ და ავადმყოფს მის წვენს ასმევენ სიცხის გასაგრილებლად. გამხმარი მომჟავო გემოსია.

თუთიდან ხდიან ბაქმაზს, მისგან აკეთებენ ტკბილ კვერს, ე. ი. ტყლაპს, ჩურჩხელებს, ახმობენ ხმელად საჭმელად.

ტყლაპს აკეთებენ: ქლიავისგან, ვაშლისგან, მსხლისგან, თუთისგან, შვინდისგან, ტყემლისგან და სხვა.

ვაზი უმთავრესად შენახულია სარო-ხიზაბავრას სხვილისსა, პატარა-პატარა ვენახები. ვენახებს ახლა კი არ აშენებენ, არამედ რაც დარჩენილია მარტო იმას უვლიან, ყურძენსაც უმთავრესად მარტო საჭმელად ხმარობენ სარო-ხიზაბავრას; ვაზი მეტი წილი დაბალია, არის თითო-ოროლა მაღლარიც. სარო-ხიზაბავრის სულ არის ვაზის 5 ჯიში:

1. საფერავი. შავია, დიდმტევნიანი, მსხვილმარცვლიანი. მტევანი 1/2 კილო იქნება. ნაკლებს ისხამს.

2. ხარისთვალა. მოთეთროა, უფრო უკეთ, მოყვითალო, სანთლის ფერია. კაკლის ტოლა მარცვალი აქვს, სანახავად ლამაზია. მტევანი ერთ კილომდე იქნება. ფოთოლი განსხვავებული აქვს, იგი ლეღვის ფოთოლს ემსგავსება სიდიდით, ბევრს ისხამს.

3. ბუდეშური — კახეთის მაგვარი ჯიშია.

4. ცხენის ძუძუ, შავია, მარცვალი გრძელი აქვს, ჭანჭურს ჰგავს. ძალიან დიდი მტევანი იცის, მტევანი ერთი კილო იქნება, საფერავს ათი წუებით სჯობია, იგი ცოტა არის; თითო ვენახში 2—3 ვაზია შენახული.

5. თითა კახურის მაგვარი ჯიშია, ის ნაკლებია ცხენის ძუძუზე.

ყურძნის დაყენება: ძველად ყურძენს ჯერ ქვითკირის საწნახელში სწურავდნენ ფეხით, ბოლოს რაც დარჩებოდა, ქვის საწურავში, ანუ საქაჩაში გადაჭონდათ იმაზე სწურავდნენ. საქაჩავი სხვადასხვა ფორმისა იყო. თქვენ რომ გინახავთ ძირისქვებია საქაჩავისა, მასზედ ფიცრის კიდობანს დაადგამდენ, შიგ ჭაჭას ჩაყრიდნენ, ზევიდან ფიცარს დაადებდნენ და მისცემდნენ ბაზლს (სიმძიმეს) რომ დასწოლოდა და გამოეწურა. ამ ბაზლს ბოლოზე აქვს მართული კედელში, თავზე ჰკიდია ოცფუთიანი მრგვალი ქვა (ზეთის სახდელის მაგვარი), რომელიც აწვება და სწურავს ყურძენს. ორივეს (საწნახლისა და საქაჩავის) ნაწური ჩადის ქვევრში.

თუთის საწურავი 40 წლის წინათ შემოვიდა, ის ხისაა.

საწნახელები შენახულია: დიდ სმადას (ქვისა) და ვარძიას (კლდეში ნაკვეთი). საქაჩავები — უდეს, ვალეს, ურაველს, ღობიეთს, როკეთს და მგელსუნდას (იხ. ნახ. 106).

საქაჩავი ზოგადად მივიწყებულია (უდეში მას ყორას, ანუ ხილის საწურავი უწოდეს, ვალეს ყველის საწურავი), ხოლო სარო-ხიზაბავრას, სადაც მევენახეობა ჯერ კიდევ არსებობს, იგი ძალიან კარგად ახსოვთ.

სიძველეთა დაცვის კომიტეტს

შოვიარე და ავწერე შესხეთი. მოგზაურობის პირობები მეტისმეტად ძძიმე მჭონდა. ხსენებული კუთხე ძლიერ მდიდარია წარსულის ნაშთებით. აქ არის შესანიშნავი ძეგლები: ვარძია, ხერთვისი, აწყვერი, ახალციხე, ოქროსციხე, ჭულები, ვალე, ზარზმა და სხვა. უმეტესი ნაწილი ძეგლებისა დაცულია ცოტად თუ მეტად მთლიანად, ხოლო ერთი ნაწილი ნაშთადღა არის. უკანასკნელნი დანგრეულან ან თავისთავად — დრო-ჟამისა და უპატრონობისაგან, ან კიდევ უმეტეს შემთხვევაში, ხალხის ხელით, რომელთაც იგი საშენებელ მასალად წაუღიათ; მრავალ ადგილას ვნახე შესანიშნავი (თავის გეგმით) ძეგლი, რომლისაგან დღეს მხოლოდ პირშემოცლილი, გატიტვლებული დუღაბიღა დგას; ასეთებია მაგ., დიდ-სმადას, ღორთუბნის ეკლესიები, ოთას ციხე და სხვა.

ხსენებული კუთხის ძეგლები ადგილობრივი რწმუნებულის კონსტანტინე გვარამაძის მიერ მთლიანად აღრიცხულია და მათი დაცვის საქმეც კარგად არის მოწყობილი. ამ ძეგლების უმეტესი ნაწილი ცნობილია ჩვენს მწერლობაში, ხოლო არის ერთი მცირე ნაწილი, რომელიც ჯერჯერობით უცნობი და ახალია.

აქვე დავასახელებ ზოგიერთ მნიშვნელოვან მასალას, რომელიც აღმოჩენილი იქნა ჩემი მოგზაურობის დროს:

1. ფეტობნის ორი ქვა, აღმოჩენილი წყალთბილას, რომელთაგან ერთი შემკულია შესანიშნავი გამოსახულებებით, დაახლოებით VI ს.

2. იმავე ადგილის ქვა, ადრევე ივ. მერაბიშვილის მიერ ჩამოტანილი უდეს, შემკული შესანიშნავი გამოსახულებებით და წარწერით, რომელიც იხსენიებს ფარსმანს, VI ს.

3. წყისეს ჯვრის ძირი წარწერით, VII—VIII სს.

4. არალის ჯვარი წარწერით, VII—VIII სს.

5. „შოლოს შუატყის“ (ვანის ბოლოს) ეკლესიის აღმოსავლეთ კედლის გამოსახულება ვიღაც პირებისა, დაზიანებული. VII—VIII სს.

6. კრავას გამოსახულება (წელამდე) ვალეს ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე წარწერით, IX ს.

7. ზედა ვარძიის ეკლესია წარწერით ერისთავთ ერისთავის ლიპარიტისა, XI ს.

8. იოანე(?) შავთელის მინაწერი ვარძიის ეკლესიის კედელზე, XII ს. და სხვა.

ჩემ მიერვე შეგროვილი წიგნებიდან აღსანიშნავია:

1. ეტრატზე ნაწერი ოთხთავი, სომხურ ენაზე, XIV ს.
2. სომხურ-ქართული ლექსიკონი, XIX ს. დასაწყისისა.
3. „ „ XIX ს.
4. წირვის წიგნი მინაწერებით, XVIII—XIX სს. და სხვა.

აქვე ავწერ ზოგიერთი ძეგლის მდგომარეობას და საჭიროებას და აგრეთვე იმ საკითხებს, რომელიც ეხება სიძველეთა დაცვას.

1. დიდებული ძეგლია ვარძია; იგი საკვირველებას წარმოადგენს; ეს კლდის ქალაქი შეიცავს უძვირფასეს მასალას ისტორიისათვის; აქ არის მრავალი ეკლესია, დარბაზი, ოთახი, სენაკი და სხვა; ნაკეთობათა თვალსაჩინო ნაწილი, როგორც კლდეზე შერჩენილი ნაშთებიდან ჩანს, დანგრეულია; მაგრამ მთავარი ნაკეთობანი უმეტეს ნაწილად გადარჩენილია. ასეთებია: მთავარი ეკლესია, თამარის(?) ეკლესია სასამართლო თუ უცხო პირთა მისაღები დარბაზით, წყარო, სამრეკლო, რაღაც დარბაზი, „ანანაურის“ ფრესკიანი ეკლესია, საწნახელი, გომი და სხვა.

ვარძიის კლდეს უმთავრესი და უმრავლესი გამოქვაბულები აქვს სამხრეთის მხარეს; მაგრამ გარდა ამისა არის გამოქვაბულები აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარესაც. დღეს შენახულია გამოქვაბულები 7 სართულად; ზედა სართულებს ერთმანეთთან კავშირი აქვთ, ხოლო ქვედას კი ნაწილების დანგრევის გამო კავშირი ერთმანეთთან უმეტეს ნაწილად გაწყვეტილი აქვთ. დღეს კლდის სამივე მხარეს გადარჩენილი უნდა იყოს დიდი და პატარა ოთახი დაახლოებით 200-მდე (ზუსტი აღრიცხვა არ არის მოხდენილი).

ვარძიას ინახავს ზედა თმოგვის კოლმეურნეობა, რომელსაც იქ დაყენებული ჰყავს ყარაულად მოსე ბერიძე; მას ორი დღის ყარაულობას ერთ ნამუშევარ დღედ უთვლიან. კოლმეურნეობა თხოულობს, რომ ძეგლის მოვლა-პატრონობა და ხარჯი იკისროს სიძველეთა დაცვის კომიტეტმა.

შემთხვევით, როდესაც მე ვარძიაში ვიყავი, ტფილისიდან მოვიდა ექსპედიცია, რომელშიაც იყვნენ: სახკომსაბჭოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი, მ. ტოროშელიძე, ჯ. ჭიქოძე, პ. ინგოროყვა და სხვანი. ინგოროყვამ და მე მგალობლიშვილს გავაცანით ძეგლის მდგომარეობა და იგი სათანადო თანხის გადადებას შეგვპირდა. შემდეგ ასეთივე განცხადებით მიმართა ჩვენმა ადგილობრივმა რწმუნებულმა პ. მაისურაძემ, ზედა თმოგვის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ; მგალობლიშვილმა მას დააკლა რაიონიდან ტექნიკოსის მოწვევა, ძეგლის ყველა საჭიროებათა ბარჯთაღრიცხვის შედგენა და მის სახელზე გადმოგზავნა და თავის მხრივ შეჰპირდა დაკმაყოფილებას.

ვარძიას შეკეთება, მოვლა და პატრონობა ესაჭიროება; უნდა შეეკეთოთ და დავიცვათ იგი; ეს აუცილებელია.

2. ხერთვისში ყოფნისას თემსაბჭოს თავმჯდომარემ დამიყენა სამი საკითხი: პირველი — „ხერთვისის ციხე ინგრევა ერთი მხრიდან და ხალხს ზიანს აყენებსო; ამ რამდენიმე დღის წინათ ერთი ქვა ჩამოვარდა იქიდან (წონით 35 გირვ.) და კაცი მოკლაო“. მე საგანგებოდ დავათვალიერე ციხის ის ნაწილი, რომელიც დაზიანებულია და აღმოჩნდა შემდეგი: ციხის სამხრეთ მხარეს დასავლეთ ნაწილში კედელი დაზიანებულია, იგი ნაწილობრივ დანგრეულია და შეკეთებას მოითხოვს.

მეორე საკითხი: ციხისძირზე მიშენებული სახლების საქმე. ციხის იმავე, სამხრეთის მხარეს ძირში მიშენებულია სახლები. იგინი ეკუთვნის ადგილობრივ თემსაბჭოს, რომელსაც მათში კოოპერატივი — სასადილო აქვს გამართული. უკანასკნელს სახლები შეუძენია ვიღაც კერძო პირისაგან. ციხიდან თურმე ქვები სახლის ბანზე ცვივა და შენობას აზიანებს. თავმჯდომარე მოითხოვს შენობის ფასის ანაზღაურებას — მაშინ თავს ვიკანებებთ ამ ადგილსაო. მე იქაც ვუთხარი და აქაც ვამბობ, ეს უმართებულო მოთხოვნაა; ქვა ციხიდან და უმეტესად კი მისი კლდიდან ყოველთვის ჩამოვარდება. ამიტომ, ჯერ იმ პირს დაუშავებია და შეცდომა ჩაუდენია, რომელსაც ციხის ძირს სახლები შეუშენებია, და მერე კიდევ, თემსაბჭოს, რომელსაც შეუსყიდია ხსენებული სახლები. თემსაბჭომ თავისი შეცდომა თვითონვე უნდა მიიღოს, სახლების შეძენაზე დახარჯული ფული თვითონვე უნდა იზარალოს, ის სახლები უნდა დაშალოს და სხვაგან გააკეთოს და ციხეს ამ მხარეს მცირე გალავანი გაავლოს, რომ ახლოს არავინ იაროს და გარდა ამისა, ყველა პირი გაფრთხილებული უნდა იყოს, რომ წვიმასა და ქარში და საერთოდ სხვა დროსაც ამ ადგილას გავლის დროს ფრთხილად იყოს, რომ ციხიდან ქვის ჩამოვარდნის საფრთხეს ელოდეს. ეს საკითხი ასე უნდა გადაწყდეს.

მესამე საკითხი: ციხის ძირიდან, ჩრდილოეთის მხარეს, დასავლეთ ნაწილში 3—4 საჟენი ქვის ატეხა (არა აფეთქებით) იქვე ჩამომდინარე ახალქალაქის წყალზე ხიდის ბურჯების ასაშენებლად. ხსენებულ მხარეს ციხის ძირიდან კლდე საკმაოდ გარეთ არის გამოწეული,

თუმცა, ერთი მხრივ, იგი ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს მდინარის ტალღების მოსაცილებლად და ძეგლის დასაცავად, მაგრამ 3—4 საჟ. ქვის აღება იმდენს არაფერს დააკლებს ამ კლდეს და ადგილობრივ ხალხს კი საშუალებას მისცემს, რომ ხსენებულ მდინარეზე მკვიდრი ხიდი გადვას და მასზე მიმოსვლა გაიადვილოს; ოღონდ, ეს აღება აუცილებლივ ჩვენი ადგილობრივი რწმუნებულების ხალის ვაჩნაძისა და აგაბეკ მურადოვის მეთვალყურეობით უნდა მოხდეს, რომ არასგზით იგი აფეთქებით არ იქნეს აღებული, არამედ წერაქვის საშუალებით, ატეხით.

3. საფარის საკითხი ახალციხეში მოსვლისთანავე დავაყენე. საქმე ხელთ ჰქონდა ადგილობრივ სახ. პოლიტ. სამმართველოს; შემდეგ იგი რაიაღმასკომს გადაეცა; საქმე დღესაც გადაწყვეტილი არ არის. რაიაღმასკომს საფარაში დასასვენებელი სახლი აუშენებია. მიუხედავად ჩემი მრავალგზისი სიტყვიერი და წერილობითი განცხადებებისა, რომ მონასტერი მთელი თავისი ქონებით ჩვენ გადმოგვეცემოდა, მაინც არაფერი გამოვიდა. რაიაღმასკომის პრეზიდიუმს საკითხი თავის სასარგებლოდ გადაუწყვეტია; მას დაუდგენია ისტორიული შენობები ჩვენ გადმოგვცეს, ხოლო არაისტორიული თავისთვის დაიტოვოს; ამისათვის აურჩევია კომისია იმის გამოსარკვევად, თუ რომელი გადმოგვცენ ჩვენ და რომელი დაიტოვონ თვითონ; თუმცა ეს გადაწყვეტილება ერთი თვეა რაც მიუღიათ, მაგრამ დღემდე არჩეულ კომისიას მაინც არაფერი გაუკეთებია და საქმე ისევ პირვანდელ მდგომარეობაშია. მე მათ გადაწყვეტილებაზე განვუცხადე, რომ საფარაში ყველაფერი სიძველეთა დაცვის კომიტეტისაა, გარდა რაიაღმასკომის მიერ აშენებული დასასვენებელი სახლისა, რომლითაც მათ შეუძლიათ ისარგებლონ. ასეა საფარის საკითხი. მონასტრის მამული დღეს რაბათის კოლმეურნეობას უჭირავს და სარგებლობს იმით, როგორც მთელი შენობები, ისტორიულიც და არაისტორიულიც, ისე მამულიც, სულ სიძველეთა კომიტეტს უნდა გადმოეცეს; იქ საუცხოო მეურნეობა მოეწყობა, და დიდ შემოსავალსაც მისცემს კომიტეტს.

4. ჭულები, რაც გადარჩენილა, დღეს კარგად არის დაცული; მაგრამ რაღაა მისი ყოფნა: უზარმაზარი თაღი ცალ სვეტზეა ჩამოკიდებული, კარ-სარკმლის ადგილები განგრეულია, გადარჩენილ სვეტსაც და კედელ-კუთხეებსაც და პილიასტრებს ქვები ნაწილობრივ მოცლილი აქვს; კალთებსაც სახურავი აღარა აქვს და მთელი შენობა ერთიანი დაქცევის საფრთხის წინა დგას. ძეგლი საფუძვლიან შეკეთებასაც საჭიროებს. ჩემი იქ ყოფნისას რაიონის ტექნიკოსი იქ არ იყო; შემდეგ

ვნახე და დამპირდა ხარჯთაღრიცხვის შედგენას, რომელსაც გადმოგზავნის ჩვენი რწმუნებული დ. მუზაშვილი.

5. ზარზმა კარგად არის დაცული. ჩემი იქ ყოფნისას ოსმან თურმანიძე იქ არ იყო; დამხვდა მისი ძმა და შვილი, რომელთაც გახსნეს ეკლესია; დავათვალიერე და ვნახე, რომ ეკლესია სხვაფრივ კარგად არის დაცული, მხოლოდ მისულთ თავიანთი გვარები უბღაჯნიათ კედლებზე შიგნით და გარეთ, რაც საშინლად ამახინჯებს ძეგლს. ამაზე გავათრთხილე ორივე პირი; ამაზე ოსმანის შვილმა მითხრა: „ფანჭრებს ვართმევ ასეთ პირებს და აი იქ გადავუყრი ხოლმე, მაგრამ მაინც ახერხებენ ჯღაბნასო“. მე დავავალე ყოველივე ღონისძიების მიღება მავნებელთა წინააღმდეგ, რაზედაც შემპირდნენ.

ძეგლის ეზოზე, სამხრეთ-დასავლეთით, განაპირას ვნახე დიდი ჯვარი ასომთავრული წარწერით, დაზიანებული. იგი არა აქვს მოხსენებული არც ერთ მკვლევარს; ვინაიდან ჯვარი დაჭანებულ ადგილას იდო და ადვილად გადავარდებოდა მეზობლის ეზოზე, ამიტომ დავავალე მისი ძეგლებთან ახლოს მოტანა ან კარიბჭეში შეტანა, რასაც დამპირდნენ.

ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის მახლობლად გადის გზა. აქ ადგილი ოდნავ ჩადაბლებულია და წვიმის დროს წყალი გუბდება (ჩემი იქ ყოფნის დროს წვიმა იყო და წყალი დაგუბდა); ასეთი მდგომარეობა ძეგლის კედელს დააზიანებს. ისედაც გზა ძეგლის კედლების ახლოს საზიანოა. ამიტომ მიღებული უნდა იყოს სათანადო ზომები.

6. მოგზაურობის დროს მრავალ ადგილას ვნახე შესანიშნავი ჩუქურთმიანი, წარწერიანი ან ქანდაკებიანი ქვები, გაბნეული ან კერძო პირთა შორის, ან სახიფათო ადგილებში. ზოგიერთი მათგანი მათი დაცვის მიზნით მე თვითონ წამოვიღე და მოვათავსე უზრუნველყოფილ ადგილას, სახელდობრ:

ა. წინუბნიდან — კოშკის(?) ქვა მოვათავსე ახალციხის არქივში.

ბ. წყალთბილიდან — ფეტობნის ორი ქვა: ერთი გამოსახულებით, მეორე წარწერით (მოვათავსე ვალეს ძველ ეკლესიაში).

გ. წყისედან — ჯვრიდან დარჩენილი ძირი წარწერით (მოვათავსე უდეს ეკლესიის ეზოზე).

დ. უდეს სასაფლაოდან — წარწერიანი ქვები, მოტანილი სხვადასხვა ისტორიული ძეგლებიდან, 4 ცალი (მოვათავსე უდეს ეკლესიის ეზოზედვე).

დღეს უდეს არის სულ 6 ქვა (5 ჩემი მოტანილი, 1 ადრევე ივ. მერაბიშვილის მიერ).

შენიშვნა. დიდი წვალება გადამხდა წყალთბილიდან ქვების წამოღებაში. ისინი დაფარული ჰქონდათ; ეწყო სკოლის შენობის კარის თავზე, კირით გადალესილი (გამოსახულებიანი ქვა პირდაპირ გადაელესათ, ხოლო წარწერიანი წინასწარ გადაეფხიკათ და მერმე გადაელესათ). აღმოჩენის შემდეგ სკოლის გამგე ერვანდ სიმონიანი არ მანებებდა; დიდი დავიდარაბის შემდეგ გამოვართვი, ჩამოვხსენი და მოვიტანე ვალეს.

სხვაგანაც ვნახე ქვები, მაგრამ მათი გადმოტანა დიდ დროს და ხარჯს მოითხოვდა; მე ამისათვის არც მცალოდა და არც თანხა მქონდა. ისინი შემდეგისთვის დავტოვე. ზემოხსენებული ქვები პირველად რომ ადგილებიდან მომქონდა, მე ვფიქრობდი მათ ტფილისში გადმოტანას, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ მათი გადმოტანა ძლიერ ძვირი ჯდება (უდედან მარტო ახალციხემდე ფუთი ღირს 1—50 კ—2 მ.; ჩემ მიერ მოგროვილი ქვები არის დაახლ. 120 ფუთამდე), ჯერ ერთი; მეორეც, ისინი ძლიერ მძიმეებია, დიდ სიფრთხილეს და წვალებას მოითხოვდა გზაში. ამიტომ უკეთესად ვცანი მათი მახლობელ კარგად დაცულ პუნქტებში დატოვება.

სხვა ქვებიც ასევე უნდა მოვაგროვოთ ზოგი ზარზმას, ზოგი უდეს, ვალეს, ახალციხეს და სხვა, ე. ი. კარგად დაცულ პუნქტებში. შემდეგ თუ ამისი საშუალება იქნება, ტფილისშიაც შეიძლება გადმოტანა. მოგროვება კი ეხლავე უნდა მოხერხდეს; ამით ჩვენ მრავალ ძვირფას ქვას გადავარჩენთ დაღუპვა-განადგურებისაგან.

7. ხსენებული კუთხის ძეგლებთან მეურნეობის მოწყობის საკითხი ასეთია. მეურნეობა შეიძლება და სასურველიც არის მოეწყოს შემდეგ ადგილებში: ვარძიას, საფარას და ჭულეს (ცნობები მათზე შეგროვილია ჩემ მიერ ადგილობრივ), სახელდობრ: ვარძიას — მევენახეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა; საფარას — მებაღეობა, მეფუტკრეობა, მებოსტნეობა; ჭულეს — მებაღეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა.

8. ბოლოს, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას, ზემოხსენებული კუთხის საუცხოვო მცოდნეა ძველი საზოგადო მოღვაწე და მწერალი, ადგილობრივი რწმუნებული, კონსტანტინე გვარამაძე; კერძოდ სიძველეთა დაცვის საქმეშიაც მას დიდი ღვაწლი მიუძღვის: პირველად მან შექმნა მუზეუმი ახალციხეში, მან შეკრიბა უძველესი ხანის ნივთები და გადმოსცა საქართველოს მუზეუმს. მან აღრიცხა მთელი მხარის ისტორიული ძეგლები და მოაწყო ყველგან სიძველეთა დაცვის აპარატი; დღესაც იგი ფხიზლად და დაუზარელად ადევნებს თვალ-

ყურს სიძველეთა დაცვას. დღეს ეს პირი საშინელ სიღარიბეშია: იღებს მცირე ჯამაგირს და საშინელ გაჭირვებას განიცდის; მის ასეთ მდგომარეობას თვითეული პატივისმცემელი და მნახველი ხედავს თვალით და სიბრალულით ივსება. სიძველეთა დაცვის კომიტეტმა ასეთი პირი ცოტად თუ მეტად მაინც უზრუნველყოფილი უნდა ჰყოს; ასეთ უანგარო და თავდადებულ მოღვაწეს ყოველ შემთხვევაში საარსებო მინიმუმი მაინც უნდა ეძლეოდეს.

ყველა ამის შემდეგ საჭიროა გაკეთებულ იქნეს შემდეგი:

1. გადადებულ იქნეს თანხა ვარძიისათვის იმ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელსაც წარმოადგენს ადგილობრივი რწმუნებული პ. მაისურაძე. სახელდობრ:

1. მთავარი ეკლესიის სამხრეთი ბურჯის შესაკეთებლად;
2. „ „ სარკმელისათვის მინების ჩასასმელად;
3. წყაროს შესაკეთებლად;
4. მოსულთათვის ერთი ოთახის მოსაწყობად ლოგინით, ჭურჭლით, მაგიდით, საწოლით და სხვა.
5. მონასტრის მამულისათვის მავთულის შემოსავლებად და სხვა.

2. გადადებულ იქნეს თანხა ჭულესათვის იმ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელსაც წარმოადგენს ადგილობრივი რწმუნებული დ. მუზაშვილი. სახელდობრ:

1. სამხრეთის სვეტის შესადგმელად.
2. კედელ-კუთხეების, პილიასტრების, კარ-სარკმელ-კამარების გარეთა პირის, კალთების სახურავის შესაკეთებლად და სხვა.

3. გადადებულ იქნეს თანხა ხერთვისის ციხის სამხრეთ კედლის შესაკეთებლად იმ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელსაც წარმოადგენს ადგილობრივი თემსაბჭო.

4. გადადებულ იქნეს თანხა დაახლ. 1000 მან. ზარზმის ძეგლისათვის აღმოსავლეთის მხრიდან გალავნის შემოსავლებად და ამავე მხარის ადგილისათვის წყლის სადენი გზის გასაკეთებლად.

5. გადადებულ იქნეს თანხა 400—500 მან. სახიფათო ადგილებსა და კერძო პირთა შორის გაბნეულ წარწერიან და გამოსახულებიანი ქვების მახლობელ, სათანადოდ დაცულ ადგილებში (ზარზმას, უდეს, ვალეს, ახალციხეს და სხვ.) მოსაგროვებლად. ჯერჯერობით უნდა მო-

გროვდეს შემდეგ ადგილებში: ზარზმას —1. ადიგენიდან, წარწერიანი ქვა, დაცული ადგილობრივ რაიაღმასკომის საწყობში.

2. იჯარეთიდან, გამოსახულებიანი ქვა, დაცული ჰემდი ჯაფაროღლის სახლში.

3. ლაშედან, ეკლესიის მოდელი, გიავარშა ბადიშ-ოღლის სახლში.

4. საირმიდან, ჩუქურთმიანი სვეტი, რომელიც ბოძად უდგას ასლან ბილან-ოღლი დვალიშვილის გომს.

5. მახაჭალიდან, წარწერიანი ჯვარი გატეხილი.

6. ურთხისუბნიდან, წარწერიანი ჯვრები და სხვა, სულ 3 ცალი.

7. დიდ-სმადადან, საწნახლის ქვა, დაახლ. 60—80-ფუთიანი.

ახალციხეს — 1. შურდოდან, ვინმე მჭედლის საფლავის ქვა, შემკული მრავალი იარაღის და ჭურჭლის გამოსახულებით.

6. ეთხოვოს სათანადო უმაღლეს ორგანოს, რათა საფარის მონასტერი მთელი თავისი ისტორიული და არაისტორიული შენობებით და ქონებით დაუყოვნებლივ გადმოეცეს სიძველეთა დაცვის კომიტეტს.

7. მიეწეროს ახალციხის რაიაღმასკომს, რათა რაბათის კოლმეურნეობამ დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს საფარის მარინეს ფრესკებიანი ეკლესია საფუტკრის საწყობისაგან.

8. მიეწეროს აგარის (ურავლის ხეობის) სოფლის საბჭოს აგარის ძეგლების დაცვისათვის, რათა მან აუკრძალოს საქონლის პატრონებს, რომ აგარის მონასტრის ძეგლებში საქონელი არ შერეკონ, შენობები არ დააქციონ და ქვები არ წაიღონ და სხვა.

9. მიეწეროს ახალციხის რწმუნებულს კ. გვარამაძეს, რათა საყუნეთის ეკლესიის ზარი, წონით დაახლ. 5 ფუთამდე, დაცული რუსტამ ყოჩიოღლი ფოცხვერაშვილის სახლში (ძველი ჯამე) გადაიტანოს ახალციხეს; იგი შეიძლება რეალიზებულ იქნეს სიძველეთა დაცვის საქმისათვის.

10. გადაწყვეტილ იქნეს ხერთვისის ციხის ძირიდან, ჩრდ. მხარეს, კლდიდან 3—4 საჟ. ქვის ატეხის საკითხი ადგილობრივ წყალზე ხიდის ბურჯის საჭიროებისათვის და ამისი გადაწყვეტილება ეცნობოს ხერთვისის თემსაბჭოს.

11. დაინიშნოს ახალციხის რაიონის რწმუნებული კ. გვარამაძე მესხეთ-ჯავახეთის (ყოფ. ახალციხე-ახალქალაქის მაზრების) რაიონთაშორის რწმუნებულად, დაენიშნოს მას თვიურად 70 მან.; გაეგზავნოს მას სათანადო მანდატი და სხვ.

12. დაინიშნოს ადიგენის რაიონის სიძველეთა დაცვის კომისია შემდეგი შემადგენლობით: 1. დავით მუზაშვილი (თავმჯდომარე), 2. სამსონ გოგინაშვილი (წევრი) და 3. პეტრე მერაბიშვილი (წევრი); გაეგზავნოს მათ სათანადო მანდატები და ინსტრუქციები.

13. მიეცეს ერთდროული დახმარება, ანდა გაეგზავნოს მადლობის წიგნი ხერთვისის რწმუნებულს ხალის ვაჩნაძეს მისი ხანგრძლივი საზოგადო სამსახურისა და შრომისათვის სიძველეთა დაცვის საქმეში.

14. მიეწეროს აწყვერის თემსაბჭოს, რათა დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ ისტორიული ეკლესია მასში მოთავსებული საწყობისა, სამზერხაოსა და საბძელისაგან და სასტიკად დაიცვან ყველა მისი ნანგრევები.

15. განთავისუფლებულ იქნეს უდეს თემის რწმუნებულობიდან ადგილობრივი რწმუნებული არტემ აღუშაშვილი და მის მაგიერ დანიშნულ იქნეს გიორგი ქეროსძე მამასახლისშვილი, რომლის კანდიდატურაც წამოაყენა ადგილობრივმა თემსაბჭომ.

16. დაინიშნოს ვალესა და მისი მახლობელი სოფლების (ფოცხოვის მხრის) რწმუნებულად ვალეს რწმუნებული სამსონ გოზალიშვილი, რისთვისაც გაეგზავნოს მას შესაფერი მანდატი და ინსტრუქციები (ქართულ და რუსულ ენაზე).

17. გაეგზავნოს რწმუნებულის მანდატი და ინსტრუქციები ახალციხის რაიონის სოფელ ჯაყისმანის რწმუნებულს ყოჩალია ხმალაძეს (ქართულ და რუსულ ენაზე).

18. დანიშნულ იქნენ რწმუნებულებად და დაეგზავნოთ შესაფერი მანდატები და ინსტრუქციები შემდეგ პირთ:

I. ახალციხის რაიონში:

1. სიმონ კოსტანაშვილს — ურავლის თემის ფარგლით... (ქართულ ენაზე).
2. ალადინ საგინაძეს — აგარის (ურავლის ხეობის) თემის ფარგლით... ქართულ ენაზე (თუ არ მისულია მას).
3. ბეზგიუნ ისმაილ-ოღლი ჭყოიძეს — საყუნეთი და მისი მიდამოსი, ქართულ ენაზე.
4. ალი სალი-ოღლი ზაუტაშვილს — ელიაწმიდისა, ყურათუბნისა და ჭვინტის ფარგლით, ქართულ ენაზე. მისამართი: ახალციხის სატყეო განყოფილება;

II. ტოლოშის რაიონში:

5. ლათიბ მურადაშვილს — ოთას თემის ფარგლით — ქართულ და რუსულ ენაზე.

III. ადიგენის რაიონში:

6. მალიუდ ბაირახტაროვს ზანავ-ალთუნ-ყალის მიდამოსი ქართულ და რუსულ ენებზე.
7. მაჰმუდ ბაირახტაროვს — (ოქროსციხის) მიდამოსი ქართულ და რუსულ ენებზე.
8. შაჰსად საფარ-ოღლის — დიდ-სმადას ფარგლით — ქართულ და რუსულ ენებზე.
9. სარდარ შაბან ოღლი პაპიძეს — საირმე და მის მიდამოსი. ქართულ და რუსულ ენებზე.
10. ალი მურად-ოღლი შულგიძეს — დერცელისა და მისი მიდამოსი. ქართულ და რუსულ ენებზე.

ვიორგი ბოჭორიძე.
1932 წ. ოქტომბრის 13-ს.
ქ. ტფილისი.

საქართველოს მუზეუმის დირექტორის მოადგილეს

თანახმად მონდობილობისა (მანდატი 1932 წ. ნოემბრის 4, № 897) გავემგზავრე ახალციხის მხარეს ისტორიული ქვების ჩამოსატანად. მუშაობისათვის პირობები ცუდი მქონდა: ამინდი არეული იყო, ურმის ქირა ერთი-ორად ძვირი და სხვა. მიუხედავად ამისა, ქვები მაინც წამოვიღე და ჩამოვიტანე ტფილისს. ესენია:

1. ფეტობნის ეკლესიის ქვა — სარკმლის თავი (ადრევე წყალთბილას, ხოლო წარსულ ზაფხულს ჩემ მიერ ვალეს ჩამოტანილი) ორი აღმაშენებელის გამოსახულებით, რომელთაც ხელში ეკლესიის მოდელი უჭირავთ.

2. ფეტობნის სვეტი (ადრევე უდეს ჩამოტანილი) ღვთისმშობელ-ანგელოზთა გამოსახულებით და წარწერით, რომელიც იხსენიებს მეფე ფარსმანს.

3. წყისეს სერის ჯვრის კვარცხლბეკი (წარსულ ზაფხულს ჩემ მიერ უდეს ჩამოტანილი) ასომთავრული წარწერით, რომელიც იხსენიებს კოსტანტის.

4. უდეს სასაფლაოზე აღმოჩენილი სვეტი (ადრევე რომელიღაც ნანგრევიდან მოტანილი) ასომთავრული წარწერით, რომელიც იხსენიებს ჯაფარს.

5. იჯარეთის ეკლესიის ქვა — სარკმლის თავი ორი პირის გამოხახულებით, რომელთაც შუაში დროშა-ჯვარი აქვთ აღმართული.

გარდა ამისა გავაკეთე შემდეგი სამუშაო: 1. წყალთბილიდან ვალეს ჩამოვიტანე და ადგილობრივ ეკლესიაში მოვათავსე ორი ქვა (ერთი საფლავის სვეტის ქვედა ნაწილი ასომთავრული წარწერის ნაშთით და მეორე — ეკლესიის ქვა ასომთავრული წარწერის ნაშთითვე). 2. ადიგენიდან და ლაშედან ზარზმას გადავიტანე და ადგილობრივ ეკლესიაში მოვათავსე ორი ქვა (ერთი ადიგენის ეკლესიისა ასომთავრული წარწერით და მეორე უტყისუბნის ეკლესიის მოდელი, რომელიც ადრევე ლაშეს ერთ მცხოვრებს წამოეღო და მარილის სანაყავ ფილად გამოეყენებინა).

ადგილობრივ დარჩა და ვერ წამოვიღე საირმის ქვა — რვაწახნაგოვანი სვეტი, შემკული შესანიშნავი ჩუქურთმით, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებ ასლან ბოლან-ოღლი დვალიშვილს უდგას გომის სვეტად. ხსენებულმა პირმა ჯერ 150 მან. ითხოვა მასში, ბოლოს 50 მან. ადგილობრივ დარჩა აგრეთვე უტყისუბნის ქვებიც: ქირა მეტისმეტად ძვირი იყო, ურემში 80—100 მანეთს მოითხოვდნენ (შორი მანძილია, ტყიანი ადგილი, ცუდი გზებიაო და სხვა). ეს სამუშაო შემდეგში უნდა გაკეთდეს.

ფოცხოვ-ქვაბლიანიდან უკვე ახალციხეს ვიყავ ჩამოსული და ქვებიც ჩამოტანილი მქონდა, როდესაც გავიგე რომ ვახანელებს რომელიღაც ძეგლი უნგრევიათ და მისი მასალა წყაროს ასაშენებლად უზიდიათ. ქვები ურმებით გამოვგზავნე ბორჯომისაკენ, ხოლო მე (ერთი დღით) დავბრუნდი უკან; ავედი ვარხანს და ვნახე, რომ მათ უნგრევიათ კურცხანის ავარაკში ყაიანარყურას ძეგლი (ვარხანიდან 15 ვერსზე) და მისი მასალა (ქვა) წყაროსათვის მოუტანიათ. მე დავათვალიერე ყველა ქვები და მათში გადავარჩიე ხუთი: ერთი — ცხვარი ასომთავრული წარწერით ქე შე ლელი და ოთხი ჩუქურთმიანი ქვა, რომლებიც დასაცავად გადავატანინე ადგილობრივ თემის კანცელარიის ეზოზე. მომავალში ჩუქურთმიანი ქვები აბასთუმანს უნდა იქნეს წაღებული ან ვალეს, ხოლო ცხვარი კი საირმის ქვასთან ერთად ტფილისს უნდა იქნეს გადმოტანილი.

გ. ბოჭორიძე
1932 წ. დეკემბრის 1-ს.
ქ. ტფილისი.

АХАЛКАЛАКСКИЙ УЕЗД

1. Г. Ахалкалаки — крепость, старин. церковь у Куликамского водопада
2. Абул — крепость и стар. ц.
3. Там же — крепость Кор-оглы
4. Азаврет — старин. церковь
5. Аластан — старин. церковь
6. Амиранис-гора, Он же Тавшан-тапа (к югу от г. Ахалкалаки развалины крепости)
7. Аракал — развал. стар. церкви
8. Бавра — старин. церковь
9. Баралети — стар. церковь, там же в двух верстах от деревни «Вознесенский столб».
10. Бурнашет — стар. церковь
11. Вареван — стар. церковь
12. Вардисцихе разв. стар. церкви
13. Гандза креп. и стар. церковь
14. Гокия разв. 7 стар. церквей
15. Джиграшен стар. церковь
16. Ихтила стар. церковь
17. Карзах стар. церковь
18. Окам стар. церковь
19. Карцеби стар. церковь
20. Богдановка в 1,5—2 кил. от нея развалины 2 креп. с развал церкви
21. Орловка — разв. крепости
22. На берегу Мадатанинского озера старин. крепость
23. Родионовка — разв. двух церквей
24. Цкаростави — стар. монастырь (первокласс. памятник)
25. Качио разв. старин. церкви
26. Каурма — стар. мост, ст. церковь
27. Кварша стар. церковь
28. Кулалис стар. церковь
29. Котелия стар. церковь
30. Кумурдо — разв. стар. собора (первоклас.)
31. Мурджахет — два обелиска и стар. церковь

32. Сагамо — (20—25 верст к югу от Ахалкалаки) — старин. церковь
33. Самсар — стар. церковь
34. Саро стар. три креп. и церковь
35. Сатха стар. церковь
36. Фока и Пока стар. церковь
37. Хизабавра стар. церковь
38. Хертвис стар. креп. (первокл. памятник)
39. Хоспио разв. стар. церкви
40. Хорения стар. 2 церкви, там же поблизости церковь «Карпети»
41. Цунда — стар. церковь

прим. список неполный 16/I—1928 г.

1. თავისი მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში გ. ბოჟორიძეს იმით დაუწყია, რომ ამოუწერია ძეგლების სია ახალციხის და ახალქალაქის მაზრებისა. ეს სიები მაშინდელ რაიონულ ცენტრებში არსებობდა და ახლაც არ ეკარგება მნიშვნელობა, რადგანაც მას შემდეგ ბევრი ძეგლი დაიღუპა. აქ ჩამოთვლილი პუნქტების სახელწოდებანი შეიძლება დაზუსტდეს აკად. ს. ჯიქიას ნაშრომის — „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მიხედვით, სადაც მოცემულია მათი სწორი ფორმები; ეს აისახება ჩვენს შენიშვნებში თხრობის თანმიმდევრობით.

სიის ავტორისეულ შენიშვნაში, სადაც იხსენიება სარგისი — „ვინმე მესხის“ უბის წიგნის წამღები, პროფ. სარგის კაკაბაძე უნდა იყოს.

როგორც ჩანს, გ. ბოჟორიძე ფიქრობდა ახალქალაქის რაიონის შესწავლასაც (იქაური ძეგლების რუსული სიაც ამოუწერია), მაგრამ იგი ეელარ განუხორციელებია.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ნედლი სახით დღიურში მოტანილი ეს მასალები ავტორს დასამუშავებლად ჰქონდა გამიზნული. ამიტომ აქ შესაძლოა ბევრი რამ იყოს ასახსნელი, მაგრამ უველაფერზე რომ შენიშვნები გვეკეთებინა, ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. ჩვენ ძირითადად შევეხებით ტოპონიმიასა და წარწერებს.

2. ამ სახელწოდების სრული და პირველადი ფორმაა მლაშისხევი, რომელიც შემორჩენილია 1595 წლის აღწერილობაში. იყო მეორე მლაშისხევიც ახალციხესა და სოფ. მარდასთან. იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წივ. III, თბ., 1958, გვ. 202, 235. შემდგომში — „დავთარი“.

3. ხვილიშის ეკლესია და მისი წარწერა ადრეეე ცნობილი, ექვთ. თაყაიშვილმაც გამოაქვეყნა (Материалы по археологии Кавказа МАК, XII, М., 1909, გვ. 15). სულ ბოლოს მას შეეხო ვ. სილოგავა და იგი ასე წაიკითხა: „ქრისტე თოდო ჲოტი შეიწყალე“ (ვ. სილოგავა. სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა... „მრავალთავი“, X,თბ., 1983, გვ. 268). აქვე გამოთქვა ვარაუდი მისი VII—VIII სს. დათარიღებისა.

4. ქოხტას ციხე შეისწავლა განსვენებულმა კ. მელითაურმა. იხ. К. Н. Мелитаури, Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, II, Тбилиси, 1972, გვ. 46. ამჟამად ციხე დანგრეულია, საჭიროებს აღდგენას.

5. ბეთლემი ოთას სიახლოვეს, ჯაბოეთის წყლის ნაპირზეა. ამავე ხევზე იყო სოფ. ჯაბოეთიც. იხ. „დავთარი“, გვ. 188—189.

6. თავდაპირველად ამ პუნქტის ქართული სახელი ყართა უნდა ყოფილიყო, იხ. „დავთარი“, გვ. 187.

7. შოროთა არის პუნქტის სწორი სახელწოდება; შოლოთა, შორეთი — გვიანი დამახინჯებაა. ამისავე აღსანიშნავად იხსენიება აგრეთვე ტაიჭა-ც. იხ. „დავთარი“, გვ. 204. შოროთის მონასტერი შესწავლილი აქვს აკად. გ. ბერიძეს, იხ. მისი — სამცხის ხუროთმოძღვრება XIII—XVI საუკუნეებში, თბ., 1955, გვ. 211.

8. ქვემო ოშორის წარწერას ექვთ. თაყაიშვილი ასე კითხულობდა: „დედაო ღვთისაო, შენდა სამსახურად ვიყიდენ ორნი ვენახნი და სამნი ყანანი ჳ...ითდივ ყოფილმან ეფროსინე და მივეც შემანგულას ძესა ბასილსა... და მისა შვილსა ფირანს, დიდდიდი ძველთაგანი ხიდის ხეი ავაგე ზედა და მივეც ამისაგე სამსახურისათვის, ჯ•ეც ოქმი აწყუარს და ყოველგან და... მოგეც ყოველი მოკრიფებად და არა

დაგვარდეს არა დღივ და არა ღამე ამათითა ხელითა... დაკრულია და მოშავალი ყოველი დედისა ღვთისა მადლითა“ (МАК XII, М., 1909, გვ. 8—9).

როგორც ვხედავთ, წარწერის წაკითხვის ორი განსხვავებული შედეგია.

9. სახელწოდება **სათრითავი** არ იცის „დავთარმა“. იგი უცნობია ასპინძის თემის ძეგლთა სიაშიც (იხ. წინ). ავტორი ამ ნანგრევებს აიგივებს მონასტერთან, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს: ოშორის ხევზე, «ზემო-ოშორას ზეით, არს მონასტერი გუნბათიანი, დიდკეთილად ნაგები და აწ ცარიელი“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1941, გვ. 127). როგორც ვხედავთ, არც ვახუშტის სცოდნია მისი სახელი.

10. **აწყურის** ძველი ფორმა უნდა იყოს აწყვერი ან აწყუერი; აქედანვეა მაწყვერ-ელ-ი. „დავთრის“ მიხედვით (გვ. 121), ეს პუნქტი ნაჰიჟეს (რაიონის) ცენტრია ახალციხის ლივაში. აქაური ძეგლები კარგადაა ცნობილი; ამჟამად მიმდინარეობს საეპისკოპოსო ტაძრის ნანგრევების არქეოლოგიური შესწავლა და რესტავრაცია.

11. **ბესალთავი** უცნობი სახელია „დავთარსა“ და აწყურის თემის ძეგლების სიაში (იხ. წინ), სადაც მხოლოდ წრიოხის ციხე იხსენიება. ირკვევა, რომ ესაა „მესხურ მატიანესა“ და „დავთარში“ დამოწმებული **საკანაფეს ციხე** (გვ. 140—141).

12. **ბიეთის** გუმბათიანი ეკლესია ცნობილი ძეგლია. უკანასკნელად იგი შეისწავლა აკად. ე. ბერიძემ (სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 155—164) და წარწერებიც გამოაქვეყნა, მაგრამ ფრესკულ წარწერებზე არაფერი აქვს ნათქვამი. გ. ბოჭორიძე იხსენიებს ექვთ. თაყაიშვილის აღწერილობას (МАК XII, М, 1909, გვ. 3—5). ამჟამად ძეგლი მთლად დანგრეულია და აღდგენას საჭიროებს.

13. **წნისის** ეკლესია, რომელსაც ავტორი აღწერს, ახლა აღარაა. გ. ბოჭორიძე მას აიგივებს მონასტერთან, რომელსაც ვახუშტი ასე ახასიათებს: წნისის ხევზე „არს წნის ზეით, მონასტერი მაღალს კლდესა ზედა, კეთილშენი, გუნბათიანი და აწ უქმი“ (აღწერა..., გვ. 124).

14. **წინუბნის** ეს წარწერიანი ფილა ახლა ახალციხის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული. იგი გამოაქვეყნა ვ. სილოგავამ და XIII—XIV სს. დათარიღა (სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა... „მრავალთავი“, X, თბ., 1983, გვ. 284). გ. ბოჭორიძის აღწერილობიდან კარგად ჩანს მისი წარმომავლობა.

15. **ჯაყისმანის** ეკლესიის წარწერები უკანასკნელ ხანებში გამოაქვეყნა ვ. სილოგავამ („მრავალთავი“, X, გვ. 287—288), სადაც ისინი დათარიღებულია XI და XIV—XV სს-ით. აქვე გამოთქმულია აზრი ჯაყისმანისა და ქვ. ოშორის წარწერებში მოხსენიებული ეფროსინეს იგივეობის შესახებ, რომელსაც ჩაუტარებია სააღმშენებლო სამუშაოები. გ. ბოჭორიძის მიერ აღწერილი წარწერებიდან პირველი ახლა აღარ იკითხება (არც ვ. სილოგავას მოაქვს) და არც მეორეა ძდგილზე. ამის შემდეგ ჯაყისმანის სამონასტრო კომპლექსს ცალკე წერილი უძღვნა ვ. თოთიბაძემ, რომელმაც მთავარი ეკლესია X—XI სს-თა მიჯნით, ხოლო სამრეკლო XIII—XIV სს-თა მიჯნით დათარიღა (ვ. თოთიბაძე, ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) სამონასტრო კომპლექსი, „ძეგლის მეგობარი“, 67, თბ., 1984, გვ. 27—34).

16. **წყისეს** VII ს-ის წარწერა მრავალჯერ გამოცემული და კომენტირებულია. ბოლო გამოცემა ნ. შოშიაშვილს ეკუთვნის (ლაპიდარული წარწერები I, თბ., 1980, გვ. 97—98). გ. ბოჭორიძის აღწერით, წარწერაში 12 სტრიქონი იკითხებოდა, ე. ი.

ოთხით მეტი, ვიდრე სხვა გამოცემებში. ამჟამად წარწერიანი კვარცხლბეკი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია.

17. **უდე** „დავთრის“ მიხედვით ციხესიმაგრიანი პუნქტია და ნაჰიჟეს ცენტრი (გვ. 84). იქაურ ეკლესიაში ფეტობნიდან (ფოცხოვის ხეობაში მყოფი ამ სოფლის სწორი სახელი **პეტობანია**, იხ. „დავთარი“, გვ. 438) ჩამოტანილი რელიეფებიანი და წარწერიანი სვეტი ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია. იგი რამდენიმეჯერ არის გამოცემული. ბოლო გამოცემებში X საუკუნით და X—XI სს-თა მიჯნითაა დათარიღებული. გ. ბოჭორიძესაეით კითხულობს წარწერას ლ. შანიძე (უდეს სტელა, ქართული ხელოვნება, 8, თბ., 1980, გვ. 107—118), რომელიც სტელას განიხილავს როგორც საფლავის ქვას. განსხვავებულია წაკითხვა ბოლო გამოცემაში (ლაპიდარული წარწერები, I, თბ., 1980, გვ. 139). ნ. შოშიაშვილი მას ასე კითხულობს: „წმიდაო ღმრთისმშობელო მარიამ, დედაო ღმრთისაო, შეოხ ეყავ სულსა ფარსმანის და სულსა მანანისა. ესეა გაბრიელ ანგელოზისგან მამაჲ“.

ასევე X ს-ით ათარიღებს ნ. შოშიაშვილი ჯაფარის მოსახსენებელს სტელა-ჯვარზე, რომელიც გ. ბოჭორიძეს უდის სასაფლაოზე უნახავს. ეს ქვა ახლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია, მაგრამ გაურკვეველია მისი სადაურობა (იქვე, გვ. 137).

18. **იჯარეთის** სამრეკლო შეისწავლა აკად. ვ. ბერიძემ და იგი XIII ს. ნახევრით დაათარიღა (სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 203—206).

19. ამ სახელწოდების სწორი ფორმაა **ადიგვენი** — „დავთარი“, გვ. 159.

20. სოფლის სახელწოდება **უტუვისუბანია**, ხოლო ზოგან ხმარებული უთხისუბანი ან ურთხისუბანი — სიტყვის გააზრების შედეგი („დავთარი“, გვ. 102); გ. ბოჭორიძის მიერ მოტანილი წარწერები ექვთ. თაყაიშვილს არ უნახავს. მისთვის უჩვენებიათ „ურთხისუბნის“ ქვაჯვარის ასომთავრული წარწერა, რომელსაც იგი ასე კითხულობს: „ქრისტე, შეიწყალე იოვანე“ (Е. Такайшвили, Археологическая экскурсия, вып. I, Тиф. 1905, с. 111).

21. **პატარა სმადის** ეკლესიის არქიტრავის წარწერა რამდენიმეჯერ არის გამოცემული. იგი კარგად იკითხება, გამონაკლისია ერთი სიტყვა, რომელსაც გამომცემლები სხვადასხვაგვარად კითხულობენ. წარწერის ბოლო გამოცემაში ეს სიტყვა წაკითხულია როგორც „ცუღკუესისა“ და გაგებულია იოვანე მაწყვერელის ზედწოდებად ან ერისკაცობის სახელად (ვ. სილოგავა, სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა..., „მრავალთავი“, X, თბ., 1983, გვ. 279).

ამჟამად ორად გატეხილი ეს ქვა ინახება ახალციხის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

22. სოფლის სახელია **ბოლაჯური** და არა ბალაჯური, როგორც ამას ექვთ. თაყაიშვილი წერს („დავთარი“, გვ. 90) გ. ბოჭორიძეს და ექვთ. თაყაიშვილს წარწერა ერთნაირად აქვთ გადმოწერილი, ორივე ყურადღებას აქცევს ბოლო სიტყვის ორ ქარაგმას. ექვთ. თაყაიშვილი თვლიდა, რომ ეს არაა ჩვეულებრივი სახელი, საქმეა მისეულ წაკითხვა („მაერსაი“) და ვარაუდობდა შერმაზან ან შერმადან სახელებს (Арх. экск., I, Тиф., 1905, გვ. 112). ჩუქურთმის მიხედვით ეკლესია XIII ს-ით თარიღდება (ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970, გვ. 59).

23. **ღრმა** სახელწოდება, აკად. ს. ჯიქიას ვარაუდით, უნდა მოდიოდეს სახელიდან ღრმა, რომელმაც შემდეგ თურქულის გავლენით ზემოაღნიშნული ფორმა მიიღო („დავთარი“, გვ. 227).

24. ბაიები (ან „ბაიოღლები“) „დავთარში“ არ იხსენიება უნდა ვიფიქროთ, გვიან გაჩენილი სახელწოდებაა. აქაურ კლდეში ნაკვეთ სადგომთა კომპლექსს გაკვრით შეეხო აკად. ვ. ბერიძე და აღნიშნა, რომ ძეგლი XII—XIII სს. ადრინდელი არ უნდა იყოს (ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970, გვ. 38). ბოლო ხანებში ამ ძეგლის შესახებ კიდევ ერთი წერილი დაიბეჭდა (ქ. თორდია, ბაიების კლდეში გამოკვეთილი ეკლესიები სადგომებით, „ძეგლის მეგობარი“, 2. 1986, გვ. 61—65), მაგრამ ფრესკები და ფრესკული წარწერები მხოლოდ გ. ბოჭორიძესთან იხსენიება; როგორც ჩანს, მოგვიანებით ეს მოხატულობა დაიღუპა.

25. წყორძის სოფელში მდგარი ეკლესია შეისწავლა აკად. ვ. ბერიძემ და იგი XIII ს. მიწურულით დათარიღა (სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 176—180), ხოლო სოფლის განაპირას მდებარე ეკლესიის აგება XIV ან XV ს-ში ივარაუდა (სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970, გვ. 35).

26. სოფ. ურავლის ტრიკონქს ეხება აკად. ვ. ბერიძე და აღნიშნავს, რომ ამ ტიპის შენობები საქართველოში XI ს-ზე გვიან აღარ გვხვდება (სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970, გვ. 41).

27. აკად. ს. ჯიქია შესაძლებლად მიიჩნევს, რომ სოფლის ძველი ქართული სახელი მღრიანი ყოფილიყო; „ამჟამინდელი ხრიანი უნდა იყოს სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში გადამუშავებული ფორმა მღრიანისა“ („დავთარი“, გვ. 237).

28. ზანზოფი დამახინჯებული ფორმაა ძველი ქართული სამწუბისა. ქართულ წერილობით წყაროში იხსენიება სამწუბთღელე („დავთარი“, გვ. 375—376).

29. ხეოთის სამრეკლო შეისწავლა აკად. ვ. ბერიძემ და იგი XV ან XVI ს-ით დაათარიღა. წარწერას იგი ასე კითხულობს: „ქრისტე, ადიდე ოლიმპიაჲ... ამენა“. წმიდა ბარბარეს მოხსენიება მეორე წარწერაში ავტორს აფიქრებინებს, რომ ეკლესია ან სამრეკლო ამ წმინდანის სახელობისა ყოფილა, ხოლო ოლიმპია ქტიტორი უნდა ყოფილიყო (სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 207—211).

30. მაჭიხეთის სწორი და უფრო სრული ფორმა ყოფილა მამაჭიხეთი („დავთარი“, გვ. 228—229).

31. სოფლის ადრინდელი ქართული სახელწოდება ზრზველია, რომლის დამახინჯებაა ზველი („დავთარი“, გვ. 211) და ძველი, როგორც ახლა უწოდებენ.

32. ახაშნის პირველადი და სალიტერატურო ფორმა ახალშენია, ასეა იგი ჩაწერილი XVI ს. ოსმალურ ხელნაწერში („დავთარი“, გვ. 184—185). ამ სოფლის ეკლესიის შესანიშნავ რელიეფს ცალკე გამოკვლევა მიუძღვნა ნ. ჩუბინაშვილმა, რომელმაც იგი წარწერასთან ერთად XI ს. პირველი მეოთხედით დაათარიღა (ნიღვარაი საურმაგის ძის ქტიტორული რელიეფი სოფ. ახაშენიდან ჯავახეთში, „ქართული ხელოვნება“, ტ. 5, თბ., 1959, გვ. 135—151). ახაშენი სამცხეშია და მისი ჯავახეთში ჩათვლა არაა სწორი.

33. აგარის მონასტერს ურაველის ხეობაში იხილავს აკად. ვ. ბერიძე (სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970, გვ. 37—40); მისი აზრით, მონასტრის მთავარი ეკლესია აგებულია X ს-ში ან XI ს. დასაწყისში, შემკულია არა უადრეს XIV ს-ში. ბერების სასადილო აგებულია XI—XII სს-თა მიჯნაზე, ხოლო სამრეკლო XIII—XIV სს-ში.

გ. მარსაგიშვილის აზრით, აგარის მონასტრის უძველესი მცირე ეკლესია აგებულია ადრეფეოდალური ხანის დასასრულსა და გარდამავალი ხანის დასაწყისში (აგარის მონასტრის უძველესი ეკლესია, „ძეგლის მეგობარი“, 60, თბ., 1982, გვ. 13—20), ხოლო მონასტრის მთავარი ეკლესია — X ს. შუა წლებში (Главная церковь Агарского монастыря, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1983).

აგარის წარწერები გ. ბოჭორიძის შემდეგ რამდენიმეჯერ გამოიცა, ბოლო გამოცემაში მთავარი ეკლესიის აღმ. კედლის რელიეფზე მოთავსებული წარწერა დათარიღებულია X საუკუნით; ძირითადად ისევეა წაკითხული, როგორც გ. ბოჭორიძეს აქვს (განსხვავებულია „უფლისა“ — მე-8 სტრიქონში, მე-9 სტრიქონში წაკითხულია „თევდორესათვის“). აქვე განმეორებულია ვ. ბერიძის აზრი, რომ ეს წარწერიანი რელიეფი აღმ. ფასადზე ეკლესიის გადაკეთების დროსაა მოხვედრილი. ამავე ეკლესიის აღმ. კედლის მეორე წარწერის ასო-ნიშნები თითქმის ისევეა გადმოღებული, როგორც გ. ბოჭორიძესთან და დათარიღებულია X საუკუნით; სამხრეთი კედლის წარწერა (XI ს.) და სატრაპეზოს შესასვლელის წარწერა (XI—XII სს.) ერთნაირადაა ორიენტირებული; გ. ბოჭორიძესთან მოხსენიებული სხვა წარწერები, ისევე როგორც ფრესკული წარწერები, ალბათ გვიან დაიკარგა (ვ. სილოგავა, სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა..., „მრავალთავი“, X, თბ., 1983, გვ. 273—276).

34. ახალკაცა (ისევე, როგორც ჭარხალეთი) უცნობია „დავთრის“ შედგენის დროს, შესაძლოა იგი ამ აღწერილობაში მოხსენიებული ახალკეთი იყოს („დავთარი“, გვ. 239).

35. აბასთუმანი ახლა ცნობილი კურორტის სახელწოდებაა ოცხისწყლის ხეობაში. გამოირკვა, რომ კურორტის ადგილას ძველად იყო ქალაქი ოძრჯე თავისი ციხით. „დავთრის“ მიხედვით, ამ ადგილს ოცხე ჰქვია, აქვს ციხე და რაბათი, იგი ნაჰიჯეს ცენტრია. ამ პუნქტისა და ოძრახის გაიგივებისათვის უმნიშვნელოვანესია. ვახუშტის ცნობა ოძრხის შესახებ: „მცირედ ამის ქვეით, სამჴრით, არს მთის კალთას წყაროდ გამომდინარე, ფრიად დიდი და ცხელი, მღუღარის მსგავსი, რომელსა უწოდებენ ოცხეს. მას ზედა არს შენი აბანო, და ბანობენ მრავალნი, რამეთუ ჰკურნებს ქარით დახუთვილსა ძლიერსა“. ეს აბანო ახლაც მოქმედია. გვიან, როდესაც ოცხე მოსახლეობისაგან დაიცალა, მისი ძველი სახელიც დაიკარგა. აბანოს ახლად აღმომჩენლებმა და აქ დასახლებულებმა ამ პუნქტს უახლოესი სოფლის სახელწოდება — აბასთუმანი უწოდეს („დავთარი“, გვ. 162—166).

აბასთუმნის ახალი ეკლესია აგებულია რუსეთის მეფის ძმის გიორგის მიერ, რომელიც აქ ცხოვრობდა ავადმყოფობის გამო. ხარხმის ტაძრისგან ის საგრძნობლად განსხვავდება და მასზე მცირეა. აქაური კედლის მხატვრობა შესრულებულია ცნობილი რუსი მხატვრის მ. ნესტეროვის მიერ 1899—1904 წლებში. ამჟამად მიმდინარეობს ფრესკების რესტავრაცია. აბასთუმნის მეორე ეკლესიის ჩუქურთმიან ქვებს აკად. ვ. ბერიძე XIV ს-ისად მიიჩნევს (სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970, გვ. 79).

36. თამარის ციხის (ე. ი. ოძრხის) შესახებ საყურადღებო მოსაზრებები იხ.: ლ. ჭელიშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, 1, თბ., 1968 II, თბ., 1970.

37. ამ მონასტრის შესახებ ცნობები იხ. აგრეთვე: ც. ლეფაჩი, ნ. მოხევიშვილი თ. სულაქველიძე, ზ. ფეიქრიშვილი. კურცხანის ხეობის საიდუმლოებანი, „ძეგლის მეგობარი“, 2, 1986, გვ. 59.

38. ხარჯამის შემდეგ გ. ბოჭორიძე აღწერს იქვე მყოფ ნასოფლარს, რომელსაც „გოჩა“-ს უწოდებს. ეს ფორმა, ასევე ბრჭყალებში ჩასმული, ჭეშვით მეორეჯერაც

უწერია. საერთოდ, ავტორი ტოპონიმებს ბრჭყალებში არსად სვამს; უნდა ვიფიქროთ, გამყოლის ნათქვამმა დააეჭვა (ასეთი სახელი აქ არ იხსენიება სხვა წყაროების მიხედვითაც). ნასოფლარების თანმიმდევრობითა და აღწერილობით, ეს უნდა იყოს სოფ. გორა, რომელიც XVI და XIX სს-ში ცალკე სოფლად არსებობდა. „ქართლის ცხოვრების“ ჩანართის მიხედვით, ანდრია მოციქულმა სამცხეში მოსვლისას „დაავანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ-გორა“. მაშინ ისინი ერთ სოფელს წარმოადგენდნენ („დავთარი“, გვ. 168).

39. საბუზარას სახელის სწორი ფორმა, აკად. ს. ჯიქიას მიხედვით, საბზარა უნდა ყოფილიყო („დავთარი“, გვ. 174).

40. ხეროს სწორი სახელწოდება ფხეროა („დავთარი“, გვ. 157).

41. ალთუნკალა თურქული თარგმანია ქართული ოქროსციხისა. XVI ს-ში ამ ციხის რაბათის მეორე სახელწოდებაა შოყა, რომელიც ახლაც უახლოესი სოფელია ციხისა, ოსმალობის დროს ეს ციხე ნაჰიიეს ცენტრი იყო ახალციხის ლივაში („დავთარი“, გვ. 153). ოქროსციხეს გაკვრით ახსენებს ექვთ. თაყაიშვილი, რომელიც ფიქრობდა, რომ იგი უეჭველად შეადგენდა ხურციძე-ჩორჩანელთა საერისთავო სამფლობელოს: სოფ. ჩორჩანი, საიდანაც მათი ზედწოდება მოდის, ამ ციხის სიახლოვესაო (Е. Такайшвили, Археолог. экскур. I, Тиф., 1905, с. 109—110). ოქროსციხეს მოკლედ აღწერს აკად. ვ. ბერიძე, მაგრამ არ ათარიღებს მას (სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970, გვ. 61—62).

42. ამ სოფლის სახელი მოდის ძველი ქართული ენთელ სიტყვისაგან, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „წყალთა თოშია“. წყალთა თოშში კი სამგვარია: „მდინარის ფსკერით ამოსული არს ენთელი, რომელი ზე მოაქუს არს თოშში, და რომელი ზედ შეუყინავს, ანუ ნალეწი მოაქუს, არს ხორგა“ (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1, თბ., 1966, გვ. 235). ჩანს სახელწოდება სოფელს მისცეს წყაროს სიცივის გამო.

43. პაჯი-ოღლის ყიშლა და ნიაზჩაირი გვიან შერქმეული სახელებია. ძველი სახელწოდებანი ამ პუნქტებისა უცნობია.

44. ზარზმის მონასტერი, მისი ფრესკები და წარწერები არაერთხელ მოხვედრილა მეცნიერთა ყურადღების არეში. საკმაოდ ვრცლადაა ამაზე საუბარი ექვთ. თაყაიშვილის აღწერილობაში (Е. Такайшвили, Арх. экск., I, Тиф., 1905). სპეციალურად შეისწავლა იგი აკად. გ. ბერიძემ (სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 89—137); ზარზმის უმნიშვნელოვანესი წარწერის (X ს.) ბოლო გამოცემა ეკუთვნის ნ. შოშიაშვილს (ლაპიდარული წარწერები, 1, თბ., 1980, გვ. 278—282).

45. პუნქტის სახელია ჰულე. გვხვდება ჰულები და ჰულევი-ც. ამათგან პირველი ფორმის სისწორეს ადასტურებს ფრესკული წარწერა, სადაც ორგზის იხსენიება „წმ. გიორგი ჰულისა“ და „ეკლესიაი ესე ჰულისაი“. გ. ბოჭორიძემდეც ჰულის ეკლესია არაერთხელ აღწერეს, ცალკე თავი აქვს დათმობილი ამ ძეგლის შესწავლას აკად. ვ. ბერიძის შრომაში (სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 141—151), სადაც ტაძარიც და მოხატულობაც XIV ს. ბოლო მეოთხედითაა დათარიღებული. ამჟამად ჰულის ეკლესია დაუსრულებელი რესტავრაციის პროცესშია.

46. ვალე ერთ-ერთი დიდი დასახლებაა ახალციხის რაიონში. ასე ყოფილა XVI ს-შიაც, როდესაც იგი ახალციხის ლივაში ნაჰიიეს ცენტრს წარმოადგენდა („დავთარი“, გვ. 67).

ვალეს ღვთისმშობლის ეკლესიას სპეციალური გამოკვლევა უძღვნა რ. მეფისაშვილმა, რომელმაც გამოარკვია, რომ X ს. ბოლო მეოთხედში იგი აშენდა როგორც გუმბათიანი ტაძარი, ხოლო XVI ს-ში გადაკეთდა სამნავიან ბაზილიკად (ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი, „ქართული ხელოვნება“, 3, თბ., 1950, გვ. 30).

ვალეს წარწერებს განიხილავდა ექვთ. თაყაიშვილი, რომელიც თვლიდა, რომ აღმოსავლეთ სარკმლის წარწერაში მოხსენიებული კრავი, მირიან სამცხის დიდი აზნაურის (IX ს.) მეუღლე იყო (ИКОИМАО, вып. II, Тиф., 1907, გვ. 69—76); ამავე წარწერების უკანასკნელი გამოცემები ეკუთვნის ნ. შოშიაშვილს (ლაპიდარული წარწერები, I, თბ., 1980, გვ. 282—284) და ვ. სილოგავას (სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა... „მრავალთავი“, X, თბ., 1983, გვ. 279—286).

47. ამჟამად ეს ქვა ახალციხის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია. მას თარიღიც აქვს: 1819. თიბათვის 20.

48. სოფლის სახელის სწორი ფორმაა წყრუთი წყაურთი, წყურთა და ცხრუტი — დამახინჯებული ფორმებია („დავთარი“, გვ. 50). რელიეფიანი ფილა და მისი წარწერები უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა ოდნავ განსხვავებული წაკითხვით და ინტერპრეტაციით: ვ. სილოგავა მას XI ს-ით ათარიღებს და კითხულობს: „წმიდაი გიორგი დიდებეთისა“ (სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა... „მრავალთავი“, X, თბ., 1983, გვ. 286—287); ელ. თოთიბაძეც ასევე კითხულობს, მაგრამ წარწერას X ს-ით ათარიღებს (სარკმლის თავსართი სოფ. წყრუთიდან, „ძეგლის მეგობარი“, I, 1986, გვ. 25—28). სიმონ მესვეტის წარწერა ორივესთვის უცნობია და ამიტომაც ორ ფიგურას ისინი ქტიტორებად მიიჩნევენ.

49. ვარძია იმდენად სახელგანთქმული ძეგლია, რომ მასზე უამრავი ლიტერატურა დაგროვდა. 1985 წ. ფართოდ აღინიშნა მისი 800 წლისთავი; ამ დროს გამოვიდა უკანასკნელი ნაშრომები მის შესახებ (მაგ.: გ. გაფრინდაშვილი. ვარძია, თბ., 1986; ეკა პრივალოვა. ვარძია, თბ., 1986).

50. ზედა ვარძიას მონოგრაფია უძღვნა ც. გაბაშვილმა, იხ. მისი — ზედა ვარძია, თბ., 1985.

51. სახელი დარანეთი უცნობია, არაა იგი არც „დავთარში“. ავტორი არ აღნიშნავს მის მდებარეობას, მაგრამ წინ მოტანილ ძეგლების სიაში, ლებისის თემში ჩამოთვლილია გვრანა დადეშის ეკლესია, დადეშის დარნები და დადეშის ქვაბები; სწორედ ამათ უნდა აღნიშნავდეს ქვედა, შუა და ზედა დარანეთები, რადგან გ. ბოჭორიძე იხსენიებს ქვაბებსაც და დარნებსაც, რის გამოც, ალბათ, უწოდებიათ დარანეთი.

52. სახელის სწორი ფორმაა შოლა, არის შოლასწყალიც („დავთარი“, გვ. 301). შოლა და შუატყე ერთმანეთის მეზობელი ცალკე სოფლებია.

53. გავეთის ეკლესია შესწავლილი აქვს აკად. ვ. ბერიძეს და მას XIII—XIV სს-თა მიჯნით ათარიღებს (სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 180—186).

54. ქარზამეთის ეკლესია შეისწავლა აკად. ვ. ბერიძემ და XIII ს. დასასრულით დაათარიღა (სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 186—188).

55. ფანაქეთი-ა ამ სოფლის სახელის სწორი ფორმა („დავთარი“, გვ. 372).

56. ასოსმანი და გუგათა სხვა წყაროებით უცნობია, ეს სახელები არ ჩანს არც თავში დართულ ძეგლების სიაში და არც „დავთარში“.

57. სახელწოდების სწორი ფორმაა დ უ მ ე ლ ი ა („დავთარი", გვ. 373).

58. სამცხე-ჯავახეთში ა გ ა რ ა ხშირად გვხვდება. ნიალისყურის აგარის სტელას ნ. ჩუბინაშვილი ათარიღებს პერიოდით VI ს. II ნახევრიდან VII ს. I ნახევრის ჩათვლით. იგი მიიჩნევს, რომ აგარისა და მახლობლად მყოფი გიორგიწმინდის სტელის ოსტატი ერთი პირია. აგარის ეკლესიას ის XVIII—XIX სს-ში საფუძვლიანად გადაკეთებულად (ან აშენებულად) თვლის (Н. Чубинашвили, Хандиси, Тбилиси, 1972, გვ. 112—113).

59. გ ი ო რ გ ი წ მ ი ნ დ ა ც რამდენიმეა სამცხე-ჯავახეთში. ჯავახეთის გიორგიწმინდის სტელა და ეკლესია ნ. ჩუბინაშვილმა ბოლო ხანებში დათარიღა VI ს. II ნახევრით ან VII ს. I ნახევრით (Н. Чубинашвили, Хандиси, Тбилиси, 1972, გვ. 110—112). იგი თვლის, რომ ესაა ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა სტელისა და ეკლესიის ერთდროულად აღმართვისა.

60. ზ ე დ ა თ მ ო გ ვ ი ს სტელა დანიელის გამოსახულებით დათარიღებულია VI ს-ით (Н. Чубинашвили, Хандиси, Тбилиси, 1972, გვ. 108—110), ხოლო ეკლესია — XI ს-ით. ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერები შესწავლილია და გამოცემული (რ. გვერდწითელი. ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერები, საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, XIV, თბ., 1947, გვ. 246).

61. თ მ ო გ ვ ი ს ციხის შესახებ ბოლო ხანებში გამოსული წერილებიდან იხ.: გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი. თმოგვი, „ძეგლის მეგობარი", 8, თბ., 1966, გვ. 41—46; დ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ვარძია და თმოგვის ციხე-ქვეყანა, „ძეგლის მეგობარი", 2, 1988, გვ. 46.

62. წ უ ნ დ ი ს ეკლესიის წარწერა რამდენიმეჯერაა გამოცემული. უკანასკნელი პუბლიკაციებიდან იხ.: ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 129; ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 47. წარწერაც და ეკლესიაც XII—XIII სს-ით არის დათარიღებული.

63. ფ ი ი ს ეკლესიები შესწავლილი და დათარიღებულია IX—X სს-ით და 995 წლით (გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი. IX—X სს. არქიტექტურის ნაგებობა ნასოფლარ ფიაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVII, № 6, 1956, გვ. 761—768; წარწერებიც არაერთხელაა გამოცემული (ლაპიდარული წარწერები, I, თბ., 1980, გვ. 269—273; ვ. სილოგავა. სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა... „მრავალთავი", X, თბ., 1983, გვ. 268—270).

64. ს ა რ ო ს წარწერა არაერთხელაა გამოცემული და XII—XIII სს-ით თარიღდება (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 172; ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 44—46).

65. ჰ ა ჰ კ ა რ ს ა და მის ძეგლებს ეხება გ. გაფრინდაშვილი წიგნში — Пещерный ансамбль Вардзия, Тбилиси, 1960, с. 32.

66. სახელის სწორი ფორმაა გ ე ლ ს უ ნ დ ა („დავთარი", გვ. 257).

67. ხ ე რ თ ვ ი ს ციხე შესწავლა კ. მელითაურმა. იხ.: К. Мелитаури, Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, II, Тбилиси, 1972, с. 34—37.

68. აკად. ს. ჯიქიას აზრით, „ამ ადგილის თანამედროვე სახელი, შეიძლება

გააზრების შედეგად, ბნელა-ა, „დავთრის" ბ ნ ა ლ ა შეიძლება ასახავდეს ამ სახელის უფრო ძველ ფორმას" („დავთარი", გვ. 254).

69. ძველ ვაჰანის ქვაბებს, უკვე XIV ს. II ნახევარში ვანის ქვაბებს უწოდებენ. ვანის ქვაბია XVI ს-შიც („დავთარი", გვ. 365).

გ. ბოჭორიძის შემდეგ, 1933 წ. ვანის ქვაბის ეკლესიის წარწერები გადმოიღო ნ. ბერძენიშვილმა, რომელმაც ჯავახეთს მოგზაურობის დღიური 1964 წ. გამოაქვეყნა (საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 116—126). მან აღნიშნა, რომ ეს წარწერები აქ ათეულობითაა (დაახლ. 50), რომ ისინი XV—XVI სს. განეკუთვნება და 12 მინაწერი გამოაქვეყნა, მათ შორის ლექსებიც. ვ. ცისკარიშვილმა 1954 წ. გამოაქვეყნა 9 წარწერა (მაშინ ნ. ბერძენიშვილის ნაშრომი არ იყო დაბეჭდილი); მისი სიტყვით, სულ 30-მდე წარწერაა, სადაც სულ მცირე 3 ხელი მაინც გაირჩევა; ავტორის აზრით, ისინი XV—XVI სს. განეკუთვნება (წარწერები ასპინძის რაიონიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 168—180). ამათ შემდეგ შ. ონიანი მიუბრუნდა ვანის ქვაბის წარწერებს; მანაც 50-მდე წარწერა აღნიშნა, მაგრამ გამოაქვეყნა ძირითადად პოეზიის ნიმუშები (შ. ონიანი. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჭოთა ხელოვნება", 7, თბ., 1959, გვ. 36—40; 8, თბ., 1960, გვ. 33—36).

გ. ბოჭორიძე ვანის ქვაბის ეკლესიის წარწერებს, ისევე როგორც ლაპიდარულს, თავის დღიურში შეძლებისამებრ ზუსტად იწერდა, მაგრამ საველე პირობებში მათ შინაარსს არ ხსნიდა და არც „ა"-მეტობას აკლებდა, ფიქრობდა რა მათ შემდგომ დამუშავებაზე. ამიტომ ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ მის შემდეგ გამოქვეყნებულ ზოგიერთ წარწერაზე.

70. ეს წარწერა გამოაქვეყნა ნ. ბერძენიშვილმა (მასთან III წარწერა) და გამოარჩინა, რომ მისი პირველი ნაწილი ლექსადაა დაწერილი, მეორე კი — პროზაულად (საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 109—110). იგი გამოცემული აქვს ვ. ცისკარიშვილსაც, ოღონდ თაიდან ბოლომდე პროზაულად (მას. საქ. და კავკ. ისტ., 30, თბ., 1954, გვ. 175).

ნ. ბერძენიშვილის გამოცემაში, ზედმეტი „ა"-ების გამოყლებით, ამ წარწერას ასეთი სახე აქვს:

„ქ. ყოველად წმიდაო შენ უწყი / ცხადი და ფაფარულია.
რა ექნა, მეშავსა /ბედშავსა?/ არ მაქვს / საქმე კეთილად ქმნულია
შევზარებივარ სიკვდილსა, / შემძრწუნებია გული;
ანას უშველე ცოდვილსა, / შენ იცნენ მისი სული.

ყოვლა წმიდაო დედოფალო, მიშუელე, შენსა ძისა სიყვარულსა, ღარიბსა ოცა ოთხშაფა(თ) მარხეა შემომიწირავს ზაფხულისა დღეთა ჩემად... რაც დღენი მესხნეს. ეგების შენის წყალობით თავი ჯერთ არა მქონდეს, როდესაც მაქ, გაგითავებ. მიშუელე რაცამე. დამიწერია რჩეულიშვილსა ანასა ენკენის თუესა დამლევსა".

71. წარწერა გამოაქვეყნა ვ. ცისკარიშვილმა (მასთან — III წარწერა) წარწერის მონახაზთან ერთად (მას. საქ. და კავკ. ისტ., 30, თბ., 1954, გვ. 174). შ. ონიანს უცდია ამ წარწერის პირველი ნაწილი ლექსად დაელაგებინა, რის შედეგადაც მან ასეთი სახე მიიღო: „ქ. ვაი გარჯილო /ამა სოფელსა/ მოსაყდრათ გდგა/ ამბა ვაჩია/ არეის ასმია /საცა ღიბებნი/ საბრალო ანამ /გარდავიკადე/ ან გარდასაელით სამასსა დღესა/ დავჯედ ვაებად /ვერ დავალ, ვერცა/ გავიხარე, სმით, /ვერცა ჭამითა/, ვერცა ჩაცმითა,/ ვერცა ძმითა,/ ვერცა დითა,/ ვერცა რძლითა,/ გაუხარელი

მოვკვდე გაუხარელად. მომაუქეთ, მიტირეთ თავად, ვინ არის ჩემი დამტირებელი? ვინცა წაიკითხოთ, შენდობა მიბრძანეთ, თქვენცა შეგინდოს ღმერთმა. საბრალოს ანას შენდობა უბრძანეთ" („საბჭ. ხელოვ." 7, თბ., 1959, გვ. 36—40).

72. აღნიშნული წარწერა ლექსად გამოაქვეყნა ნ. ბერძენიშვილმა (საქ. ისტ. საკ. I, თბ., 1964, გვ. 120—121), პროზაულად — ვ. ცისკარიშვილმა (მას. საქ. და კავკ. ისტ. 30, თბ., 1954, გვ. 173) და ისევ ლექსად შ. ონიანმა. ამ უკანასკნელმა, ხელის მიხედვით, იგი გულქანის წარწერად ჩათვალა (რომელიც სხვა წარწერაში თავის სილამაზეს აქებს). მისივე აზრით, უცნობი ავტორის ეს ლექსი გულქანს ბოლომდე არ ხსომებია. შ. ონიანი ლექსს ზოგადად XII—XV სს-ით ათარიღებს და ასე კითხულობს:

„ქ. ღმრთის მშობელო, შენ ცოდვილთა მეოხი ხარ უშურველი.
შენ აღზოცე ცოდვა ჩემი უმრავლესი უთვალველი.
მწეო ჩემო შენ მიშველე, გამოჯსნასა შენგან ველი.
მრავალ-თვალნი ანგელოზნი შენგან ძრწიან ძალნი, დასნი,
ჯოჯოხეთით მოციქულნი გამოვიდეს ბევრ-ათასნი".

(„საბჭოთა ხელოვნება" 7, თბ., 1959, გვ. 36).

73. გ. ბოჭორიძის მიერ გადმოწერილი წარწერები, რომლებიც მის დღიურში აღნიშნულია ნომრებით 24, 25, 26, 27, ასევე წაიკითხა და გამოაქვეყნა ნ. ბერძენიშვილმა (საქ. ისტ. საკ. I, თბ., 1964, გვ. 121—122). იგივე წარწერები გადმოიღო და ერთ წარწერად წაიკითხა ვ. ცისკარიშვილმა, მანვე, გ. ბოჭორიძისა და ნ. ბერძენიშვილისაგან განსხვავებით, ოძრჯელელის მაგივრად ამოიკითხა ომარ ჭელელი, რაც არასწორია (მას. საქ. და კავკ. ისტ. 30, თბ., 1954, გვ. 177—178). შ. ონიანმა 26 წარწერის პირველი ნახევარი ისევ ლექსად დაყო, დანარჩენი არ მოიხსენია და დასკვნა, რომ სხვისი ლექსი ზეპირად და ნაწყვეტად წაუწერია ანასო; ლექსი XIV—XV სს-ისაა — „ბატონო"-სა და „ღმრთაების ხატის" ხმარების გამო, რაც ვანის ქვაბში XIV ს-მდე არ ჩანსო („საბჭოთა ხელოვნება", 7, თბ., 1959, გვ. 36—40).

74. „ვეფხისტყაოსნის" ორი სტროფის ვანისქვაბური ვარიანტი შენიშვნებით დაბეჭდა ნ. ბერძენიშვილმა (საქ. ისტ. საკ. I, თბ., 1964, გვ. 122—124); გამოაქვეყნეს იგი ვ. ცისკარიშვილმა (მას. საქ. და კავკ. ისტ. 30, თბ., 1954, გვ. 175—176) და შ. ონიანმაც; ამ უკანასკნელმა იგი ანა რჩეულიშვილის წარწერად ჩათვალა და განსხვავებანი ტექსტისა ანას მეხსიერების ღალატს მიაწერა („საბჭოთა ხელოვნება", 7, თბ., 1959, გვ. 36).

75. წარწერა 30 გამოაქვეყნა ნ. ბერძენიშვილმა (საქ. ისტ. საკ. I, თბ., 1964, გვ. 122), მაგრამ მასთან „ანა"-ს მაგიერ „ინა" იკითხება.

76. წარწერა 41 დაბეჭდა ნ. ბერძენიშვილმა (საქ. ისტ. საკ. I, თბ., 1964, გვ. 122—123). მასთან მეორე პწკარში იკითხება „საუკუნოსა დაგადეგ"... ვ. ცისკარიშვილთან და შ. ონიანთან, ისევე როგორც გ. ბოჭორიძესთან, წერია „საუკუნოს დამდეგ" (მას. საქ. და კავკ. ისტ. 30, თბ., 1954, გვ. 176; „საბჭოთა ხელოვნება", 7, თბ., 1959, გვ. 36), რაც უფრო სწორი უნდა იყოს. შ. ონიანის აზრით, აქ ივულისხმება XVI ს. დასაწყისი.

77. ეს წარწერა პირველად გამოაქვეყნა ვ. ცისკარიშვილმა, რომელმაც ფოტოსთან ერთად ტექსტი პროზაულად დაბეჭდა VIII წარწერის სახით (მას. საქ. და კავკ. ისტ. 30, თბ., 1954, გვ. 178), თუმცა კი აღნიშნა, რომ ავტორს მისი დაწერა ლექსად უცდიაო.

შ. ონიანმა ამ ლექსში დაინახა „როსტომიანის", „ვეფხისტყაოსნისა" და „ვისრამიანის" გავლენა და მისი შექმნა დაათარიღა XII—XV სს. მის გამოცემაში წარწერა ასე იკითხება:

„ლომო განაღამც მიყვარხარ შენებრ ვერავის სადარად,
წყალად ევფრატად გიტკივან, გულად — როსტომის სადარად,
ტანი აზატსა საროსა ნარნარად აყვავებულსა;
მე გული ჭელთა არა მყავს, თუ არ შენ გახლავს სადარად,
ვაიმე, იმედო ნახვამდის, თუმიანს დამიწერია".
„ქ. მზეო გიშვენის წალკოტი ხილითა და ხევნარითა,
უწყლოდა მოკლავ მიჯნურსა და გულსა დახევ ნარითა"

(„საბჭოთა ხელოვნება", 8, 1960, გვ. 33).

78. წარწერა 48 სხვათაგან განსხვავებით, ზევიდან ქვევით იკითხება: პირველი მწკრივი, შემდეგ მომდევნო გვერდის I მწკრივი, მერე ისევ წინა გვერდის II მწკრივზე გადმოდის და ა. შ. ამაზე მიუთითებს ასე წაკითხული დასაწყისი: „ვაი, გარჯილსა ამა სოფელსა" და სხვ.

79. წარწერა 49 წაუკითხავს შ. ონიანს; მართალია მას იგი მთლიანად არ გამოუქვეყნებია, მაგრამ პირველი წინადადება სრულად მოაქვს: „მე მოლოდინსა მოეუკლაე შენს აგრე დაყოვნებასა" („საბჭოთა ხელოვნება", 8, თბ., 1960, გვ. 33—36). ჩანს, აქედანვე დაუსკვნია ავტორს, რომ თუმიანი გვარად გოჯიშვილია, ხოლო მისი სატრფოა გოდერძი („საბჭოთა ხელოვნება", 7, თბ., 1959, გვ. 36—40).

80. წარწერა 50 გამოაქვეყნა ნ. ბერძენიშვილმა (საქ. ისტ. საკ. I, თბ., 1964, გვ. 123). მასთან იკითხება „შატელიშვილსა პერაკელ", „ვინც შემიბრალებთ მე და ბატონ გოხალაღას", „ეს ჰეშმარიტი მოწმენი" და სხვ. იგივე წარწერა მონახაზთან ერთად დაბეჭდა ვ. ცისკარიშვილმა (მას. საქ. და კავკ. ისტ., 30, თბ., 1954, გვ. 179). ამათთან შედარებით გ. ბოჭორიძის წაკითხვა უფრო სრული და სწორი უნდა იყოს

81. წარწერა 52 და 53 გამოაქვეყნა ნ. ბერძენიშვილმა (საქ. ისტ. საკ. I, თბ., 1964, გვ. 119), რომლის წანაკითხი ემთხვევა გ. ბოჭორიძისას. იგივე, მონახაზთან ერთად, დაბეჭდა ვ. ცისკარიშვილმაც (მას. საქ. და კავკ. ისტ. 30, თბ., 1954, გვ. 172), ოღნავ უარესი წანაკითხით („სუენებიხართ" — „სხუანები ხართ". „მოსამსახურესა" „მას მომსახურეს", „უებროს" — „უებარს", „ცოდვილი" — „გდეცალი" და სხვ.). ავტორი აქვე ვარაუდობს, რომ წარწერაში მოხსენიებული მანუჩარი სამცხის ათაბაგია (1475—1487 წწ.). ეს წარწერა დაბეჭდა შ. ონიანმა. მისი წანაკითხი ემთხვევა პირველი ორისას, ოღონდ „ცოდვილის" მაგიერ ის კითხულობს „დეე(ნი)ლი"-ს. ავტორს მოაქვს აგრე. აკ. შანიძის აზრი, რომ სტუფა „ხაზანი" უნდა იყოს იგივე „ფაზანი", რომელიც გულქანს იქვე დაუხატავს თავისი სილამაზის მოწმედ (ვანის ქვაბთა ორი პოეტური წარწერა, „ძეგლის მეგობარი", 10—11, თბ., 1967, გვ. 34). სხვაგან შ. ონიანი ვარაუდობს, რომ გულქანი შალიკაშვილთა საგვარეულოს ეკუთვნოდა (საბჭოთა ხელოვნება 7, თბ., 1954, გვ. 36—40).

საძიებლები*

საკუთარ სახელთა

გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა

აბი 11, 165
აბასთუმანი 121, 122, 124, 125, 129, 151, 256, 261, 262
აბასთუმნის ხევი 122
აბასტუმანი 15, 119
აგარა 10, 22, 24, 38, 106, 109, 111, 115, 213, 214, 218, 252, 253, 261, 264
აგარის თემი 253
აგარის ნასოფლარი 10
აგრამ — დარჩეთი 4
ადიგენი 12, 71, 78, 81, 82, 83, 84, 132, 134, 252, 254, 255, 259
ადიგენის თემი 12
ადიგენის რ-ნი 71, 252, 254
აკვანა სერი 132, 134
ალანძია 9
ალთუნ ბაგეთის ციხე 13
ალთუნ-ყალა 13, 128, 129, 254, 262
ამხა 87
ამხერი 12
„ანანური" 193, 246
ანდრიაწმიდა 11, 92
ანი 13
არაგვი 177
არალი 12, 59, 67, 175, 227, 245
არაშენდა 4
არზრუმი 16, 52
„არნადა" 118
აროსები 118
არტაანის ოლქი 142
არტანულა (მდ.) არტანის წყალი 16, 211, 212, 221, 226
არტახი 213, 209
არძნე 130, 131
არჯანა 165
ახოსმანი 211, 264
ასპინძა 9, 18, 19, 24, 258, 265
ასპინძის თემი 9, 258
ასპინძის წყალი 24
აფეთი 13, 80, 132
აფხაზეთი 119
აღობილი 125
აშტარხანი (ასტრახანი) 190
აძგვიტა 9
აწყვერი, აწყუერი, აწყური 14, 27, 31, 33, 34, 120, 245, 253, 258
აწყურის თემი 14, 258
აჭარა 61, 131, 137, 139
ახალდაბა 100
ახალკაცა 100, 115, 261
ახალკეთი 261
ახალქალაქი 8, 18, 226, 247, 252, 257
ახალქალაქის მაზრა 252, 257
ახალქალაქის წყალი 226, 247
ახალციხე 8, 43, 48, 51, 56, 61, 72—74, 91, 119—121, 138, 165—166, 177—180, 182, 185, 187—189, 190—191, 241, 245, 248, 250—253, 255—256, 259, 263
ახალციხის მაზრა 8, 252, 257, 258
ახალციხის მხარე 255
ახალციხის რ-ნი 253, 263
ახაშენი 10, 105, 106, 260, 261
ახდილა 11
ახჩია 226

ბაერა 142
ბათომი 48, 185
ბათოღლი 11
ბათუმლარ ყოჯიოღლის ფეგი 142
ბაიები 93, 260
ბაიოღლები 260
ბეგის ციხე 78
ბეზირ-ხანა 205
ბეთლემი 24, 25, 257
ბეთლემის ხევი 25
ბენარა-შულავერი 13
„ბერთა" 118
ბესალთავი 34, 258
ბეშუმის წყალი 140
ბიეთი 14, 35, 38, 258
ბიეთის ხევი 38
ბიზანტია 67
ბიჩანაგი 164
ბნალა, ბნელა 9, 227, 265
ბოდო კლდე 125
ბოლაჯური 12, 13, 90—92, 260
ბორჯომი 11, 256
ბოსელეთი 130, 132
ბოცოს-წყალი 61
ბუზმარეთი 9, 12, 60, 61

გაგეთი 9, 208, 213, 264
განისბელას ველი 205
გაღმა ახალციხე 51
გულსუნდა (იხ. მგელსუნდა) 265
გვეზიები 118
გიორგიწმიდა 10, 98, 108, 213, 214, 218, 264
გოდგრძე 84, 139, 140, 337, 338
გომურო ყიშლა, გომურო ყიშლას წყალი 134
გორა 262
გორგულის ეკლესია 13
გორი 185
„გოჩა" 127, 262
„გრძელი ჰალა" 138
გუგათა 264
გუგულის ჯვარი 218
გუგუნური 132
გურია 61, 135
გურკელი 35
გურჯისტანი 257
გურჯისხევი 14

დადეში 9, 263
„დავითიან ღელე" 138
დათვეთი 38, 125
დათვეთის წყალი 38
დამიანეთი 118
დარანეთი (იგივე დარინ-დარა-სუ) 204, 206, 263
დარამალა (დარამაპლა) 166, 188
დარინდარა 125
დარჩეთი (იხ. აგრამ-დარჩეთი) 4
„დედაბერას" ციხე 38
დერცელი 13, 86, 135, 137, 254
დვრელები 27
დიდეთი 263
„დიდ ველი" 138
დიდზღვრის წყალი 38
„დიდი კოხტა" 21
დიდი სმადა 87, 244, 245, 252, 254
დიდ — მაღალი 125
„დიდ — ხევი" (მდ.) 29—31
დორთ ტაშთ დაგორმანი 125
დუმელა 212, 213, 264

ებრაელთა უბანი (ახალციხისა) 188
ევროპა 241
ევფრატი 267
ელიაწმიდა 11, 13, 42, 43, 253
ემბელის ციხე — 11, 100, 113
ენთელი 8, 10, 101, 130
ენკვდრები, ნამკვდრები 38
ერემი 165
ერკოტის ჭვაბები 10

ვალე 11, 16, 59, 72, 75—77, 156, 157, 159, 160, 162—164, 227, 244, 245, 249—251, 253, 255, 256, 263
ვალეს თემი 11
ვანას მონასტერი 61
ვანი (ბუზბარეთისა) 9, 204, 205, 245
ვანის (ვაჰანის) ჭვაბი 218, 227, 228, 265, 266, 268
ვარნეთი 10, 210, 213
ვარძია 8, 9, 192, 198—201, 203, 227, 244—247, 250, 251, 263, 264
ვარხანი 13, 127, 164, 256
ვაშლობი 140
ვანახები 18

* საძიებლები შეადგინეს ლ. მელიქიშვილმა, ლ. ხუციშვილმა, დ. ბერძენიშვილმა.

ვერანა არძნე 131
ვერანა დადეში 263
ვერანა მუსხი 10
ვერანა ნიალა 206
ვერანა ჭობარეთი 10

ზადენ-გორა 262
ზაღენი 127
ზაზალო 12, 68, 140—142
ზანავი 12, 81, 254
ზანზობი, ზანზოფი (იხ. სამწუბი) 100, 101, 260
ზანდრო 13
ზარანეთი 116
ზარზმა 12, 13, 60, 83, 121, 139, 140, 142, 145, 150, 151, 245, 249—252, 255, 261, 262
ზართას კოშკი 84
ზაქორია 69
ზედა დარანეთი 263
ზედა ენთელი 130
ზედა ვარძია 9, 203, 246, 263
ზედა თმოგვი 215, 218, 224, 246, 247, 264
ზედა ოშორა (იხ. ზემო ოშორა)
ზედა სხვილისი 11
ზედაუბანი 131, 138
ზედა ღაღვი 12, 86, 134, 135
ზემო ოშორა 10, 29—31, 258
ზემო რაყისი 113
ზემო უსკვია 78
ზემო ღაღვი (იხ. ზედა ღაღვი)
ზემო წყისე 63
ზეუბანი 13
ზეფენი 11
ზველი, ზრზველი 10, 18, 104, 260
ზვოტის ხევი 14
ზიარეთი 60
ზიარი 4
ზიკილია 14, 40, 41
ზინდა 142
„ზურგნული“ 138

„თავწყარო“ 137
თამარის აკვანი (კლდე) 124
თამარის ციხე 122, 124, 129, 269
თარაქამები 213
თაზა ქვევი 9
თათრები 56
თბილისი 3, 4, 6 (იხ. ტფილისი)
თელავი 3
თენნარი 140
თიანეთის მაზრა 3
თილილი 277
თისელი 14
თიქმა-ტბაში 139
თმოგვი 8, 9, 215, 218, 221, 224, 246, 247, 264
თოვლეთი 9
თორი 155
„თრიალა“ 78
თურქმანნარი 131
თუშეთი 223
თხომა 11

იდუმალა 10, 18
იერუსალიმი 199, 184, 194
ივლიტა 8, 45, 47
იზმირი 81
ილანი 118
იმერეთი 38, 59, 132
ინდუსა 17, 18
ინწყორა 18
ინჯგოლა 57
ირის ჭალა 142
ირჭა 11
იტალია 77
იჯარეთი 12, 79, 80, 252, 255, 259

კავკასია 265
კალმახის წყალი 16
კარტიკამი 142
კასარეთი 12
კაჭრეთი 3, 4, 60
კახარეთი 69
კახეთი 3, 6, 60, 244
კიკიბო 13, 86, 137
კისათიბის „ბაიები“ 93
კლდისთავი 31
კლდის თემი 13
კიდნარი 39
კეხოვანი 13
კოინდარა 9
კოკორი 139
კოხტას ციხე 21, 257
კურცხანა 13, 122, 125, 256, 262

ლათინი 45
ლაშე 252, 255
ლაშიხევი 166
ლელოვანი 12, 78
ლეკნარის ფენი 139
ლეკნარის ხევი 38
ლეპისი 9
ლეპისის თემი 8, 263
ლეჩხუმი 6
ლომა-წყარო 31
ლურჯი კლდე 221

მაიკეთი 101, 116
მამაჭიხეთი (იხ. მაჭიხეთი) 260
მარათა (მთა) 61
მარდის ეკლესია 8, 166
მარელი 140
მართლმადიდებლები 160, 161
მარილის მთა 227
მარკოზის ქვაბი 39
მარნალეთი 116
მატანი 3
მაჭა 224
მაჭიხეთი 10, 103, 260
მახაჭალა 60, 84, 252
მახაჭალის წყალი 84
მგელსუნდა 9, 226 244 (იხ. გელსუნდა)
„მეიდნის ხიდი“ 68
„მელისაკლავი ღელე“ 138
მესოპოტამია 45
მესხეთ-ჯავახეთი 6, 252
მესხეთი 6, 241, 243, 245, 252
მთაწმინდა 119, 184
მინაძე 16
მიქერიტა 103
მლაშე 71
მლაშის ხევი 257
მლაშე ხევი 8
მონასტერ — კილისა 126
მონთაბანი 45
მორენია 56
მოსკოვი 119, 166
მოქცევა 14
მოღნისი 165, 166, 190, 191
მოღობილის წყალი 38
მოხე 87, 138
მტკვარი 24, 31, 33, 34, 225, 227
მცხეთის ჯვარი 63, 66
მღრიანი 260

ნაბიჯო (ყიშლა) 125
ნაგუთნი 118
ნავარძიების გამოქვაბულები 227
ნავენაზევი 11
ნანიანი 4
ნამნიაური 134
ნამკვდრები, ეწკვდრები 38
ნაღვარევი, ნაღორევი 117
ნაყადრევი 218
ნაცხვარი 3
ნაჭამევი 8
ნიახჩაირი 132, 134, 262
ნიალა 205—207, 213
ნიალისყურე 264
„ნიტულაის“ ეკლესია 195

ოთა 10, 245, 253, 257
ოთას თემი 253
ოპიზა 102
ორალი 12
„ორმოცის“ კოშკი 225
„რციხის შუა“ 166
ორჭოშანი 12, 60
ორცეპი (ორცეფი) 11, 115, 118
ოსმალეთი 82, 165
ოსმანას გზა 33
ოქროსციხე 245, 262
ოღროჩობილი მთა 134
ოღროჩობილის წყალი 134
ოშორა 10, 27, 29—31, 258
ოშორის წყალი 29
ოშორის ხევი 258
ოჩანეთი 118

ოცხე, ოძრხე 13, 261, 262
ოცხისწყლის ხეობა 261
ოხერა 16

პამაჯი 12
პატარა ბიეთი 35
პატარა კოხტა 21
პატარა პამაჯი 12
პატარა სმადი 88, 259
პარიზი 181
პეტობანი (იხ. ფეტობანი) 259
პერანგეულები 18
„პლანი" 166

რაბათი 8, 38, 49, 121, 165, 185, 191, 252, 262
რაყისი 100, 113, 114, 115
რაჭა-ლეჩხუმი 6
რეჯი 224
როკეთი 244
რომი 119
რომაელი 69
რუსეთი 3, 190, 241, 261
რუსი 41, 261
რუსთავი 10, 16, 17

საბა-ჯვარი 125
საბერძნეთი 144
საბზარა, „საბუზარა" 127, 265
საგულე 101, 115
საგარეჯო 3
სათთრეთი 138
სათივნე 10, 104
სათრითავი 30, 31, 258
საირმე 138, 252, 254, 256
საკანაფეს ციხე 258
საკვირიკო 9
საკირიკო 14
სამცხე 6, 7, 119, 146, 149, 241, 258—264, 268
სამცხე-ჯავახეთი 6, 7, 119, 241, 257, 264
სამწუბი 260
სამწუბთღელე 260
სამხრეთ საქართველო 6, 257—259, 261, 263, 264
სარვენისნი 144
საროო 224, 225, 244, 265
საროო — ხიზაბავრა 244
საქართველო 4
სატალო (მდ.) 16
სატალახეო 11
სატყეპელა (იგივე ჭიალა-ტაპა) 164
საფარა 11, 185, 216, 248, 250, 252
საქვის ჭალა 118
საქართველო 4, 5, 6, 7, 67, 73, 255, 257—265
საღვინეთი 31
საყევარა 101, 118
საყუნეთი 14, 252, 253
საძილეთი 118
სვირი 14, 38, 227
სმადა 12, 87, 88, 244, 245, 252, 254, 259
სოლაღას ბაბანოები 8
სომეხი კათოლიკები 56, 78
სომხები 16, 58, 72
სტამბულის ნაქალაქარი 38
სხველისი 11

ტამალა 9, 20, 21, 57
ტამლარ კურცხი 125
ტაიჭა (იგივე შოროთა) 258
ტბეთი 100
ტობა 16
ტოშოლა 9, 253
ტოშოლის რ-ნი 253
ტულუღ-ქეფრი 139
ტურცხი 142
ტფილისი (იხ. თბილისი) 4, 61, 67, 120, 185, 246, 250, 254, 255, 256
ტყემლანა 31, 32

უგარეთ 14
უდე 12, 61, 63—65, 67—69, 71, 121, 128, 177, 244, 245, 249—251, 253, 255, 259
უდის თემი 12, 253
უკანა წყურთა 191
ულვა 11
ურაველი 10, 11, 16, 97, 98, 108, 118, 244, 252, 253, 260, 261
ურაველის თემი 10, 253
ურავლის წყალი 16
ურავლის ხეობა 11, 252, 253, 260, 261
უთხისუბანი (უთხისუბანი, უტყვისუბანი) 13, 84, 86, 252, 255, 256, 259
ური 142
„უსკია" 12, 78

ფანაქეთი, ფანაქეთი 9, 210, 212, 213, 264
ფეტობანი 65, 72, 76, 245, 249, 255, 259
ფერსა 14
ფია 9, 222, 224, 264
ფოცხოვი 65, 164, 165, 191, 253, 259, 259
ფოცხოვის მხარე 253
ფოცხოვის ხეობა 65, 259
ფუღა 10
ფხერო 262
ფხოველი 4

ჭარზამეთი 9, 209, 213, 264
ჭართველები 16, 17, 18, 38, 41, 56, 57, 60, 63, 64, 67, 71, 72, 79, 97, 99, 103, 142, 151, 156, 160, 161, 165, 166, 180, 189, 192, 213, 227
ჭართველი კათოლიკეები 64, 71, 142, 160, 180, 227
ჭართველი მართლმადიდებლები 160, 161
ჭართველი მაჰმადიანები 16, 17, 18, 38, 41, 56, 57, 60, 63, 67, 72, 79, 97, 103, 151, 160, 161, 165, 192, 213
ჭართველი 6, 147, 217
ჭაცარაული 139
ჭვაბისჯვარი 138
ჭვაბლიანი 68, 72, 82, 138, 256
ჭვაბლიანის ხეობა 72
ჭვაბლიანი, ჭვაბლოვანის წყალი 61, 68, 92
ჭვედა თმოგვი 218
ჭვედა ღღვი 86, 128, 135, 136
ჭვემო დარანეთი 204, 263
ჭვემო იზმირი 81
ჭვემო ოშორა 10, 27, 258
ჭვემო რაყისი 114
ჭვემო წყისე 63
„ჭვისახლები" (ნასოფლარი) 138
ჭვისწყარო 218
ჭიალა-ტაპა (იგივე სატყეპელა) 164
ჭილისა დერესი 22, 24, 125
ჭირკლისე 125
ჭიუმბეთი 209
ჭიქინეთი 125, 126
ჭოდალო 4
ჭუთაისი 81, 132, 185
ჭუთაისის მაზრა 132
ჭუმი 14, 38, 39
ჭუმის წყალი 39
ჭურთები 17, 79, 119, 213

ღართა 10, 25
ღაღვი 12, 13, 86, 128, 134, 135, 136
ღაღვის წყალი 134
ღაღისმანი 11
ღობეთი 10, 104, 244
ღორთუბანი 80, 131, 132, 134, 245
ღრელი 11, 16
ღრომა 11, 93, 260

ყაი ნარიყურა (ყაინარყურა) 125, 256
ყალა 209
ყალა-ბოინი 150
ყალნის წყალი 140
ყამზა 10, 18, 31, 106
ყანდაური 3
ყანობილი 125
ყარათუბანი 13, 81, 92
ყართა 257
ყვირილას ეკლესია 13
ყიზილი 118, 119
ყიმილეთი 118
ყულალისი 11, 165
ყულები 8
ყულევი 166
ყურათუბანი 253

შაან-ყაია 125, 137
შალოშეთი 9
შარდა 257
შარი-ყანა 18

„შეითან ბაზარი“ 85
შიბლიანი 4
შოლა 264
შოლასწყალი 264
შოლო 205, 245
შოლოთის წყალი 10
შოროთა (იგივე შოლოთა, შორეთი) 10, 26, 258
შოყა 13, 129, 262
შუა დარანეთი 204, 263
შუატყუ 205, 245, 264
შულავერი 13
შურდო 252
შუშხეთი 78, 82, 84

ჩაკიდულა 86
ჩიხორიში 9, 18
ჩიღლარი 125
ჩორჩანი 13, 87, 262
ჩურჩუტო 13

ციხისუბანი 137, 138
„ციხისყელი“ 31
ციხის ძირი 8
ციხის ძირის წყალი 38

ძველი არძნე (იხ. ვერანა არძნე) 131
ძინძე 138

ჭარალი 11, 56, 57
ჭარხალეთი 100, 114, 115, 261
ჭაჭკარი 225
ჭაჭერეჭი 15, 16
ჭეჭლა 87, 138
ჭვინტა 13, 43, 253
ჭილის ხეობა, ჭილდარა 132
ჭინჭრობი 118
ჭიხელი 13, 125
ჭობარეთი 10
ჭოლდა 9
ჭომღარი 84
ჭულე (ჭულები, ჭულევი 12, 152, 155, 156, 245, 248, 251, 263

წარბას უბანი, წარბათუბანი, 12, 72
წახანი 127
წახნისწყარო 127
წითელი მთა 134
წითელი ჭვარი 39
წინუბანი 14, 38, 44, 45, 249
წინუბნის წყალი 38
წნისი 13, 43, 258
წრიოხი 14, 34, 258
წრიოხის ხევი 34
წუნდა 221, 264
წყალთბილა 12, 17, 72, 76, 77, 78, 245, 249, 250, 255
წყაროთგევრდი 116
წყისე 12, 60, 61, 62, 63, 69, 245, 249, 255, 259
წყობრა 11, 96, 260
წყურთა (იგივე წყურთი, წყრუთი, ცხრუტი) 13, 191, 263

ხათუნ ფეგლასი 125
ხაკი 165
ხარაბა 130
ხარაბაშეერი 227
ხარჯამი 127, 262
ხაჩი ტაშ 125
ხეოთი 10, 101, 102, 103, 116, 117, 260
ხეოთის ღელე, ხეოთის წყალი 101, 116, 117
ხერთვისი 191, 226, 227, 245, 247, 251, 252, 253, 265
ხვეიზა 117
ხერო 13, 130, 128, 262
ხვანა 12, 61, 165
ხვილიში 9, 14, 19, 142, 257
ხელევი 14
ხზერი 12
ხიზაბავრა 67, 142, 241, 244, 227
ხრიანი 99, 260
ხულგუმი 142
ხერგაშენი 164
„ხუხუნას წყარო“ 140

ჯაბეთი 257
ჯაბეთის წყალი 257
ჯავახეთი 6, 7, 119, 241, 261, 264, 265
ჯანიაური 138
ჯაყისძანი (იგივე. ჯაყისუბანი) 57, 253, 258, 259
ჯვარისა 5
ჯვრის ეკლესია 165, 166

Агарский монастырь 216

Вардзия 265

Грузия 257, 265

Кавказ 257

Кура 227

Мерецхан 227

Панакети 227

Хандиси 264

პირთა სახელები

აბაზ ეიბ-ოღლი 88
აბესალომი 121
აბინათ იესა 174
აბრაამი 194
აბრამ ურიაყოფელი 119
აბრამიანი აკოფ 72, 73
აბულაძე 67
ადამაშვილი 79
ადლემაშვილი მიხეილ 68
ავალიშვილები 57
აზიზ ოღლი 99
აზნაუროვი იოვანე 173
ათასკათ ბატონჯანა 54
ათუათ ბადონჯა 53
აიათი (ქალის სახ.) 18
ალექსანდრე ნეველი 121
ალექსანდრე (შაჰყულიანთი) 172
ალი სული ოღლი 87
ალმაზ 18
ამბა ვაჩია 266
ამილახვარი 160
ამილახვარი ათამბეგ 142
ამილახორი 236
ამირანაშვილი შ. 77
ანა 51, 52, 180, 229, 230, 265, 266, 267, 233
ანა რჩეულიშვილი (იხ. რჩეულიშვილი ანა)
ანატოლი 195
ანდრია (მოციქული) 92, 262
ანი 234
ანნა 171, 174
ანტონი 168, 184, 171, 172
ანტონი 65, 47, 119, 216
არისტოტელე 120
არკანბეგ საბაის ძე 60
არსენ თორელ ეპისკოპოზი 155
არსენ ქართლის კათალიკოზი 217
არუთინა 55, 177, 183
არუთინ 47, 173
არჩილ 158
ასლანაშვილები 63
ასლან ამედოღლი 71
ასმა 18
ასპანიძენი 16, 227
ასპანიძე ნაკო 227
აფლად ჩაქირ-ოღლი 135
აღბუღა 120
აღუშაშვილი მორეკ 71
აშოთანი 158
აშრაფ სული ოღლი 78

ბაბოევი დიგრან გაბრიელის ძე 60
ბაგრატ მეფე 148, 156, 158, 215
ბაგრატონიანი 156
ბათმანიძე 81
ბაინდუროვანი 171
ბაირახტაროვი მალიქდ 254
ბალახაშვილი ვახტანგ 71
ბალახაშვილი იაკობ სერაფის ძე 67
ბალახაშვილი იაკობ 72
ბალახაშვილი ივანე სიმონის ძე 71
ბალჯან 18
ბალიაშვილი 166
ბარაბაა 141
ბარათაშვილი 67, 71
ბასილ შამანგულის (შემანგულას) ძე 27, 258

ბასილ წინამძღვარი 144
ბასტამანთ გასპარა 171
ბატონჯანა 178, 55
ბაჭრაძე 67
ბაღდასარა 169
ბაღდაგიულ 18
ბეთანთი, ბეთანთი 51
ბერიძე 67, 160, 258, 260—264
ბერიძე მოსე 246
ბერიძე ე. 258, 260, 261, 262, 263, 264
ბეროთი 67
ბერუჯა 46
ბერძენიშვილი დ. 264
ბერძენიშვილი ნ. 258, 264, 265, 266, 267
ბექაი მანდატურთუხუცესი 145, 149
ბექიროვი 29
ბექოშვილი 142
ბეშქენ ერისთავეთ-ერისთავი 111
ბიბინაშვილი 42
ბიბოღლი ალიხან 141
ბისიგაშვილი 79
ბლორძელი 199
ბოლქვაძე 79
ბოლქვაძე სული-ალა 139, 140
ბოჭორიძე გ. 3—7, 119, 254, 256—263, 265—267
ბოჭორიძეები 142
ბოჭორიძე თ. 7
ბოჭორიშვილი 160

გაბაშვილი ც. 263
გაბრიელ მახარებელი 163, 190
გაბრიელ მთავარანგელოზი 66, 147, 155, 162, 194, 259
გაიანე 89, 146
გაივარშა, ბადიშ-ოღლი 252
გაიოზი 120
გასპარა 46, 171
გასპარანთ პოღოსა 171
გაფრინდაშვილი გ. 263, 264, 265
გეათ აბდულა 226
გელაშვილი 17
გერმანოზი 201
გვარამაძე 38, 41
გვარამაძე ივანე პაელეს ძე 119
გვარამაძე კ. 119, 188, 245, 250, 252
გვერდწითელი რ. 264
გიგინოვი პოღოს 54
გიორგი 71, 90, 148, 197, 203, 216, 217, 251, 261
გიორგი მეფე 197, 203, 217
გიორგი მღვდელი 90
გიორგი რუსეთის მეფის ძმა 261
გიორგი საფარელი მღვდელი 216
გიორგი ჩორჩანელი 148
გობაძე 137
გობრონი 66
გოგელაშვილი იოსებ 70, 71
გოგიაშვილი 227
გოგინათ სტეფანე 174, 175
გოგინაშვილი სამსონ 253
გოგინოვი პოღოს 54
გოგოლაძე 41, 125
გოღერძი 267
გოზალაღა 238
გოზალიშვილი სამსონ 72, 77, 253
გოკიელი პეტროსა 168
გორგაძეები 59
გორეკ აღუშაშვილი 71
გორდეევი 153, 154
გოჩიაძე 18
გოხალაღა 267
გოჯიაშვილი თუმიან 267
გრიგოლი 8, 50, 65, 120, 121, 166, 209, 222
გრიგოლ განმანათლებელი 8, 166
გრიგოლ ჯაბატოსი 65
გრიგოლ გოგინათ სტეფანეს ძე 174
გრიქორ თოჯმაჯი 170
გრიქორი 170, 176
გრძელი ბაღდო 183
გულასარ 18
გულდამ 110, 146
გულდამ ივანეს ასული 146
გულისტან 18
გულჯან 18
გულსუნ 18
გულქანი 239, 266, 268
გულქან შალიკაშვილი 268

გულჩინ 18
გულჩიჩაქ 18
გუნაშ 18
გურგენი 222
გურგენიძე ვ. 6
გურიელი სუიმეონ 148

დადაძე სულეიმან 44
დავით 144, 146, 156, 252
დავით კურაპალატი 144
დანგა 158
დარბაზიშვილი 164
დარბაზოვი პაველ 167
დარბაზოღლი 164
დარეჯან დედუფალი 47
დგაჩე 224
დედებოთ ანტონა 171, 172
დედისიმედი 157
დემეტრე 112
დემეტრაძე 131
დემეტრე მეფე 203, 224
დვალიშვილი ასლან ბილან-ოღლი 252, 256
დიოკლიტიანე 105
დოლაბთბეგოვი ოსეფ 41
დოლაბთიერა 177

ედიშერი 177
ევგენია 185
ეთერი 121
ელაშვილი 67
ელათი 67
ელენა 173, 176, 183
ელენე 52, 157, 158, 170, 183, 184, 176
ელენე დედოფალი 158
ელია 29, 205
ელისაბედი 173
ემინოვი ალი 98
ერეკლე 55
ერეკლე მუხრანის ბატონი 71
ერეკლეანთ ბატონჯანა 55
ერისთავი სულეიმან 81
ესაია 146
ესტატე პლაკიდა 120
ეუნდიევი 18

ეფთიმიოს ქართლის კათალიკოზი 147
ეფრემ 111, 188
ეფროსინე 27, 258

ვანო 177
ვასილი 67
ვასო 131
ვარამათ ყაზარა 177
ვარდიძე 45, 72, 190
ვართანი 53
ვარქისაღოვი სტეფანე ივანეს ძე 169
ვაჩნაძე ხალის 191, 248, 253
ვახტანგი 158
ვახუშტი ბატონიშვილი 30, 31, 44, 61, 66, 258, 261
ვაპრამათ გრიქორი 176
„ვინმე მესხი“ (იგ. გვარამაძე) 9, 120, 257

ზაალ თოფას ძე 37
ზაზალიშვილი იოსებ 140
ზაზალიშვილი სვიმონ 71
ზაზო 131
ზალინა 53, 170
ზალინათ პოღოსა 170
ზალინათ ყაზარა 53
ზამუკაშვილი 78
ზანდარაშვილი 29
ზაუტაშვილი ალი სალი-ოღლი 253
ზედაქაინთ ნიკო 46
ზედგინიძე ივანე მოსეს ძე 104
ზედგინიძე სიკო 138
ზორაბ 216
ზუბალა 18
ზურაბაძე 41
ზურაბიანი 181

თავდგირიძე დავრიშ ემინ ოღლი 138
თავდგირიძეები 138
თათარაშვილები 99
თათენაშვილი პაელე 187, 189
თამაზიანი 29
თამარაშვილი მახეილ 121
თამარაშვილი პეტრე გრიგოლის ძე 120, 121

თამარი 56, 122, 124, 129, 157, 164, 193, 197, 202, 203, 239, 246, 262, 263
თარხნიშვილი ნ. 7
თაყაიშვილი ექვთიმე 6, 19, 23, 27, 37, 38, 153, 162, 208, 209, 257, 258, 260, 262, 263
თევდორაძე 89, 93, 110, 261
თევდორე მესვეტი 89
თეთრაძე 29
თეოდორა 158
თინათინი 177
თოდოჲოტი 257
თოთიბაძე ვ. ლ. 259, 263
თომა 81, 120, 147
თომა კემყელი 120
თომაშვილები 81
თორდია კ. 260
თორმანიძე 151
თოროთ პეტროზა 171
თოფა 37
თოფალიძე აზიზ ოსმან-ოღლი 38
თუმანიანი ტერ ანტონ იოსების ძე 65
თუმანიშვილი ოსეფა 119
თურან მგელაძე 135
თურვანდაი 177
თურმანიძე 131, 249
თურმანიძე ოსმან 249

იაკობაძე 137
იანულოვი 166
იდირი სამად ოღლი 101
იეზეზოს ფილოსოფოსი 45
იელსაფეთაი 49
იესე 156
იესო 35, 36
იეღისი 51
ივანე 51, 71, 78, 119, 104, 144, 146, 149, 157, 201
ივანე სულაის ძე 144, 149
იღარიონ ბასილის ძე 27
იღარიონიძეები 161
ილია 11, 39, 227
ინა (იხ. ანა) 267
ინასარიძე ვასო 101
ინგოროყვა პავლე 5, 246
იოანე 15, 36, 38, 44, 89, 111, 143, 165, 178, 180, 181, 246, 256
იოანე მარწყვეჩელი 256
იოანე მახარებელი 15, 143
იოანე ნართლისმცემელი 111, 165, 178, 180, 181
იოანე შავთელი 246
იოანე 15, 52, 170, 172, 173, 259
იოანა 64
იოსები 65, 70, 71, 140, 153
იოსებ თბილელი 153
იოსელიანი 81
იოსმა 18
ირაკლი მეფე 142
ირემაძე 137
ისაკ 152
ისაკაძ 29
ისიკხანოვი იბრეიმი 41
ისმაილ ალინ ოღლი 136
ისპირიანი 29
იუზა 78
იუსელი 81
იჩქით გურგენის ძე 222

კავთელაშვილი 227
კაკაბაძე სარგის 257
კაკუჩაძე 131
კაკუჩაძე იასონ 130
კანჩაძე 72
კანჭაძე 67
კაპანაძე 41, 160
კატარინა 53
კატარინე 50, 175
კარიჭი 217
კაჭათი 67
კეკელიძე 81, 131
კერენსკი 4
კვიპრიანი 112
კიკა 210
კიკვაძე 131
კიკნაძე 60, 72
კირკიტაშვილი 79
კლემენტოსი 112
კოკობაშვილი 78
კოპაძე 60, 79
კორკელაძე ჭიამილ ოღლი 140
კორკოტაშვილი 227
კოსტანათ გაბოქორა 48
კოსტანაშვილი სიმონ 253
კოსტანტი 63, 255
კოსტანტინე 45, 85, 119, 156, 245, 250
კოტაძე 38
კოტეტიშვილი 79
კრავაი (ივანე კრავა, კრავი) 162, 223, 245, 263
კრუხიშამათ სტეფანე 174
კრუხიშამათ ყაზარა 174
კუპჩინი 191
კუჭიაძე 29

ლაზარე 180, 194, 197
ლაზარიანი იოვანე 169
ლაფაჩი ც. 262
ლაცაბიძე 164
ლაცაბიძე ილარიონ 164
ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი 246
ლომთათრი თ. 253
ლორთქიფანიძე 81, 82, 78
ლუკა 70, 234, 48
ლუკიშვილი 29
ლუხუმანიძე მაიდიან ეიდაროღლი 87

მაგთაღინი 173, 176
მათე 15, 38
მაკარაძე ბურად 128
მაკარიძე 81, 156
მაისურაძე 60, 79, 217, 251
მაისურაძე ანტონ 176
მაისურაძე პ. 247, 251
მაისურაძე სვიმონ 176
მალაქ 18
მალუდ რაბაბ ოღლი 141
მამასახლისაშვილი გიორგი ქეროს ძე 71, 253
მანანა 66, 259
მანასე 181
მანველაშვილი სტეფანე 134
მანუჩარი 157, 268
მამულაშვილი 103
მარიამა 49, 55, 178, 184
მარიამი 66, 47, 169, 175, 215
მარიამ დედოფალი 215
მარინე 234, 252
მარკოზი 39
მარსაგიშვილი გ. 261
მაქანდარათ პოღოსა 173
მაქანდრიანთ სარქისა 52
მაქთალინა 183
მაღრაძე ლავრენტი მიხეილის ჭე 218
მაწყვერელი 109, 144, 258
მაწყვერელი სერაპიონ 144
მაწყვერელი თევდორე 109
მახარაძე 18
მახაროზელი 49
მახოშვილები 60
მაჰმადი 243
მაჰმად აჰმად ოღლი 214
მაჰმედი 62
მგალობლიშვილი გ. 246, 247
მგელაძე თურან 135
მგელაძენი 135
მდივნოვი 173
მელეშიანთ პეტრე 185
მელითაური კ. 257, 265
მელქონი 71, 174
მერაბიშვილი ივ. 65, 245, 249
მერაბიშვილი პეტრე 253
მესხელი სტეფანე ბესარიონის ძე 241
მეფისაანთი 47, 48
მეფისაშვილი რ. 263
მექოშვილი 142
მზექალა 234
მზეკაბუკა 157, 159
მირაქათ სტეფანა 183
მირიან სამცხის დიდი აზნაური 263
მიქაელ 84
მიქელ მთავარანგელოზი 110, 147, 155, 194
მიქელ-გაბრიელი 143
მიხეილი 162
მოლოზნიანთი 52, 67
მოსე 104
მოსესა 170
მოშანაშვილი ეფრემ მიხეილის ძე 188
მოხევიშვილი ნ. 262

მუზაშვილი დავით 249, 251, 252
მურადაშვილი ლათიბ 253
მურადოვი აგაბეკ 248
მურვან ერისთავთ-ერისთავი 111
მურვანოვი არუთინ 173
მუსხელიშვილი (ბეგი) 78
მუღლაძე 125
მუღრუშალი შერიფოღლი 142
მუხტარბაშევი 82
მღებრიშვილი 166
მშვდლიანთ ლუკა 48
მშვდლიშვილი სიმონ პავლეს ძე 48

ნადირაძე 41, 160, 161
ნარიმეყათ პოპოსა 170
ნიფაშვილი 127
ნაჩღა 44
ნუბიეროვი პეტრე სტეფანეს ძე 187
ნუსტეროვი მ. 261
ნიკო 46, 227
ნიღა მურადოღლი 40
ნიკოლოზი 8, 26, 60, 201, 225
ნიკოლოზ ორბისძე 26
ნიში 216
ნიღვარაი ძე საურმაგისი 105, 260
ნუშლაანთი 103

ი

იოვანე შავთელი 199
იოვანე ჭიმჭიმელი 215

ოთანაძე 224, 225
ოთანაძე იროდიონ 224
ოთანაძე კოსტანა 227
ოთარ არაგვის ერისთავი 177
ოლიმპია 260
ომარი 81, 82, 266
ომარ ეფენდი 81, 82
ომა ჯელელი 266
ონიანი შ. 265, 266, 267, 268
ონიაძე 18
ორბისძე ნიკოლოზი 26
ოსეფა 41, 47, 52, 119, 170, 175
ოსიძე 131
ოსმანი 32, 80
ოქრა ოქაელი 217
ოქროპირიძე 18
ოძრაჭელელი 266
ოჰანნესა 183

პავლე 42, 48, 67, 163, 187, 189, 241
პაელე მოციქული 42
პაპიძე სარდარ შაბნოღლი 138, 254
პაპიძე შაბან 138
პარუნ ონანა 47
პაწკიანი 29
პერიკელ 267
პეტათი 67
პეტაშვილი 67
პეტრე 48, 54, 71, 120, 121, 171, 172, 175, 184, 187, 253
პეტრე სარქისას ძე 172
პეტროზა 171
პეტროსა 47, 190
პეტროს ვართაპეტი ხურციძიანთი 190
პოპოსა 170
პოსტულოვი 74
პოღოსა მელეშიანთ პეტრეს ძე 184
პოღოსა მოლოზნიათი 52
პოღოსა ფარემუზათი 53
პრიეალოვა ეკატ. 263
პროხორე 15

ჟორდანია თ. 120
ჟუჟუნაშვილი ილია 39, 227

რამაზათ ანა 51
რასულაშვილი 17
რასულ მამად ოღლი 79
რაფაელი 180
რაშოშველი 18
რისიმე 48
როსტომი 267
რჩეულიშვილი ანა 229, 230, 233, 234, 265, 266, 267
რჩეულიშვილი ზერდი 232

საყა 54
საბა 51, 60, 119, 120
საბა მჩხრეკელი 119
საგინაძე ალადინ 253
სათოშვილი 17
საიოღლი შაჰ 52
სალვი 18
სამსონიძე მუსტაფა 31
სანიკიძეები 86
სარა 54, 171, 234
სარალიძე 125, 127
სარაშვილი იაკობ 71
სარაჯიშვილი 79
სარგის მანდატურთუხუცესი 146, 149
სარვარ ქალიშ ოღლი 87
სარქისა 52, 172, 176
საურმაგი 105, 260, 261
სარაფ მამად ოღლი 141
სერაპიონი 148
სერაპიონ მაწყვერელი 144
სვიმეონ აფხაზეთის კათალიკოზი 119
სილოგავა ვ. 257, 258, 259, 261, 263, 264
სიმონიანი ერეანდ 72, 73, 74, 250
სიმონი 48, 71, 253, 263
სიმონ მესვეტე 263, 192
სკლიაროსი 144
სოლი 82
სოლომონი 146, 156
სონა 18, 177
სტეფანე 49, 50, 51, 63, 84, 173, 174, 175, 183, 187, 262
სუდაძე 16
სუდაძენი 16
სუიმეონ გურული 148
სულაქველიძე თ. 262
სულთან სელიმი 128
სულხან-საბა ორბელიანი 123, 252
სურაია ნომ ყიზი 97

ტარპინოვი ივანე ქერიფის ძე 78
ტატაძე 29
ტატიშვილი 29
ტერ ანტონი 65
ტერსტეფანე 47, 174
ტირალთი 160, 161
ტროშელიძე მ. 246
ტუღუშაძე 38
ტოტორაძე ჩახალა 44

უვაროვი 65

ფარსმან ერისთავთ-ერისთავი 215
ფარსმან მეფე 66, 67, 144, 245, 255
ფაჭიზ 18
ფერალიანთ ოსეფა 47
ფერანი 258
ფიფაძე 132
ფიფია ფაპრად 132
ფეთოლარი 138
ფეიზიშვილი 127
ფეიზულ 62
ფეიქრიშვილი ზ. 262
ფერიხანა 177
ფლენდიშვილი 226
ფოფი 208
ფოცხვერაშვილი რუსტამ ყოჩიოღლი 252
ფრა კარლოსი 65
ფროთ პოლოსა 55

ქაიხოსრო ათაბაგი 157
ქაჩუანთ მათოსა 169
ქეროფი 78
ქეიანთ საქანდარა 179
ქიქოძე 246
ქორობოშვილი 18
ქოსაშვილი 18
ქრისტე 23, 24—27, 29, 35—38, 44, 49, 53, 59, 63, 71, 84, 89, 90, 95, 102, 105, 110, 111, 114, 141, 143, 144, 146, 147, 152, 153, 156, 164, 186, 193, 195, 197, 199—201, 209, 210, 215—217, 224, 259, 257, 260

ღვთისმშობელი 15, 26, 35, 37, 64—66, 70, 71, 82, 143—146, 149, 157, 159, 160, 162, 180, 181, 187, 189, 193, 194—196, 198, 216, 255, 259
ღონიაძე 29

ყაზარა 53, 171, 177
ყაღაიჯოვი პეტრე 54
ყაუხჩიანთ აკოფა 168
ყაუხჩიანთ სტეფანე 173
ყაუხჩიშვილი ოვანესი 54

ყაყუნაშვილი 227
ყაყუნაშვილი ილია 39, 227
ყვარყვარე 160
ყირქისლიანები 166
ყიფიანები 127
ყოჩი თურან ოღლი 136
ყოჩოშვილი 18
ყუარყარე 153
ყუარყუარე 157
ყუარყურა ამისპასალარი 149
ყულჯანაშვილი ფილიპე სერგის ძე 71

შაბან ჰამიდ ოღლი 226
შაბურისძე 88
შავთელიძე 151
შაზადაი 54
შალიკაშვილთა საგვარეულო 268
შალიკაშვილი გულქან 268
შამანაძე 86
შამირანათ გრიგოლა 50
შამირანათ სტეფანა გრიგოლის ძე 50
შანიძე 131
შანიძე აკ. 268
შანიძე ღ. 259
შარავანდიძე 18
შარავანდიძე ჭემალ 18
შატელიშვილი პერიკელ 267
შაქირ ყოჩი ოღლი 87
შაჰსად საფარ-ოღლი 254
შაჰყულიანი 172, 189
შაჰყულიანი ალექსანდრე 172
შერმადინ 260
შერმაზან 260
შერსაი 90, 260
შეშაბერიძე კოსტ. 142
შიო 88, 146
შერაზათ ოჰანნესა 183
შოთა 146
შორათ 18
შოტელიშვილი 238
შოში 141
შოშია 68
შოშიაშვილი ნ. 259, 262, 263
შუქრი აზიზოღლი 80
შუშანა 48

ჩაიჭოლაანი 49
ჩაღოშვილი აბაზ 128
ჩაჩოძე 18
ჩახალ 18, 62
ჩახალ ფეიზულ ოღლი 62
ჩახალათ ოსეფა 52
ჩემაშვილი ტერსტეფანე 47
ჩიკაძე 81
ჩიქვაიძე 151
ჩილაშვილი 67
ჩიტაძე 42, 160
ჩოე 44
ჩოკაძე 81, 132
ჩოკაძეები 132
ჩორჩანელი გიორგი 148
ჩორჩანელი 262
ჩუბინაშვილი ნ. 260, 264
ჩხეიძე 4, 130, 135, 136
ჩხეიძე ალი 130
ჩხიაძე 135
ჩხიაძე (ჩხეიძე) ფაზარ დურსუნ ოღლი 136

ცაცანიძეები 135
ცენტარიძე 78
ცისკარიშვილი ვ. 264, 265, 266, 267
ცოცოშვილი 127, 180
ციციშვილი ანა 180
„ცუღკუესი“ 259
ცულუკიძე 18
ცქიფოძე 42
ცხვედაძე ჭ. 7

წმ. ათანასი 154
წმ. ბარბარე 101, 260
წმ. ბასილი 36, 193
წმ. გერმანოზი 153
წმ გიორგი 11, 16, 44, 58, 85, 86, 105, 122, 187, 192, 203, 164, 208, 213, 222, 263
წმ. გრიგოლი 36, 193
წმ. ელი 45
წმ. ელიტა 194
წმ. იოანე 193
წიაოველი 150
წმ. ლავრენტი 194
წმ. მარიამი 10, 13
წმ. მარინე 16, 185, 186, 187
წმ. ნიკოლოზი 193
წმ. ნინო 16
წმ. რომანოზი 194
წმ. ... ტრე ალექსანდრიელი 36
წმ. საბა 187, 192
წმ. სჯმონ 228
წმ. სტეფანე 187

ჭავჭავაძე 160
ჭაღიაშვილი იორდანე გაბრიელის ძე 69
ჭეჭელაძე 18
ჭიკაძე 81
ჭიჭინაძე 127
ჭილაშვილი ლ. 262
ჭლე (იძე) 109
ჭობაბრია ასლან უიდან ოღლი 134
ჭონიაშვილი ტერპოღოს 67
ჭულიკიძე 86, 109, 137, 254
ჭულიკიძე ალი მურად ოღლი 137, 254
ჭულიკიძე მურთაზ შაჰაბაზ ოღლი 86
ჭუმბურიძე მ. 7
ჭყოიძე ბეზგიუნ ისმაილ-ოღლი 253

ხათუთ 18
ხალოშვილი 17
ხანბეგაი 179
ხარაბაძე 31
ხახუტაიშვილი 41
ხდიაშვილი 79
ხვარამზე 238

Жигалов 227

Купчин 291

Мелитаури К. Н. 257, 267


ხიზანაშვილი 227
ხმალაძე 57
ხმალაძე ოსმან 32
ხმალაძე სადღა 40
ხმალაძე ყოჩალია 253
ხოშა 37
ხორშუდი მოლა ისმაილ ოღლი 130
ხურციძე 143, 144, 146, 190, 262
ხურციძე გაბრიელი 146
ხურციძე-ხორჩანელნი 262
ხურკიანთი პეტროს ერთაპეტი 190
ხუციშვილი 127
ხუციშვილი პავლე იაკობის ძე 241
ხუციშვილი სეიფ ისმაილის ძე 29
ხუციშვილი სტეფანე ნიკოლოზის ძე 225


ჯავახიშვილი ივ. 67
ჯალალ ამმედოღლი 71
ჯანა 49
ჯანაშვილი 31
ჯანაშია ს. 5
ჯაფარა 255, 259
ჯაფარიძე ასკარ 45
ჯეირიფე 79
ჯიბლაძე ბექარ 128
ჯიქია ს. 257, 260, 262, 265
ჯოჯუაძე სულეიმან ბეგ 81


ჰადია 18
ჰემდი ჯაფაროღლი 80, 252
ჰერაკლე 158
ჰერიქოვი 166
ჰერიათ (ქალის სახელი) 18


Таканшвили Е. 259, 262


Чубинашвили Н. 264


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19



20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39


40
41
42
43
44
45
46
47
48
49
50
51



52
53
54
55
57
56
58




59



60



61



62




63




64




67




65




66




68




69




70




71



72



74



73

75



Si prega i fedeli Cristiani
di dire vna Ave Maria
per D. Venanzio Avellone
donatore di questa
IMAGINE
Napoli 6 Octobre 1754


76





77




78







ბაჭვებში




ქვ. 22სმ. სიგრძით
13.3სმ. სიგანით
9სმ. სიმაღლით

ბაჭვებში



1 უღელ ძველი სამაროვანი
86×70×22სმ




2. უღელ ძველი სამაროვანი
130×92სმ



3 უღელ ძველი სამაროვანი
05×68×19სმ




4 ვაკეს ეკლესია ღას აგორგ.
131×93×28სმ



5 უჩკვილის მყრ ალ ჟამიწყვის
სახლის წინ
13.50სმ×90სმ×36სმ



6 ლოზიეთის წისქვილას ქვემოთ
ნაკვნისაკენ მიმავალი გზის
პირად ნაცნობული კირით საშუალოში
13.10სმ×90სმ



7 ჩოხეთის ფვ. მიწის ეკლესიის
ალვ. მხარეს პირად ნაცნობული
18.25სმ×63სმ×50სმ



8 მწვრილუნის მყრ შავნ ლილის
აგორგ.
75×64×24სმ

Георгий Фадеевич Бочоридзе

ПУТЕШЕСТВИЕ В САМЦХЕ-ДЖАВАХЕТИ

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1992

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4658

გამომცემლობის რედაქტორი ლ. სიხარულიძე
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი თ. ჯაყელი
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ე ლ. ჩხარტიშვილი
გამომშვები ი. სახვაძე

გადაეცა წარმოებას 29.11.91; ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.12.92;
ქაღალდის ზომა 60×84¹/₁₆; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობით საბეჭდი თაბახი 18.50;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,8;

ტირაჟი 1500; შეკვეთა № 2559;

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19